

ნოდარ ჯიბლაძე

დაკვირვებები:

პოსტ-ცივილიზაციური ქარგა

წიგნი პირველი

(ა-3)

„წიგნი პირველი“ მთლიანი ნაწარმოების ერთ ნაწილს შეადგენს, რომელსაც მეორე და მესამე ნაწილები მოჰყვება შეადგომ. მისი საერთო რაობის და მიმართების გახსნას წიგნის სათაური და თავების ანბანური გაშლა ემსახურება, საკუთრივ:

ერთ-ერთი მოტივი მოცემული სათაურის შერჩევისა იყო მიშელ მონტენის წიგნი „ცდები“ (XVI საუკუნე), რომელიც შუასაუკუნეების და ახალი დროების (აღორძინების ეპოქის) გასაყარზე შეიქმნა. ეს ის დრო იყო, როცა შუასაუკუნეობრივი სწავლულობის (და, საერთოდ, „სწავლულობის“) ხანა სრულდებოდა და დედამიწური ცივილიზაციის ქმნა იწყებოდა, მისი გამწევი ძალის, მეცნიერების ჩამოყალიბების და ცხოველყოფის საათის ჩართვით. სიმბულურად ეს დროთა გადასვლა შეიძლება გამოიხატოს როგორც:

დაკვირვების (შუასაუკუნეობრივი სწავლულობის მთავარი ინსტრუმენტის) შენაც-ვლება ექსპერიმენტით (მეცნიერების ფუძე-ინსტრუმენტით)...

მონტენი სწორედ ამ მიჯნის აღწერას ცდილობდა თავის ნაღვაწში, ერთგვარ ინვენტარიზებას იმ დროის მდგომარეობის: იმ ევმისტოვის მოწეული ცოდნა-გამოცდილების შეჯამებით და დაგროვილი საკითხების გამოკვეთით, რომლებიც უფრო გამოწვლილ-ვით გამოკვლევას თხოულობდა ახალი დროების მეთოდებითა და საშუალებებით.

რამდენადაც დღეს ცივილიზაციის შენების დროებიდან პოსტ-ცივილიზაციურ ხანა-ში გადავდივართ (თუ გადავედით) უკვე, მისი ყოვლისმომცველი შესაძლებლობებით და საშუალებებით, უფრო კომპლექსური სამოქმედო ინსტრუმენტების გამოყენება ხდება შესაძლებელი, ადრე მიღებულთა ნაცვლად. ერთი მათგანია „დაკვირვება“, რომელიც ისეთი კომპლექსური და მრავალსახოვანი გახდა ცივილიზაციის აღმასვლასთან ერთად (რაც ასტროფიზიკურ კვლევებში იკვეთება მეტადრე კარგად), რომ „ექსპერიმენტსაც“ ითავსებს თავის თავში დღეს. ამ თვალსაზრისით, ერთგვარი შემობრუნება ხდება აქ: ექსპერიმენტებიდან, უკან, დაკვირვებებში.

მოცემულ წიგნში სწორედ ეს ახალი, პოსტცივილიზაციური რეალობაა წარმოდგენილი, მრავალსახოვანი და მრავალგანზომილებიანი დაკვირვებების საშუალებით გამორჩეული, გამოკვეთილი და ნათელყოფილი. ქართული ანბანი შესანიშნავად ესიტყვება და ეხმიანება მათ. მთლიანი წიგნი 33 თავს მოიცავს; მისი „წიგნი პირველი“ ათ თავს შეიცავს, შესაბამისად, ა-დან კ-მდე.

ეს არ არის დაკვირვებების კრებული, პირიქით, ის ერთიან, მთლიან სხეულს წარმოადგენს თავისთავად, რომელშიც ყველა ნაკვეთს თავისი ადგილი და მიმართება აქვს და გადაძახება, კავშირი დანარჩენ ნაკვეთებთან, მაგრამ არა პირდაპირი, უფრო ქსელური, რაც ერთიან ქსოვილად კრავს მთელ მასალას, მთლიან მოზაიკად აქცევს მას. მასალის ამგვარი აწყობა და გაშლა-განფენა სურდასის „პოეზიის ოკეანით“ (XVI საუკუნე) არის ნაკარნახევი.

რედაქტორი: პაატა პაპავა

დამკაბადონებელი: ნუგზარ არჩემაშვილი

ISBN 978-9941-8-5160-5 (PDF)


©ნ.ჯიბლაძე.2022

ნოდარ ჯიბლაძე

დაკვირვებები:

პოსტ-ცივილიზაციური ქარგა

ნიგნი პირველი
(ა - კ)



სარჩევი

დაპირვება 1	3
დაპირვება 2	5
დაპირვება 3	7
დაპირვება 4	13
დაპირვება 5	23
დაპირვება 3	33
დაპირვება 6	45
დაპირვება 10	53
დაპირვება 11	77
დაპირვება 3	94



შხაპი, ზემოდან რომ გეფრქვევა და გასველებს, გევლება ირგვლივ, რეცა წყლის ქოლგა და საბურველი, რომელიც გაშორებს დაგროვილ მტვერს და ჭუჭყს და მის სიმძიმეს, გახვევს თავის მდინარე აბლაბუდაში, გაცილებს გზის ჩეამს და ხმაურს, მის ჩოჩქოლს და ქოთქოთს, დედამიწურ მიკერძოებას და ასე გამ-სუბუქებულს და გაბუდებულს გყოფს არსებული (ცხოვრების) სივრციდან, მისი სახმილიდან და სხვა სივრცეებში (პირველყოფილში) გადასვლის შესაძლებლობას გაძლევს, გისხნის კარიბჭეს, იქით გიპატიუებს. მისი უწყვეტი შხუილი ნელინელ ისხლეტს ყველა სხვა ხმას და ძახილს, ყველა სხვა ხმევას და თაურ პირველყოფი-ლებაში გაპრუნებს, უკან. აქ ის „წყლით ნათლობასთან“ ზიარდება, მას ეხმიანება, წყლით ნათლობასთან, რომელიც მეორდება და მეორდება და ხან სად წაგიდებს და ხან რას გაგიხსნის...

თეთრ საბურველში ხილვა იხსნება თანდათანობით: „პირველი ანგელოზის“ ღმერთის წინააღმდეგ ამხედრება და საკუთარი გზის დაჩემება; მისი ზეშთა ციდან განდევნა, ქვესკნელში ჩახვენა და ბნელეთში განწესება. აქ ყველაფერი თითქოს თავისით ხდება, თავისი რიგით მიდის, თავისი განრიგით ხორციელდება – „რასაც დასთესავ, იმას მოიმკი“ წესწყობილებით და განაწესით... მაგრამ უნებლიერ, გა-ნუსაზღვრელად, „პირველ ანგელოზში“ შემოიპარება სულის წამლები და გულის მღრნელი ჭია, მოუნელებელი ეჭვი, რომ ეს აღტყინება და მისი აჭრა (როგორც ყველა სხვა) ისევ და ისევ ღმერთის თხზულება იყო და მისი ზმობა, მისი მონაგონი, „პირველი ანგელოზისთვის“ განსაზღვრული და გამოყვანილი, მისი ადგილის დამდგინებელი და გამომკვეთელი ქმნადი სამყაროს „გზამკვლევ რუკაზე“...

იმავ დროს და იმავ წამს, მეყვეულად, მყისიერ გზნებად შემოქმედშიც გაი-ელვებს ერთი გაფიქრება, ერთი დაღონება: ეს „პირველი ანგელოზის“ საკუთარი ძვრა ხომ არ იყო, საკუთარი კვეთება, მისი ნების აღმზევებელი და დამმკვიდრე-ბელი საუფლოში? ...

აქ აღმოჩინდება ადამიანი, აქ იბადება, აღჭურვილი „თავისუფალი ნებით“ და არჩევანის გაკეთების უნარით და უფლებით, ვალდებულებითაც კი – ამ თავსა-

ტეხის გასახსნელად და გადასაწყვეტად, მის გასავლელად. ეს ადამიანს განსაკუთრებულ ადგილს უჩენს ქმნილ სამყაროში, ამ საწუთო მის ხვეულებში და ღვლარჭნილებში, მის გზაწნულებში, სრულიად გამორჩეულს სხვა ქმნილებებს შორის (და სხვა რამეებს შორის)!.. აქ ადამიანი მართლაც „ღვთის ხატად“ სახული, ჩაფიქრებული და განსხეულებული წარმოდგება – ესეთად იქმნა იგი შობილი და მოხმობილი.

მხოლოდ ამის შემდეგ ჩაირთო დრო, სრულად განიყო ბნელი და ნათელი და წუთისოფელმაც დაიწყო ტრიალი, ბრუნვა მოვლენების მხოლოდ მისთვის საცნაური განვითარებით და მიმართებით, მათი მიწყივი ცვალებადობით და გარდასვლებით, აღმასვლებით და დაცემებით: ცხოვრების სივრცის თანდათანობითი განფენით.. და წუთისოფელმაც დაიწყო დენა, თავისი აწმყოთი და მომავალით და ნელინელ გროვებადი გრძელი წარსულით.

– ესე გამოდის, პალიკო.. არჩევანის გაკეთება მოგვინევს ყველას, გარდაუვალად. ეს ჩვენი ბედისწერაა და დანიშნულება, განგებით მოსული; მას ვერსად წაუხვალ, ვერ გაექცევი – ან აქეთ აღმოვჩნდებით ან იქით, შუაში გაჩერება დიდსანს არ გამოვა. ეგ მხოლოდ დროის საქმეა და მისი საწუხარი, მისი საუფლო და ვერანაირი მანქანებით ვერ გადაითქმება და ვერ გაუქმდება... და ყოველს თვითონ მოუწევს ამ არჩევანის გაკეთება, სხვა ვერ შეეხიდება ამ განჩინების მიღებაში და გაცხადებაში.

– ამ მხრივ, ცხოვრება ერთგვარი „ტესტი“ გამოდის, პალიკო, ერთგვარი გამოცდა, დრო-სივრცის გრაგნილებში განერილი და გაშვებული ჩვენი ნების აღსრულებისა და გამოვლენისთვის. მის კითხვებზე გაცემული პასუხები მთელი ცხოვრების მანძილზე გროვდება და ერთ მთლიანობად იკრიბება ბოლოს. ამიტომ არის ესე საჭირო სრული ცხოვრების გავლა, პალიკო, მისი გატანა, მთელი მისი ფათერაკებით და ოინებით, ხიბლით და ცთუნებებით, ცვალებადობით და მყარად დგომით, უშუალობით და შორი ხმობით, ტკივილებით და სიხარულით, თავგადასავლებით.. ისე დასმულ კითხვებზე პასუხები გაუცემელი დარჩება...



მას შორიდანვე შეამჩნევდი, გამოარჩევდი ქუჩის ჯერ კიდევ ჩვეულ მდინარე-ბაში... აჩქარებული ნაბიჯით მოდიოდა, გაჯავრებულივით, ამის გაკეთება რომ უწევდა, სახეზე ასახული დარწმუნებულობით და დაჯერებულობით, რომ ადგილ-ზე მისვლისთანავე (სადაც არ უნდა ყოფილიყო ეს), უკვე თავისი გამოჩენით მოხ-სნიდა ყოველგვარ საკითხს, ყოველგვარ თემას, შეუთანხმებლობას (უცილოდ!), რომელიც რაღაც გაუგებრობით თუ უცნობლობით, გარემოებების შემთხვევითი თანხვედრით და გადახლართვით თუ შეიძლება ყოფილიყო გაჩენილი!. უთუოდ მოხსნის, ერთი შეხებით, ხელის ერთი მოსმით! მოხსნის უცილოდ.

მეტად მეტყველი იყო მისი სხეულის ენა, მჭევრი... ოცდაათამდე წლის ახალ-გაზრდა მამაკაცი, მკაფიო ნაკეთებით, გამომეტყველებით, ოდნავ შექმუხნილი სახით, მაგრამ მხნე ნაბიჯებით მოჩქარე, უცაბედად მოგებული გაუგებრობის მისაგებად და შესახვედრად, მის გასანელებლად და გასაქარვებლად. ის მიდიო-და, რომ ეს არსაიდან მოსული ნასკვი ისევე გაეხსნა და განევთო, როგორც ის მოვიდა, მიჯრით.

მისი შემართება და მომართულობა კიდევ უფრო ცხადლივ იკვეთებოდა ზურ-გიდან: ოდნავ წინ გადახრილი ტანი, მისი სვლისთვის აჩქარების მისანიჭებლად; მკლავების მოსხლეტილი ქნევა; ქუსლით თითქოს ლურსმანს აჭედებდა გზაზე, ყოველი ნაბიჯის გადადგმისას.. თავს ოდნავ გადააქნევდა ხოლმე, დროდადრო, რეცა შეუფერებელ საქციელზე უთითებდა ვინმეს...

– შემდეგ დღესაც ჩავუარეთ ერთმანეთს, პალიკო. ოდნავ გაოცებული ჩანდა, შეცბუნებული, ეს ამოვარდნა ცხოვრების ჩვეული რიგიდან ხელის ერთი მოსმით რომ ვერ გაანელა, ვერ გადაწყვიტა... გარნა ის ისევ შემართული რჩებოდა, მოშ-ვილდული და მთელი მისი არსებაც დარწმუნებით გეუბნებოდა, რომ მეტი ძა-ლისხმევა, მეტად მოკრება ყურადღების და ყველაფერი თავის კუთვნილ ადგილს დაუბრუნდებოდა, უბრალოდ უკეთ გარკვევა იყო საჭირო ამ ვითარებაში, მეტი სერიოზულობით მიდგომა ამ ამბვისადმი, მეტი გულისყური...

– ეს ერთხანს კიდევ გაგრძელდა; დროგამოშვებით ისევ ვხედავდი მას ჩემს ქუჩაზე. მოწყენილობა დაეტყო თანდათან, პალიკო, მოშვებულობა, რეცა გაცრუ-

ება მოლოდინის. თანდათან დაშთა მისი მხნეობა და მომართულობა, მისი სწრაფულობა დაებრუნებინა დარღვეული ცხოვრების წესი და რიგი, წონასწორობა. ეს არ იყო სასონარკვეთა ბედის სიმუხლით და უფერობით, უკეთურობით, არც დანებება, ფარხმალის დაყრა ან უძლურების რაიმე ღარი, ეს უფრო მიუღებლობა იყო, პალიკო, სახეცვლილი ცხოვრების, ასეთი წუთისოფელის!.. იგი უნიათოდ მიყვებოდა იგივე გზას, უხალისოდ; არც რას ელოდა, არც რას ესწრაფოდა, არას თხოულობდა, უბრალოდ ვალს იხდიდა თითქოს, ერთგვარ ხარქს, ვინმეს რომ არ დაეძრახა, ცდა დააკლოო, არ დაიხარჯაო. აქ არც წყენა იყო და არც შეთხოვნა, ვინმე შემომეშველეთო, შემომიდექითო. მისი სხეული ისევ მჭევრი იყო და მეტყველი და საოცარი სიზუსტით და უშუალობით გადმოსცემდა ამ თავგადასავალს და მთელ ამ ამბავს.

– ეს ორ-სამ თვეს გრძელდებოდა, მთელად, თავი და ბოლო. მერე ის გაქრა, პალიკო, მოკეთით, ერთბაშად, გრძელი ინილო-ბინილოს გარეშე. მან უბრალოდ არ მიიღო ახალი აწმყო, ახალი დრო-უამი, ფერცვლილი ცხოვრება და წუთისოფელი, მისი სინამდვილე, უარყო იგი. სხვები ძალ-ლონეს არ იშურებდნენ, მთელ უნარს და ძალისხმევას ხარჯავდნენ (მეტ-ნაკლები წარმატებით) გადაწყობაზე, ახალ დროებაზე მორგებაზე (ზოგს ხელ-ფეხიც გაეხსნა და მოვლენების ზედაპირზეც ამოიყვანა დამდეგმა მყობადმა) – მან ეს არ ისურვა, არც მოინდომა, არ გაეკიდა დრო-უამის ჭიხვინს...

შუა 90-იანები იყო. ქვეყანაში უკვე ბევრი რამ მოხდა და ბევრმა გადაიარა მის თავზე, მაგრამ გზაკვალი ჯერ არსად ჩანდა და ბევრი განსაცდელიც წინ იყო კიდევ, ჩასაფრებული. ცხოვრება წინარე უამის ინერციას მიყვებოდა მდოვრედ, რომელიც ჯერ არ იყო ძალაგამოცლილი, განელებული სრულად და მას გადმოყოლილი ადამიანური ურთიერთობებიც ღვიოდა კიდევ, ერთმანეთის სანუგეშოდ და შესახიდად, ერთმანეთის გასატანად. რაღაც მარაგებიც ჯერ კიდევ იყო გადმორჩენილი (წინარე ცხოვრებიდან), საშუალებებიც არ იყო დალეული, დაშრეტილი ბოლომდე და კვლავაც რჩებოდა იმედი, რომ მოყვასი არ მიგატოვებდა უსასოოდ ამ გასაჭირში. თავის გატანა ჯერ კიდევ შეიძლებოდა, საძლისი იყო; მთავარი იყო გაგეძლო ერთხანს, გადაგეხანა, გადაგეორა ეს შუალედი, ეს ძნელ-ბედობა და ამასობაში (ასე თუ ისე) დალაგდებოდა სოფელი და გამოჩნდებოდა გზა გასაწევი...

ერთი იყო, მხოლოდ: კარგად აწყობილი და მყარად მდგომი ხალხიც (ოჯახები, პიროვნებები, მკვიდრი ჯგუფები) კარგავდნენ ძალ-ლონეს, მდგომარეობას და აკლდებოდნენ ასპარეზს გზადაგზა. სულ უფრო გამოხშირული რჩებოდა ცხოვრება, ფუუე და არც ახალი (სავარაუდო) გამარჯვებულების იერსახე და ხვედრი იმზირებოდა იმდენად საშუალოდ, რომ მიყოლოდი გზის გასაგნებად...



სტამბულის აეროპორტი.. აქ ყველა ჯურის ხალხი ტრიალებს, მსოფლიოს ყველა კუთხის ნარმომადგენელს შეხვდები – ზოგი საიდან მოდის და ზოგი სად მიდის... ბევრი მათგანი უშუალოდ სტამბულში ჩამოდის თუ ბრუნდება, ამ არაჩვეულებრივ ქალაქში, რომელიც ორ კონტინენტს აერთებს ერთმანეთთან, მდინარისმაგვარი სრუტით გაყოფილთ, მანქანების უწყვეტი ნაკადებით მის ხიდებზე, შეუსვენებლივ რომ დიან და დიან, აქედან იქით, იქიდან აქეთ, ევროპიდან აზი-ისკენ და აზიდან ევროპისკენ – ერთი ქალაქის ფარგლებში... ზოგიც ტოვებს ქალაქს და სხვა მხარეებს მიეშურება თავის საქმეებზე თუ ისე, ქვეყნის სანახა-ვად. ისინი თავთავის ფრენის რეისებზე მიიჩქარიან და ნაკლებ დროს დაჰყოფენ აეროპერტში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ფრენები გადაიდება – ამინდის პირობების თუ ტექნიკური გაუმართაობების გამო. მაშინ მათ დალოდება უწევთ და აეროპორტში გაჩერება ერთხანს.

მათგან განსხვავებით, მგზავრების უმეტესი ნაწილისთვის სტამბულის აეროპორტი შუალედური წერტილია ოდენ, სადაც ისინი (შესაბამისი ფორმალური პრო-ცედურების გავლის შემდეგ) ერთი თვითმფრინავიდან მეორეზე გადადიან, გადაჯ-დებიან და განაგრძნობენ ფრენას დანიშნულების შემდეგი თუ საბოლოო წერტი-ლებისკენ. აქ ისინი გავლით არიან და ან თავისი რეისების გასასვლელებისკენ მიიჩქარიან, თავთავის თვითმფრინავებს რომ მიუსწრონ დროზე (ხმირად სირბი-ლით, ხელბარგით ახორგილები, დატვირთულები, სხვა მგზავრებთან ერთად), ან გრძელი ლოდინით ითანგებიან, საათობით რომ გრძელდება ხოლმე, ხანდახან იმ-დენად დიდხანს, რომ მათი ქალაქში გაყვანა ხდება საჭირო და წინასწარ შერჩეულ სასტუმროებში მოთავსება გარკვეული დროით. მერე ამ მგზავრებს ისევ უკან აბ-რუნებენ და ისინიც უერთდდებიან აეროპორტის ჩვეულ ჩოჩქოლს და ქოთქოს...

აქ განუწყვეტელი ბზუილია, რაღაც საერთო ფშვინვა სხეულის, რომელიც მრავალი ერთეულისგან შედგება, მრავალი ელემენტისგან, სულიერის და უსუ-ლოსი: დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე, ოცდაოთხი საათი... ერთ-ნი პატარა მაგიდას მისხდომიან და მუსაიფობენ, თან ნაყრდებიან მსუბუქად ან წყურვილს იკლავენ, ორივეს ერთად; მეორენი საინფორმაციო ჯიხურებს შემო-ვევიან საერთო ცნობების მისაღებად და მათი ფრენის განრიგების დასაზუსტებ-

ლად; მესამენი გაფაციცებით აკვირდებიან საინფორმაციო დაფების ელექტრონულ ცხრილებს, საკუთარი ფრენის რეისები რომ არ გამოეპაროთ და არა შეეშალოთ, დროულად დაიჭირონ თადარიგი; მეოთხენი სპეციალურად გამოყოფილ და მოწყობილ, ელექტრონული საშუალებებით გამართულ დარბაზში აშჯობინებენ ყოფნას და მუშაობას, ინტერნეტით და სხვა ელექტრონული საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობას – მოცემული დროის უფრო სარგებლინად გამოყენებას; მესუთენი აეროპორტის ცენტრალურ დარბაზს ზომავენ ნელი ნაბიჯებით, კიდიდან კიდემდე და პირიქით, დარჩენილი დროის შესამოკლებლად და მოსაკლავად; მექევსეთ ჩაუთვლიმავთ, ჩასძინებიათ პირდაპირ სკამებზე, ოთხად მოკეცილებს მომცრო საგარძლებში, ერთმანეთზე მიყრდობილთ და მიყუდებულებს... და ეს ყველაფერი მუდმივ ძრაობშია, მიმოქცევაში, მუდმივ ცვალებაში: კადრები იცვლება, მაგრამ სურათი იგივე რჩება...

ფრენის რეისებზე ცნობების მიღების შემდეგ (საინფორმაციო ჯიხურებიდან, საინფორმაციო დაფებიდან, აეროპორტის რადიოს გამოცხადებებიდან) მგზავრების ნაწილი მოძრაობას იწყებს: ხელბარგს აგროვებს და წესრიგში მოჰყავს, ერთად შეკრიბავს, თანამგზავრებს მოძებნის, მოიკითხავს (ვისაც ჰყავს) და გზას ადგება მათთან ერთად, მიმდინარე ნაკადებს მიერთებული – ერთი ერთი გასასვლელისკენ მიყვება მათ, მეორე მეორისკენ და მესამე კიდევ სხვისკენ; ზოგი მარტო მიდის, ზოგი წყვილებად, ზოგიც ჯგუფებად შეკრულნი; ზოგი მიძუნდულებს, ზოგი სწრაფი ნაბიჯით მიემართება და ზოგიც მირბის – ქალები, კაცები, ბავშვებით, ახალგაზრდები, ხნიერნი, შუახნისანი..

და ესე გრძელდება დღიდან დღემდე, კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე და აეროპორტიც აგრძელებს თავისი ფუნქცია-დანიშნულების შესრულებას და ატარებს და ატარებს გაუთავებელ და დაუცხრომელ ადამიანურ ნაკადებს ყველა არსებული და ახლად გაჩენილი მიმართულებით, ყველა შესაძლო განრიგით და განწესებით. თითქოს რაღაც შეუჩნდაო, რაღაცამ აიტანაო ადამიანი, რაღაც ჟინმა შეიძყრო იგი, რომელიც არ ასვენებს, არ აჩერებს მას ერთ ადგილზე და აიძულებს მიწყი შეიცვალოს ადგილი და ბდებარეობა და გადავიდეს სხვაგან, ერთი ადგილიდან მეორეში, მეორიდან მესამეში და ასე შემდეგ, და ამდავვარად – შეუსვენებლად, გაუთავებლად, დაუსრულებლად!. არარა რჩება უკვე მკვიდრი და საქვირო მისთვის, საშური, გასაფრთხილებელი. დროის მნიშვნელოვან ნაწილს ამ გადაადგილებებში ატარებს ადამიანი დღეს, მათი მომზადება-გამართვით დაწყებული და დანიშნულების ადგილზე ჩასვლისა და იქ მოწყობა-დალაგებით დამთავრებული. საკუთარი სამყოფელი, საკუთარი საყუდარი, საკუთარი ალაგი პირობითობა ხდება მისთვის თანდათან, რადგან დროებით საცხოვრისის და სამყოფელის გამართვა არსებითად ყველგან შეიძლება ჩვენს დროებაში და მკვიდრად და ფუძნეულად კი უკვე აღარსად და ამავდროს ყველგან გრძნობს კაცი თავისთავს დღეს. ნომადური, მომთაბარეული ცხოვრების ნირი და უინი, განცდა და ყაიდა მკვიდრდება და წესად იქცევა ქვეყნად და ისე სჩანს, რომ ამჟამინდელი ცივილიზაციის მოთხოვნაა და საჭიროება და თვით მისი არსებობის აუცილებელი პირობა ეს...

სტამბულის აეროპორტი ბაბილონის გოდოლს მიაგავს, ამ მხრივ.. აქ ყველანა-ირი ხალხი ირევა, დედამიწის ყველა მხარიდან და ყველა კუთხიდან მოსული, ერთი განწყობით და მიმართებით აღძრული და ერთ ქმედებაში გაერთიანებული და გა-ერთნაირებული: დატოვონ აეროპორტი და დროულად წავიდნენ აქედან სხვაგან, შემდეგ ნავსაყუდელში – სხვა სამყოფელში!.. აქ საკუთარი განსხვავებულობის და გამორჩეულობის აღნიშვნისთვის და წარმოჩენისთვის არავის სცალია, არავის ცხელა (მითუმეტ სხვისის), ეს სხვა ადგილია, ოდენ გაჩერება შუალედური, გზაში, რომელ-საც თავი და ბოლო არ უჩანს. მგზავრობით დაღლილი და დაქანცული ყველა თავის ჯერს ელის მხოლოდ, რომ დროზე გაფრინდეს და დაასრულოს ეს ბორიალი (ამ მო-ნაკვეთში), რომ ნავსაყუდელს მიადგეს დათქმულა!.. აქ განსაკუთრებულობა ძვირად არ ფასობს, ძნელად იყიდება, თუმც მეტ-ნაკლებად ყველას ეტყობა თუ ვინ ვინ არის და საიდან მოდის, სად მიეჩქარება: ფერით, იერსახით, ტანსაცმლით, მიხვრა-მოხ-ვრით, ალკაზმულობით... მათ შორის იოლად გაარჩევ არაბებს, რელიგიის მსახურ ებრაელებს, აფრიკელებს, ინდუსებს, ყვითლებს, დასავლეთელებს, ყოფილი სოცია-ლისტური ქვეყნების წარმომადგენლებს (ჯერ კიდევ რომ შერჩენილი აქვთ ენთუზი-აზმი და არ იმჩნევენ მგზავრობით მოტანილ დაღლილობას და დაქანცულობას), უც-ნაურ შეფერილობის და ვარცხნილობის ახალგაზრდებს (მეტადრე, ვაჟებს)... მაგრამ მეორადია ეს ყველაფერი და მალევე იკარგება აეროპორტის საერთო ბჟულში, არა-ვინ აქცევს ამას ყურადღებას – არავის უკვირს, არავის ენალვლება. მხოლოდ დრო-დადრო გამოკრთება ხოლმე ვინიშე საჩინო, ქალი თუ ვაჟი (ერთეულები), ყურადღებას რომ მიიპყრობს და გაგიყოლებს თან, თავისი აღნაგობით, გარეგნობით, აწვართუ-ლობით, დახვენილობით, აღნიშვნულობით, სხეულის ენით, ერთგვარი ანაქრონიზმი ამ გარემოში და ვითარებაში, ასეთ ადგილას – კრომა თვალისოფასის, უნებურად რომ აედევნება ამ გაელვებას, მიყვება ერთხანს და მერე საერთო ფშვინვაში გაიბლანდება ისევ, მიჩვეულ ერთგვაროვნებას მიყუდებული და მინდობილი, განელებული.

გარნა აქაც გვხვდება გამონაკლისი (როგორც ყველა წესში), რამ უჩვეულო, ხელშესახები, ანაზდად რომ მოდის, საიდანდაც, მოულოდნერელად, შეუმზადებლად, სრულიად განსხვავებული სუნთქვა, სურნელი, ხმოვანება და ფერადოვნება რომ შემოაქვს აეროპორტის რუტინული პროცედურებით გაჯერებულ მდინარებაში – მთის ქროლვასავით, აწონილ სივრცეს რომ მოგაგებებს და შემოგაფეთებს სახეში მეყვსად! მას მოყოლილი ღელვა დიდხანს ჩერდება აეროპორტის შემოკავებულ სივრცის ნაკვეთში, თავისი რიგის მომლოდინე, ნახევრად მძინარე მგზავრების შემცბარ თვალებში და იერში დალექილი მილევად რხევებად...

შეუაღამე გადაცილებული იქნებოდა ახალგაზრდა ჩინელი გოგონების გუნდი რომ შემოვიდა აეროპორტის ცენტრალურ დარბაზში, შვიდი-რვა ახალგაზრდა გოგონა სულ, ერთად.. სხვადასხვა სიმაღლის და შესახედაობის, სხვადასხვა იერსახის და აღ-ნაგობის, მაგრამ ერთნაირად ამართული და შეკრულები, ერთმანეთს შეწყობილები და შეწონილები ერთ მთლიანობად; ერთნაირ თეთრ ქვედატანებში და თხელ თეთრ ქურთუკებში გამოწყობილები, სამუალო სიმაღლის ქუსლებიან ფეხსაცმელებზე აკვე-სილები; საოცრად მსუბუქები, ჰაეროვნები, მოციმციმენი, მომღიმარენი თავისი გახს-ნილი სახეებით, თითქოს მზის სხივების ციალი მთის მდინარეში, ბარს რომ ჩამოდის...

კი არ შემოვიდნენ, შემოფრთხიალდნენ, ჟივილ-ზივილით, ურიამულით, გარნა არა ხმაურით, შემაწუხებლად, უბრალოდ კისკასობდნენ, ასკინკილათი მოდიოდნენ, ცქაფი ნაბიჯით და მიხვრა-მოხვრით, ულურტულებდნენ ერთმანეთში, ბჟუტურობდნენ შეუსვენებლივ – რეცა არმური სუფთა ჰაერის, შემოქროლილი დახშულ სივრცეში.. გზად ხნიერ წყვილს მიეხმარნენ ბარგის ერთი ადგილიდან მეორეში გადატანაში, სხვა განთავისუფლებულ სავარძლამდე მიაცილეს და მოასვენეს, ვიღაცა დააკვალიანეს, მერე... და ეს ისე, გზად, თავისითავად, დაუძაბავად და დაუხარჯავად, ფაციფუცის და აღნიშვნა-ხაზგასმის გარეშე, ისე, რომ არ დარღვეულა მათი ერთიანობა და მთლიანობა, არ შერჩეულა მათი ნიშატი: არც ნირი შეცვლიათ, არც იერსახე, არც ხასიათი, არც შეფერხებულან დიდად, რამდენადმე; კვლავაც კისკასობდნენ, ყეყელაობდნენ, კვლავაც ულურტულებდნენ, კვლავ ფრიალებდნენ, ისევ მსუბუქები და ლამაზები, მშვენიერები!. თან გზას განაგრძობდნენ, თავისას, წინით, ხან უფრო გაშლილნი, ხან შეჯაფულები, უბრალოდ აქ მოხვედრილები ცხოვრების გზებით, მისი ხვეულებით, მცირე ხნით შემოვლით და შეყოვნებად, რომელსაც მალევ გაივლიან და კვლავ დაბრუნდებიან თავის სამყაროში, თავის სამკვიდროში, თავის სამყოფელში – თავისიანეთში.. ამბვადაც არ წაიღებენ, ვინძლო, აქაურ ხაზებს, მაგრამ არც ნალექს დატოვებენ აქ უგემოს რამეს...

მცირე დახანებით ჩინელი გოგონების მეორე გუნდი შემოვიდა აეროპორტის მთავარ დარბაზში და მას მალევე მოყვა მეასამე.. ისევე ცქაფები და მსუბუქები, მოციმციმენი, მომლიმარენი, სხვადასხვა სიმაღლის და იერსახის, სხვადასხვა გარეგნობის და მიხვრა-მოხვრის და მაინც ერთნაირები, ანკაბულები, ამართულები, შეწყობილები ერთმანეთს, შეხმატებილებულები ვითარცა ერთი მთელი, ერთი მთლიანი, ერთი ერთობა, თეთრ სამოსებში გამოწყობილები, სახეგაბრწყინებულები, დამშვენებულები!.. ისევ კისკასობდნენ, ურიამულებდნენ, ულურტულებდნენ ერთმანეთში, ბჟუტურობდნენ რაღაც თავისას; სხვებს ეხიდებოდნენ, ხელს აშველებდნენ, ლიმილს უტოვებდნენ დაუზოგავად; მთელად გაავსეს დარბაზის ის მხარე ამ თბილი „ხმაურით“, ჟივილ-ზივილით, თითქოს გაანათეს იაქაურობა!.. ძნელად გაარჩევდი თუ ვინ იყვნენ ისინი: ჩინური თვითმფრინავების გამყოლები, „სატიუარდესები“, რომელიმე (მორიგი) საერთაშორისო ახალგაზრდული ფორუმის მონაწილენი (იქით მიმავალნი თუ უკან მიბრუნებულები), ჩინელი სტუდენტები თუ კიდევ ვინმე სხვა!. თუმცა კი ამას არ ჰქონდა რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა, მეტადრე აქ, ამ „ბაბილონის გოდოლში“, რომელშიც ყველა და ყველაფერი ერთმანეთში ირევა და უსახო შთება და რომელიც ისე გაიარეს ჩინელმა გოგონებმა, არც შეწუხებულან, არც შეფერხებულან, არც შეყოვნებულან დიდად, არც ნირი შეუცვლიათ და არც იერი, არ შეერთებიან „გოდოლის“ გაუნელებელ ჩოჩქოლს და ქოთქოთს, მის მლვრიე მშვინვას – როგორც შემოვიდნენ, შემართულები, ისე გაიარეს მთავარი დარბაზი და ისევე დატოვეს იგი, ოლონდ სხვა მხრიდან, სხვა გასასვლელიდან: განჭოლეს „გოდოლი“, გადაიარეს, ისე, სხვათა შორის, ფეხიც არ დასველებიათ, და წავიდნენ თავისას, თვისად...

– საოცრი იყო ეს გაელვება, პალიკო, გამოცხადებასავით.. იქ და იმ ადგილას, შუალამეს გადაცილებულს, იმ ჩახუთულ და გაგუდულ არეში, სადაც ერთ გუნება-

განწყობაზე დაყვანილი მგზავრები მხოლოდ იმას შეჩერებოდნენ და დარაჯობდნენ, მხოლოდ იმას იყვნენ მიყურადებული და მიყუდებული, რომ არ გამოპარვოდათ მათი გამგზავრების რიგი, არ ასცდენოდნენ მას და არ დაერღვიათ მათვის დადგენილი და განსაზღვრული ფრენების განრიგი, რომელსაც დღენიადაგ უყურებდნენ და სათანადო ჩარჩოებში სვამდნენ აეროპორტის შესაბამისი სამსახურები და რომლის შესრულებასაც უზრუნველყოფდნენ მისი სპეცტანსაცმლიანი (ერთობ გათელილი) თანამშრომლები, გაბეზრებულები განმეორებადი პროცედურებით და მიმდინარე რუტინებით... ღათუ, რაღაც უცნაურად, პალიკო, რაღაც მანქანებით, ეს არ ეხებოდა იმ ჩინელ გოგონებს, რომლებიც უცაბედად შემოფრთხიალდნენ აეროპორტის მთავარ დარბაზში და ესევე მწყობრად დატოვეს იგი, არც შეყოვნებულან.. უბრალოდ, ეს თითქოს ერთი პირბათაგანი იყო მათი აქ აღმოჩენის, ამ ცივილიზაციაში შემოვლის, რომელიც ისე გაიარეს, არც შეტყობიათ – არ დახუნდლულან მისი ნიშნებით, არ დამძიმებულან მისი გზამკვლევებით და არც თუ წაულიათ რაიმე თან, თავის საცხოვრისში, თავის სამყოფელში. მათი ქცევა, მოქმედება, მეტყველება (ხმოვანი, სხეულის) ადასტურებდა ყოველ მყისს და ყოველ წამს, რომ ისინი სხვა ცივილიზაციას ეკუთვნოდნენ და სხვა წუთისოფელში ცხოვრობდნენ (ვინძლო უფრო ნათელში და სრულყოფილში) – სხვა „გალაქტიკიდან“ იყვნენ მოსული!. სხვა ვარსკვლავთხომლიდან, სხვა თანავარსკვლავეთიდან ამოსულები..

– საშინლად დამწყდა გული, ეს რომ აღარ გვახსოვს, პალიკო, რომ დაგვეკარგა თვალ და ხელ შუა, წლებია და წლები, და კიდევ მეტი: ჩვენი რაობა და სახეობა, თვითმყობადობა და თავისითავადობა, თავისებურება და ლაზათიანობა, ჩვენი თანდაყოლილი მხნეობა და სილადე (დღეს გაცვეთილი), ცხოვრების ხალისი და უსაზღვრო ჟინი, ბუნებითი – ჩვენი ნამდვილობა!.. არადა, უხვად გვქონდა დაბერტყილი ჩვენი არაჩვეულებრივი და უცნაური, მარად ცოცხალი (დღესაც კი), ესერიგ სათნო და თბილი კულტურის მადლით და მისი ხიბლით, რაღაც პენს რომ გვმატებდა ყველგან და ყველაფერში, ყველა საქმეში და ქმედებაში – თუნდაც ერთი მწიკვის მიმატებით, ერთი ხაზის, სულ ერთი შტრიხის, სისრულე და სიცხადე რომ შეაქვს არსებულ სურათში და ვითარებაში, მოცემულ რეალობაში... როგორ ეშურებოდა ჩვენთან ჩამოსვლას ყველა და ყოფნას ერთხანს მაინც!.. განსაკუთრებით მნიშვნელოვან და ღირშესანიშნავ ოფიციალურ უცხოელ პირებსაც უშვებდნენ ხოლმე საქართველოში (ოფიციალური პროტოკოლის, შეხვედრა-მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ), რომ ეჩვენებინათ, დაენახვებინათ, რომ საბჭოთა კავშირში სხვა რამეც არსებობს, სხვა რეალობა, სხვა სინამდვილე, სულ სხვა ქვეყანა და სხვა ცხოვრება... მარტო თბილისი რად ღირდა, პალიკო, „ზღაპრულ ქალაქად“ რომ რაცხდა ყველა მასთან მოსული, მოკეთეც და უკეთურიც!. ეს ხიბლი და მადლი ისევე არის ჩვენთან, მაგრამ მილეული და მიჩქმალული, თითქოს გზნეპანართმეული და გახევებული, უცნოდ შეფუთული, გადაკარგული სადღაც, მღვიმეში.. მას დაბრუნება უნდა და გამომზეურება, პალიკო, მიხედვა უნდა და მოვლა-პატრონობა, და მითერება და მიდევნება დაუზარებელი...

– 87-ის აპრილი იქნებოდა, პალიკო... ზემელიდან რუსთაველზე რომ გადიხარ, მეცნიერებათა კადემიის შენობას გაცდენილი, იმ მხარეს, იქ მივდიოდი.. შუადღეს

გაცილებული, მზიანი დღე, ჯერ კიდევ სიგრილეა, მაგრამ გაზაფხულის სურნელიც ჯერდება არემარეში.. ამ დროს ზემელის მხრიდან რაღაც ოფიციალური პირის მანქანა შემოვიდა, სპეციალური, მაგრამ თანხლების გარეშე. საშუალო სიჩქარით მიდიოდა, რუსთაველისკენ შეუხვია და უცებ გაჩერდა, დაახლოებით „იმელის“ თავ-თან.. მანქანის უკანა მარცხენა კარი გაილო და იქიდან ქალბატონი გადმოვიდა: ძალიან თეთრი, ქათქათა, ვარდისფერშეპარული სახის ფერით და დამჯდარი იერით, ნატიფი, წყობილი ნაკვთებით, მოოქროსფერო, ოდნავ აფუებული თმით – თავად მარგარეტ ტეტჩერი, პირდაპირ რუსთაველზე, თბილისის გულში...

– ნახევრად მისტიური სურათი იყო, პალიკო: რუსთაველის გამზირის თავი; დიდი ქალბატონის და მისი მანქანის მკაფიოდ გამოკვეთილი ფიგურები (დაცვამ მანქანიდან გადმოსვლაც ვერ მოასწორ); და მხოლოდ თბილისი და მისი სივრცის გაშლა მათ უკან... მომაჯადოებელი იყო დიდი ქალბატონის უხმო მეტყველება, ესე გულმოდგინე და დანურული და ესე მკვიდრი, და მისი სათნოების მომხიბვლელობა, მშვიდი ტალღებით რომ ავსებდა იქაურობას და თბილად ევლებოდა ყველაფერს ირგვლივ!. უნებურად ჩერდებოდი და სახეს უშვერდი მოლივლივე ტალღების ამ ნანაობას, მონუსხულს რომ გტოვებდა ანაზდად ხილვით..

– ის გაკვირვებული აკვირდებოდა თბილისს, გულდასმით იყურებოდა მასში, მის დასანახად და გასაგებად, დასარწმუნებლად, რომ ეს მართლაც რეალობა იყო, სინამდვილე, ეს ქალაქიც და ეს ქვეყანაც.. მერე მანქანას მიუბრუნდა დიდი ქალბატონი და ნელინელ ჩაჯდა მასში – ისევე წყნარად, როგორც გადმოვიდა იქიდან, მარტო... ამ დროს ორი ახალგაზრდა გოგო გამოჩნდა იმელის მხარეს, რუსთაველისკენ მიდიოდნენ მუსაიფით, პატარა ის კონებით ხელში (გაზაფხულზე რომ იცის, ამ დროს). მათ მეყვსეულად შენიშნეს დიდი ქალბატონი, რომელიც მანქანაში ჯდებოდა უკვე.. გოგონები შეყოვნდნენ, თითქოს, შეანელეს ნაბიჯი, მერე ერთბაშად მიბრუნდნენ მანქანისკენ, მსწრაფლ მიირბინეს ქალბატონთან, მიესალბუნენ ღიმილით, თვალებით, ცქაფი სახეებით, მიართვეს უბრალო ის კონები, იკისკასეს მასთან სულ ერთი წვეთი და ისევე მკვირცხლად გაბრუნდნენ უკან!. არც რამ უთხოვიათ, არც გამოცნაურება უცდიათ (ვინძლოვ ვერც გაერკვნენ ვინ იყო მათ წინ – ქალბატონის ჩამოსვლა არ გახმაურებულა ქალაქში), მხოლოდ ხელი დაუქნიეს დამშვიდობების ნიშნად, თბილად, სალბუნად.. გოგონებმა უბრალოდ პატივი მიაგეს დიდი ქალბატონის კდემამოსილებას და სინატიფეს, სათნოებას და ქალურ ხიბლს და ანაზდეულად მიაშურეს მას – უბრალოდ მიყვნენ კულტურულ ინსტინქტს, შეუცდომლად რომ არჩევს ლირსეულს ყველგან და უხმაუროდ დაუკრავს თავს.

– თენთივით სითბო ჩამელვარა მთელ არსებაში ამ ამბვის შემყურეს, სრულად რომ გიმშვიდებს მლელვარე სამშვინველს, საესეს სიხარულით, რომ ეს შეგვიძლია, პალიკო, რომ ესეთები ვართ!. რომ შეგვიძლია ვიყოთ ესე უშუალონი, გულითადები, გულიანები და გულწრფელები, სათნოები და ესე ნამდვილები! რომ შეგვიძლია ესე მოქმედება, ესე მიფერება სხვის სათნოებასაც, ესე თავისთავად და ბუნებრივად, ესე საყვარლად!!.. და ეს ყველაფერი აქ მოხდა, ჩემს წინ, ჩვენთან, თბილისში... ამას შენარჩუნება უნდა და გაფრთხილება და გაგრძელება, პალიკო, პატივის მიგება და მკვიდრად დაუჯვება, რომ არ გაგვისხლტეს ცხოვრების ბზრიალში, სხვამხრივ ძალიან გაგვიჭირდება, ჩვენ, ადამიანს, ჩვენს წუთისოფელს და დედამინას, მძიმედ დახუნძლულს ქარაშოტი ვნებებით და უგზოუკვლო აღტყინებებით...



ქუჩა, ადგილი, ალაგი.. რამდენს გეუბნება, გიყვება, გამცნობს და გაგებინებს მის გარემოზე, არემარეზე, იქ მიღებულ წესებსა და ჩვეულებებზე, იქაურ ვითარებებზე და გარემოებებზე, მის მაცხოვრებელებზე, მათ მდგომარეობასა და გუნება-განწყობაზე – იქაურობაზე, ყური თუ უგდე და დრო დაუთმე საჭირო მისთვის.. მთელ იმ უბანზე, ქალაქზე, ქვეყანაზე და მის ხალხზე, იქაურებზე და იქაურობაზე... მეტადრე ისეთი ადგილები, ხალხი რომ თავად გამოარჩევს და გაითავისებს, ერთგვარ სიმბოლურობას და საკრალურ მნიშველობას მიანიჭებს მათ უამთა მსვლელობაში.. ასეთ ადგილზე დროდადრო დაბრუნება უფრო გრძლად-წერილ ამბებს გახვედრებს და გაკითხებს, გამცნობს, მათ მდინარებაში და თავისებურებებში გარკვევს და მის ხასიათშიც გახედებს შიგნით – ხელისგულივით გიშლის თვალწინ მიწყივ წარმოქმნადი ცხოვრების ტექსტის ერთ ამონარიდს, ამ ქუჩა-ადგილის კვალზე და ალაგზე...

აქ ბევრი მთხოვნელია და ამბვის მომტანი, ცნობის მომცემი და მაუნიშველი, მიმნიშნებელი და თვალის ამხელი, გზების გამკვლევი და ეს ყველაფერი მხოლოდ ირიბად, არაპირდაპირ, ნაკვეს-ნაკვეს და მტკავე-მტკაველ, ულუფა-ულუფად, მხოლოდ ნანილ-ნანილ!.. პირველ ცნობას უკვე იქ შეკრებილთა სიმრავლე და მათი შეკრება-ძრაობა გაძლევს: ბევრნი არიან თუ მეჩერად დგანან, უფრო, თითო-ოროლა ერთად; ერთეულებად დადიან, წყვილებად, დიდ-პატარა ჯგუფებად; ოჯახები, ახლობლები, ნათესავები თუ ნაცნობები უბრალოდ; დიდ დროს დაჰყოფენ თუ მსწრაფლ ჩაივლიან, ვალს მოიხდიან, ვინძლო; შემთხვევით ხვდებიან ერთმანეთს თუ ეს დათქმულია, შეთანხმებულია წინგზით; ვინ საიდან მოდის, საით გაუნევს, რისთვის... მერე სხეულის ენა ამეტყველდება და თავის გუდას მოხსნის პირს: ხალისიანად არიან თუ ნირნამხდარი, უნიათოდ მეტად; მშვიდები თუ აფორიაქებულები, თითქოს ადგილის მძებნელები, სადმე; მთელი სხეულით მეტყვენ თუ სახით, მარტო თვალებით; გამართულები, თავანეულები, მოგუდულები, შეკუმშულები; მხეობენ თუ ბორიკობენ; ხმამალი საუბრობენ, ჩურჩულს ამჯობინებენ, კამათობენ, ერთ ხმაზე ეწყობიან; სახეგახსნილები და თვალლიები, მოკუმშულები, ჩათხრობილები, ერთ წერტილს მიშეშებულები; სხვებთან შეხვედრას მიესწრავიან თუ საკუთარ თავში ჩაგუბებულან; თავს დაუკრავენ, ხელს ჩამოარ-

თმევენ მომხდურს, ერთმანეთს მიეგებებიან, მცირედ შეყოვნდებიან ოდენ, შორი-დან მოიკითხავენ, იქვე ჩამოჯდებიან, დაემშვიდობებიან ერთურთს... თანდათან ურთიერთობების ქარგაც დაისახება, სხვა კვანძებიც რომ გაიხსნას ხალხის იქ მისვლის, ხვალაც და შემდეგ: უფროს-უმცროსობა რა წონისაა, რა მნიშვნელობის, ასაკითაა თუ მდგომარეობით, მონიზება-პატივისცემას თხოულობს, დაქვემ-დებარებას თუ მორჩილებას, მბრძანებლურ მითითებებს იყენებს თუ ნიშნების ენას, კულტურის კოდს თუ დროების სიტყვებს; საქმიანობა ოჯახურ-ნათესაურია თუ თანამშრომლობითი, პატრონ-ყმური დამოკიდებულებებით თუ მონაწილეთა როლებრივი განანილებით; ჯგუფის „უფროსის“ (ბოსი) ირგვლივ იკრიბებიან თუ „წინამძღოლს“ მიყვებიან; ხელმძღვანელი ყოველთვის ცენტრალური ფიგურაა თუ ვითარების და საჭიროებისდა მიხედვით, სხვებთან შეხვედრისას ის წარმართავს მთელ მოქმედებას თუ ყველას თავისი ადგილი აქვს მასში, რიგითი წევრები ჩარ-თული არიან თუ განაპირად დგებიან, მონმედ, თადარიგში; ერთი ასაკის წარ-მომადგენლების (ბავშვები, ახალგაზრდები, შუახინისანი, ჭარმაგები, ასაკოვანნი, ქალები, ვაჟები) ურთიერთობები, მათი გამოხატულებები; სხვადასხვა თაობის ადამიანების შეხვედრა, ურთიერმიმართება, გამოცნაურება და საუბარი; შერეუ-ლი გუნდები; ჩვეულებრივი დღეები, დასვენების დღეები, უქმები, ღონისძიებები; ველზე შემოსვლა, ასპარეზზე, გასვლა, მობრუნება...

ასევე იხსნება ყველაფრის თანმდევი ცვლილება დროის, ფერიცვალობა ცხოვრების, თვითონ ამ ქუჩის, თვით ამ ადგილის, ალაგის წონის, მისი გადასხვა-ფერება დროთაგანმავლობაში და მდინარებაში, ხან დუნედ რომ მიემართება, ხან კი თქარუნით მიაგელვებს, რომ მეტი ჩატიოს ბოძებულ ნაკვეთში, მის შუალედში და გზაკვალეთში, ხანგრძლივობაში: განვრცობა-გაფართოება თუ მოგუდვა არ-სებულ საზღვრებში (ვინძლო, დამცრობაც); ახალი შენობები, ნაგებობები, ობიექ-ტები (სხვადასხვა დანიშნულების და მიმართების და ზომაწონის), მათი გამრავ-ლება, გაბევრება თუ ძევლის განახლება, ანაც პირიქით – ხასის მოკიდება უკვე არსებულზე, უპატრონობის დატყობა, მოუვლელობა, მიგდებულობა; ფუნქციების გამრავალფეროვნება თუ დავიწროება, განსაკუთრებულობის გაფერმურთალება და გამეტება ახლის სანაცვლოდ თუ გადარჩენა, მათი შეხამება; იერსახის შეცვლა გზად – დახვეწა-განვითარება თუ გამარტივება, ზედაპირული ეფექტები, იქნება საკუთარი სახის დაკარგვაც.. და ასე შემდეგ, და ამდაგვარად, თავისუფლების ხა-რისხის და ზომის და საშუალებების შესაბამისად და მათი რიგით...

ბაქოში არის ესეთი ადგილი – მისი ხეივანი, კასპიის ზღვისპირს რომ მიყვე-ბა ქალაქის შუაგულში, მის ორივე მხარეს გაშლილი და გაშვებული კიდეებამდე. სწორედ ხეივნის სიახლოვესაა, მის ოდნავ ზემოთ დაყუდებული პრეზიდენტის სასახლე, მის პირდაპირ იხსნება „ძველი ქალაქიც“ და მის წინვე დგას არქაული მოჩვენებასავით გადმომდგარი მთავრობის სახლი!. ანუ: ეს ქალაქის ცენტრია, მისი გული, პირდაპირ რომ ებჯინება კასპიის ზღვას, მის ყურეს აბშერონის ნა-ხევარკუნძულის გამოყვანილ შორისში, უბეში. ალბათ აქედან დაიწყო ბაქოს გა-შენება-განვითარება და მხრების გაშლაც (პირველ ხანებში აქ შემოსული ყოველი

გემი ვალდებული იყო რამდენიმე ხე ჩამოეტანა ქალაქისთვის, ადგილი რომ მიეღო მის ნავსადგომზე) და აქვე ჩამოყალიბდა ეს ჩვევა და წესი, ნორმად ქცეული თანდათნობით, რომ ყოველმა ბაქოელმა თუ იქ ჩასულმა აზერბაიჯანელმა დღეში ერთხელ მაინც უნდა მოინახულოს ხეივანი, ჩაიაროს მასზე, თვალი მოავლოს იქაურობას, დაენახოს ხალხს და გამოეცნაუროს ნაცნობებს, მოიკითხოს მათი და ქვეყნის ამბები და ამცნოს თავისიც.. დროთაგანმავლობაში რიტუალური ხასიათი მიიღო ამ ქმედებამ აქაურებისთვის, რის შედეგადაც ქვეყნისთვის ძნელბედობის უამსაც კი ხეივანზე შედარებითი ხალხმრავლობა და მრავალხმიანობაა (თუნდაც მოგუდული), რომელსაც ბუნებრივად უერთდებიან და ეთვისებიან აზერბაიჯანში ჩასული თუ იქ მომუშავე უცხოელებიც.

90-იანების მეორე ნახევარში ნალვლისფერი დაკრავდა მთელ ქალაქს, მის არემარეს, მის მიდამოებს და ეს უნინარესად ხეივანს ეტყობოდა, ყველაზე მეტად, იქ იწყებოდა, იქ გუბდებოდა ყოველი: ცა თითქოს სულ ნაცრისფერი, სულ უფერული, მზიან დღესაც კი რაღაცნაირად დამძიმებული; ჰაერი მიწივ სველი და დანისლული, უკვალო და უსინათლო; ზღვაც უფრო მუქი ჩანდა, ვიდრე ეს ჩაღვრილი ნავთობის ლაქებს და ზოლებს ეფარდებოდა; ნაპირი სავსე ზღვით მოტანილი თუ ხალხის მიერ დატოვებული საგნებით, ნივთებით, ნაგვით.. უფრო თითო-თითოდ დადიოდნენ ხეივანში, თავის ფიქრებში გახვეულები; ნაკლებად შეხვდებოდი იქ ორ-სამ კაცს ერთად და მხოლოდ კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდა შედარებით დიდ ჯგუფებად თავშეყრილი ხალხი.. ძნელად ნახავდი მხიარულ სახეებს, უფრო ფიქრიანები იყვნენ, სევდიანები, როგორდაც ანურულები, მხრებში ჩარგული თავებით, გაყუჩებულები; მხოლოდ თავის აწევით ესალმებოდნენ ერთმანეთს, ეცნაურებოდნენ, სახის მსწრაფლი გახსნით, ფართედ გახელილი თვალებით და აწეული წარბებით, შეუჩერებლად, უსაგნო მიკითხვა-მოკითხვით და ფუყე სიტყვების გაცვლა-გამოცვლით რომ არ გაებუუებინათ ერთმანეთი საკუთარ თავში ჩალუებულებს და ჩაკუმებულებს, ჩაგუბებულებს..

ჩუმად საუბრობდნენ, ჩვეულებრივ, თითქმის ჩურჩულით, მარტოდენ სახით, ხელების მიშველების გარეშე, ფეხს თუ მოიცვლიდნენ დროდადრო, ხოლმე; ხეივანს ჩაიგლიდნენ, წრეს დაარტყამდნენ და მოყუჩდებოდნენ სადმე, იქავე, ან ჩახანაში შევიდოდნენ, აქა-იქ რომ მოქმედებდა კიდევ.. განელილად სვამდნენ პატარა ჩაიდანებით მიტანილ ცხელ ჩაის, მოზომილად აყოლებდნენ ნატეს შაქარს, მას მიყოლებულ მცირედ ტყბილეულს (ზოგი მათგანი); კინ კილად გადაუგდებდნენ ერთმანეთს სიტყვებს, თვალს მოაცვლებდნენ იქაურობას, ააყოლებდნენ აქეთკენ, იქით, შიგნით თუ გარეთ, ესე, ერთნაირად, აუჩქარებლად და გამოწვლილვით, თითქოს ნიშანს ელიანო საიდანმე რასმე, რომ აშლილიყვნენ და დაძრულიყვნენ, ხნულში ჩამდგარიყვნენ და გზას გაყოლოდნენ რეცა გამოჩენილს თუ წარმოსახულს!. რაღაც დროის შემდეგ დგებოდნენ და მიდიოდნენ, სხვაგან, მათ კი სხვები ენაცვლებოდნენ, ისევე მოსულები, მოქუჩულები; და ასე მთელი დღე – ხან ნახევრად ცარიელი იყო ჩაიხანა, ხან გადავსებული პირთამდე (აქ არ აჩქარებდა არავინ მეორეს)...

გარეთ კი ისევ ის ხეივანი იდგა, სევდიანი და ულიმლამო, ალაგ-ალაგ ჩამოშლილი ღობე-კედლებით, დაღონებული ხეებით, დაფლეთილი სავალი ბილიკე-

ბით და გზებით, ძველი შადრევნებით, უმისამართოდ რომ აფრქვევდნენ წყლის ჭავლებს ირგვლივ, ხეივნის მომვლელებით, კვლავაც რომ ასუფთავებდნენ და აწესრიგებდნენ ხეივანს, თუმც ბევრს ვერა ცვლიდნენ, ბევრს ვერ მატებდნენ მის ნირს და იერს, ვერას შველიდნენ მასში დაგროვილ მოშვებულობას და მორ-ლევეულობას.. მხოლოდ ზღვაში შექრილ პატარა ნავსადგომთან, ხალხის მოსასვე-ნებლად და სახალისოდ და წყლის სხეულთან მიახლოებისთვის რომ იყო აგებული, არ ნელდებოდა ზღვიდან ამოსული შადრევნი, სულ ზევით და ზევით რომ მიჰქონდა ამოვარდნილი წყლის მძლავრი ჭავლი და მოწყვეტით ახეთქებდა უკან ზედაპირზე, თითქოს იძახისო დაჟინებით და დაჩემებით, გაუჩერებლად, რომ სი-ცოცხლე იქ კიდევ ბუდობს და იგი კვლავაც აღმოვლინდება და ამოხეთქავს, დღო რომ მოუხმობს სანდო!. და ხალხიც მაინც მიდიოდა ხეივანში, დღენიადაგ, ყოველ ცისმარეს, მაინც ასრულებდა ამ რიტუალურ ქმედებას, რიტუალურ სვლას, მიუხედავად გუნება-განწყობისა და დღის სიმართისა, მაინც მიაგებდა პატივს ცხოვრებას, ქალაქეს, მომავალს (უცნოს).. აივლიდნენ, ჩაივლიდნენ და მერე შეერეოდნენ ქალაქის ხმაურს – ყველა ცალცალკე, ყველა თავისას, თავისი გზებით, თავისი ხდომილებებით, თავისი სვე-ბედით: თავისი გზებით...

რაღაც ცვლილებები, ერთგვარი ნიშნები, რომ დრო შემობრუნებას იწყებდა, მიმართულებას იცვლიდა, 90-იანების ბოლოს შეეტყო ხეივანს. ამას სიმპტომური ხასიათი ჰქონდა მხოლოდ და ცალკეულ გამოვლინებებში თუ წაკითხებოდა. მათ შორის იყო ერთი-ორი კონცერტი ღია ცის ქვეშ, ზღვის შადრევანის მიმდებარე მოედანზე რომ გამართეს აზერბაიჯანელმა მომღერლებმა, შემსრულებლებმა.. ეს ეროვნული ჟღერადობის კონცერტები იყო, რომლებშიც ნაღვლიანი მოტივები ჭარბობდა, მაგრამ ომახიანი ხმებიც ერეოდა ხოლმე დროდადრო, რიგში. აუდიტორია ცვალებადი იყო, ირეოდა (შემადგენლობითაც და რაოდენობრივა-დაც), რამდენადაც ხეივანში მოსული ხალხი ერთთავად მოძრაობდა, გადადიოდა ადგილიდან ადგილზე და ერთნი თუ შემოდიოდნენ მოედანზე და უერთდებოდნენ მსმენელებს, კონცერტს, სხვები ტოვებდნენ მას, სვლას აგრძელებდნენ, თანაც მუსიკის და სიმღერის ხმები მოედნის ორივე მხარეს გრძელდებოდა და მოშორე-ბითაც ისმინებოდა ხეივანში.

ეს არ იყო რაიმეს აღმნიშვნელი, სპეციალურად მოწყობილი ღონისძიებები, უბრალოდ ღია კონცერტები გაიმართა, ღია ცის ქვეშ, ხეივანში; ვისაც უნდოდა დაესწრებოდა მათ, ვისაც უნდოდა არა; ხალხს არავინ ეპატიუებოდა განსაკუთრებულად და არ პირდებოდა რაიმე გამორჩეულს, განსხვავებულს, უბრალოდ ხეივანში მისულებს შეეძლოთ ამ კონცერტებსაც სწვეოდნენ და რაღაც დღო და-ეყოთ იქ – დასწრება თავისუფალი იყო.. ამ ღონისძიებების თავისებურება და განსაკუთრებულობაც ეს „ჩვეულებრივობა“ იყო სწორედ, ის, რომ ცხოვრება ჩვეულებრივი ამბების და ხდომილებების ყალიბში დგებოდა, ვინძლო, და ქვეყანაში ბევრი რამ უბრალოდ ისეც შეიძლება ხდებოდეს უკვე!.

ხელშესახები ცვლილებები 2005-06 წლებში დაიწყო ხეივანში, ახალი ათასწლეულის პირველი ათწლეულის შუა კვალებში... გარემოს გადასხვაფერება ახალი

საუკუნის პირველ წლებშიც შეიმჩნეოდა, მაგრამ ის ნელი სვლით მიდიოდა, თანდათანობით იკრიბებოდა, იკრებდა ძალას – ნაბიჯ-ნაბიჯ მუღავნდებოდა. მერე კი უცებ აფეთქდა, სხვა ჟამთა სვლაზე გადავიდა თითქოს, სხვა სიჩქარეზე გადაერთო და ისე აასწრაფა მოვლენები, თვალს ვერ მოასწრებდი, ვერ მიადევნებდი!. საჩინო გახდა უცებ, რომ სხვა ცხოვრება დამდგარიყო უკვე...

უნინარესად ხეივანში შეკრებილ საზოგადოებას დაეტყო ეს: თანდათან მატულობდა ჯგუფებად კრებილთა რიცხვი, მათი გნიასი და ხმიანობა; ნაკლებ შეხვდებოდი მარტოკად მოსულ კაცს, ეულად მოსიარულეს, თუმც ზოგიერთი სწორედ ხეივანში ხვდებოდა ერთურთს, იქ ნახულობდა ერთმანეთს; გამოჩნდნენ ოჯახები და იმატა ბავშვების ურიამულმა, ახალგაზრდების ხალისობამ და ხმაურობამ; სხვადასხვა თაობის, მდგომარეობის, საქმიანობის და მიზანმიმართების ხალხი ტრიალებდა აქ, ამ ახალ დროში, გარნა ერთი გუნდება-განწყობა და იერსახე მოჰქონდათ თან და ერთ გზავნილს აწვდიდნენ ერთმანეთს, ერთ შეტყობინებას ახვედრებდნენ ერთურთს, რომ ვითარება უკეთესობისკენ იხრება, დღევანდელი დღე სჯობს გუშინდელს და ცხოვრებაც სულ უფრო ცოცხლდება და ძალას იკრებს... ეს პირდაპირ იმზირებოდა ხეივანში მოსულ ადამიანებში, მათი სხეულის ენაში: როგორც ყვავილის ღერო, რომ ამოსკვდება ფესვიდან, გაიჭიმება ნაპირებამდე და მერე ფურცლებსაც გაშლის თავისი ბუტკოდან, ისე იმართებოდნენ ადამიანები წელში, თანდათან შლიდნენ მხრებს და სსნიდნენ გულში ჩათხრობილ სახეებს, შუბლს.. ისინი სულ უფრო მეტი ხალისით ამჩნევდნენ ერთმანეთს, მოიკითხავდნენ გახსნილად, დაუნანებლად, გაუზიარებდნენ თავისას, იკითხავდნენ მათსას, შეეხებოდნენ იქაურს, აქაურს, საქმისას, ცხოვრებისას და განაგრძობდნენ სვლას; სადღაც მეტად შეყოვნდებოდნენ, სადღაც ნაკლებად, თამამად აჩენდნენ თავისთავს და ღებულობდნენ სხვებს; და ეს თანაბრად ეხებოდა უფრო წინწასულს, ნაკლებად წარმატებულს, ეხლახან გზაზე დამდგარს, რამეთუ ყველანი ისინი ერთნაირად იყვნენ გამოსული თავისი წინარე მდგომარეობიდან, ერთნაირად იყვნენ გაცილებული მას...

მაგრამ ყველაზე ხელშესახები თვითონ ხეივნის თანდათანობითი გადასხვა-ფერება იყო, სახეცვლილება, მისი აღდგენა და ფეხზე დადგომა, გაშლა და წელში გამართვა, გასაჩინოება, დაჯერებული და დაჩემებული, დაიმედებული – სიცოცხლეს მოწყურებული გული რომ დაენაფება ცხოვრების ჭავლებს, აღტყინებული და გაშვებული!.. ჯერ ხეივნის მორლეული ღობე-კედლების და დაფლეთილი გზა-ბილიკების შეკეთება და გამთელება დაიწყო, საკუთარი სახის დაბრუნება მათთვის; ეს მალევე გადაიზარდა ხეივნის საზღვრების და ზღუდეების სრულ გარდაქმაში და განახლებაში, მისი სამანების გამოკეთაში და გამოჩენაში!.. მერე მის მცენარეულ საფარისაც დაეტყო ფერი და ხმოვანება, ემხის შემატება: ხასხასა ბალახის მოლები, ათასნაირი ბუჩქები და ბუჩქნარები, ყვავილოვანი კუნძულ-ფარდაგები; ზეანვართული მარტოხეები თუ მათი შეჯგუფული ციცქნა კორომები, ხეების უცნაურად დაგრეხილი და დაკორძილი ღეროებით თუ განტოტილი და ერთმანეთში გადახლართულ-გადანასკვული ბორჯლალებით; დედამიწის სხვადასხვა მხარიდან გადმოტანილი და ხეივანში დარგული ზეთისხილის ხეები, მრავალგვარი პალმები,

ყველა შესაძლო სახეობის კაქტუსები; მარადმწავანე თუ წელინადის დროებს მიქ-ცეული ფოთლოვანი და წიწვოვანი ხე-ბუჩქები; და ირგვლივ სიმწვანე, სიმწვანე, სიმწვანე – მსუყე თუ ფრთილი, სხვა ფერებ შერეული, აღაულაუებული, მერთალი სითეთრემდე, სინათლით ავსილი, მუქი სილურჯემდე, ვერცხლისფერ შეპარებული, თხელ რუხში გადასული... ამას მთავარი შადრევნების განახლება და ახმოვანება მოყვა, მათი ჭავლების გაფერადოვნებით და მიყოლილი ჰანგების გაბნევით; მერე სოკოებივით წამოიმართნენ, წამოიზარდნენ და გაშალნენ რესტორან-კაფეები, ჩაიხანები, ჯიხურები და ატრაქციონები, უშველებელი სავაჭრო ცენტრი და კიდევ ვინ უწყის რა და ვინ უწყის რა არა...

და აივსო ხეივანი იქაურებით, აქაურებით, საიდან არ მოსულებით, სხვადასხვა ხალხით და გადაიქცა იგი ერთ დიდ სალალობოდ, შეხვედრების, გართობის, ხალხობის ადგილად – ერთ სალხინობლად ადამიანების!.. გარნა სადღაც გაქრა, გადაიკარგა, გაუჩინარდა თუ მიჩუმათდა მისი „არაჩვეულებრივობა“, საიმედობა, სანდომიანობა ყველა დროს და ყველა უამს, ხეივანში მისვლის რიტუალურობა და მასთან შეხვედრის მოლოდინი და მღელვარება, ამ ალაგის საკრალურობა და დროსგაცდენილობა – მისი ნიშატი.. იქ „პრანა“ დაიკარგა, იტყოდა ინდოელი...

ამასობაში ახალი ხეივნის მშენებლობა-გამართვაც დაიწყო, არსებულის გაგრძელებაზე, რომელსაც „ახალი ხეივანი“ დაერქვა კიდეც, როგორც ნიშანსვეტი ახალი ცხოვრების დადგომის და გაღვივების, ხარკად რომ წაიღო წინარე გზნება და სასოება, წინარე უინი – აქ სხვა დრო ჩადგა მეურვედ სივრცის...

– საოცარია, პალიკო, უცნაურიც, რა ბევრი შეიძლება გაიგოს კაცმა დრო-დადრო თუ დაუბრუნდა საჩინო ადგილს და თვალი მიადევნა მის მდინარებას, მის ყოფაქცევას, მის გაშლას დროში!. აქ მასთან შეხვედრის სიხშირეს და ხასიათსაც აქვს მნიშვნელობა, რადგან უამთასვლის კვალად დროის ნიშნებიც იშლება გზაზე და თუ ნაბიჯი აგერია და დიდხანს ვერ ეწვიე მონიშნულ ადგილს, ვერ მიუბრუნდი, ნინ შემოგხვდება ამხდარი ანმყო და მისი სინამდვილე, მისი განვენა, რომელ-საც არცა რად უღირს და ენალვლება გარდასული უამი და მისი კვალი...

– ერთ ესეთ ადგილად ბაქოს ხეივანი შეიქმნა, პალიკო, ჩემთვის.. სამ-ოთხ თვეში ერთხელ მიწევდა მასთან შეხვედრა 90-იანებიდან მოყოლებული, წლები და წლები, და ხეივანიც უშურველად და დაუნანებლად მიშლიდა წინ ცხოვრების ტექსტებს, ამბებს, სურათებს: მისი; ქალაქის; ქვეყნის; დრო-უამის.. ბევრ რამეს სანიშნოს იქ ისედაც იგებდი, პალიკო, უნებურად, თავისთვად, პირდაპირი შეხებით, უშუალოდ – უბრალოდ იმით რომ იქ იყავი, მის სიგრძე-სიგანეს რომ ზომავდი ისევ და ისევ, რომ ხედავდი მომხდურს და გამლვლელს, მთელ არემარეს...

– ჰო, იქ თოლიების სიმრავლე იყო, პალიკო, თვალშისაცემი ყოველთვის. ისინი უნებურად იქცევდნენ ყურადღებას, თავისი სითეთრით, ჰაერში ნავარდით, ტალღებზე ნარნარით და ყურყუმალაობით – თითქოსდა დრო-უამს გაცდენილები ყოვლად, სრულად ნებიერნი, თვალს რომ ითრევენ შეთხზულ სავანეში!. სინამდვილე კი ცოტათი სხვანაირი აღმოჩნდა, პალიკო, ახლო მისვლისას და დაკვირ-

ვებისას, თუმც არანაკლებ სანიშნო და საგულისხმო, ვიდრე წარმოსახვა თვალის შევლებით მოსული...

– თოლიები წყლის პირთან იყვნენ, ჩვეულებრივ, შეჯგუფულები გუნდებად, ხეივნის ლობე-კედლებზე შემომსხდარნი როგორც ქანდარებზე, საიდანაც აევლებოდნენ ხოლმე ისინი ზემოთ და სადაც ბრუნდებოდნენ, პალიკო, რაღაც დროის შემდეგ უკან: ხან აფრინდებოდნენ აჩქარებით, გაშეშდებოდნენ წვეროზე წამით და შურდულივით ჩაეშვებოდნენ იქავე ზღვაში; ხან შეყოვნდებოდნენ ერთხანს ჰაერში, კამარას შეკრავდნენ ერთს, მეორეს და ბრუნდებოდნენ უკან ქანდარაზე; ხან წყლის ზედაპირზე დაეშვებოდნენ ქანაობა-ქანაობით და ჩაყურყუმალავდებოდნენ ხან აქ და ხან იქ; ხანაც მისდევდნენ ერთმანეთს თავგამოდებით და გამეტებით, აღძრულნი ჟინით...

– ძირითადი დრო მაინც თევზებზე წადირობას მიჰქონდა, პალიკო. აქ უფრო ლიფსიტები ჩანდნენ, პატარა თევზები, რომლებიც ასევე გუნდებად დაცურავდნენ, წაპირთან ახლოს, თითქოს დიდ ბუშტებად შეკრულები, ფორმას რომ იცვლის მოძრაობისას, გადაადგილებასთან ერთად... როგორც ჩანს, თევზები ყურეში სწორედ ხეივნის წაპირთან ყრიდნენ ქვირითს, საიდანაც მოღიოდა ლიფსიტების და პატარა თევზების ასეთი სიმრავლე (მიუხედავად წავთობით გაზეთილი წყლის ზედაპირისა) და თოლიებიც გამალებით დასდევდნენ მათ სანაპირო ზოლის გასწვრივ აქეთ და იქით.. აქ ყველა თავისითვის ირჯებოდა, თავისითვის იღწვოდა, პალიკო, თავისას ეძიებდა საზრდოს, სანოვაგეს, მაგრამ ეს (რაღაც მანქანებით) არ გადაიზრდებოდა ფრინველების ერთმანეთში აღრევაში და შეხლა-შემოხლაში!. წარმოიდგინე ათობით თოლია, პალიკო, მონადირე სულ მცირე არეში, ერთმანეთის მიყოლებით, გვერდიგვერდ რომ მიქრიან ქვემოთ შურდულებივით, უკან-მოუხედავად და ერთხელაც არ გაკრავენ ერთმანეთს ფრთებს ჰაერში, არ დაეჯახებიან წყლის ზედაპირზე, სრულად კონცენტრირებულები და გამიზნულები, უზუსტესად ფოკუსირებულები თავის წილ თევზზე!. მონუსხულივით უყურებდი წუთისოფლის ამ განწესებას და უნებურად გახსენდებოდა ვაჟას სიტყვები, „დი-დება ქვეყნის შემოქმედს, რა კარგად მოუგონია“...

– დროდადრო ორი-სამი ყვავიც გამოჩნდებოდა ხოლმე, პალიკო, ამ მიდამოში, გამორჩეული თავისი შავ-ნაცრისფერი შეფერილობით და მედიდური იერით, ხან აუჩქარებლად რომ მიბაჯბაჯებდნენ და ხან კი ფრთების მძიმე ქნევით რომ ჩაიფრენდნენ იქაურობას. ისინი არ ერეოდნენ თოლიების შეუილს, მათ გაუთავებელ ბზრიალს, გარნა იქვე რჩებოდნენ დაყუდებული, თითქოს სხვა რამების მაყურებელნი. ჩაივლიდნენ, ჩამოივლიდნენ, ჩაიფრენ-ჩამოიფრენდნენ მიგარდო, ირგვლივ, იმავე ლობე-კედლებზე შემოსხდებოდნენ, ახლომახლო ხეების ტოტებზე, თან იმზირებოდნენ სადღაც სულ სხვაგან, სულ სხვა მხარეში, ხაზგასმით, გამოკვეთილად და ამ ყველაფრით ერთთავ აღნიშნავდნენ, ხაზს უსვამდნენ, ირიბად, მინიშნებით, რომ ეს არე მათაც ეკუთვნოდათ, რომ იგი მათი სამკვიდროც იყო, მათი საუფლო და ხეივნის მთავარი ბინადარნიც ისინი იყვნენ, ვინდლო!. თოლიები უყურადლებოდ ტოვებდნენ მათ გამოჩენას, მათ ამ ძრაობებს, ყვავების გვერდი-გვერდ ყოფნას, თავისას აგრძელებდნენ გაუნელებელ გნიასს და ტრიალს ირგვლივ, რეცა გეუბნებიანო, რომ ეს მეზობლობა უბრალოდ მოცემულობაა

ცხოვრების, რომელიც უნდა მიიღონ და შეიგუონ, რამეთუ ესეთია საწუთოს წესი...

– სრული ცხოვრება ჰქონდათ თოლიებს, პალიკო, სავსე ნიადაგ შრომით, ლწვით, გარჯით, უშუალო ქმედებებით და მიმართებებით – საკუთარი როლის და ფუნქციის უცილო შესრულებით!. აյ არსად იყო, მხოლოდ, ადგილი ნებივრობისთვის, ნამცეციც არ იყო ნებიერობის ან უქმად ყოფნის, მოცალეობის, აյ ყველაფერს პირდაპირი დაზიშნულება ჰქონდა, ზუსტი მისამართი – დღეცისმარეზე ზრუნვა უწყვეტი; მოცდა არ იყო რაიმე სხვისთვის, რაიმე განყენებულისთვის... ესე გამოდის, პალიკო, რომ მოცალეობა ადამიანის ხვედრია უფრო, მისი ცხოვრების ნაკვეთი, მისთვის შეთზული და გამოყვანილი, მისთვის გაჩენილი და განსაზღვრული წუთისოფელში.. და ვინძლო ადამიანური შემოქმედებაც, დაუღვებელი წყურვილი საზღვრებს გაცდენის, ზენარის წვდენის და მიმართების (ხან ცნობიერი და ხან უცნობო, თავისთავადი) აქედანავე არის მოსული, აქედან მოდის...

– ჰო, პალიკო, უცნაურ ამბებს გიმხელს და გიყვება საჩინო ადგილი, რომ ჩაუჯდები საგულდაგულოდ, ჩაუქუჩიდები, უცნაურ რამეებს გიჩვენებს და გაგებინებს, საკინძეს როცა შეიხსნის გულისპირზე და შიგ ჩაგახედებს, ჩაგაყურყუმალავებს, გაყუჩებულს და გაბუჟებულს, რომ გაუყვები მის ალმართს და დალმართს, აწმყოს და წარსულს, მის გაღმას, გამოღმას!. ესეთი იყო ბაქოს ხეივანიც.. კილომეტრებზე იყო ის გაჭიმული და რას არ გაარჩევდი მის მიდამოებში, ხეივანს როცა დაუყვებოდ ერთი ბოლოდან მეორემდე და მერე პირიქით, დარში თუ მღვრიე ამინდში, წვიმაში თუ მცხუნვარე მზეში, უქმეში თუ საღამოს ბინდში წინ შემოგხვდებოდა სულ სხვადასხვა და სხვადასხვანაირი კასპიის ზღვის ყურე: შორით მოხაზული, აქეთ-იქით ამონვეტილი ნავთობის კოშკურები; ყურეში შემოსასვლელი კარები გემებისთვის; ნავსადგომები და ნავსადგურები; ნაპირს მობჯენილი ქალაქის გრეხილი და თვითონ გემები, აქეთკენ, იქით, შორით... მაგრამ ერთი ნაკვესი მაინც გამორჩეული იყო ამ სიმრავლეში, თვალშისაცემი.

– ზღვის ღელვა არ მინახავს, პალიკო, ყურეში მთელი ამ დროის განმავლობაში, ტალღების ამოზიდვა წყლიდან, მათი დახეთქება ნაპირზე და დაგორგლება წყლის ზედაპირზე, მათი განელება და თქარათქური, თუმც ერთიბენო სიოც კმაროდა ხოლმე მთელი წყლის ზედაპირი რომ აზრიალებულიყო, აქოთქოთებულიყო და პანაზინა კორძების ნამცვრევს მოეცვა ყურე მთლიანად, ხან აქეთ რომ მისრიალებდნენ და ხან კიდევ იქით, თითქო მსტოვრებიაო გაშვებული, ყველა მხარეს რომ მიიჩქარიან ხმის მისაწვდენად და საუწყებლად, „სიო უბერავსო“ და ვინძლო მას ნიავიც მოყვესო ქარის მორბედი!.. ეს ალბათ იმიტომ ხდება, რომ ზღვა ღრმა არ არის ყურეში, მოგუდულია შემოკავებულ არეში და ვერ იხსნება პორიზონტისკენ, ვერ იშლება ღია სივრცეში, ღათუ სულ მზად არის რომ აიშალოს და აიქოჩიოს, რომ ახმიანდეს, ქარმა თუ დაუბერა უინით... და მართლაც, ოდნავი ქარის დაბერვაც კმაროდა, პალიკო, რომ ანრიალებულიყო წყლის ზედაპირი, პატარა ტალღებად ექცია წყლის მცვრივი კორძები, ქაფმორეულები

რომ ჩაუდგებოდნენ ერთმანეთს კვალში, სულ ახლო-ახლო, მიჯრით, მიყოლებით რომ გაყვებოდნენ ქარის მოძახილს და გამალებით გაეკიდებოდნენ ერთმანეთს, კვალკვალ, ნაპირს რომ მიესწოროთ პირველთ – მეომრებივით, მიწყივ რომ მზად ჰყავთ შეკაზმული ბედაურები, იქავე, გვერდით, მოუთმენელები, აწყვეტილები! და მთელი ყურე აქაფეაფდებოდა მაშინვე მათი ფრთხიალით, ქარს რომ მიჰქონდა სადღაც კიდისკენ...

– აქ კასპიისპირა ხალხის ხასიათი იხსნდებოდა, პალიკო, ხილულად, თვისად, თავისით.. მათი მზაობა და სიმსუბუქე ნებისმიერ დროს აშლილიყვნენ და აკრე-ფილიყვნენ დედანულიანად და გადასულიყვნენ სადმე სხვა მხარეს, სხვა ქვეყანა-ში, სხვა მიწა-წყალზე, თუ ნიშანი იქნებოდა საცნო მიცემული და გეზი გარკვეული!. სად არ მივიდნენ ამ აღტყინებით, ამ ასწრაფებით, ამ მიმართებით, სად არ გაშალეს თავისი კარვები და სად არ დაიდეს ბინა... და არაჩვეულებრივია, მარ-თლაც, პალიკო, რა წვრილად გადმოსცემდა ყველა ამ ამბავს კასპიის ზღვა აქ, ამ ყურეში, როგორ იფოფრებოდა ის მეყვსეულად მცირე ნიავის დაბერვაზეც და როგორ მიყვებოდა ქარს პატარა ტალღებად აქოჩილი და ასწრაფებული, თავ-დავინყებით: საითაც ქარი განევდა, საითაც ის გაუტევდა, საითაც ის მიმართავდა და გაიტაცებდა ზღვის ამ ზედაპირს! და ეს არა ნაპირზე დასაცემად, დასახეთ-ქებლად, არა მის დასაძეგად და დასაჯეჯგად, არამედ საჩინოდ და განსაცდე-ლად, გასაცხადებლად და გასაგებად, რომ წუთისოფელი ასე მუშაობდა ამ არეში და მის მიგარდმოში საუკუნეები და საუკუნეები...

– საჩინო კიდევ სხვა იყო, პალიკო.. დროდადრო ამ პატარა ტალღების ორი რიგი ჩნდებოდა ხოლმე წყლის ზედაპირზე, ამ ყურეში, სხვადასხვა მხარეს მიმარ-თული და მისწრაფებული, სხვადასხვა მხარეს გამიზნებული!. ალბათ სხვადასხ-ვა მხრიდან მოპერილი ქარით თუ იყვნენ ატაცებული და წაქეზებული, რადგან წყალქვეშა დინება არ შეიმჩნეოდა აქ და ეს ტალღებიც სხვადასხვა მხარეს მიე-მართებოდნენ ხოლმე სხვადასხვა დროს.. და ეს ყველაფერიც წყლის ზედაპირზე ხდებოდა მხოლოდ... ერთხელაც სამი კრება ვნახე ასეთი ტალღების, პალიკო, მათი სამი წყება, სხვადასხვა მხარეს მიმართული და გაკიდებული, რეცა სამი ლაშქარიაო სხვადასხვა მიმართულებით გაშვებული სათარეშოდ ერთდროულად!. შეთედ შევდექი, გაოგნებული და გაოცებული ამის შემყურე.. ხან აქედან მოვუა-რე, ხან იქიდან, ზღვაშიც შევედი, პალიკო, სასეირნო კატარლით, შიგნიდან რომ შემეხედა ყველა ამისთვის და გამერჩია ცრუ და ნამდვილი, მართალი და მტყუ-ანი – და აქაც იგივე დამხვდა, იგივე რაობა: სამი გუნდი აქოჩილი ტალღების, მხედრებივით რომ მიაგელვებდნენ რაშებს თავთავის მხარეს ისე, რომ ვერცა ხე-დავდნენ და არც ეძიებდნენ ერთმანეთს!.. უნებურად ნარმოვიდგინე, ეს რიგები რომ შეერთებულიყვნენ და ამართულიყვნენ ერთიან ტალღად! – გადაქელავდნენ ყველაფერს მომხდურს, ყველა ნიშანსვეტს და ყველა სამანს და ნალეკავდნენ დე-დაბუდიანად, რასაც დაატყდებოდნენ და დაეცემოდნენ თავზე!

– და ამას ჰეგავდა კიდეც, პალიკო, კასპიისპირა ხალხის უცნაური აჭრილობა და ატეხილობა, დაუოკებელი უინი სხვაგან გადასვლის და დამკვიდრების! რომ არ აჩერებდა და არ ასვენებდა მათ საცხოვრისში, სულ ეწეოდა გარეთ და სხვაგ-

ნით და თუ წინამდროლიც გამოუჩნდებოდათ მძღე, ერთიანი, გადადიოდნენ ყველა საზღვარს და ყველა წინაღობას, ყოველგვარ ჯებირს, გავეშებული დაეძგერებოდნენ წინმხდომ სივრცეებს და მათ ბინადრებს და უკვე ვერარა აჩერებდა მათ გახელებას, სანამ არ დაელეოდათ ძლევის ეს უინი და პყრობის ძალა, პყრობის წყურვილი!.. აქ თემურ ლენგის გახსენებაც კმარა, პალიკო, რვაჯერ რომ დალაშერა იგივე საქართველო, ააწიოკა (გარნა ვერ დაიმორჩილა) და მხოლოდ იმიტომ ვერ მოაღწია ჩვენამდე მეცხრედ, რომ სიცოცხლე მოუსწრაფეს აქეთ მომავალს, გზაში...

– ასე მივჩერებოდი ხოლმე ამ ყურეს ხშირად და ვკითხულობდი მისით მოტანილ ამბებს, მის ჩანახატებს, გარდასულს, აწყოს, წვრილად გამერილს და წარმოდგენილს: თანდართული განმარტებებით და სქოლიობებით, მოხაზული ამონარიდებით და ნიშნების ქარგებით.. და ეს გრძელდებოდა წლები და წლები, საჩინო ადგილის დროში განფენა და გავრცელება და მისი ამბების გადმოცემა ნაკვეს-ნაკვესით...

შუა ზაფხულია. ბაქოში ამ დროს ჩვეულად ცხელა, ძალიან. ამას ემატება მაღალი სინესტე და მისით მოტანილი ცხელი სისველე, ჰაერმი რომ ტრიალებს და ყველაფერში ატანს და ვერსად რომ ვერ გაექცევი, ვერ შეეფარები. არც ხეივანია აქ გამოსავალი, მიუხედავად მისი სიმწვანისა და უხვად მოგებული საჩრდილობლებისა, მიუხედავად მისი შადრევნებისა. მაინც მას მიაშურებ, რადგან ბინაშიც არ არის დაცვა ამ ცხელი ნესტისგან. შაბათია; შუადღისკენ; სამუშაო დღეებში მოკრებილი კვლევის მასალა გაქვს გასარჩევი და დასამუშავებელი, პირველჯერადად, მიუხედავად ამინდისა და გარემოებებისა, მდგომარეობისა და ვითარებისა.

ხეების ჩრდილში გაშლილ ჩაიხანაში ზიხარ. მაგიდაზე ქაფქაფა ჩაით სავსე ჩაიდანი დგას, გამოყვანილი ჩაის ჭიქა ლამბაქზე, ლიმონის რამოდენიმე ნაჭერი ჰატარა ლამბაქზე, თეთრი ბლის მურაბა მომცრო სამურაბეში, „ლეპტოპი“ და ჩანაწერებით სავსე დიდი რვეული. დროდადრო გახედავ კასპიის ზღვას, მის თავზე ცხელი ჰაერის ქშინვას (მხოლოდ თვალებით); ჰაერი თითქოს იზნიერება ამ დერეფანში, ზემოდან ჩამოყოლილ გრძელ ტალღაში იზრინება აქაიქ, ძალიან ნელა; საერთოდაც, აქ შენელებულად მიდის ყველაფერი, იწელება. ხეივნის ღობესთან, ზღვის პირთან ქალ-ვაჟი გამოჩნდა; დასდევენ ერთმანეთს, ეზევიან, ელამუნებიან, ეთამაშებიან, ჰიდაპირ მზის გულზე, შუადღის მზის ქვეშ, ამ პაპანებაში და მის ლაპლაპში, უფრორე ჩვევით, ინსტიქტით, ვიდრე აღტყინებით; განელილი მოძრაობები, გრძელი ღიმილი, თვალების ტრიალი – თითქოს შენელებული კადრები გადადის შენ წინ, ერთმანეთს მიყოლებული ზანტად. ეს ხდება გზადაგზა, მუშაობის დროს, ისე, არეს რომ მოავლებ თვალებს. ბოლოს ისევ შინ ბრუნდები, სახლში. სალამოს მეგობრები შემოივლიან და ქალაქებრეტ გახვალ, ახლოს წყლის პირთან, სადაც ზღვის ხმაური მეტად გაირჩევა, მისი რიტმული ქცევა.



ჩამოსული პიანისტის სოლო კონცერტი იყო კონსერვატორიის დიდ დარბაზში, თბილისში. 70-იანების შუა წლებია. ამ დროს „ინტელექტუალობა“ დიდად ფასობს საქართველოში, მეტად მაღალ ღირებულებას და მნიშვნელობას იძენს აქ, მოდაშიც კი არის, როგორც ასეთი, ინტელექტუალობა, თავისთავად: არა მხოლოდ მოღვაწეობის ცალკეულ არებში, ცალკეულ თემებში, საგნებში თუ საკითხებში გარკვეულობა, არამედ საერთო ცივილიზაციური პროცესის მიღევნება და მიყოლა, მისა მაჯისცემის ცნობა რა დარგში და არებიც არ უნდა ყოფილიყო ის!. ეს მნიშვნელოვანნილად განსაზღვრავდა პიროვნების, სუბიექტის სოციალურ სტატუსს, მის მდგომარეობას და სახეობას საზოგადოებაში, მისდამი დამოკიდებულებას...

ინტელექტუალობა „მოწინავეობასთან“ იგივდებოდა იმ დროს, მასთან ტოლდებოდა ერთგვარად, წინ მდგომარეობას ნიშნავდა თითქოს, მას ეფარდებოდა, რაც გამორჩეულს ხდიდა მის მატარებლებს, განსხვავებულს, რაღაც პენს მატებდა მათ ნათქვამს და ნაღვანს, მნიშვნელობით ავსებდა მათ მოქმედებას, თუნდაც სულ უბრალოს, მისაბაძს ხდიდა სხვებისთვის, საშურს, სანიშნოს, მეტადრე ახალგაზრდებისთვის.. ეს საერთო სოციალურ განწყობადაც ჩამოყალიბდა ქვეყანაში – აღმატებული პატივი და ყურადღება ინტელექტუალების მიმართ. ამას პარტიული მუშაკებიც კი უწევდნენ ანგარიშს, ვერ უვლიდნენ გვერდს და უფრო მეტიც, ყველანაირად ცდილობდნენ აღენიშნათ და ეჩვენებინათ თავისი წილნაყარობა ამ ფენომენთან, მასთან შემხებლობა, ახლობლობა მის ხელდასხმულებთან, ამ ძნელად საცნაურ „მოწინავეობასთან“...

ესეთი დრო იყო. საერთო ინტერესი ინტელექტუალური მოღვაწეობის და მისი ნაყოფის მიმართ: მისი გამოვლინებების და მიმდინარე მოვლენების, მათი განვითარების და სიახლეების მიმართ, ამ სივრცეში მოქმედი პიროვნებების, მათი ჯგუფების, ინსტიტუტების, მათი ნაღვანის და მიღწევების მიმართ. აქ საერთო ინტერესი ჭარბობდა უფრო, გათვითცნობიერების, შესაბამის მოვლენათა განვითარების კურსში ყოფნის, ინტელექტუალური თემების მცნობელობის თვალსაზრისით: უბრალოდ საზოგადოებას უწდოდა გარკვეული წარმოდგენა პერსონადა ამ

ველში მიმდინარე პროცესებზე, წილნაყარი ყოფილიყო მათთან, „განვითარებასთან“... ეს ეხებოდა ინტელექტუალური მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროს, სხვადასხვა არეს, სხვადასხვა დარგს, მის სხვადასხვა მიმართულებას (უკვე არსებულს თუ ეხლა განვითარებადს): მეცნიერებაში, ტექნოლოგიებში, კულტურაში, ხელოვნებაში, ფილოსოფიაში, ლიტერატურაში, სოფლებიდან, მუსიკაში, რელიგიაში, ეზოთერიკაში თუ კიდევ სხვაგან... კლასიკურ მუსიკას თავისი ადგილი ეკავა ამ წყობილებაში, გამოკვეთილი.. მეტადრე იმით, რომ ესე იოლად ვერ მიუდგებოდი მის ავანჩავანს, ვერ აივლიდი მის კიდეგანეს, ვერ აუყვებოდი მის სანახებს და ვერ გაისიგრძეგანებდი და გაითავისებდი მის ხმოვან ენას!. ამას გარკვეული მომზადება ჭრიდებოდა, გათვითცნობიერება მის იგავებში, ნიშანთა სისტემაში და საშუალებებში, მის ფორმებში და მეტყველებაში, თხრობის ფორმაში, გარნა ეს არ გულისხმობდა აუცილებლობით სპეციალურ მუსიკალურ განათლებას მსმენელი-სათვის: აქ უფრო სადაგი განწყობის მოგება იყო საქმე, მზაობა ბგერების ტალ-ლებთან შესახვედრად, მათი ნათხრობის შესაგებად და შესასმენად და მისაღებად; დღის ხმაურისგან განთავისუფლება იყო საჭირო და შესატყვისად გადაწყობა – საკუთარ თავთან დარჩენა და სამშვინველის გზებას მინდობა და მინებება!.. ეს განსაკუთრებულობის ელფერსა სძენდა ესოდენ რთულ მატერიაში ჩახედულ და გათვითცნობიერებულ ადამიანს, ერთგვარად ამაღლებულსა ხდიდა მას გარე თვალში.. და დაინტერესებული საზოგადოებაც გაფაციცებული მოელოდა ყოველ ახალ მოქმედებას, ახალ ხდომილებას, ახალ მოვლენას მუსიკის სამყაროში: მასთან შეხვედრას და ზიარებას – მასში მონაწილეობას, თუნდაც მსმენელის რანგში!. კლასიკური მუსიკის კონცერტები ნიშანსვეტები იყო ამ სამკვიდროში.

ესეთ დროს გაიმართა ეს კონცერტი.. კონსერვატორიის დიდი დარბაზი მეტად სადაგი ადგილი იყო მისთვის.. ერთის მხრივ, იგი საკმაო ზომისა და სიფართის იყო, მნიშვნელოვანი საზოგადოების მოკრება და დავანება რომ მოხერხებულიყო მასში (დარბაზი 500-მდე ადგილზე იყო გათვლილი); მეორეს მხრივ, ის არც ისეთი დიდი იყო, ნებისმიერი მსურველი რომ მიეღო და დაეტია თავის სავანეში – მოგუდული იყო მაინც, მყუდროც იმდენად, იქ მისულ მსმენელს გამორჩეულ გარემოში რომ ეგრძნო თავი, გამორჩეული ხდომილების შემსწრედ და მონაწილეობა!.. ამას დარბაზის არაჩვეულებრივი აკუსტიკაც ემატებოდა, სმენადობა, რომელიც გარჩევადს ხდიდა ყოველ გაუღერებულ ბგერას, მათ მიმდევრობას და მიყოლებას, ერთურთში გადასვლას და გაგრძელებას, მათ ყველა ნაკვეთს და ყველა ნაკვესს, გარს რომ უვლიდნენ დარბაზის კედლებს, მის ყოველ კუთხეს და ყველა კუნძულს, რომ შემკვრივდებოდნენ ბგერების ნისლად და მთელად ავსებდნენ მოგუდულ სივრცეს..

აქ შეკრებილთა ძირითად ნაწილს მუსიკოსები და მულიკალურ წრეებთან დაახლოებული პირები შეადგენდნენ, გარნა აქ ასევე მრავლად შეხვდებოდი უბრალოდ კლასიკური მუსიკის მოყვარულებს (სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა სპეციალობის და საქმიანობის), გულის გადასაყოლებლად მისულებს (ერთი-ორს) და რა თქმა უნდა, ინტელექტუალურებს, რომლებიც არა ტოვებდნენ ყურადღების გარეშე არაფერს ღირსშესანიშნავს, სანიშნოს – არც ამ სფეროში,

ხმოვანი ტალღების საუფლოში... აქავე იყვნენ ახალგაზრდები, ინტელექტუალობას რომ ესწრაფოდნენ და სათანადო ნიშნების და ოწმუნებების, სათანადო ცნობადობის შეძენას რომ ეშურებოდნენ კვალად, მათ შორის კლასიკური მუსიკის სამანებშიც...

ესეთი აუდიტორიის წინ გამოდიოდა ჩამოსული პიანისტი. ის საფორტეპიანო სონატებს უკრავდა, ბეთხოვენის.. მუსიკალურ ესსეებს, ავტორის სამშენებლო რომ გადახსნიან წამით (ყველა თავის წილ) და მის აშლილ განცდებს, აზრებს და ხილვებს გაშლიან თვალწინ... აქ მთავარ თემას გამოკვეთენ უწინარესად, იმ წამის გრძებას და აღტყინებას, გონების წუხილს და ფიქრის სევდას ბერებით ხლომაში გადატანილს და გაგრძელებულს!. გარემო ხმებიც მსწრაფლ აყვებიან ამ ამოდახილს, ამ აშვეტებას, ჯერ აქეთ-იქიდან, მერე მრავლად და თამამად, ომახიანად (ქართულ სიმღერებში რომ იცის, ხალხურში, ისე), და მერე ისევ მთავარი თემა გამეორდება, და კიდევ ერთხელ გამეორდება, სულმოუთქმელად, შეუსვენებლად, უფრო მკაფიოდ და დაჯერებით, თანმხლები ჰანგებით გარშემორტყმული, მათით შევსებული და შემკობილი, ერთიან გზნებად შეკრული და შეხმობილი!! და ეს ნაკვესი, პირველი ცნობა წამის ნაკმევის, იქვე შეიკიდება, ჰაერში, მწიკვად..

მცირე შესვენება, სუნთქვის დაწყნარება და სონატის მეორე ნაწილი იშვება მაღვე – მთავარი თემის გაშლა და განთვენა, განვითარება, მასში ჩაგუდული განწყობის გახსნა, სრულად და მთელად, განვრცობილად, სხვადასხვა მხრიდან და სხვადასხვა კუთხიდან, გულმოდგინე, აუჩქარებელი, საგულდაგულო, დაუნჯებული... ამოსავალი მოტივები იხსნება პირველყოფილად, ერთმანეთის მიყოლებით და მიდევნებით; მერე ცალკეული ფრაზები განივთდებიან, განწყობის ხაზები და მისი წრეები, თითო-თითობით, თითქო ქვეთემები მთავარი სათქმელის, ვით გულის ქცევები, ერთმანეთთან პირდაპირ დაკავშირებული თუ ასოციაციებით მიკვლეულები, სხვადასხვა მხრიდან და სხვადასხვა უამიდან მოსული, სხვადასხვა გზიდან და სხვადასხვა კვალიდან მოწეული.. ნამცვრევი ჰანგებიც მათ თან მიყვებიან, როგორც ხიდები მათი შეხების და შეერთების, ერთმანეთში გადასვლის და შეთანხმების, მათი შევსების, ერთად შეკრების!.. და ეს ყველაფერი ერთმანეთს ემატება, ერთურთს ეფარდება და ეხმიანება, ერთმანეთს ენაცვლება, ვიდრე არ გაივლის ყველა მტკაველს და ყველა ნაკვეთს წამყვანი თემის, ვიდრე არ მონიშნავს მის კიდევგანეს, მის სიფართოვეს და მის სიმაღლეს, ახლოდან, შორიდან, სხვა სიმართლიდან, სხვა სიცხადიდან, სხვადასხვა ჰერსპექტივიდან!. – ვიდრე ასე სრულად და ბოლომდე განხვინილს და განჩინებულს, ბოლომდე განივთებულს და აუღერებულს, ბოლომდე გახსნილს არ გააყოლებს ნებამიცემული ბერების ხმობას...

ისევ მცირედი შედგომა, მცირედ შეყოვნება (თითქოს მიმოხედვა და გონის მოკრება), სულის მოთქმა და დასრულების დროც მოდის, სონატის ბოლო ნაწილის ჯერი. აქ ყველაფერი ერთ ნასკვად იკვრება, ერთ ნაკვესად იკრიბება და ბოლო ქცევისკენ მიდის; ისევ ერთ მთლიან გზნებად შეკრული და შემკვრივებული, ერთ გაველებად, ერთ აღელვებად, ერთ გაელვებად აღვლენილი, მაგრამ უკვე მკვიდრად და საიმედოდ, დარწმუნებულად და დაჯერებულად წარმოჩენილი და

გაშვებული მთლიან ეთერში, დიდ სამშვინველში, ანუ სივრცეში, რომელიც არის ყველას მიმღები და მასთან „ყველაფრის დამტევებელი“!.. აქ არის ერთგვარი დასკვნა, ერთგვარი შეჯამება: გულის ნადების, ფიქრის ნაკმევის, დროის ნაღვენთის, სივრცის ნაკვესის, წრფელი და მრთელი, მართალი და ნამდვილი, გაცხადებული და ბოძებული, და მოგებული.. და კვლავაც, ისევ, აქ სიჩქარეა და მოუთმენლობა, ისევ აღმასრბოლა ვნებიანი და დაუოკებელი, მაგრამ შემკრები ყველა განცდილის – რომ არა გაიძნეს საგრობით მიგნებული და გზნობით მოწეული, გულით მოთხობილი და გონით შეწყობილი!.. ...

დარბაზში სიჩქარემ დაისადგურა, ვინმე თუ შეიშმუშნებოდა აქაქ-იქ კიდევ, და ანაზდად ფორტეპიანოს ბეგერებიც გადმოეშვა სცენიდან, ერთბაშად, მკვეთრად, გაუფრთხილებლად, თითქოს წინმხდომი სივრცის შევსებას ესწრავგიანო, ვინძლო რამე სხვაზ არ დაიკავოსო მისი ნაკვეთები.. და გადმოიქცა ბეთჰოვენის სონატური მუსიკა, გადმოილვარა ღონივრად, მძლავრად, ერთთავ შეანჯლრია მთელი დარბაზი, მისი მსმენებლები და თან გაიყოლა სადღაც იქითკენ, აღმართში, სხვაგნით, სადაც ძალუმად ეწეოდა მათ აგტორის გრძნეული გული და ხელი, დაჩიმებით და დაჯერებით და დაჟინებით!.. ის აფხიზლებდა კონცერტზე მისულთ, უნებურად და თავისთვად, ალვიძებდა და აცოცხლებდა მათ შინა ხატებს, მთვლემარ სამშვინველს, მათ წილად ხილვებს და პიანისტიც სრულად მიყვა ამ განწესებას, მიიღო იგი: ბეგერების სრბოლა და გახელება, ჩქერად დაქცევა და ველზე გაშლა, მდორედ დინება!. დარბაზიც თანდათან ჩაიხვა საკუთარ თავში, განცდების წრეებში, თავისსავ გარსში, გამოცალკევდა ყველაფრისაგან და გამოეყო ჯერ ქალაქს, ქვეყანას, მერე დედამიწას, ხილვად სამყაროს, გასცდა სამანებს და გადავიდა სხვა სანახებში, სხვა ცნობის ველში, სხვა სამკვიდროში, ღათუ ერთი ხნით ოდენ, ამ ხდომილებით მოტანილი გზნებით და გრძნებით განხვნილ მღვიმეში და მისით განსაზღვრულ ხანგრძლივობაში გაბუდებული...

პიანისტი პირდაპირ გამოხატავდა თავის მიმართებას, მის დამოკიდებულებას ამ ნანარმოებებისადმი: სახით, სხეულით, უშუალოდ.. თავიდან ის უბრალოდ მიყვებოდა მუსიკის ტალღებს, მათ ამოზიდვას და დაფეთებას, გალიკლიკებას თუ შორით ხმევას, მათ მღელვარებას, მთელი სხეულით, მთელი არსებით – ხანლამის სკამიდან წამოდგებოდა მათ შესაგებებლად, ხან თავს მიიტანდა კლავიშებამდე, თითქოს ბეგერების წყაროს უნდათ ჩახედოს თვალში, ხან გადაიხრებოდა მთელად კიდემდე, საით ეწეოდა ბეგერების ჩანგი, ხან გაშეშდებოდა ყალყზე შემდგარი, ბეგერათა ჟღერისთვის რომ არ შეეშალა, მათთვის რომ დაეთმო ჯერი!.. და მსმენელებიც მეყვესულად თან მიყვებოლნენ პიანისტის ამ უცნაურ ძრაობას, უცნაურ როკვას, ასე გამეტებულს და დაუფარავს, რიტმებს რომ ნიშნავდა ბეგერების თქეშში, მის ყველა ნაკვეთში, ყველა მოქცევაში! ერთის მხრივ, სონატები სსინდენ თავის კრეტსაბმელებს, თავის სათხოობელს; მეორეს მხრივ კი პიანისტი წარმოსახავდა მათ თავის როკვაში; და ეს ყველაფერი ერთ ქმედებაში იკრიბებოდა და ერთდებოდა, ერთ სახეობაში იყრიდა თავს და ნივთდებოდა..

რაღაც ნაბიჯზე, რაღაც პწკარედში პიანისტის ქცევა მკვეთრად შეიცვალა.. მან გამოკვეთა დაიწყო ცალკეული მუსიკალური ფრაგმენტების, ფრაზების, თემების, მათი გადასვლების აღნიშვნა, გამორჩევა საჩინო მოტივების.. ხელის მკვეთრი აქწევა, მოსხლეტით; ტანის გადახრა-გადმოხრა გზნებით; გაშეშება როიალის თავთან (თითქოს ჩახმახი შეაყენეს); განანავება ჰანგების ჩქერში!.. თავიდან ეს სონატების მისულ ნაკითხვას ჰგავდა მხოლოდ, იმის დაზუსტებას და გამოკვეთას თუ რა იყო მათში მართლა მთავარი და ღირებული, მართლაც საჩინო და თვალისმომჭრელილი, მაგრამ ეს ქცევა სულ უფრო მძაფრი ხდებოდა და დაუინებული, დაუკებელი, მნიშვნელობებს ეხებოდა უკვე და შინაარსებს, შიდა სტრუქტურას ნანარმოებების! თავისი გაშმაგებული როკვით პიანისტი ავტორს უხმობდა თითქოს, მას ეხმიანებოდა, ესიტყვებოდა რომ ეჩვენებინა თუ როგორი უნდა ყოფილიყო ეს სონატები სინამდვილეში (ზოგი მათგანი მაინც), სინამდვილეში რა იყო მათში ჩადებული, ჩაბუდებული, რომ პიანისტიც შემოქმედია, სრულად ძალმოსილი და აღჭურვილი, არანაკლები სხვაზე!!.. და ამავე დროს, იმავე ცდაში ის ისევ ავტორის მიერ მოხაზულ ჩარჩოში რჩებოდა მაინც, მასში ირჯებოდა და იხარჯებოდა და ავტორის მიერვე განერილ ნოტებს მიყვებოდა და ახმოვანებდა!. უცნაური ვითარება შეიქმნა, გაორებული: ერთის მხრივ, სონატური მუსიკის ჩვეული დენა და მდინარება, მისი განვენა, მეორეს მხრივ კი, ხილული დრამის განვითარება, სცენაზე, იქვე, მსმენელების წინ – შემსრულებლის ჭიდილი და ჯიბრობა ქმნილების ავტორთან, გაუნელებელი!. დროდადრო ბეთხოვენის სახეც გამოკრთებოდა თითქოს კედლებზე, აქა-იქ, უხმოდ, ოდნავ შემცბარი და მომლი-მარე.....

ეს დაძაბულობა დარბაზსაც გადაედო, დამუხტა ისიც, იმის მოლოდინით თუ როგორ გაიხსნებოდა ეს ნასკვი განწყობის და მიმართების, ეს „კონტრაპუნქტი“, როგორ გადაწყდებოდა იგი, რა მიმართებით!.. და ერთ ნაკვეთში, როცა გახელებამ ზღვარს მიალნა, ისევე თავისთავად შეიცვალა პიანისტის ქცევა, როგორც თავიდან – ერთბაშად, უცებ: პიანისტი დაყვა ავტორის ნებას, მისით მოხაზული ფორმების გაშლას და მათსავ კავებს, ბეგერების აღმასვლას და განელებას, მათ მიმოქცევას იქით და აქეთ!.. ამან არ შეცვალა თვისობრივად სხეულის როკვა, უბრალოდ მოხსნა მას დაძაბულობა, ჯინით და ჯიბრით გაჯერებული, განთავისუფლდა სხეული მისგან და პიანისტიც მოეშვა უცებ, ესე, თავისით, დაუძალებლად, დაუზანებლად... ეს სახეს დაეტყო განსაკუთრებით, დაწყნარებული ნაკვთებით, დაუჯვებული მზერით, მისი გახსნილობით.. აქ განწყობა შეიცვალა მხოლოდ: პიანისტი შეეწყო მუსიკის ტალღებს, გაყვა მათ ღელვას – თავიდან ბოლომდე, კიდიდან კიდემდე, მთელი სხეულით, მთელი არსებით, მაგრამ მძაფრი გამოხატვების გარეშე! აქ თხობა იყო და მიჯნის ცნობა, განცდის სისავსე და სიხარული...

და დარბაზმაც ამოისუნთქა... მასაც მოეხსნა დაძაბულობა, რომ აიტანა ამდენი ხანი, მასზეც გადავიდა სცენის განწყობა, ასე დამთბარი, და ისიც გაყვა პიანისტის და ბეგერების შეწყობილ რხევას, ისიც შეირხა იმავე რიტმში, ერთ მთელ არსებად გადაქცეული!. და ისევ გამოკრთა ბეთხოვენის გრძეული სახე, სადღაც, კედლებზე, მომლიმარე და დამშვიდებული... ეს უკვე მისტერიული ქმედება იყო, ყველა მისი გამოვლინებით, მისტერიული გაცხადებებით, სადაც ყოველი მონაწილე მოქმედი

სუბიექტია, თავისი წილით და თავისი ადგილით, თავისი მიგებით და აღტყინებით – მათ ერთად შექმნეს და გაიარეს ეს ხდომილება, ეს ყველაფერი... ...

– ღვთის მობრძაობას ჰეგავდა, პალიკო, ეს სოლო კონცერტი, უფალთან ჭიდილს.. როცა ვერ ეპურები ღვთით ბოძებულ წუთისოფელს, მის განჩინებას, არად ლებულობ მის განაწესს და განრიგს სოფლის.. არა იმიტომ რომ ის ცუდ თარგზეა მოჭრილი და გაშვებული, არამედ იმიტომ, რომ ის ღმერთის ქმნილებაა (სხვა შემოქმედის), მისი ნაღვანი, მის დაღდასმული, მოცემულობა, რომელიც დაგხვდა გაჩენით და შენს შემდეგაც გრძელდება, მერე – შენი არ არის... თამაშგარე რომ გტოვებს, როგორდაც, მიწყივ, შენ კი თვითონ ხარ ქმედი, სუბიექტი, სავსე ნიჭებით და აღტყინებით, სრულად ძალმოსილი და აღჭურვილი, კვერთხის მძებნელი!. და მაშინ იწყება შემოქმედის ქმნილების შეცვლა, პალიკო, მისი გარდაქმნა, „განვითარება“, ლათუ მალევე გებულობ, მალევ ერკვევი, რომ ბევრს ვერას ცვლი: ისევ იმ საჯილდაო ველზე ტრიალებ, იმავ საწუთოში ირჯები, იგივე იარაღ-საშუალებებს და საშენ მასალას იყენებ და იგივ ხერხებს ეყრდნობი – ვერ სცდები შექმნილს და შენთვის ბოძებულს, ნებად!.

– და ჯიბრი გიპყრობს, პალიკო, უნაპირო, მძვინვარება გეუფლება, სიბრაზე გთოშავს და გაშთობს! ალარა გინდა აქ მოწეული და გაჩენილი, არარა გენანება მისი სანახების, აქ არაფერი გეძვირება და გენალვლება, დაარღვიო გინდა ყველა ზღუდე და ჯებირი, ყველა კედელი, ძირისძირამდე, პირველად აგურებამდე, ბალავარამდე, ფუძე ნაწილაკებამდე, რომ მათგან ააგო შენი საუფლო და სამყოფელი, ააწყო ახალი სამყარო, შექმნა ახალი სოფელი, შენი საჯილდაო სივრცე და ველი, შენი საყუდელი!. – რიგვედაში რომ არის, პალიკო, მის პირველ, „სიტყვი-სადმი“ მიძღვნილ ჰიმნში ასე წვრილად და მისხალ-მისხალ გახსნილი და გაწერილი, ისე... მაგრამ ის „ფუძენაწილაკებიც“ და ყველა სხვა საშუალებაც, შესაძლო ფორმები და ფიგურები, ეს სინათლეც და მას მოყოლილი ბნელიც, წუთისოფლის სისრულე და აღნაგობა, მისი სისავსე და მათში გაგნების გზებიც ისევ და ისევ შემოქმედის ნაღვანია და ნაშენები, მისი ფიქრით და ზრახვით შობილი და ხორცშესხმული და აქ სულ ახალი ვერა შეიქმნება, ვერა გაჩნდება, ვერ შენივთდება, ვერ დამკიდრდება, მხოლოდ გადასვლაა ერთი მდგომარეობიდან მეორეში, ამ საცხოვრისიდან სხვა საცხოვრისში და არა მეტი, სხვა არაფერი..

– ბევრი არ რჩება, პალიკო, ამ გზაზე ასარჩევი, რადგან უფალს ებრძვი, მას ეურჩები!. ან: უთავბოლო ჭიდილი, გაუკაფავი, უგზოუკვლო და უცხვირპირო ომი შემოქმედთან, თვითონ ბრძოლა რომ ხდება ცხოვრების ბადე, მისი საზრისი და გამართლება, უმაღლესი ღირებულება და არსი ყოფნის, მისი გზამკვლევი – მხოლოდ უარყოფა ყველა არსებულის, ყველა საშურის და ყველაფერი მკვიდრის! საკუთარი თავისი.. საკუთარი რაობის.. დროის სამანების... ან, გაჩერება და დავანება, ბრძოლის შეწყვეტა და ცნობა ქვეყნის, შენი საუფლოსი და ასპარეზის, დრო-სივრცის კვართის და ამა სოფლის: შენთვის რომ შენივთა შემოქმედმა ასე გულდაგულ და რუდუნებით, ესეთი ძალისხმევით და გამოზღვლილვით; რომ გამოძებნა ალაგი შენთვის (ადამიანის საცხოვრისი და სამყოფელი, მისი სამკვიდრო და საყუდელი) ამ მიწყივ მშფოთვარე და მბორგავ სამყაროში, ყოველწამ რომ

აფრქვევს ყოვლის შემმუსვრელ უზღვავ ენერგიას ან უსაშველო შავი ხვრელებით შთანთქავს უკვალოდ ყველაფერს ირგვლივ (თვით სინათლესაც!); რომ გამოატარა მასში მშვიდობით ჩვენი პლანეტა, ჩვენი დედამიწა, ყველა საუნჯე და ყველა ჩინი, თავი მოუყარა ყველაფერ მშვიდობის და ყველაფერ ნამდვილს ერთად სიცოცხლის შობისთვის და შენი გაჩენისთვის, შენი მოსვლისთვის წუთისოფელში!. აქ უკვე თავისით წყნარდება გონება, მშვიდდება გული და სამშვინველიც, ცხოვრება დგინდება და ძალას იკრებს, და გზაც იხსნება, მერმისით ქმნილი.. შენც უკან ბრუნდები, „უძლები შვილი“, მშობლის უბეში, მუდამ რომ გელის.....

— ესეთი იყო ეს სოლო კონცერტიც, პალიკო, მისი განვითარება და ნასკვის გახსნა. რაღაც საფეხურზე ვედარ გაუძლო პიანისტმა ამ ზღვარგადასულ დაძაბულობას და ავტორს დაყვა.. აღარ გააგრძელა ეს უნაყოფო ჭიდილი და პაექ-რობა, უსაგრი ურჩიობა, სრულად მიიღო მოცემული ჩარჩო მუსიკის, მისი მეტყველება და მდინარება, ბეგერების ხლოომა და დროში გაშლა და სივრცის უბეში დავანება... და მაშინ იგზნო პიანისტმა ხიბლი და სიამე ავტორთან ერთობის, მის ფიქრთან და განცდებთან თანაზიარობის, მათთან შეწყობის.. მაშინ შეიგრძნო მით მოტანილი სითბო და თნობაც და ამ თვისობით მოგებული სისავსე განცდის.. ამ თნობას მიყვა დარბაზიც, მთელი, მისი მსმენელი, მორჩილად, ნებად, სრულად მოშვებული და გზნებას მინდობილი...

— ასე გაგრძელდა რაღაც დრო კიდევ; ხმა არ ისმოდა არცერთი მხრიდან; არ ინძრეოდა არც პიანისტი და არც დარბაზი, ჩქამიც არ ჩანდა.. მერე კი ერთპამად იხუვლა, პალიკო, ტაშმა, დაუზოგავად, დაუნანებლად, რეცა მადლობად კონცერტის ამგვარად დასრულებისთვის, ამ თავგადასავლისთვის და მასში მონაწილეობისთვის!! აქ წამოიმართა პიანისტიც, მადლიერი და გაბრწყინებული, თავის დახრით და ლიმით მეტყველი, მოგებული!. ყველა ახმიანდა, ერთმანეთს მიუბრუნდა (უკვე ახლობლები, უკვე მოკეთენი), მაგრამ არა სიტყვების ჯერით და მეტყველებით, უფრო თვალებით, წარბების აწევით, შორისდებულებით, ნიშნების ენით, ეუბნებოდნენ თითქოს ერთმანეთს: „ნახეთ რა იყო!“ „ნახეთ სად ვიყავით“!.

— ამ განცდებით და განწყობებით დატოვეს, პალიკო, მათ კონსერვატორიის დიდი დარბაზი, შენობა, გავიდნენ გარეთ – აღტყინებულები, ხმაურით მოსაუბრენი, მხიარულები!. ჯერ ბევრ-ბევრებად შეკრებილები, მერე ჯგუფებად გაყოფილები, მერე კი თითო-ოროლად გაშლილები და გაშვებულები, გაბნეულები ქალაქის გზებით, მისი ხევულებით და გრაგონილებით, ერთმანეთს დაშორებულები და გაცალკევებულები, ცხოვრებაში დაბრუნებულები... მორიგ მოვლენამდე, მორიგ ხდომილებამდე, მორიგ აღტყინებამდე და აღტაცებამდე, მორიგ გახარებამდე შემოქმედების მადლთან შეხვედრით და შეფიცხებით, მასთან თვისობით და წილნაყარობით, თუ გაუმართლებდათ და შეხვედრას სამურს კვლავ ეწეოდნენ შემთხვევის ნებით...

— აქ წალვლიანიც სწორედ ეს იყო, პალიკო, რომ მათ სულ ახალახალი ხდომილება სჭირდებოდათ, ახალი გამოცხადება სამშვინველის დასამშვიდებლად და დასავანებლად, ახალ „მისტერიაში“ მონაწილეობა და მის აღში გულის და გრძნო-

ბების ამოვლება გასამხნევებლად და დასაწყნარებლად – დასტურის მიღება სანდო წყაროდან რომ მარტო არ ვართ და რომ გრძელია წუთისოფელი: კიდევ და კიდევ, კვლავაც და კვლავაც, დასრულებამდე ჩვენი ცხოვრების.....

– მაგრამ სხვა დამოკიდებულებაც არსებობს ავტორისადმი და მისი ნაღვანი-სადმი, პალიკო, სხვა მიმართება შემოქმედის ქმნილებისადმი, როცა მას იღებ თავისთავად, როგორიც არის და ცდილობ გაატარო შენს არსებაში ხელშეუხებლად და შეუცვლელად, შეუბლალავი, სრულად რომ მიიღო და შეიგრძნო მისი ნაკმევი, მისი ნათქვამი.. ელისო ვირსალაძე ჩნდება გამორჩეულად კლასიკური მუსიკის შემსრულებლებში, ჰიანისტებში, ამ თვალთახედვით. ეს მეტადრე საჩინო გახდა ჩამოსული პიანისტის სოლო კონცერტის შემდეგ – განსხვავებები მათ მიდგომებში, „მეთოდოლოგიაში“, მათ სოფლებედვაში და მის აღქმაში, შესრულებაში...

– იმ კონცერტიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ ელისო ვირსალაძეს და მის მოსკოველ კოლეგა-ქალბატონს კონცერტი ჰქონდათ თბილისში. ისინიც კონსერვატორიაში უკრავდნენ, მის დიდ დარბაზში. ...იგივე ბეთოვენი, მხოლოდ ინსტრუმენტული პიესა ფორტეპიანოსა და ვიოლონჩირლოსთვის.. აქ უკვე სხვა ხალხი მოვიდა, პალიკო, სხვა აუდიტორია შეიკრიბა, სხვა მსმენელი, რომელსაც ელისო ვირსალაძესთან შეხვედრა უნდოდა კიდევ ერთხელ, მას ეშურებოდა: არა სასაუბროდ, არა აზრების გასაცვლელად, არა ამბების მოსაყოლად ერთმანეთისთვის ან მისი ოსტატობით დასატკბობად, არამედ უბრალოდ ერთი დრო-ჟამის ერთად გასავლელად და გასალევად, იგივე ალაგზე ერთად მოსახვედრად და დასაგომად!.. მათ კარგად იცოდნენ რა მოელოდათ და რა მოხდებოდა ამ კონცერტზე, რა გაიხსნებოდა აქ მოკავებული დრო-სივრცის კალთაში, მის ერთ განაკვეთში...

– ის თითქმის არ ირხეოდა, პალიკო, ელისო ვირსალაძე. მისი სხეული მხოლოდ იმ ზომით ჰყებოდა ბერებს, რა ზომითაც ამას თხოულობდა თვით ნაწარმოები, მისი წყობა და განვითარება, მისი რიტმიკა, ავტორით მოცემული, და ესეც მოთოკილად, შეზღუდულად, თავშეკავებით!. გადაინეოდა წინ, ოდნავ, გზნებით და იქვე ჩერდებოდა, მეყვსად, ადგილზე; ხელს აიქნევდა გამეტებით და მყის აშე-შებდა, იქავე, მკვეთრად, რომ არ გაყოლოდა ამ რჩევას შორით.. მაგრამ ყველაზე მეტყველი მაინც მუსიკოსის სახე იყო, პალიკო, ყველაზე უკეთ ის ასახავდა მის მიმართებას და დამოკიდებულებას ნაწარმოებისადმი და შემოქმედისადმი: და-დუმებული და დაბუდებული საკუთარ თავში, გარინდებული და თანავ მშვიდი, თითქოს უშუალოდ უნდაო შეეხოს ბერების სახმილს და მათ სათავეს, პირდაპირ მიიღოს მისი ნახმევი და მონათხრობი, როგორც ასეთი, თავისთავადი, ყველა მახვილით და თანაწყობით, არას დაკლებით და არას მიმატებით, ხელშეუხები და შეურყვნელი, შეუბლალავი, და ესე უნდაო ის გაატაროს საკუთარ თავში, თავის სამშვინველში, თავის არსებაში, მთელი და მრთელი, და მიაწოდოს იქ მისულ მსმენელს პირველყოფილი ცნობის სურნელით და შინაარსით...

– მხოლოდ დროდადრო მოიწეოდა სახეზე ნაკვთი, ამოძრავდებოდა ანაზ-

დეულად ერთი, რომელიმე და იქვე გუდავდა მას პიანისტი! იქვე აშთობდა და ანელებდა ამ გამოკრთომას მისი განცდების და ეს მჭევრს ხდიდა ისე მის სახეს, რომ უნებურად გრძნობდი, ხილვადად, თუ რა სავსე იყო ის, პალიკო, შინა გზნობით, მასთან რომ მოჰქონდა ავტორის სათქმელს ასე უშუალოდ მუსიკის ქცევით.. და ესევე თავგამოდებით უკრავდა ვიოლონჩილოზე ვირსალაძის კოლეგა-ქალბატონი, დაუზოგავად და გამეტებით (როგორც თხოულობდა მისი ინსტრუმენტი), რომ არა გამორჩენოდა ავტორის ნათხრობის, არა გამოკლებოდა შემოქმედის ნაგულს!. ის უბრალოდ მუშაობდა, პალიკო, მთელი არსებით და მთელი გრძნებით...

– ესე მიეწოდებოდა მუსიკა დარბაზს. ნანარმოების შემსრულებელი ორი ქალბატონი თავის თავში ატარებდა მის მღელვარ ტალლებს, შეუფერხებლად და უშუალოდ, სრულიად წმინდა მედიაციით, და ესე ხელშეუხებლად და შეუცვლელად მას გადასცემდა დარბაზში, მსმენელს, თვითონ ავსილნი გარინდებით და მდუმარებით, მათში ჩაღვრილი მუსიკის ღელვით და მგზნებარებით, მისი რიტმებით და მდინარებით!..

– დარბაზიც ჩაიღუა თანდათან ამ გარემოში, საკუთარ თავში. მათ არაფერი აშფოთებდათ გარედან, არა ჩქამი. არაფერს მიჰქონდა მათი ყურადღება სხვაგნით, არა თხოულობდა მათი თვალის და სმენის მეტად დააბვას, რომ გაერჩიათ მთავარი ხაზი!. ისინი ხედავდნენ მხოლოდ შემსრულებლების სრულ ჩართულობას დაკვრის პროცესში, მათ სრულ თვისობას ნანარმოებთან, მასთან ერთობას, გრძნობდნენ ძალუმად მათზე გადმოსული მუსიკის ღელვას, მის ამო ლამუნს, სათნო შეხებას და მიყვებოდნენ მას თავისთავად, სულ უფრო თვისად და უფრო შვებით, ნებად... ეს მედიტაცია იყო, პალიკო, თითოელის და ერთობლივი, ყველასი ერთად, მოგებული მუსიკოსებით, რომლებმაც შექმნეს გარემო მისთვის (მეტადრე ვირსალაქმ, თავისი შეკრულობით და შეუვალობით) და შემდევ დარბაზმაც მიიღო იგი – ყოველმა მსმენელმა, ცალკე, თავისთვის, და ყველამ ერთად, ერთურთის ნდობით!. საერთო და გამაერთიანებელი აქ თვითონ მუსიკა იყო, ბეთხოვენის, ესე უშუალოდ და უშურველად მოცემული და მონოდებული მუსიკოსების მიერ. ის ყველას თავისას უყვებოდა და უღვიძებდა და ყველას თავისას უცოცხლებდა და აგებინებდა, გარნა ერთად კრავდა მათ ფიქრს და განცდებს თავისი რიტმებით და მოფონებით... ეს აღარ იკარგებოდა, პალიკო, არა ქრებოდა, ყველას თან მიჰქონდა, თავისთან, შინით, შემსრულებლებსაც და მათ მსმენელებსაც.

ელისო ვირსალაძის სოლო კონცერტია საქართველოში. ჩვეული მიმართება და დამოკიდებულება მუსიკოსსა და მის მსმენელს შორის. არცერთი არ ჩქარობს, არ ფაციფუცობს, არ ფორიაქობს, დათქმულ დროს ელის. და ისიც დაიწყო, ვირსალაძის სოლო კონცერტი!. პიანისტი სხვადასხა კომპოზიტორს იხმობს და ახმოვანებს (ბეთხოვენი, შოპენი, ლისტი...), სხვადასხვა ტიპის და ხასიათის ნანარმოებს უკრავს (სონატა, ნოქტიურნი, რაფსოდია...), საიდანაც გადმოდის: დატვირთული და დააბული მუსიკა, გულმოდგინე ძებნა და გამოკვეთა საკუთარი სათქმელის; შედარებით მსუბუქი მდინარება ბგერების ჯერის, სავსე წარმოსახვებით და მკრთალი ლანდებით, ამო მოლოდინით, ვით მთვარის ლივლივი

წყლის ზედაპირზე; გრძელ ამოძახილში ჩაგონილი გულის სიმღერა, წამს გაკი-დებული... აქ რეპერტუარი იმგვარადაა შედგენილი, რომ მსმენელებმა სრულად შეიგრძნონ სისავსე შემოქმედის სამშვინველის, მისი მღელვარება და მთელი გამა მისი განცდების და შინა ხმების, მისი ფიქრების და საზრისების, მისი წუხილის და შემართების, დალონების და გახარების, ჩათხრობილი მის მუსიკაში, რომელიც ხან მძაფრია და დაძაბული, ხანაც მსუბუქი, ვით ბამბის ფთილა, ველად გაშვებული და გაქცეული ბეგერათ რაკრაკი, ხან მინდობილი ტალღების რწევას, ხან კი მოვარდნილი ქარის ძახილით, თვითდამკვიდრების სურვილით, ნებით!.. და ამას ყველას ერთად გადიოდნენ პიანისტი და მისი მსმენელები, ერთმანეთს შეწყობილები და შეხმობილები.. შუალედებში იყო ხანგრძლივი, მაგრამ მოგუდული ტაში, შეყვირების და შეძახილების გარეშე. პროგრამის დასრულების შემდეგ დარბაზმა გაგრძელება ითხოვა და პიანისტიც დათანხმდა, სიამოვნებით. მან ორი პიესა დაუკრა, მოკლე და ლამაზი, რომ გაცოცხლებენ სხარტულებივით!. მათ შორის ასევე მოკლე შუალედი იყო და ამით დასრულდა მთელი კონცერტი.. დიდი პატივით და ურთიერთ მადლობით ამ შეხვედრისთვის და ერთად ყოფნისთვის.

3

ციხისძირი.. შავი ზღვის პირზე.. ერთი პატარა დასახლება, სოფელი, იქვე, ქო-ბულეთიდან სულ რამდენიმე კილომეტრში, ბათუმისკენ რომ მიდიხარ!. ზღვას აქ პატარა ყურესავითა აქვს მოკვეთილი, მომცრო მთის ძირამდე დასული ფერდე-ბით მოკავებული, რომლებიც ვერცარად ფარავენ დანარჩენ ზღვას, მის ჰორი-ზონგამდე გაშლილ ზედაპირს, ფართო კარებით რომ იხსნება მთელი სიგრძე-სი-განით ყურის გასასვლელიდან, თუმც კი მაინც ფარგლავენ, ერთგვარად, ზღვის ამ განაკვეთს, მის ამ წილ ნაპირს და მის გარემოს...

ეს არაჩვეულებრივ სიმყუდროვეს აძლევს ამ ზღვის პირს, მის შიდა არეს, ამ ყურეს, საამოდ მოგუდულს ბუნებრივ საზღვრებში, განრიდებულს გარე ხმებს და ჩორჩილს და მის ფორმაქს, მეტადრე რომ სამანქანო გზაც აქცეულია მისგან და ოდენ მატარებლების შემადგენლობები ჩაირბენენ ხოლმე დროდადრო მისი ნაპი-რის გასწვრივ, სწორედ მთის ძირში, ხან ერთი მხრიდან, ხან მეორიდან, დამახასი-ათებელი დიგდიგით ბორბლების, რომელიც დროის სვლას ახმოვანებს თითქოს, მის რიტმულ რბენას და ბუნებრივად ერწყმის აქაურ წყობას.. ყურეში შეიძლება უთავბოლოდ იცურაო, საათობით, ფერდიდან ფერდამდე, მიჯნიდან მიჯნამდე, მოქცეული სტიქიებს შორის, მათ შუაგულში, სად შეიძლება იგზნო მათი სიდიადე და განვრცობილობა, მათი ნიშატი და საწიერი, პირდაპირ, უშუალოდ, შუამავ-ლების გარეშე და შეიგრძნო მათი არმური და მღელვარება, გარნა მოთოკილი და მოკვეცილი, შეკავებული, რადგან სტიქიები თავს იოკებენ, არ მძვინვარებენ ამ შემოზღუდულ არეში...

განსაკუთრებით დილით, სისხამზე.. გრილი სისველე რომ შემოგეფეთება ჰა-ერის, ანაზდად, იჩქით, ერთთავად რომ შეგაკრთობს და შეგაფიცხებს, გამო-გაღვიძებს დაუკითხავად!. მერე ზღვის პირი შემოგეგებება, წყლის მშვინვარება პირველყოფილი: მცვრივი ტალღები, პანაწინა წრეების წინწკლებით მთელ ზედა-პირზე (რეცა ცვარის ცახცახი დილის ბალაზზე), რომ ვერ გაიგებ საით გარბიან, აქეთ თუ იქით.. მერე წყალში შედიხარ, თანდათანობით, ნაკვეთ-ნაკვეთად... ისიც შეკრთება შენთან შეხვედრით, მყისად შეხლტება შენს ფეხებთან და წვრილ ტალ-ღებად გაიქცევა, შენგან, მიგარდმო, როგორც სხეული პირველშეხებისას რომ შეცხუნდება და აიკრიფება უცნო მოლოდინში!..

– შენც ჩაყურყუმალავდები, პალიკო, და ამოყვინთავ, ერთხელ, მეორედ, ნება-ნება შეცურდები წყლის შუაგულში, შეფართხალდები მის ლბილ სხეულში და გაცურავ ღონივრად წინ, ყურის კარისკენ, სადაც იშლება ზღვის მთელი სიფართე, მისი სისავსე და განფენილობა, კიდების წვდომა, ჰორიზონტამდე, და კიდევ იქით! აქ უკვე სრულად გზნობ ზღვის გოროზ სხეულს, მარილიანი წყლის სუბსტანციას, სტიქის ძალას და ზვიად ბუნებას, წარლვნამდე რომ შეუძლია მიიყვანოს წუთისოფელი, მთელად გარდაქმნას დედამინა, ძირისძირამდე! ან მშვიდად იყუჟოს და ინანაოს, სადმე, ყურეში... რიდით ივსები და მოწინებით, პატივს მიაგებ მის მოსილებას...

– ნაპირისაკენ მობრუნდები, პალიკო, ისევ, ხმელეთისკენ, უკან, სკნელიდან რომ ამოზიდულა რაღაც მანქანებით, რაღაც ძალისხმევით, რაღაც შეძახებით, მიწის გულიდან, ხელი რომ მოსჭიდო, ამოინიო და მყარად დადგე ფეხზე, თავი მკვიდრად იგრძნო ამ უსაზღვრობაში! მერე ფსკერიც ჩნდება, გამჭვირვალე წყალში, ნაკვეთურებით, ნაპირიდან რომ იწყება და ქვემოთ მიდის, სილრეში, შორით და შორით, ვიდრე არ დაიკარგება ზღვის სიბნელეში.. აქ ის ჭურჭელს ასხამს, ერთიან სხეულს ყველა ზღვისთვის და ოკეანისთვის, ერთმანეთთან გადაბმულს სხვადასხვა სრუტით თუ ღია გადასასვლელებით – ერთი მთლიანი ტანი ამოჰყავს, რომელშიც ვანდება მთელი წყლის სტიქია ზღვის და ოკეანის, თავისი ზნე-ჩვევით და აღტყინებებით...

– და შენც სიმშვიდე გეუფლება, პალიკო, რამეთუ წინარე სამმხრივ ხმელეთია, მკვიდრი და მყარი, მისი საუფლოა და სამანები! გაცურავ ერთი კალთისკენ, მეორისაკენ, მერე ჩერდები ყურის შუაგულში, განანავდები.. ზურგზე გადაბრუნდები, ნებას მიეცემი და უეცრივ, მეყვსად, თვალს რომ აახელ, თავს დაგადგება მთელი ცის თაღი, ჰაერის ოკეანე, ატმოსფერო ათასკილომეტრიანი, გაწონილი მიწის კიდემდე, საზღვრამდე სოფლის – დედამიწის აიროვანი გარსი, მისი სტიქია და სამფლობელო! ხან ღრმა ცისფერი, ხან თხელი ღრუბლით, იალკიალი დროდადრო მაღლით...

– ამასობაში მზეც ამოინევა მთის თავზე, პალიკო, უკვე სავსე და გაბდლვიალებული, ნაპერნეკლების მფრქვეველი ყველა მხარეს და ყველა ალაგს, ყველა არსებას და ყველა საგანს, თითქოს დიდი კოცონიაო დანთებული ცის კაბადონზე, აღმოსავლეთით! მისი ალის ენები შენც მოგეწევა, შენც გწვდება ქვევით, ზღვის წყალს მიგარდო, ააკასკასებს ყველაფერს ირგვლივ და შენ კი შუაში ხარ ყველა ამ ხმობის და ცხოველყოფის: ზღვის კალთებზე მოქანავე, ხმელეთის ძალით დაცული, ჰაერის ოკეანის ფსკერიდან ცის თაღის მჭვრეტელი და ამოკვესილი მზის გულზე მოსვენებული!! ეს უკვე ნეტარებაა, პალიკო, ნებიერობა, გულის სისარული, და შენც უნებურად ისევ იმეორებ, კიდევ და კიდევ, გულით და გონით: „დიდება ქვეყნის შემოქმედს, რა კარგად მოუგონია“.....

ზედ ზღვის პირთან, მასთან ჩამოსული მთის ძირიდან კიბე ადიოდა ზევით.. ათი-თორმეტი საფეხური, მიყოლებით, საკმაოდ განიერი და მაღალი; მერე ბაქანი, სამი-ოთხი მეტრით შესული შიგნით; ისევ საფეხურები, ბაქანი, საფეხურები

– თხუტმეტამდე ასეთი ნაკვეთური იქნებოდა მთლიანობაში, ერთად... ყოველი ნაკვეთურის ავლის შემდეგ რაღაც იცვლებოდა ზღვის პირის ხედში (რომ მოიხედავდი ბაქანზე მდგომი): წინ ნაინევდა ხოლმე საწიერი ცოტას, გვერდებზე გადადიოდა მარცხნით და მარჯვნივ, მტკაველს გაიწევდა და ნაკვეთს მიუმატებდა არემარეს, თვალის საწიერს, თანდათან იშლებოდა მიგარდმო, ირგვლივ.. წინ კი ზღვა იხსნებოდა, სულ უფრო მეტად, აქეთ და იქით, ჰორიზონტს წევდა სულ უფრო შორით, მისი თანდათან მორკალური ხაზით და ჩაღუებით; ნაბიჯ-ნაბიჯ აჩენდა ყურის პირიდან მარცხნივ და მარჯვნივ გაქცეულ ზღვის სანაპიროს, მიხვეულ-მოხვეულ სანაპირო ზოლს და მის გარემოს, და ბოლოს ეს ყურეც მოიხაზებოდა, მოიკვეთებოდა, ქვემოთ! შემოკავებული, სულ უფრო დამცრობილი, დაპატარავებული, მკაფიო ფარგლებით და ღია კარით გამოკვეთილი – ერთი უჯრედი მრავალ სხვათ შორის, მაგრამ მაინც უბე მთელი ამ ხედის, მისი განვენის და გამალების, ამ საწიერის, მისი შუაგული და ათვლის წერტილი, მისი სათავე, ამ ხედის ცენტრი!!.. მთის თავზე იკრიბებოდა ეს ყველაფერი და იშლებოდა ერთიან კვეთად, ერთიან გზებად, სივრცის ალმურში ამოვლებული და გამვებული სამანებამდე, წვდომის ზღუდემდე, შენც თავის წილად რომ გგულისხმობდა, რომ გგულვილობდა თავის ნაწილად და გეხსნებოდა დაუნანებლად, დაუმადლებლად ამ სივრცის გრძნებით...

საპირისპირო ხდებოდა ქვემოთ ჩამოსვლის დროს, მთის კალთაზე დაშვებისას, იგივე კიბეებით, ზემოდან ქვევით, მისი ნაკვეთურების გავლით, ერთიმეორის მიყოლებით და მათი უკან მოტოვებით: თანდათან ვიწროვდებოდა სამზერი არე და საწიერი, უნებურად ფოკუსირდებოდი, მახვილდებოდი ქვემოთკენ სვლისკენ, ზღვაზე დაშვებისკენ, ყურეში, ნაპირზე, იქითკენ გქონდა გულისყური მომართული.. ცა კი ზემოთ იწევდა ამ კვალობაზე, როგორლაც გმორდებოდა თანდათანობით, სიმაღლეს აჩენდა და გიჩვენებდა მის აშვეტილობას, მის ძნელად მისაწვდომობას გიცხადებდა, თითქოს.. ყველაფერი ზემოთ ადიოდა და უკან რჩებოდა, სადღაც, ალმართში, გვერდებზე გადადიოდა, აქეთკენ, იქით, უჩინარდებოდა ნელინელ, ეფარებოდა თვალს; მთის ფერდები კი უფრო იკვეთებოდნენ, მეტად და მეტად, სხეულოვნებას აჩენდნენ კვალდაკვალ, ხაზებს ამკვეთრებდნენ, საზღვრავდნენ გარემოს და გიახლოვებდნენ თავისას, თანდათან, მკაფიოს ხდიდნენ მის ყოველ მტკაველს, მის ყოველ ნაკვეთს, ყველაფერს ირგვლივ ამ მოფარგლული არის საზღვრებში, თითქმის ხელშესახებს, სულ უფრო საცნოს!. და შენც მის შიგნით ექცეოდი, ამ გარემოში, მის სამკვიდროში და სამანებში, შემოზღუდული სივრცის საუფლომში და კიდე-განეში...

ზღვაც სულ ახლო მოდიოდა, ამასობაში, რეცა ქვემოდან ამოდიოდა ზემოთ; თანდათან მატულობდა მისი შხრიალი, ჩვეული ხმიანობა, წვრილ ქვებზე წყლის სრბლილის ხმა.. შორით კი ნელინელ ქრებოდა ოდნავ მორკალური ჰორიზონტის ხაზი, ზღვის ზედაპირს უერთდებოდა ნელინელ და იქ იბლანდებოდა, მას ვეღარ წვდებოდა შენი მზერა და ისიც წყლის ზედაპირზე ნელდებოდა... და უკვე ჩახვედი თითქმის ნაპირზე, სულ ახლო მოისმის ზღვის მიმოქცევა, გესალბუნება ტალღების სირბილი წინით და უკან, მათი ლივლივი და ცის ქვეშ ქანაობა!.. და უკვე იქა ხარ, შენი წილი ზღვის წინ, ყურემ რომ მოაკავა თავისი ნაპირით, მომცრო მთის

კალთებით, თუმცა კი კარი ლია დაუტოვა: დიდ წყალში გასასვლელად, დიდ სტიქისათან შესახვედრად და მასთან შესართველად...

– ესე ადი-ჩადიოდი ამ მომცრო მთის კალთას მასზე აყვანილი კიბეებით და ნაკვეთურებით და ყოველი ასეთი ჯერი პატარა ცალკე ამბავი ხდებოდა, პალიკო, შენთვის მოყოლილი და მოთხრობილი ამ ასვლა-ჩასვლის რიგად და ჯერად... თანაც, სხვადასხვანაირად იხსნებოდა ეს ამბებიც და მათი თხრობაც, სულ სხვადას-ხვაგვარად იშლებოდა მათი ზმნობა დილის სისხამზე, შუადლის კვალზე, საღამოს ლიბრში...

– სისხამზე ცინცხალი გხვდებოდა ყველაფერი, პალიკო, ახლადგაღვიძებულივით, თვალებს რომ იფშვნეტს და იშმუშნება და შენც რიდით ეპყრობი და ეკიდები, ფრთხილობ უნებურად უხერხულად არ შეეხო და არ დააფრთხო თავის-თავში ჩათხრობილი დილის მშვინვა.. შუადლის წრეში დრო ზოზინს იწყებს, რეცა იწელება; მზე სულ ზევით ადის და ცონვით გადადის დასავლეთისკენ; წინმძღომი ხედი ზანტად ირხევა და სადღაც იწონება, იქით, და სულერთი ხდება ამ მღვიმეში და ლუობაში, ზემოთ ადიხარ, მთის თავზე, თუ დაბლა ჩადიხარ, ყურეში... საღამოს მზის ზღვაში ჩასვლა ავსებდა გარემოს მთელად, მისი თანდათხობითი დაშვება წყლის ზედაპირზე და ალისფერი გორგალის ნაკვეთ-ნაკვეთად ჩასვენება ზღვაში!. მეტადრე მთის თავზე როცა იყავი, პალიკო, ზემოთ, ხელისგულივით იშლებოდა მთელი ეს ქმნადი სურათი შენ წინ: წითლად ალენილი ჰორიზონტის მხარე, ცას მიბჯენილი და თანდათან განელებული მაღლით, უცნოდ გადასული ნედლ მწვანე ფერში, თხელ ზოლად განეული, მას მიყოლილი ნირნამხდარი და ყავლგასული ცისფერი და შემოპარული ლურჯი საცეცები, უხმოდ შემოსული აღმოსავლეთიდან, აეშაგებივით.. ნაპირზე კიბეებით ჩასული წითელ რკალსლა უსწრებ ცა-ზღვის კიდეში, მას ეფიცხები და მისგან წამოსულ ალისფერ ნაპერნკლებს უმზერ, გაქცეულს ყველა მხრით.. მერე თხელი ბინდი შემოდის არეში და ლიბრი იკავებს საწირს ნებად...

– ზღვის პირზე ჩასვლა სხვა გზითაც შეიძლებოდა, პალიკო. აქ, მთის კალთაზე პატარა ტყებარკი იყო გაფენილი და მისი ბილიკებით ყურეშიც ჩადიოდი. ბამბუკის ხეები იყო აქ, უმეტესად.. ცოტა უცნაური განცდა გიპყრობდა მათთან შეხვეძრისას, მეტადრე როცა ეს პირველად ხდებოდა, რადგან ბამბუკთან დაკავშირებით მისი ნაჭრებიდან და ნაწილებიდან აწყობილი მსუბუქი ავეჯი გახსოვდა უფრო, აქ კი კორომი იყო ამ ხეების, რომლებიც მიწიდან ამოდიოდნენ და მკვიდრად იყვნენ ჩამჯდარი მასში, სხვა ხეებივით ირხეოდნენ ქარის მობერვისას, ტოტებიც ჰქონდათ გაშვებული და ფოთლებიც ესხათ წვრილად.. ხელის შეხებითაც სინჯავდი ხოლმე დროდადრო, მაინც, მართლა მთლიანი ლეროები ჰქონდა ხეებს თუ როგორლაც გადაკერილი იყო ერთმანეთთან მათი ნაწილები.

– აქვე ხვდებოდი ციხის ნანგრევებსაც, ზღვის პირის მიდამოებში, მის კლდოვან ბირცვეზე, დაბლა, ბიზანტიულებს რომ აუშენებიათ მეექსე საუკუნის პირველ ნახევარში, თავისითვის. ბიზანტიურად მას „პეტრა“ ერქვა (კლდე), ქართულად კი

„ქაჯეთის ციხე“, პალიკო.. ალბათ იმიტომ, რომ ის არაქართველებს ეკავათ, უმეტესად (ბიზანტიის მიერ მიშენების მიზანის და საჭიროებების მიზანის იყო გამოყენებული მეტნილად და კიდევ ვინ უწყის, რა არ ხდებოდა მასში...)

– ციხეს მნიშვნელოვანი მდებარეობა ჰქონდა შავი ზღვის ამ ნაწილში და მიუვალი იყო, ბევრი ბრძოლაც უნახავს და გადაუვლია და ბევრი სხვა რამეც ხდომია. ანტიუს მისი ნანგრევებია შემორჩენილი მხოლოდ, ბალახებმოდებული და განელებული დროით, რაღაც ნიშნები გარდასული დროებების, მათი ამბების და გარდახდომების, ნიშანსვეტების, სამუზეიმოდ გამზადებული დღეს. როგორლაც ცივი იყო მასთან შეხვედრა და სევდიანი, თითქოს შორიდან გიმზერსო, ვიღაც, პალიკო, არ გეხმიანება და არც ეშურება ახლოს მოსვლას შენთან....

მთის თავზე დასასვენებელი სახლი და მისი ეზო-კარი იყო გაშენებული. ის უსინათლოთა საზოგადოებას ეკუთვნოდა. მისი საგზურების შეძენაც მხოლოდ უსინათლოებს, მხედველობა დაქვეითებულებს და მათი ოჯახის წევრებს შეეძლოთ. ამდენად, დამსვენებელთა ძირითად ნაწილს, მათ დიდ უმრავლესობას აქ თვალისწინ-მოკლებული ადამიანები შეადგენდნენ: ახალგაზრდები, საშუალო ასაკისანი, ხანში შესულები... დასასვენებელი სახლი არ იყო დიდი და მთლიანობაში რამოდენიმე ათეულ კაცს თუ აუდიოდა ერთ ჯერზე, ერთ შუალედში. მეტად მყუდრო იყო აქაური გარემო, როგორლაც ცალკე მდგომი, მოშორებული სხვებს, დავანებული, თვითკმარი და უსინათლოებიც ერიდებოდნენ დასასვენებელი სახლის, მისი ეზო-კარის გარეთ გასვლას (ზღვაზეც კი ნაკლებად ჩადიოდნენ, მეტადრე ამ კიბეებით) და უმეტეს დროს მის ფარგლებში და მიდამოებში ატარებდნენ. მათი ურთიერთობები, დღითიდღე ყოფნა ერთად, შეხვედრები და შეკრებები, გრძელი საუბრები, მუსაიფობა, ერთურთის მოკითხვა მიმდინარე ხასიათისა გახდა თანდათან, რამაც ერთგვარ თემად შეკრა ეს ხალხი, ერთ თემად შეკრიბა ისინი სულ მოკლე ხანში, აქ ყოფნის მონაკვეთში...

განსხვავებული იყო აქ ყველაფერი და უჩვეულო: ცხოვრების განცდაც და მდინარებაც, მისი ყაიდა და ჩარჩოები, დამსვენებელთა ქცევა და მიმართება, ურთიერთობები, სხეულის ენა და მეტყველება, ერთურთის ცნობა, დრო-სივრცის აღქმა და გათავისება, ადგილის მოგება მის სამანებში... მათი საჩინო სივრცის გარსშემოწერილობა ცნობის სიშორით ისაზღვრებოდა – იმის იქით ბურუსი იწყებოდა, ის ავსებდა არეს და მარეს.. ბუნდოვანი ხდებოდა მასში ყველა და ყველაფერი, გამოუკვეთავი, თავისითავში ჩახვეული დიდ-პატარა ბუუტებად (ზომანონის და სიშორის მიხედვით), ხან რომ გაღვივდებიან უეცრად, მეყვსად, ხანაც დაცხრებიან ისევ, ნელებით... ალბათ ამიტომ შეხვდებოდი დროდადრო მარტოდ მჯდომარე უსინათლოებს, მთელი არსებით რომ შეჩერებოდნენ წინარე სივრცეს, გაშეშებულნი ერთ მდგომარეობაში, თითქოს ბურუსის უკან მდგომი საგნების, სხეულების და არსებების დანახვას ცდილობენო, მათი რაობის და სახეობის გარჩევას ეშურებოდნენო, უფრო და უფრო, მეტად და მეტად, დროის დაუთვლელად და დაუნანებლად, იხედებოდნენ ამ ნისლის შიგნით, მის სიღრმეებში და მღვიმეებში, მის გაუთავებელ ბინდში... ეს არა ჰგავდა ჩვეულ ქცევას, თვალლია კაცი რომ მიაშტერდება ხოლმე ერთ წერტილს, სადმე, კედელზე, თვითონ კი შინით იყურება

ამ დროს, საკუთარ თავში, იქ არის ჩახვეული და ჩალუებული, მის ღვლარჭნილებში! უსინათლო გარეთ იმზირება ამ დროს, გარემოში ექებს საყრდენს და საზღვრებს, მისი ბინდის გაუკვალავ ხვიებში იყურება გულმოდგინებით...

დრო ნაკლებად წონადი იყო ამ გარემოში, ნაკლები მნიშვნელობის და ლირებულების, ნაკლებად საშური და გასაფრთხილებელი და მეტად ხარჯვადი, რადგან მხედველობა-დაქვეითებულთა ყოველი ქმედება შენელებულად მიდიოდა ცხოვრების ჩვეულ რიტმთან და დინებასთან შედარებით, მეტ ძალისხმევას ითხოვდა და უფრო ხანგრძლივი იყო და დროის მტკველი: აქ უსინათლო დამსვენებელთა ყოველი ნაბიჯი, მდგომარეობის შეცვლა, უბრალოდ გადაადგილება, მომხდეურთან შეხვედრა თუ რამე სხვა შეყყოფებით იწყებოდა, შეჩერებით, დაკვირვებას თხოულობდა და ვითარებაში გარკვევას, კვალს რომ არ ასცდენოდი და სადაგი ყოფილიყავი, შესატყვისი შექმნილი ვითარების, „ადექვატური“ არსებული რეალობის, მომხდეურის, რამეთუ ბუნდოვანი რჩებოდა უსინათლოსთვის ახლო გარემოც (ძნელად დასაყრდენი), ბურუსის თხელაპეგადაკრული ცხოვრება მის გვერდით.. განსაკუთრებით მჭევრად ეს მათი სხეულის ენაში ვლინდებოდა, მის მეტყველებაში, მეტადრე სიარულისას: ყოველი ნაბიჯის მოსინჯვით გადადგმა, ფრთხილობით და დაკვირვებით; ხელის მიმველება რამესთან მიახლოებისას; მოჭიმულობა მთელი სხეულის, გაფაციცება, წონასწორობა რომ არ დაგერღვეს და არ დაგეკარგოს, არ გაგეფანტოს საკუთარი თავი; შეყოვნება სხვასთან შეხვედრისას, წამით შედგომა გამოცნაურებამდე...

განსხვავებული ხასიათისა იყო თვალისჩინმოკლებულთა ქცევაც – მათი შეხვედრების, დასასვენებელი სახლის ეზო-კარში ჯგუფებად შეკრებების, ერთად თავმოყრის და რამის კეთების დროს.. ისინი თანდათან მიდიოდნენ ერთმანეთთან, უახლოვდებოდნენ ერთურთს, მაგრამ არა ბოლომდე, არა სრულად, მაინც რაღაც მანძილს იტოვებდნენ შორის: მანძილს იტოვებდნენ ერთმანეთის უკეთ დასანახად და გასარჩევად (რამდენადაც იყო ეს შესაძლებელი) და ერთმანეთთან უნებლიერ შეხებით გამოწვეული უხერხულობის ასაცილებლად.. არც სახეში არ უყურებდნენ მხედველობა-მოკლებული დამსვენებლები საუბრისას ერთურთს, უფრო იქით იყურებოდნენ, როგორღაც აცდენილად, გვერდით და მათი სიტყვებიც, აზრების მიმოცვლა შორს არ მიდიოდა, იქვე რჩებოდა და გუბდებოდა, იკრიბებოდა მოუბართა თავზე, იქვე ტრიალებდა მათ ზემოთ, ირგვლივ, ერთ მთლიან ულურტულად გროვდებოდა და ალიქმებოდა, ლია ეთერში, გარედან, მათგან მოცილებით და მოშორებით მყოფი მსმენელისთვის....

სხვადასხვაგვარად ვლინდებოდა ეს კველაფერი სხვადასხვა ასაკის უსინათლოებში, მათ ურთიერთობებში და მიმართუებებში, ერთად ყოფნაში – ახალგაზრდებში, საშუალო ასაკის დამსვენებლებში და ხანდაზმულებში. მხოლოდ რამდენიმე ახალგაზრდა იყო დასასვენებელ სახლში, სულ ხუთი-ექვსი ერთად, ყველას ჭარბობდნენ საშუალო ასაკისანი და მათზე ნაკლები იყო ხანშიშესული. ახალგაზრდები უფრო ხმაურიანი იყვნენ და ხალისიანი (როგორც მათ თაობას შეეფერება), „ცელქებიც“ ცოტა, მაგრამ მაინც საჩინოდ ფრთხილები და შეკავებულები, მოკრძალებულებიც, ვინძლოვან ფარგლებს არ გადავცდეთო და არ შევრცხვეთო, არ დავიკარგოთო ამ სავანეში, უხერხულობაში არ ჩავვარდეთო და მარცხი არ მოგ-

ვივიდესო რამე, რამეთუ ვერა ხედავდნენ ბოლომდე ერთმანეთს, ვერ არჩევდნენ მკაფიოდ ერთურთის ნაკვთებს, ვერა ზომავდნენ საკუთარ ქმედებას, ვერ ცნობდნენ ბინდბუნდში მომხდურს, ვიდრე არ შეენყობოდნენ და შეეთვისებოდნენ, არ შეიგრძნობდნენ ერთმანეთს სრულად, ვიდრე არ ენდობოდნენ და არ მიიღებდნენ თავისიანად მას!. ამას კი დრო მიჰქონდა, დღეების კრთომა, ღათუ ცოცხლდებოდა და ფიცხდებოდა მათ ირგვლივ არემარე მოგუდული კუსკუსით და ამო შრიალით მერე...

გამორჩეული იყო გოგონების და ვაჟების ურთიერთობა და მიმართება ამ მხრივ, მათი ნაბიჯ-ნაბიჯ მისვლა ერთმანეთან, დაახლოება, ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება. ისინი მალევე ამჩნევდნენ ერთმანეთს, მალუ არჩევდნენ სხვებში, გზნობდნენ როგორდაც.. ბუნებრივად მიიღოვოდნენ ერთურთისაკენ, მიიზიდებოდნენ თავისთავად, მაგრამ ჩერდებოდნენ უცებ, ერთბამად, შედგებოდნენ მყისად, თითქოს ეშინიათო, რამე არ შეგვცდესო, წეს-წყობიდან არ ამოვვარდეთო, უშნოდ არ გამოვჩნდეთო ამ სანახებში, ხელად!. და ესე ნაკვეთ-ნაკვეთ, ესე თანდათან, ნელინელ, გოჯი-გოჯ უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, ელაციცებოდნენ ერთურთს: აქ ხელები შეხვდებოდნენ ერთმანეთს, გადაიკვეთებოდნენ მეყვასად და მყისვე ხლტებოდნენ გვერდით, განზე, ერთი აქნევით და გამალებით, შემინებულებივით, გაუკვალავში არ ნაგვილოსო გზნებამ; იქ სხეულები შეხვდებოდნენ ერთიმეორეს, შეეხებოდნენ უნებურად ერთურთს, გაუფრთხილებლობით და მოუქნელობით, მისით და ელდანაკარავებივით ეცლებოდნენ მაშინვე ერთმანეთს ქალი და ვაჟი, მყისად, მსწრაფლ შორდებოდნენ, შემცბარები და დაბნეულები, ალენილები და აფაკლულები, მთლად ანურულები და აცახცახებულები – გარნა ესე თბილები და საყვარლები და ნამდვილები...

უფრო რიხიანები იყვნენ საშუალო ასაკის უსინათლო დამსვენებლები, უფრო დაჯერებულები, მეტად მინდობილები საკუთარ თავს და შედარებით მშვიდები, აღჭურვილები უკვე გავლილი გზის ამბებით და თავგადასავლებით, იქ შექწილი გამოცდილებით და ძალმოსილებით, მრავალ ვითარებაში მოხვედრილები და ფონს გასულები – ცხოვრების მცოდნები... ისინი უფრო თავისუფლად იქცეოდნენ, დარწმუნებულად მოქმედებდნენ, მოძრაობდნენ, საუბრობდნენ, ლაპარაკობდნენ, ეცნაურებოდნენ უცხოს, ხვდებოდნენ მომხდურს, მოიკითხავდნენ ერთმანეთს, იკრიბებოდნენ ერთად, თამაშობდნენ, ურთიერთობდნენ, გარნა მათშიც იკითხებოდა მაინც ერთგვარი გაფაციცება, სიფრთხილე და დაკვირვებულობა, ნაბიჯის მოზომვა (უფრო, შეფარულად) და მინყივ მზად ყოფნა შეჩერებისთვის!.

ბევრად დამცხრალი და მშვიდები იყვნენ ხანძიმესულები. მათ მთელი ცხოვრება ჰქონდათ გამოვლილი უკვე.. ეს ბურუსით მოცული და ბუნდოვანი, ფათერაკების შემცველი ყოველ ნაბიჯზე ცხოვრება, უკვალობაში და უსინათლობაში რომ გამოატარეს და აქამდე მოიტანეს თან!. მათ ბევრი იცოდნენ ამ ცხოვრებაზე, მის ავ-კარგზე და ავან-ჩავანზე, მის ოინებზე და ხრიკებზე, ნასწავლი ჰქონდათ უკვე და გარკვეული თუ როგორ უნდა გაერჩიათ მისი ბინდიდან ამოსული და წინ მოგებული საგნები და არსებები, ადამიანები და ცხოველები, მანქანები და მექანიზმები, წარმოსახვები და რეალობები, როგორ განესხვავებინათ ისინი ერთმანეთისა-გან თავისთავად (როგორც ასეთები) და ტიპობრივად, დღის თეთრ ბურუსში თუ

მღვრიე ნისლში, საღამოს ლიბრში თუ ღამის ბინდში: ირიბი ნიშნებით, საზომებით, სხეულთა სიმკვრივით და აღნაგობით, მოხაზულობით და ფორმის კვეთით, გამოვლინებით და ხასიათით, მათი ქარგებით და ნაკვალევით!. ხანდაზმულების წუთისოფელი და მისი დაბინდული სივრცე-საყუდელი უკვე სავსე იყო ნაცნობი საგნებით და არსებებით, მომხდარი ამბებით და გარდახდომებით, ადამიანებით და მათი ჩვევებით და რაიმე ახლის გამოჩენა ამ სამკვიდროში აღარ იწვევდა მათ შეშფოთებას თუ შეწუხებას, ხანშიშესული უსინათლობის აფორიაქებას, მეტად-რე აქ, ციხისძირში, მის დასასვენებელ სახლში და ეზო-კარში – მათ სავანეში...

ხანშიშესული მამაკაცები ნაკლებ ხმიანობდნენ, ნაკლებად ისმოდნენ ჩვეულებრივ, თავისითვის იყვნენ უფრო შეყუულები, უბრალოდ ჩამოჯდებდნენ ხოლმე სადმე, მარტო ან ერთად, ორი-სამი, გვერდიგვერდ უფრო, მოიკითხავდნენ ერთმანეთს, თითო-ოროლა სიტყვას გადაუგდებდნენ ერთურთს, უპასუხებდნენ, თვალს მოავლებდნენ იქაურობას, ააყოლებდნენ მზერას და ბოლოს მაინც ამ ბინდიან სივრცეს შეაჩერდებოდნენ ისევ, მათ წინ, ყველა თავისას, თითქო ბოლომდე უნდათო იქ ჩაიხედონ, ბურუსის სიღრმეს ჩაყვნენ ძირამდე, გაზომონ მთელად, ყოველი მხარით, ყველა იპოვონ მასში დაფარული და გადანახული, გადამალული, ამოიკითხონ მათი წერილები ან გარდავლილი დღეები მოიხილონ კიდევ, ახლიდან, ისევ გაიარონ მათი სახმილები.. თან შეეხმიანებოდნენ ხოლმე დროდადრო ერთმანეთს, თითო-ოროლა სიტყვით, გზნობის შეუცვლელად და აგრძელებდნენ, ესე, იგივეს... ხანშიშესული ქალბატონები მეტად საუბრობდნენ ერთმანეთთან, მეტად ხმიანონდნენ, ლაპარაკობდნენ, უზიარებდნენ თავისას, სხვისას, ამბებს გაცვლიდნენ ერთურთში, მაგრამ როგორლაც სხვანაირად აკეთებდნენ ამას, განსხვავებულად, ვიდრე ეს ჩვეულ ხდება ასაკოვან ქალბატონებში.. მათ დაღარულ სახეებზე წვრილად ეწერა და იკითხებოდა თვალისჩინოკლებული ქალის მთელი ცხოვრება, მისი ხვეულები და ღვლარჭნილები, ესოდენ მსგავსი და საკუთარი ამასთან ძალიან, ყოველი მათგანის, განსაკუთრებული, წინ გადაშლილი ხელის-გულივით, ღათუ ისინი არ უყურებდნენ ლაპარაკის დროს სახეში ერთმანეთს, არ ეძიებდნენ ნათქვამის დასტურს ან გაგრძელებას იქ, რადგან ვერ არჩევდნენ მკაფიოდ ერთურთის ნაკვთებს, გამომეტყველებას და მის ცვლილებას, ვერ კითხულობდნენ სახეზე ნაწერს ასე გამოწვლილვით!. ხანშიშესული ქალები როგორლაც გვერდულად უჯდებოდნენ ერთმანეთს და სხვაგნით იყურებოდნენ, სადღაც, ვინძლო თავისთავმი, უფრო, გარნა გულისყურით უსმენდნენ მეორეს, მის ყოველ სიტყვას და ნათქვამს, ინტონაციას, ტონალობის სულ მცირედ შეცვლას, რიტმის გადასვლას და შეყოვნებას – ყოველ სულისმოთქმას, რომელსაც ბევრად უფრო ენდობოდნენ და მიყვებოდნენ, ვიდრე მხედველობას და მის ბჟუტურებს... საოცარი იყო მათი ამ დროს ყურება, მიყოლა მათი საუბრის, უნებურად რომ ჩერდებოდი და შესცექეროდი შეთედ შთენილი!..

– და ომარი ყველაფერ ამას ხატავდა, პალიკო, სულ გამოწვლილვით, წვრილად!! ის წერტილოვან ხატვას იყენებდა ამისთვის, უხაზოს, ქალალდზე, ტუშით.. წინასწარ ამუშავებდა ქალალდს თხელი ნუშისფერი საღებავით, საერთო ფენად ადებდა მას, ფონად და იქიდან ამოჰყავდა მერე ფიგურები და სხეულები, არსე-

ბები და სახეები, თითქმის ისევე, როგორც ჩნდებოდნენ ისინი თვალისჩინმოკლებულთა წინმხდომი ბინდიდან თანდათანობით! საოცარი იყო, პალიკო, ეს მსგავსება, ეს წარმოდგენა უსინათლოების და მათი სამყაროსი, ესეთი ზუსტი ასახვა იქაური რეალობის, თან უშუალო და თან იგავური, ყველაფრის ამხსნელი და ნათლის მომფენი, ადგილის მიმჩენი ყველასთვის, თავისის... მხედველობამოკლებული დამსვენებლები იყვნენ ამ გრაფიკული წახატების ამოსავალი ფიგურები, მათი საყრდენი სხეულები, რომელთა ირგვლივაც იშლებოდა და ტრიალებდა, იხსნებოდა ის თხელი ბინდი, უსინათლოების, სავსე საგნებით და არსებებით, ფორმებით და სახეებით, დიდ-პატარა ვარსკვლავთ ხომლებივით ჩახვეულები საკუთარ თავში, ჩაღუებულები, თანავარსკვლავედებივით მბრუნავი თავისი ცენტრების ირგვლივ: ზოგი შემკვრივებული და თან განფენილი მეტად, ზოგი შეკუმშული და მომცრო უფრო, ზოგიც მკრთალ ლაქებად გაბნეული აქეთ თუ იქით და გაშვებული ბინდის მღვიმეში, მათი სიმორე-სიახლოვის და ზომა-წონის მიხედვით, ყველანი ერთი საშენი მასალისაგან გამოკვეთილები და გამოყვანილები – ტუშის წერტილებით გამოჩენილები, შენივთებულები და შეწყობილები, გაცოცხლებულები და დამკვიდრებულები...

– ეს 1975 თუ 76 წელს ხდებოდა, პალიკო, აგვისტოს ბოლო და თითქმის მთელი სექტემბერი, სრული ერთი თვე. ომარის მამას დაქვეითებული მხედველობა ჰქონდა და საგზურების ალება შეეძლო უსინათლოთა საზოგადოებაში, მათ შორის ციხისძირის დასასვენებელი სახლისაც. ომარის უნდოდა იქ წასვლა და მთხოვა მივერთებოდი მას. ესე აღმოჩენდი ციხისძირში ომარისთან და ქეთინოსთან ერთად, უსინათლოთა სამყაროში და საუფლოში, მათ სამყოფელში და სამკვიდროში. ერთი თვე გავატარეთ იქ, სრულად, თვალისჩინმოკლებულთა საზოგადოებაში და მათთან ერთად.

– საგულისხმოდ იყო მოწყობილი ეს დასასვენებელი სახლი და მისი ეზო-კარი, პალიკო, არარა ჰქონდათ გამორჩენილი იქ: მდებარეობა; დამსვენებელთა შემადგენლობა და ხასიათი; მომსახურე პერსონალი, სრულად გარკვეული იქაურ ვითარებებში და გარემოებებში; გამართული ფუნქციონირება, მომარაგებით დაწყებული და უსინათლოთა დასვენების პირობებით გაგრძელებული; თავისუფალი განაწესი, მხოლოდ საერთო ჩარჩო-მოთხოვნებით შემოფარგლული, თვალისჩინმოკლებულ დამსვენებლებს რომ ბუნებრივად ეგრძნოთ თავი და ამავდროს უზრუნველყოფილი ყოფილიყო მათი უხიფათო ყოფნა ამ სავანეში...

– საგანგებოდ მოწყობილ ლაბორატორიას ჰგავდა, პალიკო, იქაურობა, როგორლაც თავისთავად ქმნილს და გამართულს მხედველობამოკლებულთა ცხოვრებისა და ყოფის მთელი სიგრძე-სიგანით დამზერისა და გახსნისათვის და მისი დღითიდელ მდინარების მიდევნებისთვის!. ზღვისპირა დასასვენებელ ზოლში, მის შუაგულში, მაგრამ გაცილებული „დასვენების“ თანმდევ სახსაითო ხმაურს და ქოთქოთს, განუწყვეტელ ფუთფუთს.. აქ საჭირო იყო მხოლოდ რაიმე შეშფოთება არ შეგეტანა უსინათლო დამსვენებელთა ბუნებითად ყოფნაში, არ დაგერღვია მათი ჩვეული ყოფა, არც განცალკევებულიყავი მათგან, გაუცხოვებულიყავი მათ

და არც მათ ყოფაში შესულიყავი ზომაზე მეტად შეიგნით. ჩვენ საკმაოდ „მოწიფულები“ ვიყავით უკვე ამგვარი ქცევისთვის და ვახერხებდით, რომ მათთან ერთად ვყოფილიყავით იმ გარემოში და თანავ გვერდით, ჩვენთვის და ჩვენსას. ნამდვილი ძლვენი იყო, პალიკო, იქ ყოფნა, მათთან ერთად, მათ სამყაროში, ის ერთი არაჩვეულებრივი თვე და ჟამი...

– მაგრამ მთავარი მაინც ომარის მუშაობა იყო, პალიკო, იქ, ციხისძირში: მისი ფორმა და ხასიათი, ზომა და ფარგლები. მე ადრეც მინახავს მისი მუშაობა „ახლო მანძილიდან“, მაგრამ ის მაინც სხვა იყო, უფრო ფრაგმენტული.. რამოდენიმეჯერ გავყევი ომარის ღამის თბილისს რომ ხატავდა, მაშინ, იმ პერიოდში, გავრკვეულიყავი მინდოდა უფრო ზუსტად და სრულად თუ რას ხატავდა იგი ამ დროს სინამდვილეში.. დროის ანაბეჭდებს, როგორც გამოვიდა (როგორც დავინახე), რომლებიც უზვად იყო დაფუნილი ჩვენს ძველ ქალაქში, მის ახვეულ-ჩახვეულ ქუჩებში: წარსული დროებებისაც და მიწყივ მიმდინარე და ცვლადი აწმყოსიც, თუნდაც ეხლასან დასრულებული დღის ფორიაქის!. ერთურთს შერთული და შეძახული, შეზავებული და შეთავსებული და გარჩევადი მთელი ღლის ხმაურის და მისი ქოთქოთის განელების და დალევის შემდეგ.. ის შუალამეს გადიოდა ხოლმე სახლიდან (ლერმონტოვის ქუჩის დასაწყისში ცხოვრობდა, იქვე, გუდიაშვილის მოედანთან ახლოს) და დილის ექვსი-შვიდი საათისთვის ბრუნდებოდა შინ... მაგრამ ციხისძირში ომარის მუშაობა კიდევ სხვა იყო, პალიკო!..

– წარმოიდგინე: ყოველი დღე, დილიდან გვიან ღამემდე და ესე მთელი თვე!.. მას ერთი დაფა ჰქონდა წამოლებული თან, რომელზეც წინასწარ მომზადებულ სახატავ ქალალდა ამაგრებდა ხოლმე დილით (მცირედ წახემსების შემდეგ), მოხერხებულად ჯდებოდა რამე ადგილას, ღამის მუხლებზე იდებდა დაფას, სხეულის შესატყვის, სადაც მდგომარებას იჭერდა და ირგებდა და მერე იწყებდა თვალისწინ მოკლებული დამსვენებლების და მათი წუთისოფლის ხატვას, გადმოცემას, პირდაპირ წატურიდან, მის თვალწინ მიმდინარე ცხოვრების სურათებიდან და ამბებიდან, არაფერს თხზავდა, არაფერს იგონებდა, მდგომარეობის შეუცვლელად, შეუსვენებლად, შეუჩერებლად 7-8 საათს მუშაობდა, პალიკო, მიყოლებით, გადაბმულად, შეუსვენებლივ!!.. თვალს შეავლებდა ბოლოს ნახატს, რომ დაასრულებდა, ერთ-ორ წამცვრევს დაუმატებდა მას აქა-იქ, გვერდზე გადადებდა და ჩერდებოლდა, რადგან გაშეშებული ჰქონდა სხეული მთელად ამდენი საათი ერთ მდგომარეობაში ყოფნით!. ვერ ინძრეოდა ერთხანს სულ, მერე იწყებდა მხოლოდ მოძრაობას, თანდათანობით და მოზომილად: გადაიზნიქებოდა იქითკენ, აქეთ, ოდნავ, მცირედით, მიტრიალდებოდა, მიტრიალდებოდა, ცოტას, შეიშმუშნებოდა, შეირხეოდა – ნელინელ შემოდიოდა დროის სახმილში, უკან, გარნა მხოლოდ ნაწილობრივ, ბოლომდე არ ელეოდა წინა მდგომარეობას...

– ვისადილებდით, პალიკო, მერე მოვისაუბრებდით მცირედ, ვიმუსაიფებდით, ისე, უბრალოდ, რაღაცებზე და ისევ უბრუნდებოდა ომარი ხატვას, უკვე სხვა ნახატის და სხვა ამბვის: მოხერხებულად ჯდებოდა სადმე სკამზე, დაფას იღებდა ისევ, ახალ ქალალდს ამაგრებდა მასზე, წინ იდებდა მას, თითქმის მუხლებზე, სა-

დაგ მდგომარეობას იჭერდა სხეულის, ახალს, ამ ნახატის შესატყვისს და შესაფერისს, და ისევ იწყებდა ხატვას, სრულიად თავისუფალი და გაშეშებული, შემდეგი 7-8 საათი, გადაბმულად და მიყოლებით.....

— ესე გავატარეთ ის ერთი თვე, პალიკო. სულ რამოდენიმეჯერ გავედით ციხისძირიდან (ბოტანიკურ ბაღში, ბათუმში...), მაგრამ ამას არ მიჰქონდა მთელი დღე და საღამოს ისევ მუშაობას ვუბრუნდებოდით: ომარი თავისას, მე ჩემსას, ქეთინო უსინათლოებს ეთვისებოდა.. ომარის ერთი ჭიქაც არ დაულევია ამ დროის მანძილზე, როგორც შევთანხმდით ციხისძირში წამოსვლის წინ – არ გაკარებია სასმელს! აღარც მე დამცდებია სიტყვა სასმელზე მთელი იქ ყოფნის განმავლობაში. ახლოდან ყურებამ ნათელი გახადა ჩემთვის, რომ ამგვარად მომუშავე კაცს უთუოდ დაჭირდებოდა დროდადრო რაიმე განსხვავებულზე გადასვლა, საპირისპიროზე, სხვა განცდების სივრცეში, სხვა სანახებში, მძაფრი ცხოვრების ტალღებში გადაშვება და მისი ყირამალების გაკეთება, რომ არ გადამწვარიყო და გამოფიტულიყო, არ დაფერფლილიყო ამ თავგადადებულ და თავდავინყებულ, უკანმოუხედავ შრომაში და მუშაობაში, და ომარიც ბუნებრივად ანაცვლებდა ერთს მეორეთი, რაც კრავდა კიდეც მისი ცხოვრების რიტმს და მდინარებას, გზას: მუშაობა – ყირამალები – ისევ მუშაობა... ასევე მოიქცა ის ციხისძირში დაყუდების შემდეგაც...

ანაკლია, ზღვას მიბჯენილი.. ენგურის ზღვასთან შესართავთან მარცხნივ გადასახვევით ნაპირის გასწვრივ გაჭრილი გზა იწყებოდა. ის საბჭოთა კავშირის სამხედრო ბაზასთან მიდიოდა ბოლოს. მანამდე, გადასახვევიდან 300-400 მეტრში პატარა დასასვენებელი ადგილი იყო მოკავებული, ზღვის პირთან, ღობით, მის ქვიშიან ნაპირზე: 10-12 ერთსართულიანი ფინური ხის ქოხი (“კოტეჯი”), ოთხი ოთახით და საკუთარი სათვესოებით ყოველი. აქ არ იყო საერთო მომსახურების სისტემა აწყობილი, მხოლოდ კვების მოდული იყო კიდევ ცალკე, რომელიც დამსვენებლების დაკვეთებს ლებულობდა ყოველდღე და შესაბამის კერძებს და სხვა საკვებ პროდუქტებს უმზადებდა მათ. ყველაფერ დანარჩენს თვითონ დამსვენებლები უყურებდნენ და აგვარებდნენ. ამ მხრივ, ეს სწორედ დასასვენებელი ადგილი იყო, საბაზო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფილი (აუცილებელი ინვენტარის ჩათვლით), მაგრამ არა უმეტეს. ის სამხედრო ბაზასთან იყო მიბმული როგორლაც, მაგრამ აქ საქართველოს სხვადასხვა კუთხებიდანაც ჩამოდიოდნენ დასასვენებლად, ვინც გებულობდა მის არსებობას – უფრო ოჯახები, ბავშვებით, ზაფხულობით.

აგვისტო; ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, ძალიან ზევით, მაღლა; ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე გაშლილი სივრცე; წყნარი ზღვა (აქ ტალღა შორს ტყდება და თანდათან ნელდება, გზადაგზა, ნაპირამდე სვლაში); ზაფხულის თენთი და სიზანტე, სასიამოვნო, ირგვლივ; ჯგუფური ხალისობა; ბავშვების ურიამული; არსად არ გეჩექარება... ომარიმ ერთი ბიჭი გამოარჩია მოთამაშე ბავშვებში, 9-10 წლის, მისი ფერწერული პორტრეტი რომ დაეხატა და უთხრა მას ამის შესახებ, სთხოვა

რომ საღამოობით საათი-საათნახევარი დაეთმო ამისთვის, იქვე, ზღვის ნაპირზე, ლია ცის ქვეშ, ყველას წინ, სადმე მოხერხებულად ჩამომჯდარს.. ბიჭი დათანხმდა და პირველი სეანსიც მაშინვე შედგა. ამან ძალიან გააოცა დანარჩენი ბავშვები, დააბნია.. იმან, რომ მათ თანატოლს, მათთან მოთამაშეს ჩვეულებრივად, ერთერთ მათგანს მხატვარი ხატავდა, ნამდვილი, მართლა, მათ თვალნინ, იქვე, ნაპირზე?! ერთად შექუჩულები და გაკვირვებულები, ისინი მოჯადოებულებივით უყურებდნენ ამ პროცესს, ამ გაუგონარ ამბავს, ამ თავგადასავალს!. ალაგ-ალაგ თუ წაიჩურჩულებდნენ ხოლმე, უწესრიგოდ და ყუჩდებოდნენ, ვიდრე არ დაუბრუნდებოდნენ თამაშს, ისიც რაღაცნაირად უნიათოდ, ფეხის ათრევით, უგერგილოდ, თვალი სულ აქეთ ეჭირათ მაინც...

ბიჭი კი იჯდა თავისთვის, წყნარად, არა ცქმუტავდა, არ წრიალებდა, უბრალოდ იყურებოდა სადღაც თავისას, არ წუხდებოდა აქ ყოფნით, თითქოს ესე იყოო საჭირო და ისიც აკეთებდა, რასაცა სთხოვდნენ. სეანსის შემდეგ ისევ თამაშს უბრუნდებოდა ბავშვებთან, მაგრამ ისევ რაღაცნაირად სხვანაირად: თან მათთან იყო, სრულად ჩართული თამაში, და თანაც სხვაგან, სადღაც – რეცა საჭირო იყო ბავშვებთან თამაში და ისიც თამაშობდა მათთან... ათი დღე გაგრძელდა ეს ყველაფერი, ყოველდღე მოქუჩვა და გაყუჩება და ტილოც გამოჩნდა, ბოლოს, ფერებით წერილი. ისევ ურიამული ატყდა და იქით-აქეთ სიარული ხალხის, მეტადრე ბავშვების.. ბიჭმაც ერთი შეავლო სურათს თვალი, საკუთარ პორტრეტს და ბავშვებს შეერია. ისევე წავიდა, როგორც მოვიდა, დაფის და ნაღარის გარეშე. ომარიმაც ესევე შეარქვა ამ ტილოს: „ტალღამ წაილო“.....



წინამძღვრიშვილის ქუჩიდან აღმაშენებლის გამზირზე რომ ჩადიხარ ბაქოს ქუჩით, თითქმის მისული გამზირზე, მარცხნივ, ზედ სკოლის წინ, **პატარა ეკლესია** დგას. ის ამ საუკუნეში აშენდა და ამოქმედდა, მის პირველ ათწლეულში, ამ საუკუნის პირმშოა.. ერთი ბენოა ეს ბაქოს ქუჩა, 150-200 მეტრი თავიდან ბოლომდე, სულ, არაფრით ლირშესანიშნავი და თვალშისაცემი, არაფრით გამორჩეული, ღა-თუ როგორლაც მყუდრო. არც ამ პატარა ეკლესის გახსნა გამხდარა აქ განსაკუთრებული ამბავი, მისი გაჩენა არ აღუნიშნავთ ზარზეიმით, საგანგებოდ, რამე ღონისძიების მოწყობით; არც ამ ქუჩის მკვიდრთა ცხოვრებას დატყობია დიდად მისი შემატება, უბრალოდ ერთი ესეთი ადგილი გაჩენდა ბაქოს ქუჩაზე, სადაც თავის შეყუჯება შეიძლება დროდადრო, სანთლის ანთება და პირჯვრის გადაწერა.

ეკლესის ამოქმედებას არ დაურღვევია ბაქოს ქუჩის ცხოვრების წყობა, მისი აუჩქარებელი რიტმი და მდორე მდინარება, მისი განრიგი. ის თავისთავად შეეწყო არსებულ გარემოს, როგორლაც თავისით, ბუნებრივად, შეეთვისა მას და ერთი წილი გახდა იქაურობის, ერთი ატრიბუტი მისი, რომელიც რეცა ისედაც უნდა შემატებოდა ამ ქუჩას, ადრე თუ გვიან, მის მოგუდულ მშვინვას, და ეს დროც მოვიდა... გარკვეულ უხერხულობას ის ქმნიდა მხოლოდ, რომ ეკლესია მეტად ახლო იდგა სკოლასთან, თითქმის მიბჯენილი მის ერთ მხარეს, გარნა საკუთარი ღობით და მის გასწვრივ გაშვებული ხეების მწკრივით, საკუთარი პატარა ეზოთი და სატრაპეზოთი, თავისი შიდა სივრცით ერთგვარ კუნძულად ქცეული ამ გარემოში!. ის არბილებდა იქაურობას, ამ არებარეს, ყველაფერს ირგვლივ, როგორლაც უკანმოხედულს ხდიდა ყველას ქცევას, ჩარჩოში მოქცეულს უნებურად.. აქ ნაკლებ ისმოდა მჭახე ხმები და ხაფი შეძახილები, უშვერი სიტყვები და უწმანურობა, როგორლაც უხერხული იყო ამ ეკლესის გვერდით, მის სიახლოვეს, მის მიდამოში უხამსად მოქცევა.. სკოლიდან გამოსული ბავშვების ურიამულიც კი მოთოვილი გახდა უფრო, არა ისეთი თავდავიწყებული და თავაწყვეტილი, გაკვეთილების დამთავრებას რომ მოყვება ხოლმე, ჩვეულებრივ!..

შიშველი იყო ეკლესის კედლები თავიდან, ორი-სამი ხატის ამარა, როცა გაიხსნა – კანკელზე, გვერდით.. საკმაო დროის შემდეგ დაიწყო მისი მოხატვა, ხატებით შემოსვა: ნელინელ, კვალიკვალ, ჯერი-ჯერობით, შუალედებით შორის – მისი მოქ-

მედების შეუფერხებლად, საეკლესიო მსახურების შეუჩერებლად!. დღესაც არ არის ეკლესია მოხატული სრულად, ერთი-ორი ნაკვეთი კიდევ არის მასში შეუვსებელი, შეუმოსელი, თუმც ეს არ არღვევს საერთო სურათს, მის შიდა სივრცეს, შიდა გარემოს, გამთლიანებულს და ამეტყველებულს კედლებსა და ჭერზე გამოსახული წმინდა ამბებით და სახეებით, გამოცხადებებით და განდობებით, ყოველი მხრიდან რომ გიყურებენ და გიცქერიან, რომ მოგყვებიან და გიყვებიან თავთავის ამბავს და გარდახდომილს, გარდავლილ გზაზე და განაწესშე და მათს ადგილზე ამ სამკ-ვიდროში... მაგრამ მიუხედავად ამ სისავსისა, ირგვლივ რომ გაკრავს, მოგჩერებია, ეკლესია არ არის დახუნდული ამ ხატოვნებით, გადატვირთული ამ სამოსელით, რადგან მათვან ნათელი მოდის რბილი ფერების, თბილი და მშვიდი, შესვლისთანავე რომ მოგეგებება, ზღურბლს რომ გადმოხვალ, გარს შემოგივლის და ზღურბლს უკან დაგატოვინებს ამ სოფლის ხმაურს და მის საზრუნავს, ცხოვრების სახმილს.. თან ეკლესის სიპატარავეს სულ ახლო მოაქვს მთელი ეს სინათლე და სათნოება, მისი არმური, ფრთილი შეხება, შენად რომა ხდის ირგვლივ ყველაფერს, ახლობელს, საცნოს, შემოგებურება ანაზდეულად და გაგაჩერებს, შენს თავთან დაგტოვებს, შენს სამშვინველთან, ერთად!. აქ შეიძლება უკვე დადუმდე, გაჩუმდე შინით, ზენარს მიაპყრო გონი და მზერა და შენი გული...

- ესეთი გხვდება, პალიკო, პატარა ეკლესია, როცა კი მიხვალ; ესევე ღებულობს იგი სხვებსაც, ყველას იქ მისულს – თბილად და მშვიდად. აქ შეგიძლია დაიყუშო ერთხანს, განევთო გარე ჩოჩქოლს და ხმაურს, გათავისუფლდე ფორიაქობისგან, გაჩუმდე (თუნდაც მცირე ხნით) და განმარტოვდე ამ მღვიმეში, შენთვის, სანთელი აანთო და ლოცვა აღავლინო, ზენით.. ამიტომ არის აქ ყველა თავისთვის გაბუდებული, ეკლესიაში, მიუხედავად მისი სიმცროვნობისა, სხვას არ ერევა, არავის ეჩრება, არავის ელის: ყველა თავისთვის იღწვის, თავის სანთელს ანთებს, თავისას ჩივის და თავისას ჩურჩულებს ლოცვას!. აქ ხელს არავინ უშლის, პალიკო, ერთმანეთს (ბევრნიც რომ იყვნენ), არ ფორიაქობენ, არ ფაციფუცობენ, არავის ექებენ და თითქმის არ ლაპარაკობენ ერთმანეთთან, არ იჩქარიან ერთურთის ცნობას, მხოლოდ სანთლის შეძენისას თუ წაილაპარაკებენ რამეს, ეტყვიან ერთმანეთს ერთიორ სიტყვას, ისიც ხმადაბლა და სვლას განაგრძობენ...

- 50-60 კაცი თუ მოთავსდება პატარა ეკლესიაში, პალიკო, სულ დიდი – ქადაგებაზე, ჩვეულებრივ. მიჯრითა დგანან ისინი ამ დროს, მეტად ახლო ერთმანეთთან, ვერ ინძრევიან თითქმის, მაგრამ არავინ უჩივის ამ სიმჭიდროვეს, არავინ გამოხატავს შენუხებულობას ამ სივიწროვით, სხვაგან რომ აუტანელი იქნებოდა მათთვის, მოუთმენელი, მიუღებელი! – რადგან აქ არიან შეკრებილები, ეკლესიაში, ამ საყუდელში და ცნობის ველში... ერთი ამდენი (და უფრო მეტი) გარეთ არის ხოლმე დარჩენილი კიდევ, იქიდან ისმენს მიმდინარე ქადაგებას და ქალების ან ვაჟების პატარა გუნდის გალობას: ისინიც წყნარად და მოდგინებით.

პატარა ეკლესის მრევლის ძირითად ნაწილს ბაქოს ქუჩის მაცხოვრებლები შეადგენენ. მათ ემატებიან „გამოლელები“, მნიშვნელოვანი რაოდენობის, გზად

რომ შეიცვლიან ხოლმე ეკლესიაში, სანთელს აანთებენ, ლოცვას იტყვიან, შეყოვნ-დებიან წუთით, ამოისუნთქებენ და მიბრუნდებიან უკან ცხოვრებაში, გარნა მოს-ვენებულები და დაიმედებულები!. ზოგი მათგანი პირდაპირ პირჯვარს იწერს, გვერდით რომ ჩაუვლის ეკლესიას, სვლას შეანელებს მხოლოდ და ისე, რაღაცას ჩაიჩურჩულებს, კიდევ.. საკმაოდ ბევრია ესეთი „გამვლელი“ ბაქოს ქუჩაზე, რად-გან ერთი მხრიდან მას აღმაშენებლის გამზირი ებჯინება, მიწყივ მშვინვარე და ქოთქოთა, ზემოთ კი წინამძღვრიშვილის ქუჩა ქმინავს, გადატენილი მანქანებით და მოძრაობით; ბაქოს ქუჩა აქ უბრალოდ გადასასვლელია წინამძღვრიშვილი-დან აღმაშენებლზე და პირიქით, რომელზეც სულ დადის ხალხი, აქედან იქით და იქიდან აქეთ, ორივე მხარეს; ამას კიდევ ემატება სკოლა, რომელშიც ყოველ-დღე მიჰყავთ და მოჰყავთ ბავშვები მშობლებს (შაბათ-კვირის გარდა), დილით და მწუხრისკენ.. და პატარა ეკლესიაც იქავე არის, იმავე გზაზე, იმავე მხარეს, სულყველას თვალწინ, გვერდს ვერ აუგლი, ყველასთვის მისაწვდომი და ყველა მიმსვლელის მიმღები...

ერთი უცნაურობა არის, მხოლოდ, ამ ეკლესიაში, ძნელად გასაგები და აღ-საქმელი: სამრეკლო არა აქვს მას... უფრო სწორად, მასაც აშენებდნენ ეკლესის აგების დროს, სამრეკლოს კედლებიც ამოუყვანიათ და შესასვლელიც გამოუკე-თიათ მასში, მაგრამ შეუჩერებიათ მერე ეს სამუშაოები, შეუწყვეტიათ სამრეკ-ლოს შენება რაღაც საფეხურზე, სახსრების სიმწირის გამო ალბათ, თუმცა კი დროებით თითქოს, რადგან იქვე იყო დატოვებული რაღაც საშენი მასალა, კიბე და ხელსაწყოები, რეცა მალე უნდა მობრუნდნენო და გააგრძელონო სამრეკლოს შენება!.. მაგრამ გავიდა წლები, უამი მასთან ერთად და ესევე დარჩა იქ ველაფე-რი, ეკლესიაში, იგივე ადგილზე, არა შეცვლილა, გაშეშდა თითქოს, დაკონსერვდა ეს მდგომარეობა, გაიყინა და მასთან ის განცდაც, რომ დღეს თუ არა ხვალ განა-ახლებენ სამუშაოებს და ბოლომდე მიიყვანენ დაწყებულ საქმეს, ფეხზე დააყენე-ბენ ბოლოს სამრეკლოს, მეტადრე რომ, ბევრი არცა რა არის აქ გასაკეთებელი, დარჩენილი.. ეს კი არ ხდება, არაფერი მსგავსი, ნაბიჯიც არ იდგმება ამ მიმარ-თულებით, უფრო პირიქით: ბოლო ორი-სამი წელია რაღაც საგნები გაჩნდა, სხვა (ძველი მილები, ნარჩენი ქვები...), სამრეკლოს ფარლალალა, ნახევრად ამოსულ ნაგებობაში და უნინ დატოვებულ საშენ მასალასა და ხელსაწყოებსაც დაეტყოთ დაძველება, შეყვითლება, დაედოთ მტვერი, რამაც უსარგებლო საგნების კარლია საწყობს დაამსგავსა ეს სამრეკლო და მისი მიდამო. ამ ვითარების შემობრუნებას პირი არ უჩანს და არც არავინ ჩანს რომ წუხდეს მაინც ამის თაობაზე...

უცნაური სურათი დადგა ამ წლების მანძილზე, გამოიკვეთა და შეიკრა ერ-თად: ერთი მხრივ ეკლესია, ეს ქრისტეს სახლი, ჩვეულ მოქმედი, უხმაუროდ და დღენიადაგ, როგორც ეკუთვნის; მეორეს მხრივ კი, იქვე, ათ მეტრში მისგან, შე-მოსასვლელში, ნახევრად ნაგები და გაუმართავი, ფეხზე ვერ დამდგარი სამრეკ-ლო, უპატრონო და მიგდებული, მიტოვებული სადღაც შარაზე, წინ რომ უნდა გხვდებოდეს ეკლესიაში შესვლამდე, ქრისტესთან შეხვედრამდე, როგორც იოანე ნათლისმცემელი, წყლით რომ ნათლავდა ხალხს და გზას უმზადებდა ქრისტეს,

მომავალს, წყლითვე რომ მონათლა თვითონ იქსო, იორდანეზე, საიდანაც დაადგა იგი ქადაგების გზას თვით გოლგოთამდე!! – ზარი არ რეკავს ამ სამრეკლოდან (რომელიც არის და თან არ არის იქ), არც დაუწყია, ხმას არვის აწვდის, ვერვის მოუხმობს, ვერვის ეძახის; აღარად ისმის ხმა ღალადების „უდაბნოს შინა“, იოანე ნათლისმცემელის უშრეტი ქადაგების და სოფლის სიმრუდის მწარე გაკიცხვის!.. გამოდის: აქ აღარ არის ადგილი იოანესთვის, მისი ქადაგებისთვის და სიმრუდის გაკიცხვისთვის, წუთისოფელში.. რამეთუ გამრუდდა უკვე სოფელი მთელად, თავიდან ბოლომდე, თხემიდან ტერფამდე, კიდიდან კიდემდე – ყველა ხაზით და ყველა წახნაგით, არცა რას ელის... გამოდის: უდაბნოდ იქცა თვითონ სოფელი, გათიოკაცებული და გაერთნაირებული, გაშვებული ნებად ადამიანეთი, გზას რომ ვერ გაიგნებ და ვერც რას იპოვი!. უმისამართო ხდება მასში ყველა ღალადი, უმიმართებო, არავის უძვირს, უბრალოდ ისმის სადღაც აირში, ღია სივრცეში, ვინძლო კიდევ მინვდეს ვინმეს ან რამეს ამ სანუტროში...

ეკლესიაში კი ზარი მაინც ისმის, თავისი ჯერობით და ხმოვანებით, მიღებული წესით და რიგით, მისი განრიგით.. გაუგებარი რჩებოდა მხოლოდ, საიდან მოდის ეს ხმა და მისი ქცევები, მისი ბერების გამტული ძახილი, რამეთუ თვით ეკლესიაში ზარი არ რეკავს და მეტად სათუოა სატრაპეზოდან მოდიოდეს ის, პატარა ეზოში კი მხოლოდ ეს ორი შენობაა მკვიდრად დამდგარი და გამართული, სხვა არაფერი.. ანდა, ვისი ღალადია ეს და ვის მოუხმობს, საით ეწევა, რისთვის ეძახის?. უპასუხოდ რჩებოდა ეს კითხვა დიდხანს, სანამ კითხვა-კითხვითვე არ გაირკვა ბოლოს, რომ ეზოდან მოდიოდა ზარის ეს ძახილი და მოწიდება, სადაც ის გაუტანიათ და დაუმაგრებიათ ერთერთ მყარადმდგარ ხეზე, მაგრამ სხვა მხარეს, უფრო სამხრეთით, პირდაპირ ღია ცის ქვეშ, შეუფარებლად, არაფრით გამიჯნული სხვა დანარჩენისგან ან გამოცალკავებული მათგან, ხელითაც რომ შეგიძლია შეეხო, უშუალოდ, უბრალოდ, ისე!. – იქიდან ისმის და იქიდან ღალადებს რაღაცას თავისას, რეცა თავისთვის... ისე გამოდის, რომ თვითონ ცხოვრება ღალადებს უკვე წუთისოფლის უდაბნოში და ცხოვრებავე ნათლავს დღეს ადამიანს, თავისი ჭავლით და მდინარებით, თავისი აღმადალმებით: ვინც ამას გაუძლებს და გზას გაივლის!..

– გესმის, პალიკო: პატარა ეკლესიაში შევდივარ, პირველად, პირჯვარს ვინერ, სანთელს ვანთებ, ვჩურჩულებ ჩემსას, სანთლებს ვყიდულობ სახლისთვის და გამოვდივარ იქიდან; მიმოვიხედავ ირგვლივ, თვალს შემოვავლებ იქაურობას, ამ პატარა ეზოს, სამრეკლოსაც ვიპოვი, ნახევრად აშენებულს, ნახევრად ნაგებს; უფრო ახლო მივდივარ სამრეკლოსთან, გარს შემოვუვლი, შევათვალიერებ – თითქოს შენების პროცესშია ისიც, მშენებლებიც იქვე უნდა იყვნენ სადმე, უბრალოდ გასულები თუ არიან რამეზე, რამე საქმეზე და მობრუნდებიან მალე!.. მერე ისევ მივდივარ, პალიკო, ეკლესიაში, რაღაც დროის შემდეგ: იგივე სურათი, იგივე ამბავი, იგივე გარემო, იგივე ნიშნები და უნებურად შედგები ერთ წამს, ერთ გაფიქრებას!. ოდნავ შეიძმუხნები და შენუხდები, შეიშმუშნები, იქ რომ არა ხდება არაფერი, არა შეცვლილა და არა დაძრულა ადგილიდან, სამრეკლოსთან.. მერე ეკლესის მოხატვა დაიწყო, პალიკო, მისი შემოსვა, ამოდ სანახი, გაგრძელდა ერ-

თხანს (შეყოვნებებით, შუალედებით...), მაგრამ მივიდა ბოლომდე და საკუთარი სახე მისცა პატარა ეკლესიას, საკუთარი იერი გაუჩინა მას.. იმედი გამიჩნდა ისევ, უნებურად, რომ სამრეკლოსაც მიუბრუნდებოდნენ ბოლოსდაბოლოს და მასაც მიხედავდნენ, მასაც წამოაყენებდნენ ფეხზე და ამართავდნენ – რომ იქიდან ჩამოკრავდა ზარი მომავალში, ყველას დასანახად და ჩვეულ სახეს მისცემდა საეკლესიო მსახურებას ამ პატარა ეკლესიაში... მაგრამ ეს არ მომხდარა, არა დაძრულა ისევ, ნიშანიც არ ყოფილა რაიმე მოქმედების ამ მიმართულებით, რაიმე მონდომების, რაიმე ძალისხმევის.. წლები კი მიდიოდა და მიდიოდა, შეუჩერებლად და დროც მუშაობდა, დაუზარებლად და დაუნანებლად, შეუსვენებლად და ცხადლივ აჩენდა სინამდვილეს, თანდათანობით: რომ ძელდებოდა სამრეკლოს საქმე, მისი ამბავი, ყავლი გასდიოდა; რომ მის მიხედვას არავინ ფიქრობდა, არავინ აპირებდა და არცთუ დააპირებდა, ვინძლო, მომავალში!..

– მთავარი მაინც საეკლესიო ზარი იყო, პალიკო, სამრეკლოს მოცილებული და ეზოში გატანილი, რაღაცა ხეზე მიმაგრებული იქ: როგორლაც გაუბრალოებული და დაპატარავებული, დამიწებული თითქოს, ცხოვრების ორომტრიალში გადაგდებული პირდაპირ, შეუმზადებლად, რომ ჩამოკრავენ როცა საჭიროა, როცა დრო მოდის და მიატოვებენ მერე იმავე ხეზე ეულად შთენილს.. ეს ზარიც ვნახე, პალიკო, ხეზე მიჭედებული, იქვე შორიახლოს, ღია ცის ქვეშ, ხელსაც რომ მიაწვდენ, რომ შეეხები.. ის საეკლესიო მსახურებას მიყვება უბრალოდ, მის ქადაგება-გალობას, მის რიტუალებს, ერთი ნაწილია ამ რიტუალების, ღაცლილი საკუთარ საკრალობას და შინაარსებს, როგორლაც გვერდიდან მოისმისის და არა ზემოდან, სამრეკლოში რომ ჩამოკრავენ და წრიულ ტალღებად გადმოეშვევება ამ სიმაღლოდან ყველაზე, ნებით, მთელად რომ შეაგვებს იმ არემარეს და კრძალვით აგავსებს შენც უნებურად!.. ეს უკვე რაღაცას ნიშანვდა, პალიკო, რაღაცას გეუბნებოდა და გაგებინებდა, რაღაცას გიხსნიდა, ეს არ იყო უბრალოდ მოვლენების თანახვდომა და გარემოებების დამთხვევა, სხვადასხვა ამბების შემთხვევითი თანაწყობა, აქ სხვადასხვა ნიშანმა მოიყარა თავი ერთ ადგილას, შეიკრიბა როგორლაც ერთად, ერთურთს მიემატა: პატარა ეკლესია; ნახევრად ამოყვანილი სამრეკლო; გარეთ გატანილი და ხეზე დამაგრებული ზარი; და მიუხედავად ყველა ამისა, წლების მანძილზე სათანადო წესით და რიგით მიმდინარე საეკლესიო მსახურება, თავისი მრევლით და მლოცველებით და მიმსვლელებით!..

– ეს ჩვენს დროებას ეხება როგორლაც, პალიკო, რაღაც დიდ ცვლილებას, მას თან რომ მოაქვს ან მოიტანა უკვე.. ცხოვრება გაიხსნა თითქოს მთლიანად, გააღონუთისოფლის დარაბები, მოხსნა მას კურტსაბმელები, არა დატოვა გაუმულავნებელი და გამოუთქმელი, გობით გადმოლვარა სოფლის ამბები ყველა მხრიდან და ყველა ღარიდან, ყველა კუთხიდან და კუნჭულიდან, გამოაჩინა მთელი მისი ზნე და ბუნება, დაუკეტლობა და ზღვარგადასულობა, ცოტნებათა ხორხოცი და თან სულყველას თვალწინ!! უკვე ყველამ ყველაფერი იცის, ყველა გაიგო, ყველაფერს ხედავს, სულყველა ესმის და ვერსად წაუხვალ ამ სინამდვილეს, ამ რეალობას, ვერ გაეცლები, ვერ გაერიდები: პირისპირ რჩები მასთან, მარტოკა, აქამდე მისულ ადამიანთან, საკუთარ თავსაც რომ ვეღარ უძლებს!!

– ძნელი დრო გვერგო, პალიკო, მეტად, ძნელად გასატანი და დასაძლევი, როცა ცხოვრება თვითონ მეტყველებს, თვითონ ღალადებს როგორც იოანე ნათლისმცემელი და უკვე „არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს, და არცა საიდუმლო, რომელი არა გამოცხადდეს“, მაგრამ ისიც უნდა გავლიოთ და გადავიაროთ, რადგან ეს არ არის გზის დასასრული – თუნდაც ხეებზე დაკიდული სამრეკლო ზარებით...

დეკემბრის სუსხიანი დილა, კვირადღე. არ ყინავს, მაგრამ წინა ორი დღის წვიმამ და თოვლჭყაპმა თავისი სისველე დატოვა ჰაერში, რომელიც ტანსაცმელშიც ატანს, თუმც არა იმდენად, რომ შეგამცივნოს ან შეგაურულოს, უბრალოდ გაფიცხებს ცოტას, მცირედად, რომ გეამება კიდეც. ბაქოს ქუჩა თითქმის ცარიელია, კანტი-კუნტად თუ შეგხვდება ვინმე, მავანი; ჰატარა მაღაზიაა მხოლოდ ღია, მარცხენა მხარეს, წინამძღვრიშვილის ქუჩას ოდნავ რომ ჩაყვები, აღმაშენებლისკენ, ქვემოთ, იქავე, ახლოს. შორიდან თანდათან ამოდის რაღაცა ხმები, ნელინელ, შრიალივით, ეკლესიის მხრიდან. იქ ლიტურგია მიდის ამ დროს, საკვირაო წირვა – ჯერ საქროთ ხმობა ისმის, შორი ხმაურივით, გაურკვეველი, მერე უფრო მკაფიოდ და გარჩევადი, რომ უახლოვდები. ყველაზე წინ მგალობელი ქალების ხმები მოისმოდა, ისინი უსწრებდნენ სხვებს, ერთმანეთს შეწყობილები და შემკვრივებულები, გამოკვეთილები, მაგრამ უფრო გამეტებული და აჩქარებული, ბევრად მეტად, ვიდრე ჩვეულებრივ, ვინძლო ულიმდამი და სუსხშეპარული დარის, ნაცრისფერში გახვეული გარემოს მოჟამული იერის თუ გაშვლებილი ხეების და გაშიშვლებული სახლების სევდიანი სახეების შემხედვარე, რომ მოდებია გარემოს ირგვლივ: „უფალო შეგვიწყალე, უფალო შეგვიწყალე, უფალო შე-გვი-წყა-ლეე“!! სწრაფად მიაყოლეს, თითქოს ჩქარობლენენო მგალობლები, ეშურებოდნენ, რომ დაუყოვნებლივ მიეწოდებინათ მათი ვედრება მართი მისამართით, რომ რაც შეიძლება მალე მიწვდენოდა მათი გალობა უფალს და შეესმინა იგი!. და ეს გალობა, ეს შევედრება სულ უფრო მჭახე ხდებოდა და ასხეპილი, სულ უფრო მეტად ძლიერდებოდა და გეხებოდა, რაც უფრო უახლოვდებოდი ეკლესიას და მისგან მომდინარე სიტყვებს და ხმობას, თან რომ მოგყვებოდა მერე ესევე დიდანს, ესევე მქისედ, მას რომ შორდებოდი, ჰატარა ეკლესიას, რომ ნელდებოდა თანდათანობით, ნაკვეს-ნაკვესად, შორი ბეგრადობით, გამეორებებით და რეფრენებით...

ერთი მგალობლის ხმა გამოირჩეოდა განსაკუთრებით (უფრო ახალგაზრდის) ამ გალობაში, გამეტებული და დაუზოგავი, ყველა კიდეს გაცდენილი, თითქმის კივილამდე რომ მიდიოდა თავის ხმობაში, თითქოს სიცარიელეს უღებდაონ ხახას და იქ ჩასძახოდა თავდაუინყებით და გამალებით: „უფალო შეგვიწყალე უფალო შეგვიწყალე უფალო შე-გვი-წყა-ლეე“!!! – რომ დაეძლია სკნელის სიღუე და უსახობა და გაეღწია მის იქით, გზაზე... როგორდაც ცალკე ისმოდა მისი ხმა, საზღვრებს გადასული, მიუხედავად მგალობელთა მთელი გუნდის ანგართულობისა და მათი გალობის ასხეპილობისა: ის მაინც ცალკე ისმოდა და ცალკე ზმნობდა, ცალკე ფიცხობდა, მათ ზემოთ კიდევ.. თავიდანვე გხვდებოდა მისი სიმქისე ყურში, გჩხვლეტდა თითქოსდა; მერე მკვეთრდებოდა მეტად და

მეტად, ეკლესიას რომ უახლოვდებოდი; გსუსხავდა სრულად, შეგაყენებდა, რომ გაუსწორდებოდი, ყურთან გასხლეტილი ტყვიის წივილივით, დროის წუილივით!. ვერ აღიქვამდი უცებ რა იყო, საიდან მოდიოდა ეს შეძახილი, რა იდგა მის უკან ან საით მიემართებოდა ესე აწყვეტილი!?. რამეთუ არ იყო ეს ჩვეულებრივი ჩივილი, რაიმეს აჯება, ცხოვრებით წუხილი, რადგან ის არ ჰგავდა უბრალოდ ვედრებას, დღითიდღე რომ აღავლენ საკუთარ ლოცვაში, საკუთარ დუმილში: მას მკაფიო მიმართება ჰქონდა და ზუსტი მისამართი...

ახალგაზრდა მგალობლის გამთოშავ ხმაში არ ისმოდა სასოწარკვეთა, დაკარგულობა ან გამოუვალი მდგომარეობით გამოწვეული უიმედობა და შეძრნუნება, მისგან არ მოდიოდა უმომავლობის გაცხადებიდან ამოსკვილი გულის ყვირილი, ის არა სცემდა განგამის ზარს და არ მოუწოდებდა ხალხს შეკრებისკენ და ერთად დადგომისკენ განსაცდელის წინ!. აქ ბევრად მეტი იყო, მეტი ისმოდა, ბევრად მძიმე და დამთრგუნველი, გულის მომწყვლავი, გაბრძოლების სურვილსაც რომ მოგიკლავდა სულ სათავეში!! – ის ცივი ცოდნის წინ გაყენებდა, დრომ რომ გამოკვეთა, რომელიც გამცნობდა და გეუბნებოდა შეუცდომელად და დაჯერებით, რომ: ამ ცხოვრებამ გზაკვალი დაკარგა წუთისოფელში და არც ექნება იგი მყობადში; ერთ ადგილს ტკეპნის იგი ხანია, ღათუ აღმასვლად ნათლავს ამას ყოველმხრივ; თამაშად იქცა ყველა ქმედება ამასობაში (საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის), რეცა შეჯიბრად საკუთარ თავთან (სინამდვილეში) და ამ აღტყინებით გულის მოხება, ადამიანის; შემთხვევითობაც კი ამოვარდა დღის წესრიგიდან, ვერაფერს მართავს, ვერაფერსა ცვლის, რამეთუ თანმიმდევრულად განისაზღვრება ყველა ნაბიჯი და მიმართება დღეს საწუთოში; სიცარიელე იპყრობს სამშვინველს მკვიდრად და ნებად, ყველაფრის მომცველი და მომწელებელი; კაცს აღარ ახსოვს (აღარც ანუხებს) საიდან მოდის, ვინ არის, რა მოაქვს, ან რა მოელის – გაუთავებელ აწმყოშია ჩაძირული სრულად და განელებული...

ახალგაზრდა მგალობელი პირდაპირ უფალს მიმართავდა, უშუალოდ, შუამავლების გარეშე, მათი გვერდის ავლით, უფალს მოუხმობდა ესე დაუზოგავად და გამეტებით, მისგან ითხოვდა წუთისოფლის უგზო-უკვლობიდან გამოყვანას და ცხოვრების უთავბოლობიდან და ღრჭიალიდან ადამიანის დახსნას – მხოლოდ მის იმედად შთენილი!. რადგან მარტოდ დარჩენილი ადამიანი ვეღარ აგნებდა გზას და თავად ცხოვრებაც მას ვერას შეველოდა თავისი დღითიდღე მდინარებით, მარტოდენ ცოდნას მატებდა, შეუჩერებლივ, თუ როგორ გაეძლო და ეტრიალა, როგორ ეარსება აწმყოთი მოფარგლულ წუთისოფელში... მგალობელი ამას ითხოვდა, ამას მოითხოვდა ხელაღებით და დაუინებით, რადგან მხოლოდ უფალს შეეძლო დამთობილი ცხოვრების გაცოცხლება და ადამიანის გადაყვანა ამ საყუდელში.....

– ესეთი იყო ეს ვედრება-ძახილი, პალიკო, სულისწამლები და გამთოშავი, ესეთი იყო შინაარსი, მის უკან რომ იკითხებოდა. მგალობელი შველას არ ითხოვდა, არც დახმარებას, არც მიტევებას, ის წუთისოფელში გაბლანდული და უმისამართო ცხოვრებაში ჩახვენილი ადამიანის გადარჩენას ითხოვდა უფლისგან,

თვით ღმერთის „ხატად და მსგავსად“ ქმნილი ადამიანის გამოხსნას სიცარიელი-დან, ვითომ-ცხოვრების სათამაშოდ რომ იყო ქცეული დღეს. მეტად ძნელი იყო ამ აჭრილ ყვირილთან შეხვედრა, პალიკო, მასთან შეჯახება ესე პირდაპირ, მეტად მტკივნეული, იძულებით დაფიქრება ესეთ საკითხებზე, გვერდს რომ უვლიდი, შენს საკუთარ თავზე, შენს ცხოვრებაზე, შენს მიმართებაზე ამ საწუთროში! უნებურად გეპარებოდა შიში: ძალიან ხომ არ დაგაგვიანდა ამაზე დაფიქრება, ძალიან შორს ხომ არ წაგილო დროის დინებამ თავისი გზებით, რამეს თუ აკეთებ დღეს შეგნებულად?.. ის კი აგრძელებდა თავის გალობა-ძახილს სულ ბოლო ხმაზე, თავის ცივ კივილს და ისევ და ისევ გაბრუნებდა უკან, დაუკითხავად მოსულ ფიქრებში, მათ ძიებებში, რომლებიც არა ქრებოდნენ თავისთავად, არ ჩერდებოდნენ, უბრალოდ ნელდებოდნენ თანდათანობით, ბაქოს ქუჩას და მის ეკლესიას რომ ცილდებოდი, მათი გადადება ხდებოდა მხოლოდ შემდგომი დროისთვის.

- უცნაური იყო თვითონ ამ ქალთა გუნდის გალობა, პალიკო, მისი აჩქარებული და გამეტებული, ზომას გადასულად განვრილებული ხმობის გაგონება, მქისედ რომ გხვდებოდა ყურში შორიდანვე, თითქოს გაგრაო რაღაცამ მეყვასად, რეცა მალე უნდათო მოათავონ გალობა და წავიდნენ თავისას, მითად ჩქარობენო, ვინძლო.. მაგრამ მიუხედავად ესეთი ამოვარდნილობისა საერთო წყობიდან, შეუსაბამობისა საეკლესიო მსახურების რიტუალობასთან, ბევრი მიზეზის მოძებნა შეიძლებოდა მგალობლების ამგვარი ქცევის ასახსნელად და გასაგებად, თუნდაც სუსხიანი დილის ხორკლიანი ფერის მოშველიება ამისთვის. სულ სხვა იყო, პალიკო, ახალგაზრდა მგალობლის ცას მიწვდენილი ხმა და აწყვეტილობა, უნებურად რომ გაჩერებდა და გამეშებდა ადგილზე!. მე შევხვედრივარ ადამიანის ნამდვილ წუხილს, ბოლომდე მისულს, ულმობელს და გულის მომწყვლავს, საშველი რომ აღარ არის და აღარც იქნება და მაინც რომ უნდა იცხოვრო, განაგრძო ყოფნა მოგებულ სოფელში: ისიც სხვა იყო, მაინც. ერთი ჩამებეჭდა მათ შორის მეტად..

- აღმაშენებელზე ჩამოვდიოდი ბაქოს ქუჩიდან, მის მეორე მხარეს, პალიკო, იქიდან კი აქეთ გადმოდიოდა ვინმე შუახნის ქალი, ჩემგან ირიბად.. სულ ღვარად მოსდიოდა ცრემლები სახეზე, ისე ტიროდა, გულამიმზჯდარი, სულ ღაპაღუპით, ღიად, ყველას წინ, უკანმოუხედავად, არავის ერიდებოდა, არავის ეცლებოდა, ესე ქვითინებდა, დაუფარად, გლოვობდა მოთქმით, თითქმის ღრიალებდა, გულამოსკვნილი, მაგრამ უსიტყვოდ, ისევ თავისთვის, ისევ თავისას... მისკენ გავინიე ინსტიქტურად, ხელის შეშველება მინდოდა, მოსალბუნება, მისი დაწყნარება, მაგრამ მალევე მივხვდი ამის უადგილობას და უსარგრძლობას, ისევე შევდექი, რადგან დიდი იყო განუზომლად ამ ქალის წუხილი და მისი მოთქმა.. სჩანს რაღაც მოხდა მის სამკვიდროში, რასაც ვეღარ მოაბრუნებდა სოფელი უკან, რამაც მოსწყვიდა მისი ცხოვრების გავლილი ნაწილი და წარსულის წყვდიადში გადაისროლა, დატოვა ისე, ხელცარიელი!.. საშინელი იყო, პალიკო, ამის ყურება და მოთმინება, უსუსურობის განცდა, რომ ვერას შველოდი საწყალ ქალბატონს, რომ ვერაფრით უმსუბუქებდი მას ესეთ წუხილს...

- მაგრამ კიდევ სხვა იყო, პალიკო, ახალგაზრდა მგალობლის უფალს აპურობილი მწველი ძახილი, ბოლო ხმით ვედრება, ბევრად დამთრგუნველი და შიშის

მომგერელი, რადგან ის არას ჩიოდა თავისას, არას თავისთვის, ადამიანს ესარჩებოდა ყველა ძარღვებით, ის ენანებოდა, უფსკრულისკენ რომ მიექანებოდა და იკარგებოდა ნაკვეთ-ნაკვეთად, ადამის მოდგმა, მის გადარჩენას ითხოვდა უფლისგან, ცხოვრების შეცვლას ამისთვის!. ეს ყველას გვეხებოდა, პალიკო, თითოს და ერთად, ვინც გაიგონებდა და გაიგებდა და შეყოვნდებოდა საკუთარ ცხოვრებაზე და მომავალზე ჩაფიქრებული, მის გაგრძელებაზე მერე.. ახალგაზრდა მგალობელი ყველას ექომაგებოდა, ყველას ესარჩებოდა, თავდაუზოგავად, ხმის ჩახლეჩამდე და გაწვრილებამდე...

— ამგვარ საეკლესიო გალობას მეტი არ შევხვედრივარ, არც მანამდე და არც მერე, არც ვინმეს უხსესნებია რაიმე მსგავსი – ის ცალკე იდგა, პალიკო, ყველაფორისაგან, ამ ქალთა გუნდის გალობა დეკემბრის სუსხიან დილას.. მეტადრე იმ ახალგაზრდა მგალობლის ვედრება-ძახილი იყო გონის ამჭრელი, გამოცხადებასავით და ესვე წავიდა სადღაც, შორეთში, ქართული „იყო და არა იყო რა“-სავით: რომ არსად არის, გარნა თან დაგყვება ძილში თუ ცხადში, მისტიურ საბურველში გახვეული და შენახული შენს სამშინველში. ნიშანივით იყო ისიც, პალიკო, ის გალობა-ძახილი, თუ გაიგებდი და აღიქვამდი, პასუხებს ელოდა ადამიანის: შენს ცხოვრებაში, შენს ქმედებაში.. დანარჩენი ყველაფერი ჩვეულებრივი რიგით აგრძელებდა სვლას (ანუ, ყოფნას), როგორც ეს იყო ჩვენი დროისთვის წინდასაზღვრული.

ადრე საღამოა, მარტის თვე, გაზაფხულის პირი, თუმც ზამთრის უნალექობა (ანუ გვალვა, ამ ზამთარს რომ არ მოცილდა თბილისს) კიდევ მოყვება ქალაქს და გაცოცხლების სურნელიც აქ არ იგრძნობა ჯერ, დათუ ტყემლის ხეებმა უკვე მოისხეს თეთრი ყვავილების საბურველი ჩვენს ეზოში, როგორც ყოველთვის. საღამოს მსახურებაა პატარა ეკლესიაში, თავისი ქადაგებით და ვაჟების გუნდის გალობით, ზარიც რეკავს საჭირო დროს და იქაურობას უვლის გრძელი ტალღებით: ყველაფერი წესის მიხედვით ხდება და მიღებულ ფარგლებში თავსდება, მიდის. ეკლესია სავსეა თავისი მრევლით, რომელიც ეზოსაც იკავებს ამ დროს; ზოგიერთს ბავშვიც თანა ჰყავს. ყველა წყნარად არის, არავინ ხმაურობს, არ ფაციფუცობს, ქადაგებას ისმენს, მას მიღევნებულ გალობას (რადიოდინამიკებიდან, იმავე ხეზე რომაა მიმაგრებული, ზარის ზემოთ), პირჯვარს იწერენ დროდადრო, არ ლაპარაკობენ, საეკლესიო მსახურების რიგმს მიყვებიან მშვიდად, გულდინ-ჯად, დაუნჯებულად, როგორც ჭირდება ამგვარ მოქმედებას და რამდენ ხან-საც მოითხოვს ის: ეს უკვე მათი კუთხილებაა, ეს ყველაფერი, მათი ცხოვრების ნაკვეთი, ნაწილი, საეკლესიო მსახურება და მისი რიტუალები, გათავისებული სრულად, მიუხედავად მათი ცალკეული შეუსაბამოებებისა და უცნაურობებისა, მიუხედავად იმისა, რომ ქადაგების სიტყვები ზემოდან ისმის, დინამიკებიდან და იქიდან იშლება განვრცობილად, ზარი კი მის ქვემოთ რეკავს და იქიდან უღერდება, მოგუდულად.. ძნელი სათქმელია, რამე თუ ღვივდება იქ, ამ ერთობაში, გარნა ფაქტია (ემპირიული), რომ პატარა ეკლესია ესე მუშაობს უკვე ხანია და რომ საეკლესიო მსახურების ესე წარმოებაც შესაძლებელია ამ ახალ დროში...



ვარსკვლავებით მოჭედილი ცა.. მთაში ის ისე ახლო მოდის, გეგონება, ცოტა კიდევ რომ აიწიო, ხელსაც მიადებ, თანავ შიში გეპარება ქვეშეცნეული, ტანში რომ გაგირბენს და სხეულშიც იგრძნობ: კიდევ უფრო ახლო რომ ჩამოვიდეს, მაშინ რას იზამ?. ხეობაში ის როგორდაც ალაგ-ალაგ ჩანს: ხან გამოხლტება ზე-მოთკენ, შორით, ხან მიეფარება მთის ფერდს თუ ხეებს; ხან გამოხლტება წინით, გვერდიდან და მალევე გასხლტება, შეეფარება რამეს – იალკიალივით, რომ ხედავ და ვერ ხედავ, შენაცვლებით.. ყველაზე სრულად ვარსკვლავცა ზღვაზე და ტრიალ მინდორზე ჩნდება, ზემოთ რომ იყურები და მთელ თაღს მოხილავ თავზე წამომდგარს ძალიან მაღლა, ქვემოთაც რომ ჩამოდის მიწის კიდემდე, მი-გარდმო, ირგვლივ... აქ ის დიადია, რიდის მომგვრელი, თავისი განვრცობით და განუზღვრელობით, თავისი სიღრმით, თვალს რომ ვერ მიაწვდენ ვერცერთი მხა-რით!. ალბათ უსასრულობის განცდა და ცნებაც აქედან მოდის, აქ იღებს სა-თავეს, აქ ცნაურდება მისი განფენის თვალუწვდენობიდან და მისი თავის და ბოლოს განუჭრეტელობიდან მომდინარე, გზა-კვალს რომ ვერ გააგნებ მის წი-აღებში!. მასში რომ იყურები და ისევ ვარსკვლავცას ხვდები, ისევ მას ხედავ ყველა მხარეს, ახლოს თუ სიღრმეში, ყველა მიმართულებით, გადავსეპულს და გადაჭედილს ცოლმილებით, ციური სხეულებით, უცნო ობიექტებით და ფიგურე-ბით, მტვერის და აირის უცნაური წარმონაქმნებით, ბნელი შორისებით და შავი ღრმულებით, ბნელი მორევებით (თვალს რომ ვერ გააღწევ), სივრცის შუილით და დროის სვლა-გეზით!.. ვინძლო მასთანვე არის გადაბმული უკვდავების იმე-დი და მოლოდინი, მისი წარმოსახვა, მისკენ მიმავალი გზების ძებნა და ძიება და მიმართება, სამყაროს უსაზღვრობით და დაუსრულებლობით დაიმედებული და გათამამებული, სულ რომ თავს დაგყურებს, დასაბამიდან და ესე მკვიდრი ჩანს და შენეული.. და ყველაზე მძიმე განცდა და შეგრძნება დღევანდელი ადამიანის იმასთან მიდის სწორედ, იმასთან არის დაკავშირებული და მიმართული, რომ ის სასრულო აღმოჩნდა, ვარსკვლავცა, სამყარო თავს წამომდგარი: სივრცეშიც, დროშიც, ოდენობაშიც, რაოდენობაშიც.. ესე იგი, სხვაგან უნდა ვეძიოთ უსარ-სრულობა უფრო.....

— უცილოდ, პალიკო, მომნუსხველია ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, მისი საწირი, გაბდლვიალებული და გადაჭიმული მთელ ცის კაბადონზე, ამოუწურავი თვალით და ჭვრეტით.. ყველაზე წინ (და უკეთ) მასზე მზით განათებული მთვარე და პლანეტები და ჩვენთან ახლოდ მყოფი ვარსკვლავები და თანავარსკვლავებები იმზირება; იმის იქით შედარებით დაცილებული და მით ნაკლებ მოციმციმე ცოორმილები კრთებიან; და კიდევ უფრო იქით ცარიელი შორისებივითაა არეები, რომლებშიც რომ იყურები დიდხანს და დაჩემებით, დაჟინებით, ოდნავ მბუტავი წერტილების სიმრავლეები გხვდება ციური სხეულების, ქულებივით შეწყობილი ერთმანეთზე, ბოლო რომ არ უჩანთ და ბინდ-ბუნდს ქმნიან გაუთავებელს და გაულეველს!.. აქ თავისით მოდის, პალიკო, უსასრულობის განცდა და გზნება, თავისთავადი და ბუნებრივი, გულს და გონებას რომ გიფორიაქებს და აღარ მოგასვენებს, თან რომ წაგილებს, არ შეგეშვება, არ დაგანებებს თავს, რამეთუ შენც მისი წილი ხარ, ამ სამყროსი, მისი ნაშიერი და მასში მოსული, მასში გაჩენილი... ...

— იოლი არ იქნება ამ სინამდვილის მიღება და გათავისება, პალიკო, ამ რეალობის, რომ სასრულოა ჩვენი სამყარო, ვარსკვლავცა, წუთისოფელი, ათასწლეულები და ათასწლეულები (და უფრო მეტიც) რომ შეპყურებდი კრძალვით და რიდით და მოლოდინით, რომ ის გაზიარებდა უსასრულობას, თვალუწვდენობას, დროით დაუსაზღვრავ ცხოვრებას, უკვდავებას – ადრე თუ გვიან.. მისგანვე ღებულობდი ძალას და ღონეს, ნიჭებს და უნარს და მოთმინებას გზა გაგეკვლია სოფლის ბრუალში და გაგენია ცხოვრების ჭაპანი ამ საწუთოობი!. ის კი სასრულო აღმოჩნდა, თვითონ, ვარსკვლავცა, სამყარო მთელი და ყველა მასში, შენი ცხოვრების ჩათვლით.. უკან მიბრუნება დაგჭირდეს, ვინძლო, დასაბამამდე (კაცობრიობის), რომ გაიცხადო გარდახდომილი, ახლიდან გაიარო მისი ბილიკები და გადასასვლელები და ყველა მონიშნო, პალიკო, მისით მოგებული და მოთხოვობილი, გამორჩენილი და გზად გაბნეული: ბოლომდე რომ გაერკე ამხდარ სინამდვილეში და მის სიმართლეში, ადამიანეთში და შენს ადგილში ამ წუთისოფელში... ...

ის კი ისევ იქ არის, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, ზვიადი და გოროზი, თვალუწვდენელი, უზარმაზარი, უშველებელი: ზომით, განფენით, შემადგენლობით, ელემენტების სიმრავლით და მრავალსახეობით, მრავალფერობით – ყველა საზომით.. ყველაზე ახლო ვარსკვლავიც კი (სხვა მზე), ალფა კენტავრი ოთხი სინათლის წელზე მეტი მანძილით არის დაშორებული ჩვენგან, ანუ სინათლეს (ყველაზე სწრაფ მსრბოლელს ჩვენს სამყაროში, რომელიც თითქმის სამასიათას კილომეტრს გადის ერთ წამში) ოთხ წელზე მეტი ჭირდება მისგან დედამინამდე მოსვლისთვის!. სხვა ცოორმილები და მათი კრებულები, მათი წარმონაქმნები და შორისები კიდევ უფრო შორს იმყოფებიან ჩვენგან, მნიშვნელოვნად: ზოგი ასეულობით სინათლის წლით, ზოგი ათასეულობით, ზოგი მილიონობით და ზოგიც მილიარდობით სინათლის წლებით, და წლები და წლები უწევს სინათლის სხივს გზაში ყოფნა, ვიდრე მოაღწევდეს ჩვენს პლანეტამდე და მოიტანდეს ცნობებს სხვა ციურ სხეულებზე, მათ ერთობებზე და წარმონაქმნებზე, იქაურ ამბებზე და ვითარებებზე, იქ მიმდინარე პროცესებზე და მოვლენებზე – იქაურობაზე... ...

ეს ყველას ეხება, ყველაფერს ამ სამყაროში, ყველასგან მოდის მისი წილი გზავნილი და უწყება (მათ რაობაზე და სახეობაზე, ზომა-წონაზე და მათ გზაკვალზე...), რაც ჩართულია მის უკიდეგანო ფერხულში და წუთისოფლის სულმოუთემელ და შეუჩერებელ ტრიალ-ბრიალში: ვარსკვლავ-ცოომილებს, ყველა ჯურის და ყველა სახის (ჯუჯა ვარსკვლავების ჩათვლით); მათ პლანეტარულ სისტემებს, თანამგზავრებით; ცოომილთა ხომლებს, თანავარსკვლავებებს; მათ გალაქტიკებად შეკრულ ერთობებს; გალაქტიკების ერთიან ჯგუფებს, კლასტერებს; ულ სხეულ-საგნებს, ობიექტებს, მარტიდ დამთობილთ კოსმიურ სივრცეში, ვინდლო ნარჩენებს მთელი სხეულების (ძველი დიდების), რომ დაბორიალობენ ამ უსაზღვრობაში უმისამართოდ და უთავბოლოდ, შემთხვევის გზნებით და მოლოდინით დაგეშილები; და ასე შემდეგ, და ამდაგვარად... მერე კი იმავე გზით და საშუალებით, იგივე სინათლეს მიაქვს ცნობები ჩვენს პლანეტაზე, დედამიწაზე მთელ სამყაროში, მის ყველა კუთხეს და ყველა მხარეს, მის ყველა კუნძულს და ყველა არქს, რომ სხვებსაც ამცნოს ჩვენს შესახებ, ჩვენი არსებობა, ჩვენი ამბავი და საწირი, ხმა მიაწვდინოს კიდევ სხვა სულდგმულს (თუ ვინმე არის) წუთისოფელში: ადამიანზე, მის გავლილ გზაზე, მის საცხოვრისზე ამ საწუთოში!..

– წარმოიდგინე, პალიკო, ჩვენი გალაქტიკა, „ირმის ნახტომი“, არც თუ ისეთი დიდი და უსაშველო კოსმიური წარმონაქმნი (100 ათასი სინათლის წელი გასწროვი სიგრძე), 200 მილიარდ ვარსკვლავს კრიბავს და ფარგლავს (დაახლოებით) თავის საზღვრებში და სამანებში, მათ პლანეტარულ სისტემებთან ერთად, ასტეროიდებით და სხვა ნარჩენებით!. კოსმიურ სივრცეში კი 200 მილიარდზე ბევრად მეტი გალაქტიკა (ვგონებ ტრილიონს სცდება უკვე მიგნებული), გაბნეული და გაშვებული ყველა მხარეს და მიმართულებით და ესეც, თავის მხრივ, მხოლოდ ნაწილია მთელი წუთისოფლის, ამ სამყაროსი – მისი ნაკვეთი ოდენ, ერთი.. ბუნებრივად ჩნდება მისდამი რიდი და მოწინება და მღელვარება ჩაუქრობელი, მთელად რომ გიპყრობს მასზე შემყურეს, მის წინ დარჩენილს მისსავ სხეულში!..

– და დააკვირდი, კიდევ, პალიკო, რა საოცარი ცნება და უცნაური სიდიდეა თვითონ ეს „სინათლის წელი“.. ერთი მხრივ, იგი მანძილებს ზომავს ციურ სხეულებს შორის, კოსმიურ კიდეგანეს და განფენილობას; მეორეს მხრივ კი ის დროს აღრიცხავს, კოსმიური მანძილების გასავლელად რომ ეხარჯება სინათლის სხივებს!. თანაც, გავლილ მანძილებს დროის ერთულებში ნიშნავს და ზომავს, შესაბამის დროის ულუფებს კი გავლილი გზების ზომებიდან განსაზღვრავს ბოლოს!. და ეს ყველაფერი ისევ სინათლესთან არის დაკავშირებული და გადაბმული, მასთან იკრიბება და იძენს მნიშვნელობას მხოლოდ!! სხვაგან ის არ მუშაობს, უაზრო ხდება, შინაარსს კარგავს, აქ ესე სავსეს.. მართლაც როგორ არის ერთმანეთთან გადანასკვული და გადაბმული სივრცე და დრო და დრო და სივრცე: როცა ეს სინათლეს ეხება და უსაზღვრობას...

ესე გამოდის, სინათლეს მოაქვს ყველა ცნობა წუთისოფელზე, მის აღნაგობაზე და განვრცობაზე, მის არსობაზე, ის უვლის სამყაროს და წვრილად ყვება

ყველაფერს მასზე, რაც რამ შეხვდება წინ: მის ყველა კუთხეზე და ყველა კუნ-ჭულზე, ყველა ალაგზე და სამკვიდრებელზე, ყველა სხეულზე და წარმონაქმნ-ზე – მის ყველა არეზე და ბინადარზე.. არაფერს ტოვებს აღუნუსხავს და აღუ-რიცხავს, ცნობების მომცემს და მომწოდებელს და გზების მომკვლევს, ყველას მონიშნავს; გამოწვლილვით კრიბავს მონაცემებს ყოველ მათგანზე, მათ ერთო-ბებზე და სიმრავლეზე (ასაკზე, ზომა-წონაზე, რაობაზე, სახეობაზე, ოდენობაზე, შედგენილობაზე, მდგომარეობაზე, მომავლისაკენ მიმართებაზე...), დაუზარელად და დაუყოვნებლად ავრცელებს ყველაფერს მიგნებულს და მოპოვებულს მთელ სამყაროში, მის ბინადრებში, რომ ყველამ გაიგოს ერთურთის ამბავი, ცნოს ერთ-მანეთი! და ესე ყოველნამ, ესე ყოველ უამ.. ამიტომ გვადგას თავზე ვარსკვლავცა, გაბდლვიალებული და გაჩირალდნებული, სავსე ციმციმით და ციაგებით, მთელი მისი სიგრძე-სიგანით და სიფართეთი; და მისით ცხადდება და დასტურდება, მი-სით მოწმდება ჭეშმარიტებაც, რომ: „ნათელი იგი ბეჭედსა შინა ჩანს, და ბეჭელი იგი მას ვერ ეწია“!..

ჩვენამდეც მოაქვს სინათლეს ყველა ცნობა და უწყება ცის კაბადონზე, მის ბი-ნადრებზე, დედამიწამდე, ესეთი რუდუნებით და მონდომებით მოკრებილი მთელ სამყაროში, ყველა ციური სხეულიდან და წარმონაქმნიდან: თავად რომ ასხივებენ და ამ ციმციმით აჩენენ თავს; ცთომილებიდან მონეული შუქით არიან განათე-ბული და მით მულავნდებიან, ჩნდებიან ცის თავანზე და სხვებსაც უწილადებენ მოგებულ სინათლეს; „შავი ხვრელებიდან“, სინათლის სხივებსაც რომ ნთქავენ და ყლაპავენ, ალარ აბრუნებენ უკან და მით აჩენენ თავის უზარმაზარ დაბჩენილ შავ ხახებს, გარშემორტყმულს ცეცხლოვანი დისკებით და მათი მობრიალე ალე-ბით – ცხელი მორევებით; უხილავი „ბეჭელი მატერიიდან“, ბადე-ჩარჩოებად რომ შემოწყობილა ვარსკვლავურ ხომლებს და გალაქტიკებს, რომელთა საზღვრებსაც იგივ სინათლე ავლენს (ბეჭელი ბორცვების ლანდებს), მათ როცა ხვდება, გვერდს რომ აუვლის და მის კვალად გაიმრუდებს გზას, თავისი სრბოლის ხაზს; (ცარიელი სივრცის უკიდეგანო სკნელიდან (“ბეჭელი ენერგიიდან”) და მისი უძირო უფსკრუ-ლებიდან, საიდანაც მხოლოდ გრძელი შუილი ისმის მშიერი ღმუილის, დროდად-რო, შორით... და ეს ყველაფერი გარჩევადია, დამზერადია ჩვენს ვარსკვლავცაზე, თუ გაუყევი და მიედევნე სინათლის ზარებს და მის ციაგებს მათ სწრაფობაში და გაუნელებლობაში!..

ესევე ხდება დედამიწასთან შეხებისას, მასთან მიმართებით.. სინათლე ისევე გამოწვლილვით და რუდუნებით აგროვებს ცნობებს და უწყებებს ჩვენს პლანეტა-ზე, მის რაობაზე და ასავალ-დასავალზე, როგორაც სხვაგან და უფრო წვრილა-დაც: ჩვენი პლანეტის გაჩენით და მასზე სიცოცხლის ჩასახვით დაწყებული, ადა-მიანის აღმოცენებით და დამკვიდრებით მოყოლებული, მისი წუთისოფლის მდი-ნარებაში ჩართვით გაგრძელებული და დედამიწური ცხოვრების აწმყო გაშლამდე და განფენამდე მოწეული!. მონაცემების ეს შეგროვება ჩვენს ცხოვრებაზე და მის გზაკვალზე, ჩვენს სახეობაზე და ავან-ჩავანზე სულ მიდიოდა და მიწყივ მიდის წუთისოფელში: შეუქრებლად, შეუსვენებლივ.. სულ იკრიბებოდა, ფასოვდებოდა, სინათლის ქულებში იფუთებოდა ყველა სადაგი ცნობა და მონაცემი დედამიწაზე და სინათლის სხივებითვე, მათი კონებით ეწოდებოდა მთელად სამყაროს, ვარსკ-

ვლავურ სივრცეს, ყოველთვის, ყოველჲამ: მის ყოველ კუთხეს და ყოველ მხარეს, ყველა სამკვიდროს და ყველა ალაგს, ყველა ციურ სხეულს და ციურ წარმონაქმნს – მის ყველა ბინადარს!..

გზავნილების გაცვლას ჰეგავს მონაცემების ეს მიმოქცევა დედამინასა და ვარსკვლავცას შორის, განუწყვეტელი მიწოდება ინფორმაციის ერთმანეთისთვის, ცნობა ერთურთის, წვრილად განერილი ცნობების და მონაცემების მიცემა საკუთარ თავზე და თავგასავალზე, გარდავლილ გზებზე და აწმყოს ქარგებზე: სინათლის სხივებით და მეშვეობით, მისი ტალღებით და სიტყვანყობით, მრუდე ხაზებით – მისი ქარაგმებით..

– საოცრად არის მოწყობილი სამყარო, პალიკო, როგორდაც შეკრული ერთად, განუზღვრელ ერთიანობად, მიუხედავად მისი მრავალსახეობისა და განვრცობილობისა, მიუხედავად მისი განუწყვეტელი ზრიალისა და ტრიალისა საწუთროში.. აյ სინათლეს ყოველ ციურ სხეულთან მიაქვს ცნობები სხვა ბინადრებზე, სხვა არსებებზე (მეზობლებზეც და შორით მყოფებზეც), სარწმუნო, სანდო და საიმედო და მისი მეშვეობით ყველამ ყველა იცის უკვე ერთმანეთის, ერთურთის გზაკვალის და მიმართებების, ყოველ შემთხვევაში, ეს მონაცემები ხელმისაწვდომია, არ იკარგება დროის კალთებში და მისი განახლებაც მიწყივად მიდის, განუწყვეტელად!.. ხილვადი ციური სხეულები თავად მეტყველებენ, უხილავებს კი სინათლე ავლენს მათთან შეხვედრისას და შეხებისას: ირიბად, გაკვრით..

– ამითავ არის ვარსკვლავცა ესე ახლობელი და შინაური ჩვენთვის, პალიკო, სულ რომ ხილვადია და არა გვცილდება, თავზე რომ დაგვურებს დღენიადაგ!.. მორიდება და პატივი გიჩნდება მისი უსაზღვრობის და სიღრმის შემყურეს, მოკრძალებული ხდები მისი თვალუწვდენობით მონუსხული, ურუანტელიც კი დაგივლის ხოლმე მას შეჩერებულს, მაგრამ არა შიში ან შეშფოთება, არა ფრთხობა მისი ძალის და გოროზობის, არამედ მადლიერება, უფრო, იმედიანობა, რეცა სიმშვიდეც, სულ შენთან რომ არი: რამეთუ მისი წილი ხარ, მასთან ზიარი ამ უსაზღვრობის და უძირობის, მიუხედავად იმისა, რომ ერთი წვეთი ხარ მის საუფლოში, მხოლოდ და მხოლოდ, ერთი ნამცეცი...

– და ჩვენზეც ყველამ ყველაფერი იცის, პალიკო, ამ სამყაროში, სულ დაწვრილებით, დედამინაზეც, ადამიანზეც და მის ყოფაზეც წუთისოფელში, რადგან სინათლე დღენიადაგ იღწვის და არავის ტოვებს სიბრუნეში და უცნობლობაში, სულყველას აცნობს ერთიმეორეს, ერთურთის ამბავს... ამ სინამდვილიდან გამომდინარე და ამ სიცხადიდან ამოსული გაუგებარი ხდება ესეთი თავგამოდება და მოწადინება ადამიანების, მათი ესეთი შეცადინეობა შეაკონიშონ რაღაც გზავნილები, „ფუქუ-ბარათები“ თუ უწყებები და კოსმიურ სივრცეში გაუშვან ისინი, ხმა რომ მიაწვდინონ მის ბინადრებს, სხვა გონიერ არსებებს, სხვა ცივილიზაციებს, ცნობა რომ მისცენ ჩვენს შესახებ, შეატყობინონ ჩვენი არსებობა, კაცობრიობის ჩამოყალიბება და მისი ცივილიზაციის აღმოცენება!..

– უცნაური ძალისხმევაა, პალიკო, უსარგებლო და უმისამართო, არას მომცემი, რადგან სინათლემ დიდი ხანია უკვე მიაწოდა ციურ სხეულებს ყველა ცნობა

და მონაცემი დედამიწაზე, მის მიერ გავლილ გზაზე, ბევრად სრული და ბევრად სავსე, ვიდრე ეს შეიძლება გაკეთდეს „ფუძე-ბარათებით“! თანავ სინათლე კვლავაც აგრძელებს თავის მოქმედებას, შეუსვენებლივ.. ამ გადასახედიდან და საწირიდან მომდინარე, ბევრად უფრო საგულისხმოდ და მნიშვნელოვნად სხვა საკითხის გარკვევა ისახება დღეს, სხვა კითხვა ჩნდება პასუხგასაცემი, საკმაოდ ძველი, მაგრამ ჯერაც უპასუხოდ დარჩენილი – დროდადრო ხმობილი „ფერმის პარადოქსი“: თუ დედამიწისგარე ცივილიზაციები არსებობენ, მაშინ „სად არიან ყველა ეს უცხოპლანეტელები?“ ...

– ესე ჩანს, პალიკო, ესე ყალიბდება, რომ მარტოკები ვართ წუთისოფელში, ერთადერთი ცივილიზაცია მის სამკვიდროში და საუფლოში, მისით გაშვებული ბედის ბრუნვაში.. ერთგვარი ობლობის განცდას იწვევს ეს ადამიანში, იმის გაცხადება, რომ ეულადა ვართ დარჩენილი ამ თვალუწვდენელ სამყაროში, ერთ ციცქანა წვეთად მოქცეული მის სამანებში!. ალბათ აქედან მოდის ესე გამეტებული ძებნა და ძიება სხვა გონიერი არსებების, სხვა ცივილიზაციების, „უცხოპლანეტელების“, მათი კვალის მაინც! გასაგებია... მაგრამ ეს ყველაფერი სულ სხვანაირადაც შეიძლება იყოს ნაკითხული და გაგებული, პალიკო, სულ სხვა შინაარსი შეიძლება ამოიკითხო მასში, თავითვე ჩადებული, ვინძლო: რომ ადამიანი სამყაროს კვანძია, მისი ქვაჯუთხედი და ამოსავალი, ნამდვილი სუბიექტი და მყობადის გამხსნელი!!.. ალბათ ამასაც ამბობდა იქსო, როცა გამნმარტავდა გაბრაზებული, რომ „შაბათი კაცისთვის დაებადა, და არათუ კაცი შაბათისათვის“ – სხვა დანარჩენიც, ყველა დანარჩენი.....

სამყაროს ყველა კუთხიდან მოდის დედამიწაზე ცოცხალი ცნობები იქ მიმდინარე პროცესებზე, ხდომილებებზე და მოვლენებზე, ყველა ციური სხეულიდან და წარმონაქმნიდან, მისი ყველა ობიექტიდან.. ყველაზე ადრე მზის სისტემის ფარგლებში მომხდარ ამბებზე და მოვლენებზე ვლებულობთ ცნობებს, შეტყობინებებს.. ისინი კარგ ფარდობაშია დედამიწური ცხოვრების რიტმებთან და მსვლელობასთან და საერთო დროისეულ ზოლში თავსდება, მთლიანობაში.. ცნობებს სხვა კოსმიურ სხეულებზე და იქ მიმდინარე პროცესებზე ბევრად გვიან ვლებულობთ (ჩვენი პლანეტიდან მათი დაშორებისდა მიხედვით): ზოგს წლების შემდეგ, ზოგს ასეულ-ათასეული წლის შემდეგ და ზოგსაც მილიონობით და მილიარდობით წელს ველოდებით... და ესე, თანდათან, ამ გზით და საშუალებით სულ უფრო შორს და შორს ვიხედებით კოსმიურ სივრცეში, სულ უფრო ღრმად ვიყურებით მასში, სულ უფრო ფართოდ მოვიხილავთ მის კიდეგანეს და სილომის სიშორეს, არაფერს ვტოვებთ მიუხედავს და განუჭრეტელს, გაუცხადებელს!. სულ პირველ გალაქტიკასაც მივწვდით უკვე, თითქმის ცამეტნახევარი მილიარდი სინათლის წლით რომ არის დაშორებული ჩვენგან, და იმის იქითაც კი გავაღწიეთ, შიგ ჩავიხედეთ, ლამის სამყაროს დაბადების წერტილამდე მივედით, მის სათავემდე, პირველი აფეთქებით (Bing Bang) ამოფრქვეული აირის მღვრიე ბოლქვები რომ დავინახეთ, მსუყე ღრუბლების ამოსვლა უცნო წიაღიდან, მათი სივრცული გაშლის დაწყება და დროის ჩართვა ამ ცხელ ლიობში!!.

არაჩვეულებრივია: ვარსკვლავცა გარჩევადსა ხდის ყველაფერს ამ სამყაროში, ცხადლივს, დამზერადს, მის ყველა მოვლენას და ხდომილებას, მის ყველა ამბავს, კოსმიური სივრცის ყველა მხარეში და განაკვეთში, მის ყველა არეში! აქვე რაც ხდება, დედამიწის სიახლოვეს, ჩვენი მზის სისტემის ფარგლებში და შემოგარენში; მისგან რამდენადმე მოშორებით, მიგარდომ მიმოპენტილ თანავარ-სკვლავედებში; კიდევ უფრო იქით, სამყაროს შიგნით, მის სიღრმეებში და მრუმე კავებში; და სულ ბოლოშიც (თუ სათავეში), კოსმოსის საზღვარზე, წუთისოფლის კიდეში... და ამავედროს, ამასთან ერთად, ეს ყველაფერი დროშიც იშლება და ნაწილდება, იქაც ლაგდება თავისი ჯერით, უამთასვლის სარტყლების განრიგებით: მათგან ყველაზე ახლო დროითი ტალღა აწმყოზე გვამცნობს, მზის სისტემის ამბებს მიგვადევნებს; შემდეგი ტალღა არცთუ დიდი ხნის წინანდელ მოვლენებს გვიჩვენებს, აგვიწერს წლების წინ რაც ხდებოდა ჩვენს ახლო გარემოში, თანავარ-სკვლავედებში; ამის იქით უკვე ათასწლეულების შერები იხსნება, იმ დროს მიმდინარე მოვლენები წუთისოფელში; და ესე ჟამი-ჟამ სულ უფრო შორით ჩავდივართ დროის ხვეულებში (გარდასულს ვკითხულობთ მის გრაგნილებში და ეტრატებში), თითქმის ძირამდე, დასაწყისამდე ქვე-ყანის!. აქ თვალით ვეხებით, თითქმის, უშუალოდ, დასაბამს სოფლის...

დედამიწასთან მიმართებითაც ესევე იხსნება დრო-სივრცის ქარგა – მისგან დაშორება-სიახლოვის ხასიათით და ფორმით: მზის სისტემის ფარგლებში ის აწმყოში მიმდინარე მოვლენებით ცხადდება და ცნაურდება, ჩვენი პლანეტა; მზის სისტემის გარეთ, სისტემის ახლო შემოგარენში დედამიწა უკვე წლების წინანდელი სახეებით ნარმოდგება; უფრო შორს მყოფი კოსმიური ბინადრები ათასეული და მილიონი წლების წინანდელ დედამიწას უმზერენ და უყურებენ, მასში იმ დროს მიმდინარე ამბებს მიყვებიან ნებით; იმის კიდევ იქით ჩვენი პლანეტის ფორმირების პროცესები ხდება გარჩევადი მხოლოდ, მზის სისტემის ჩამოყალიბების პროცესის ზოლში; და კიდევ უფრო იქით, კიდევ უფრო შორ კოსმიურ მხარეებში დედამიწა აღარ იმზირება საერთოდ, არ ჩანს საწილებში დღეს, რადგან სინათლეს ჯერ არ მიუტანია იქამდე ცნობა და უწყება ესეთი პლანეტის გაჩენის და მასზე ცხოვრების გაღვივების და განვითარების შესახებ!..

უცნაურია და ძნელად გასათავისებელი იმის აღქმა და გაგება და გაცხადება, რომ სამყაროს მნიშვნელოვან ნაწილში ჩვენ ვერა გვხედავენ, ვერად აღვიტვავენ დღესაც და მეტად ძნელია იმის მიღება და მძიმეა იმის განცდა, რომ კოსმიური სივრცის შორ არებში არა იციან დედამიწისა და ადამიანეთის შესახებ, რომ მათთვის ჩვენ არც კი ვარსებობთ საერთოდ, არ გავჩენილვართ წუთისოფელში, არ ვისახებით ჯერ სადმე, რამედ.. ჩვენს წინაშე კი ხელისგულივითა გადაშლილი მთელი სამყარო, მთელი მისი არე და მარე, სიგრძე-სიგანე, რომლის ნებისმიერ მხარეს შეიძლება გოჯი-გოჯ ჩავყვეთ, ძირის-ძირამდე ჩავიდეთ, თვით ამ სამყაროს დასაბამსაც კი შეგვიძლია მივაპყროთ მზერა, თავად დაბადებას ჩავხედოთ წუთისოფლის, მის მოვლინებას!. ამ გადმოსახედიდან, როგორლაც განსხვავებული გამოდის დედამიწისა და ვარსკვლავცის თვალსაწიერები, ასიმეტრიული: ჩვენ შეგვიძლია მთელი კოსმოსი მოვისილოთ, კიდით-კიდემდე, თვალუწვდენელი; შორეული ციური სხეულების ბინადრებისთვის კი დედამიწა ჯერ არც გაჩენილა,

არ შენივთებულა, არ შემკვრივებულა ციურ სხეულად – არ გადმოსულა ბნელი სკნელიდან ხილვად მხარეში, წუთის სოფელში და სამყოფელში... ...

– მართლაც არაჩვეულებრივია, პალიკო, აქ რომ არაფერი იკარგება, სამყაროში და ეს ვარსკვლავცა რომ გარჩევადსა და დამზერადსა ხდის ამას ყველაფერს, ყველას რაც ხდება თუ მოხდა უკვე წუთისოფელში დასაბამიდან და დღესამომდე, რომ ეს ყველაფერი ალბეჭდილია ცის კაბადონზე, შემკვიდრებულია მის დიდ ხალიჩას და მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენების და ხდომილებების უმეტესობამ უკვე ჩაიარა და გალია უამი, რომ მათში მონაწილე ბევრი ციური სხეული აღარც არსებობს დღეს სამყაროში, ყველა მათგანი ისევ ხილვადია და დამზერადი და ისევ გვიყვება თავთავის ამპავს და თავგადასავლს: წუთისოფლის გაშლას კოსმიურ სივრცეში და მის სახეცვლას დროით მწერივებში – ყველას მიმართებას მერმისისაკენ, მომავლისაკენ, მყობადისაკენ, რომელიც გარდაუვალად და უცილოდ მოდის!. და ეს ყველაფერი სულ ახლოს არის, პალიკო, ზემორე, ვარსკვლავცაზე ალბეჭდილი, თავს რომ დაგვყურებს დღენიადაგ, ხელმისაწვდომი როგორც საერთო მოხილვისთვის, ისე მისი ცალკე არეების და მხარეების უფრო გულდასმით გამორჩევისთვის და ჩაძიებისთვის, მათ ხეელებში და გრაგნილებში ჩაკირკიტებისთვის და მათ ამბებში და თავგადასავლებში გარკვევისთვის...

– ეს საოცარია, პალიკო, სინათლე რომ ყველაფერს ალბეჭდავს თავის ხვიებში, თავის სხივებში და სხივთა კონებში, მათ მრუდე ფორმებში და ქარაგმებში, ყველას რაც ხდება წუთისოფელში, უბრალოდ დრო ჭირდება კოსმიური მანძილების გავლას და მოკრებილი ცნობების მიტანას ყველა ციურ სხეულამდე და ობიექტამდე, ყველა არსებულ მისამართამდე, გარნა ეს პროცესი წამითაც არ წყდება, არა ჩერდება და (ამ თუ იმ გზით) ყველა ლებულობს თავის ნაკრებს მონაცემების და წარმოდგენების სამყაროს შინა ამბებზე და მოვლენებზე, რომლებიც საერთო ჩარჩოს ქმნიან ყოველი ციური სხეულის თუ წარმონაქმნის არსებობისა და ცხოველყოფისთვის.. უნინარესად ცნობები მათი ახლო შემოგარენიდან მოდის, მერე უფრო დაშორებული არეებიდან, მერე კიდევ უფრო შორი შრეებიდან და სილმერებიდან, სარტყელებიდან და წრეებიდან, ცნობები ბობოქარ კოსმიურ ცხოვრებაზე, იქ მიმდინარე პროცესებზე და ხდომილებებზე: თუნდაც ვარსკვლავების ერთმანეთთან შეჯახება-შეერთება რად ღირს, პალიკო, და მითუმეტეს, შავი ხვრელების შერწყმა-შეერთება ერთ მთელად, ერთ დიდ შავ ხვრელად!!!.. ამ თვალთახედვით, რა თქმა უნდა, სევდიანია და გულდასასწყვეტი, სამყაროს დიდ ნაწილში რომ არა სმენიათ, რომ არა იციან ჩვენს პლანეტაზე და თვითონ ჩვენზე, ადამიანებზე, მაგრამ ეს ბუნებრივიცაა, რამეთუ დედამიწა სულ ოთხნახევარი მილიარდი წლისაა დღეისთვის (მზეც კი 5 მილიარდ წელს ითვლის ოდენ), წუთისოფლის ასაკი კი თითქმის 14 მილიარდი წელია უკვე და იგი შესაბამისადვე არის გაშლილი და განფენილი კოსმიურ სივრცეში... თან, მეორეს მხრივ, აქ მოვლენების მიმზიდველი განვითარება ისახება სამომავლოდ, რადგან გარკვეული დროის შემდეგ ადამიანი დაძლევს კოსმიურ მანძილებს და შეძლებს გარედან, ძალიან შორი არეებიდანაც შეხედოს თავის საცხოვრისს, საკუთარ პლანეტას და ჩაიხედოს მის წიაღებში და შორ შრეებში!.

- წარმოიდგინე, პალიკო, შესაძლებელი იქნება გარედან შეხედო დედამინას, კოსმიური სივრცეებიდან და სიშორიდან მოიხილო შენი საცხოვრისი, არა მისი კომპიუტერული წარმოსახვები და სიმულაციები (შესაბამისად მოხატული და მოკალმული), არამედ უშუალოდ, პირდაპირ, ცინცხლად იხილო იგი, სინათლის სხივებით და სხივთა კონებით განათებული და გამოჩენილი, ამოყვანილი ხილვად სამყაროში, მასში მიმდინარე პროცესების და მოვლენების, გარდაქმნების და გარდასახვების თვალის მიღევნებით და მიყოლებით, მისი ცხოველმყოფელობის გაღვივება-განვითარებაზე დაკვირვებით: პლანეტის ფორმირებიდან დაწყებული და ვიდრე აწმყომდე, დღევანდელ დღემდე მოსული, ისეთის, როგორიც არის დედამინა თავისთავად და ბუნებრივად, როგორიც იყო იგი გარდასულ დროებში, სხვადასხვა ჟამსა და სხვადასხვა ხანს, მისი ევოლუციის სხვადასხა საფეხურზე და სტადიაზე, როგორცა ვხედავთ ყველაფერ დანარჩენს ამ ქვე-ყანაში, სინათლის ძალით და შემწეობით და მეშვეობით გამორჩეულებს მის სანახებში!..

- არაჩვეულებრივია, მართლაც, პალიკო, რომ არსებობს ესეთი შესაძლებლობა, ესე რომ არის მოწყობილი წუთისოფელი, მთელი სამყარო, მისი ვარსკვლავცა, რომ არა იყარგება მის საწიერზე, მასში მომხდარი, რომ ყველა ინახება სინათლის ხვიებში და სორსალებში, სხივთა კონებში, მის გრაგნილებში, რომ მიუხედავად სოფლის განუწყვეტელი ტრიალ-ბზრიალისა და კოსმიური ვნებების დაუოკებელი ხორხოცისა და დაუცხრომლობისა (წალეკვას რომ უქადის ყველაფერს ირგვლივ), აქ არა ქრება, არ იყარგება!! არა იფარება და არა იფარცხება.. რომ ყველა შეიძლება ნახო და იხილო ცხადად, პირდაპირ, ლამის შეეხო, რომ შეიძლება სუნთქვა იგრძნო სხვა დროებების, სხვა ჟამთასვლების, მათი სურნელი იგზნო და მღელვარება, ალმური გარდასული „ხანების“...

- დროში მოგზაურობას ემსგავსება ეს მოქმედება, ეს ძალისხმევა, პალიკო, ოღონდ სივრცეში გადაადგილებაა სინამდვილეში ის, დროის და სივრცის ერთ-მანეთთან გადანასკვულობით და გადაბმულობით გამოწვეული და გაშვებული.. დედამინას რომ ცილდები თანდათან, სულ უფრო მეტად და მეტად და მისი წარსულის სურათებიც რომ არ აყოვნებენ და იქვე იწყებენ გაშლას თავისი ჯერით და რიგით და მიმდევრობით, თვალწინ გიცოცხლებენ გარდასულ ამბებს და ხდომილებებს, პლანეტის მიერ გაღეულ გზას და თავგადასავალს – ცხადლივ, თვალ-ნათლივ.. თან ამ წარსულში შენ არ ერევი, პალიკო, არანაირად და ვერც ჩაერევი, რადგან ათასეული და მილიონი სინათლის წლებით და მეტადა ხარ დაშორებული ამ დროს დედამინას და უბრალოდ ფიზიკურადაც ვერ შეეხები მას, რომც მოინდომო, ვერ ჩაერევი მის იმუამინდელ ყოფაში, ვერ ხელყოფ უკვე მომხდარს და დროში გარდავლილს!.. აქ უკვე ყველაფერი დალაგებულია თავისი წესით და რიგით, თავისი განრიგით: ყველა გარდახდომილს აწმყო ამტკიცებს და ადასტურებს (იმუამინდელი) და მით ამკვიდრებს წუთისოფელში; თან ამავედროს, ყველა მომხდარი სინათლის კონებში აღიბეჭდება და იწერება მის ხვეულებში, რომ გარდასული ამბების სიმართლე არ დაიხაფროს, არ დაიხაფროს ცხოვრების ტევრში და ჟამთა სიშორეში, რომ არ დაიფაროს წარსულის გზება და აღტყინება (ავი თუ კარგი), აწმყოს მშობელი!. დროზე ზემოქმედება კი მხოლოდ აქ შეიძლება, პალიკო, ამხდარ აწმყოში და მის ჩარჩოში, მასში მოქმედებით, რამეთუ მისით იწყება

შემდეგი მყობადი, შემდეგი მერმისი, რომელშიც მოუწევთ ცხოვრების გატანა და გაგრძელება ჩვენს შთამომავლებს...

- განსაცვიფრებელია ეს წყობილება, პალიკო, ყველაფერი რომ ერთმანეთზეა გადაბმული და გადაჯაჭვული, დამოკიდებული, ერთმანეთის გამგრძელებელი, ყველანი ერთად რომ მოვიყვანა დღევანდელ დღემდე, ამ ვარსკვლავცამდე, მირიადი ცთომილით და ციური სხეულით, მილიარდი სინათლის წლებით და უამთა დინებით, უთვალავი კოსმიური გზებით და ბილიკებით, როგორდაც შეკრული ერთ მთლიანობად, ერთიან სამყაროდ და წუთისოფლად, ჩვენს სამკვიდრებლად!!.

ესე გამოდის, სამყაროს მატიანეა ვარსკვლავცა.. წვრილად განერილი და ოლბეჭდილი ისტორია მისი დაბადების, დროში გამლის და სივრცეში განვენის – წუთისოფლის უამთა აღწერის.. და ეს ყველაფერი გარჩევადია და დამზერადი ჩვენს ვარსკვლავცაზე, რომლის ნებისმიერი მიმართულებით გადევნება და ჩაიძება დროის მდინარების ერთ წყებას გახსნის ერთმანეთთან გადაბმული ამბების, მოვლენების და ხდომილებების, მასში მონაწილე კოსმიური ძალების და ობიექტების, მექანიზმების და საშუალებების, პირობების და ვითარებების, გარემოსი, რომელშიც ისინი ჩნდებოდნენ, ვითარდებოდნენ და ღონეს იკრებდნენ, ხდებოდნენ ძალმოსილები, ამ პროცესების განმსაზღვრელი ფაქტორების და გარემოებების, მათი ზემოქმედებების და ახდენების – კოსმიური ეკოლუციის!.. მთელი სამყაროს მოხილვაც შეიძლება იგივე გზით და იგივე ხაზებით, თუ მისი საერთო სხეულოვანი კუთხის გაშლას გაყვები, საწყისი წერტილიდან, დასაბამიდან, პირველი აფეთქების გამოკვეთით მის წვეროში..

ესეთი არის დღევანდელი რეალობა.. ვარსკვლავცის დამზერის თანამედროვე საშუალებები (სხვადასხვა ტიპის და სახეობის, სხვადასხვა გადაწყვეტის უნარის და გარჩევადობის მქონე ტელესკოპები, მოპენტილი დედამიწაზე და დაყენებული კოსმოსურ ხომალდებზე) და მიღებული მონაცემების დამუშავების თანამდეროვე კომპიუტერული სისტემები შესაძლებლობას იძლევა სულ უბან-უბან ჩაყვე მთელ კოსმიურ სივრცეს, მკვიდრად ჩაიხდო მის სახიერებაში, ცალკე გამოყო მისი ნებისმიერი არე, ლოკალობა (დიდი თუ პატარა) და გაარკვიო ყველა, რაც ხდება მასში, მის სხეულში თუ ზედაპირზე – შესაძლებელი ხდება მოხილო მთელი სამყარო, სულ მისხალ-მისხალ, დაწყებული მისი წარმოქმნით და ვიდრე დღემდე, დღევანდელ აწმყობდე და მის გახსნამდე!.. ესე უცნაურად ყალიბდება ეს სინამდვილე, დროით მოცემული: მთელი ვარსკვლავცა ერთი მთლიანი ლაბორატორია გამოდის ცის კაბადონზე, რომელშიც საკმარისია აირჩიო რაიმე კონკრეტული, კერძო არე, სათანადოდ მოფარგლო იგი, აღნუსხო მისი მახასიათებლები და თავისებურებები და თვითონ სამყარო ჩაატარებს მერე საჭირო ექსპერიმენტს, მკაფიოდ განსაზღვრული ამოცანით და საკითხებით, კვლევის ობიექტით, თვითონ კოსმოსი განახორციელებს მას! საჭირო იქნება მხოლოდ კარგად დააკვირდე თავად ექსპერიმენტს (იქაურ ამბებს) და მის მსვლელობას, ზუსტად აღნუსხო და აღრიცხო მისი მონაცემები და მაჩვენებლები, რაოდენობრივი თუ თვისობრივი, ზუსტად გამოკვეთო მისი მიკვლევები და პირველადი შედეგები.. დამკვირვებელი თვითონ ადამიანია უკვე აქ...

ნათელი ხდება, სარწმუნოდ და საიმედოდ: რომ სამყაროში არა იკარგება უმი-სამართოდ, არაფერი მომხდარი მის სამანებში – ყველა აღინუსხება, აღირიცხება და აღინერება მატიანეში; რომ მატიანე (ჩვენი ვარსკვლავცა) ხელმისაწვდომია ყოველთვის, ხელისგულივით არის გადაშლილი ყველას წინაშე – მის გასაცნობად და ნასაკითხად, არარა არის მასში დაფარული და დამალული, გადანახული; რომ ადამიანმა უკვე დაიწყო ამ მატიანეს გაცნობა, მისი გარჩევა და გადაკითხვა, მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად – მისი თავების, მუხლების და ნაკვესების ნაკვეთ-ნაკვეთ ჩაყოლა-ჩაკითხვით... კვანძი აქ ორ ხაზზე გადის, ორ ქვაკუთხედზე, ორ ფუძე-კვალზე: ამ სამყაროში არა იკარგება აღურიცხავი და აღუწერელი; და წუთისოფლის თავგადასავლის არცერთი ნაკვეთი არ არის დაფარული და მიუწვდომელი, გადანახული!..

– ანუ, მართლაც არაფერია, პალიკო, ამ სამყაროში დაფარული, უბრალოდ ყველა თავის ჯერს ელის დღის სინათლეზე გამოსასვლელად, თავის დროს ელის გასაცხადებლად!. ესე გამოდის.. ესე იყითხება მისი ფურცლები და გრაგნილები, მისი ეტრატები, ყველა ამბით და გარდავლილი ხდომილებით.. ადვილი არ იქნება ამის მიღება და გათავისება, დღითიდლე ზიდვა ადამიანისთვის – ამ სიმართლეში ცხოვრების კვალვა...

– წარმოიდგინე, პალიკო, რამდენი რამე ექნება ყოველ ჩვენგანს ფიქრების ხურჯინში გადანახული, გულის სილრმეში დაფარული, რომლის გახსნა და გახსენება, რომლის გამუღავნება საკუთარ თავთანაც არ ენდომება, არ ენატრება!. აქ კი, გამოდის, სამყაროში საერთოდ არაფერია დამალული, დავიწყებული, არაფერია გაურკვეველი და გაუხსნელი და ვინძლო ყველა დროს იყვნენ ადამიანები, რომლებმაც იცოდნენ მატიანეს არსებობა და უჩუმრად კითხულობდნენ კიდეც მის გრაგნილებს და ფოლიანტებს, მასში აღწერილ კოსმიურ ამბებს და თავგადასავლებს, მათ გაგრძელებებს!.. ადამიანიც არ უნდა იყოს, პალიკო, გამონაკლისი ამ წეს-წყობაში და სათუოა მისი ნალვანი და ნამოქმედარი, მისი ნავალი და ნაკეთები განსაკუთრებულად და გამორჩეულად იყოს დაფარული სხვისი თვალისგან, გადანახული, სავარაუდოა, რომ დამზერადია მისი ცხოვრების გზა-ბილიკებიც (ისევე როგორც ყველა სხვა ამ საწუთოოში) და ალბათ სწორედ ამას მიანიშნებს ზოგიერთი წყაროც, როცა ახსენებს ეგრეთნოდებულ „აკაშეს ქრონიკას“ – ქრონიკებს, რომელთა ფურცლებზეც ყოველი ადამიანის ცხოვრების გზა და ნაბიჯებია ალბეჭდილი და ალწერილი, სულ მისხალ-მისხალ, სულ გამოწვლილვით (მათ შორის შენიც), რომლის შესახებაც ადრეც იცოდნენ მავანებმა და მავანებმა და კითხულობდნენ კიდეც მათ თავ-თავის სიჩუმეს და სილუეს ამოფარებულები...

– ძნელი დრო მოდის, პალიკო, ანუ მოვიდა უკვე, როცა საკუთარ თავსაც ვეღარ დაემალები, ვერ შეეფარები ვერაფერს, ვერარას მიაჩუმათებ, როცა აღარაფერია უკვე დაფარული და დამალული და ყველა საიდუმლოც ცხადდება თანდათან თავისი ჯერით: ან უნდა შეცვალო შენი ცხოვრება, მისი ნირი და მისი ყაიდა, ძირფესვიანად; ან კიდევ მიიღო გაცხადებული სიმართლე და სინამდვილე და ზიდო იგი როგორც შენი ჯვარი, მოგებული წუთისოფლით – იქნება თავად შეიცვალო ამასობაში ან ჯვარი შემსუბუქდეს დროთა განმავლობაში..

– თან გეფიქრება, კიდევ, უნებურად, ამის იქით, ცის თაღს რომ შეჰყურებ შეკვირვებული: ნეტავ რას შეცვლიდა კაცობრიობა მის ქმედებებში, ადრე რომ სცოდნოდა რომ არა იკარგება ამ სამყაროში, რომ ვერას დაფარავ მის ხვიარებში!. ან ანი რას შეცვლის?. და ერთი კაცი, პალიკო, ადამიანი, ის რაღას შეცვლიდა მის ცხოვრებაში!? მისი ცხოვრების სვლაში და გზის ხაზვაში? დღეს მის ყოვნაში და მდინარებაში?. მისსავ საკუთარ წუთისოფელში?. – უკვე რომ იცის, ზუსტად, ყველაფერი...

ესე მოდის და მოდის დედამიწაზე ცნობები მთელი სამყაროდან, იქაურ ამბებზე და ვითარებებზე, შეუჩერებლად, შეუსვენებლივ, ჩვენი შემოგარენიდან, ბევრად უფრო შორი მხარეებიდან, სამყაროს კიდეებიდან, უწყებები და შეტყობინებები ხდომილებებზე, წინა მოვლენების შემდეგ რომ ჰქონდა ადგილი ამ არეებში, ერთგან წლების წინ, ზოგან ბევრად უფრო ადრე და სხვაგან კიდევ უფრო შორეულ წარსულში!. უწყვეტად მიდის ეს პროცესი, სულ ახალი და ახალი ცნობებით ამ მხარეებში შემდგომ მოყოლილ მოვლენებზე, მათ გაგრძელებაზე, ისე, რომ შეიძლება თვალი გაადევნო წინა ამბების და ვითარებების განვითარებას, მათ მდინარებას დროში და სივრცეში.. ეს ყველაფერი კი ვარსკვლავცაზე იკრიბება და აღიბეჭდება, იქ ლაგდება და ნაწილდება თავთავის ადგილზე, წესის მიხედვით, სათანადო შევსებებით და დამატებებით, მათი აღწერებით და ანაბეჭდებით, უშუალო მოწმეობით მოვლენათა შუაგულიდან – როგორც ეს შეშვენის და შეეფერება ნამდვილ მატიანეს, დროს რომ მიყვება მის ჟამთა ცვლაში.

ესე შეჰყურებ ცარგვალს ზემორე, თავზე წარმომდგარს, გაბდლვიალებულ და გაჩირალდნებულ სამყაროს წარსულს: ეხლახან გასულს; სიღრმეში დაშვებულს; შორეთიდან შემოჩერებულს!. კოსმიურ ანტყოზე რაღაც წარმოდგენას ჩვენივე მთვარე, მზე, მის ირგვლივ მორბენალი პლანეტები და მათი თანამგზავრები და ასტეროიდები ქმნიან, ჩვენი მზის სისტემა იძლევა მხოლოდ (ერთი ციცქანა ნაკვეთი მთელ წუთისოფლში), რადგან დროში წანაცვლება აქაურ ამბებსა, ხდომილებებსა და მათზე დედამიწამდე მოსულ ცნობებს შორის საათების ფარგლებში ტრიალებს ოდენ, მათ არა სცდება – მზიდან დედამიწამდე გზავნილის მოტანაზეც 8 წუთზე ოდნავ მეტი თუ ეხარჯება სინათლეს, მთელად!. ყველა დანარჩენი წლებით და წლებით დაშორებულ სამყაროს არებს ეხება, მათ ეკუთვნის, დროის სარტყელებივით გარს შემორტყმულთ და შემოკრებილთ – შედარებით ახლოდ მყოფთ, დედამიწის გაჩენის დროინდელს, წუთისოფლის დაბადებით აღმოცენებულს და გაღვივებულს...

ანუ, ჩვენი მზის სისტემის იქით მხოლოდ წარსულსა ვხედავთ, ვარსკვლავცას რომ ვუყურებთ: მის განვითარებას და გაშლა-განფენას, მის ცხოველყოფას.. აქ ნებისმიერ ციურ სხეულს შეიძლება გაყვე ძირისძირამდე, კოსმიურ ობიექტს, მისი ცხოვრების გზის მასთან ერთად გავლით და გაშლით და გაცხადებით: ობიექტის წარმოქმნით და ფორმირებით; საკუთარი სახეობის ჩამოყალიბებით და დამკვიდრებით; მოვლენა-ხდომილებების კორიანტელში მოქცევით და გზის გაგნებით; მეზობლებთან და შორით მოსულებთან შეხვედრებით, შეხლა-შემოხლით თუ მშვიდობით დაყუუჟებით; გარემოსთან ურთიერთქმედებით, მატერიის და

ენერგიის გაცვლა-გამოცვლით, მათთან თანაარსებობით; და ისევ ცხოვრებით, და ისევ ცხოვრებით, მისი აღმასვლებით და დაღმასვლებით, მისი ამბებით და გარდაახდომებით, ვიდრე სასიცოცხლო ძალები არ დაილევა და დაიშრიტება და ციური სხეული არ გადაგვარდება და გაილევა: ვარსკვლავთშორის მტვერს თუ ნისლეულს შეერევა და იქ დაშთება; ან შავი ხვრელის ამოუყორავ ღიობში ჩაიხვენება და იქ გაქრება!.. ესე უცნაურად არის თურმე მონცყობილი წუთისოფელი: მის ვარსკვლავცაზე უკვე გამქრალი, სოფლიდან გასული ობიექტებიც იმზირება (დღეს არსებულების გვერდით); მათი დანახვაც შეიძლება ცის კაბადონზე, მათი ცხოვრების ხაზის გარჩევა და გამოვლენა და თვალის მიდევნება თავიდან ბოლომდე!!..

ანუ, ერთის მხრივ, ვარსკვლავცაზე გადმოფენილ ცთომილებს და მათი სინათლის ანარეკლით თუ შეხებით გამოჩენილ ციურ სხეულებს ხედავ, ზემოთ, მათ წარსულ სახეებს, ღათუ ამავდროს, ზოგი მათგანი აღარც არსებობს უკვე, იქ აღარ არის.. მაგრამ მაინც ჩანს, მათაც ხედავ ცარგვალზე მაინც, აღარ არსებულ კოსმიურ ობიექტებს, და უმზირ მათ წარსულს!.. უცნაურ განცდას იწვევს ამის გაცხადება.. რეცა ძველ დოკუმენტურ ფილმებს უყურებ, ადრე გადაღებულს: ვიღაცამ მთის მწვერავალები დაიპყრო; ვიღაცამ აღლუმი მიიღო თუ მონაწილეობდა მასში; ერთმა დედამიწას შემოუარა კოსმოსური ხომალდით; სხვებმა მთარეზე გაიარეს სულ ხტუნვა-ხტუნვით!.. დღეს კი მათგან ერთი-ორი თუ შემორჩა ცხოვრებას, ჯერ კიდევ არის წუთისოფელში, სხვები გასული არიან უკვე აქედან, მარილზე, სა-იქიოში... ზუსტად ჩვენი „იყო და არა იყო რა“-სავით გამოდის ისევ: თითქოს იმისთვის ხდება ეს ყველაფერი, ამაოება რომ დაგანახოს სოფლის ამბების!

მეორე მხრივ კი, მთელი კოსმიური ეპოპეა იშლება თვალწინ და არა მორბენალი უსულო კინოფირებით ამოკვეთილი ფრაგმენტები ცხოვრების ნაკადიდან, არამედ წუთისოფელის ცხოველმყოფელობა და მდინარება მის რეალობაში, მის სინამდვილეში, იქვე, ადგილზე, იმ დროს და იმ ჟამს, სულ ცოცხლად და ცხადლივ, სულ ციცნცხლად!. აქ ნისლეული გხვდება, კოსმიური მტვერის და იონიზებული, დამუხტული აირების უშველებელი ვარსკვლავთშორისი ღრუბელი, რომელშიც შეკუმშვის პროცესებია დაწყებული ანუ, ხორციელი (მასის მქონე) ნაწილაკები მიიზიდებიან ერთურთისაკენ გრავიტაციის ძალით, სხვადასხვაგვარ ბურთულებად გორგლდებიან, კორკოტდებიან, რომლებიც (თავის მხრივ) ერთმანეთს უერთდებიან იგივე მანქანებით და ეს ყველაფერი თანდათანობით, გარკვეულ საფეხურზე სფეროსებრ სხეულად ყალიბდება, აიროვან ბურთად, უფრო მკვრივი და ცხელი ბირთვით შუაგულში და შედარებით გაუხმოებული და გრილი დისკოთი მის ირგვლივ, ზევით, რომელიც ბრუნავს თავისი ღერძის ირგვლივ, გამოსხივებას იწყებს სინათლის კონების და ენერგიის და მატერიის ამოფრქვევას მიგარდმო სივრცეში – ვარსკვლავი ჩნდება ჩვენს სამყაროში!.. უფრო იქითკენ სხვა ვარსკვლავურ სფეროს ხვდები, მასთან ერთად მბრუნავი დისკოთი, რომლის მოლეკულ-ნაწილაკებიც მიყვებიან ამ მოძრაობას, ხვდებიან ერთმანეთს, იკვეთებიან, ირვიან ერთმანეთში, ერთვიან ერთურთს, ჯგუფდებიან ერთად, ბრუნავენ

დისკოს შიგნით ორბიტაზე, გარშემო გაპნეულ მასალას ითრევენ თავის რბოლაში, მის მტვერს და ნამცეცებს ეწევიან თავისკენ, იზიდავენ და ითვისებენ, ითავისებენ იგივე გრავიტაციის ძალით და მით დიდებიან და დიდებიან სულ უფრო მეტად და რაც უფრო დიდი ზომების ხდებიან, მით უფრო ემსგავსებიან პლანეტებს, იძენენ მათ სხეულოვნებას და მოყვანილობას, მათ აღნაგობას, იღებენ პლანეტების პირველად ფორმებს და თან ითრევენ ყველაფერს წინ რაც შეხვდებათ ორბიტებზე მოძრაობისას, ყველა მომზდურს თუ შემოსვედრილს, გზას ისუფთავებენ, ეჯახებიან კიდეც ერთმანეთს (სანამ მათი ორბიტები სრულად გაჭრიან საკუთარ გზა-კვალს), თავ-პირს უმტვრევენ ერთურთს, ნანილებს გლეჯენ სხეულებიდან, მაგრამ ერთდებიან კიდეც, ერთანდებიან, ემატებიან ერთმანეთს, სრულ პლანეტებად ყალიბდებიან ამ კვალობაში, კლდოვან-ქვიანი სხეულოვნებით ვარსკვლავის სიახლოვეს და მეტი აირით და ყინულებით დისკოს გარე ნაწილში უფრო მოშორებულ შრეებში, სადაც ვერ აღწევს მნათობის სითბო ყინულის დამდნობი – ახლადწარმოქმნილი ვარსკვლავის პლანეტარული სისტემის კონტურები ჩნდება ცის კაბადონზე, თანდათანობით, მისი დისკოს გაშლით და მასში ორბიტების მოხაზვა-მოფარგვლით: პლანეტებით; ნარჩენი მასალის ნამსხვრევ-ნამტვრევებით, ასტეროიდებით; ამ პლანეტების თანაგზავრებით; და მოძრაობით, და ყველას ბრუნვით ცაზე ამოსული მნათობის ირგვლივ...

აქ ზეახალი ფეთქდება, მასიური ვარსკვლავის აფეთქება ხდება მისი კოსმიური ევოლუციის ბოლო სტადიაზე, ყოვლისმომცველი გრუსუნით და გასხივოსნებით, უზარმაზარი ენერგიის და ვარსკვლავური მასის ამოფრქვევით და „ახალი“ კაშკაშა ვარსკვლავის გაჩენით (ღათუ რამდენიმე კვირის თუ თვის თუ წლის ცხოვრების ხანგრძლივობით მხოლოდ), რომელსაც აფეთქებით გამოწვეული საშინელი ძალის დარტყმითი ტალღა მოყენება უკან, ზათქით და ზანზარით, სინათლეზე სულ 10-ჯერ ნაკლები სიჩქარით რომ მოძრაობს, იშლება და ფართოვდება მიგარდმო არეში, ვარსკვლავთაშორის გარემოში, ყველას რომ აღგვის თავის გზაზე რაც შემოხვდება, რასაც დაატყდება თავს, დაეტაკება, თან ნარჩენებს ტოვებს გზადაგზა კიდევ მისი ნაღვან-ნაქმედის და დაფეთხების, ვიდრე არ განელდება და არ დაცხრება და არ გაიღევა – ვიდრე არ მოიხებს გულს... უფრო იქითკენ, კიდევ სხვა მხარეს უკვე შავი ხვრელი შლეგობს და მძვინვარდება, ძალიან დიდი მასის ვარსკვლავის რღვევის და დაშთობის შედეგად წარმოქმნილი, დრო-სივრცის ნიუარაში მოქცეული და მოგუდული უზარმაზარი მასის და გრავიტაციის მქონე კოსმიური სხეული, საშინელი ძალით რომ იზიდავს და ეწევა ყველას და ყველაფერს (თვით ვარსკვლავებსაც) თავისკენ, შუაგულისკენ, რაც კი მისი მოქმედების არეში ხვდება, მისი „ხდომილებების ჰორიზონტის“ ხაზს გადმოაბიჯებს და გადმოცდება და განწირული ზრიალ-ჭრიალით ცდილობს თავი დააღნიოს იქაურობას, აცდეს შავი ხვრელის გავარვარებული დისკოს ცეცხლოვან წრეებს, მორევს რომ ქმნიან ტრიალ-ბრიალით და ულმობლად მიაქვთ ყველა მოგებული მის უზარმაზარ დაბჩენილ ხახაში, საიდანაც კვესად ამოსკდება სინათლის სვეტი მასში დანთემული არსებების ბოლო კვნესასავით, უგზნო კივილი ბოლო ამოსუნთქვის და საწუთოროსთან დამშვიდობების: შავი ხვრელი კი უფრო დიდდება ამ ღრჯიალ-ტრიალში, „საქმიანობაში“, უფრო დიდ მსხვერპლს იჭერს გახვითქებული

და ეზიდება თავის წიაღში!!... აქეთ წითელ გიგანტს ხედავ, ჩვენი მზის მაგვარ ვარსკვლავს ნარინჯისფერ-წითელი ნათებით, წყალბადის საწვავი რომ დალევია ბირთვში და მისი ნარჩენი ეხლა უკვე ვარსკვლავის გარსში იწყებს წვას, ნაკლები ინტენსივობით, ნაკლები ენერგიის გამომუშავებით და წარმოებით, მაგრამ მისი განაწილებით მნათობის გარე ფენებზე, რომელიც სულ უფრო მეტად ფართოვდება ამ სითბოს მოგებით (მზეზე ათჯერ და ასჯერ მეტი დიამეტრის სხეულობამდე) და შეუდარებლად მეტად ანათებს უზარმაზარი ფართობის ზედაპირით, ბევრად მეტად, ვიდრე ანათებდა მანამდე, ვარსკვლავის ძირითად, მთავარ მდგომარეობაში, მთელ პლანეტარულ სისტემას მოიცავს თანდათანობით ამ გაღვივებით და გაფართოებით, მისი სხეულოვნების განვრცობით დისკოს გარეთ, ცხოვრებისათვის უვარგისასა ხდის მოცულ გარემოს (ცოტნილთან ახლო მდგომ პლანეტებს, უწინარესად), ვინძლო საცხოვრებლად ვარგისი რაღაც კუნძულების შემორჩენით თუ ახლად გაჩენით, მნირი „საბინადრო ზონით“, რომელიც ერთი-ორი მილიარდი წელი თუ იარსებებს წუთისოფელში კიდევ, რაც ძნელად იკმარებს სიცოცხლის გადარჩენისთვის და გაღვივებისთვის, მისი დამკვიდრებისთვის და განფენისთვის შთენილ კუნძულებზე: ვიდრე წითელ გიგანტს არ დაელევა წყალბადის საწვავი და ხორციელობა და არ გაქრება საწინიდან...

იქ ცოტნილები იწყებენ ერთმანეთისკენ მიზიდვას, ერთად შეჯგუფებას და შეგორგლებას, ვარსკვლავ-ხომლებად იკრიბებიან თანდათან, ბნელი (უჩინარი) მატერიის ბუდეებში მოქცეულები, თავადაც ერთურთისაკენ რომ მიიზიდებიან გრავიტაციის ძალით, ერთმანეთან შერთვა-შეერთებას მოწყურებულები და მონდომებულები, უფრო დიდ კლასტერებად იკრიბებიან და იზრდებიან, მიგარდ-მო არეში გაბნეულები და ბნელი მატერიის რბილ ბადურებში გახვეულები, ღათუ მაინც რაღაც ერთიანობად შეერულები, შეთვისებულები, რომ ვერ გაიგებ, მისით ნარჩუნდება მათი მთლიანობა და საწინირი თუ თავადაც ამ უხილავი მასიდან არიან ამოსულები, ბნელი მატერიიდან ციურ მნათობებად გაღვივებულები (ნაწ-ვიმარზე ამომსკდარი სოკოებივით), სწრაფადვე რომ იწყებენ საერთო სიმძიმის ცენტრის ირგვლივ ბრუნვას და სირბილს, დიდი სიჩქარით და აღტყინებით, დიდი გზნებულობით, ერთიან დისკოში მოექცეიან, ერთმანეთს სპირალებივით შემოეხვეიან, შეწყობიან და შეეთვისებიან: სპირალურ გალაქტიკას ქმნიან კოსმიურ სივ-რცეში თავმოყრილები და გაშვებულები, გრავიტაციულად შეკრულ სხეულობას თავისი ვარსკვლავებით და ვარსკვლავნარჩენებით, ვარსკვლავური ხომლებით და ვარსკვლავთშორისი მტვერით, ვარსკვლავთშორისი აირით და ბნელი მატერიით, მთელი მასის უმეტეს ნაწილს რომ შეადგენს და შარავანდივით შემოხვევია ახ-ლადტანშესხმულ გალაქტიკას (მის გამოსარჩევად და გამოსარჩევად) აბლაბუ-დასავით, რომელიც სხვა გალაქტიკასთან იკვეთება კიდევ, სადღაც სივრცეში, მასთან გრავიტაციით მიბმული რაღაც ხვიარებით, მისკენ მიინევს და იზიდება ნაკვეთ-ნაკვეთით და პირქითაც, თავისკენ იზიდავს მის ყველა ნაკვეთს მტკა-ველ-მტკაველობით: ორი ციური სხეული ერთურთს შეხვდება კოსმიურ კვალედ-ში, ადრე თუ გვიან, სადმე, მყობადში, თავისი ვარსკვლავებით და პლანეტებით, სხვა მატერიით, ერთურთს შეეხება და შეეჭიდება გავეშებით, ერთმანეთი რომ განჭოლონ და გადასერონ ყველა საზებით, იმდენად მძლავრად და გამეტებით,

რომ სრულად დაირღვევა საკუთარი წყობა და ალნაგობა ამ გალაქტიკების, უნეს-რიგოდ მიიმართება, ქაოტურად, სხვადასხვა მიმართულებით საერთო ცენტრის ირგვლივ მბრუნავი მათი ორბიტები, გარნალა მაინც (უნებურად თუ ბუნებრივად) ერთად შეიკვრება ბოლოს ყველაფერი და სფეროსებრი ფორმით აღმოცენდება ახალი სხეული, სხვა გალაქტიკა, შორ მომავალში – ელიფსური გალაქტიკა შემოვა ჩვენს სამყაროში, ბევრად დიდი ზომების და სხივადობის, ბევრად დიდი მასით და გაშლილობით მის მშობელ გალაქტიკებთან შედარებით!..

კიდევ იქთქენ, დრო-სივრცის სიღრმეში და სიშორეში ახლადმოვლენილი დიდი გალაქტიკის ზემასიური შავი ხვრელი იწყებს ცხოველყოფას და მოქმედებას, ჩვეული უინით და დაჩემებით ითრევს ყველაფერს თავისკენ, შიგნით, შუაგულისკენ, ყველას რაც ხვდება მისი ხდომილებების არეში ირგვლივ მბრუნავი გალაქტიკიდან, მის ელიფსურ ორბიტებზე მოქცეული და შექუჩული მატერიიდან, ვარსკვლავთმორისი მტვრიდან და აირებიდან, ვარსკვლავური ნარჩენებიდან, ყველა ღონით რომ ცდილობენ თავი დააღწიონ დამშეული შავი ხვრელის ამოუყორავ სტომაქს, ერთმანეთს რომ მისდევენ გამეტებით და გავეშებით, ებლა-უჭებიან და ეჭიდებიან ყველა ძაფებით, რომ არ შთავარდნენ და არ შთაინთქან უკუნ ღიობში, რომ არ დაიხაფრონ უძირო სკნელში, როგორმე გადარჩნენ ამ შავბედობას, როგორმე გავიდნენ სამშვიდობოზე, გავიდნენ ფონს, ყველა გზით ცდილობენ შეანელონ თავისი რბოლა, ორბიტით სირბილი, დაამუხრუჭონ ხახუნის ძალით და შეჭიდებით და ერთობლივად დაძლიონ შავი ხვრელის განუზომელი გრავიტაცია: ერთად გროვდებიან ბირთვის გარშემო, მეტნი და მეტნი, მის გარეთ თანდათან წარმოქმნილ ცხელ აიროვან დისკოში, ერთურთს მიჯრილები და მიდევნილები, შეჯვუტულები და შეკუმშულები, უზომო ტემპერატურამდე გახურებულები, გახელებულები და გაცეცხლებულები, რომ ზღვრულ წერტილში გასცდნენ სამანახს, ყველა ზღუდეს და წინაღობას, ამოაფრქვიონ ზღვა ენერგია, დაგუბებული, ზღვარდგადასული და გაასხივოსნონ მთელი ის მხარე, მთელი ის ველი, მისი გარემო და საწიერი!!.. – კვაზიარი კაშკაშდება კოსმიურ მღვიმეში, დაამაბრმავებლად გაბრწყინებული კვაზი-ვარსკვლავური სხეულოვნება მის შუაგულში, რომლის სიკაშკაშე მთელად დაფარავს თვით ამ გალაქტიკას, მის ციურ ნათებას, ბევრჯერ გადაჭარბებს მის სხივოსნობას და ბრნყინვალებას!.. უფრო აქეთ კი, მეორე მხარეს, ორი შავი ხვრელი ბრუნავს ერთურთის ირგვლივ, სხვადასხვა ზომა-ზონის და შემართების, სხვადასხვა გზნების და გაქანების, ერთმანეთს უვლიან აქეთ-იქიდან, ფალავნებივით შერკინების წინ, წყვილურ (ბინარულ) სისტემად შეეკრული და გადაბმულები ერთმანეთს, ნელინელ უახლოვდებიან ერთურთს, თანდათანობით, გამზადებული ერთიმეორის ჩასაყლაპად და ჩასანთქმელად, რეცა ბაგირს ენევაო თრი გუნდი პირისპირ მდგომი, მთელი ძალონით და გამეტებით, თავის მხარეს რომ გადანიოს გრეხილი თოკი, გარნა დრო მიაქვს ამ შეჭიდებას, მსნრაფლ არ გამოდის, არცერთი არ თმობს თავის რაობას და მოსილებას, არა წებდება არც უმცირესი, უკვე დიდი შავი ხვრელის ხდომილებების არეში მოქცეული და მოხვედრილი და ვერც დიდი ჯაბნის პატარა შავ ხვრელს, ვერ იმორჩილებს, უფრო შერთვა ხდება ამ თრი უზომო მასის სხეულის, მათი შერწყმა და შეერთება, გაერთიანება, მაგრამ იმგვარად და იმნაირად, რომ ერთ-

მანეთში შეღწეულებიც ისინი კიდევ განაგრძობენ საკუთარ ძრაობას, საკუთარი ღრეულების ირგვლივ ბრუნვას და ტრიალს, ძნელად იღებენ ერთმანეთს, ძნელად თვისობენ და მხოლოდ დროის შემდეგ, სრულიად უეცრად და მეყვსეულად მათი ბრუნვის ღრეულები ერთურთს ერთვიან და ჯერდებიან, რეზონანსში მოდიან ერთმანეთთან, ერთმანეთს ერწყმიან და ეწყობიან, ერთიანი სიხშირით იწყებენ ბრუნვას, გაცეცხლებული ნაწილაკების ნაკადების ამოფრქვევით და ამოტყორულით საერთო ბრუნვის ღრეულის ორივე მხრიდან: აქ უშველებელი შავი ხვრელი ჩნდება ორის ადგილზე, ის იწყებს ქმედებას და ცხოველყოფას, გზააპნეულთა შთანთქმას, რის მაუწყებლადაც ჭავლებად უშვებს ასწრაფებულ გრავიტაციულ ტალღებს სხვადასხვა მხარეს და კიდევანეს, რომ წუთისოფელს ამცნონ ეს დიდი ამბავი და ხდომილება, მთელ არემარეს აუწყონ იგი, დიდი შავი ხვრელის კოსმოსში გაჩენა, დედამიწამდეც მოიტანონ ეს შეტყობინება, რომ ჩვენც შევიტყოთ სოფლის ამბავი და მდინარება, ლათუ ვერა ვცნობთ მათ მონათხრობს და ვერ აღვივებავთ, გრავიტაციული ტალღების სიტყვაძუნწობას და უნივორბის მიჩერებულნი!.. სამყარო კიდევ ბორგავს და ქოთქოთებს გაუთავებლად: აქ ერთი ხდება, იქ მეორე, სხვაგნით მესამე, განელებული ბნელი მატერიის ბადე-სხეულით და შორისებში სიცარიელის გრძელი შუილით.....

- გესმის, პალიკო, აქ სულ რაღაც ხდებოდა და სულ რაღაც ხდება, წუთი-სოფელში, რისი წარმოდგენაც კი შეიძლება და რაზეც ძნელად თუ იფიქრებდი.. მეტადრე იმას, რომ ერთ დღესაც ეს ყველაფერი მისაწვდომი იქნებოდა და გასაგები ადამიანისთვის (ყველა, რაც ხდება კოსმიურ სივრცეში), რომ ამ ყველაფრის დანახვა და დაკვირვება გახდებოდა შესაძლებელი, სულ გამოწვლილვით, თვალის მიყოლება და მიღევნება ციური ცხოვრების.. რომ აქვე ყოფილა ეს ყველაფერი, ჩვენს ცის თავანზე, ჩვენს ვარსკვლავცაზე, იქ გაშვებული და განფენილი, ყოველთვის, მიწყივ: ახლოს თუ შორით, მის მრგვლოვან ზედაპირზე თუ ბნელ წიაღში და სიღრმეებში, ყველას საჩინოდ და დასამზერად, პირდაპირ მოგებული თუ ირიბად გამუღავნებული!

- აქ ისეთ უცნაურ რამესაც შეხვდები, პალიკო, როგორიც ციური სხეულის გაძევებაა, მისი განდევნა მკვიდრი სამყოფელიდან, საცხოვრისიდან და ერთობიდან, გალაქტიკიდან: თუ მან დაარღვია მიღებული წესწყობილება ანდა გადაცდა დადგენილ ფარგლებს – ლამის ისევე, როგორც ჩვენს მთებში ხდებოდა წინარე დროს, ცხოვრების დადგენილი წესის დარღვევისთვის რომ მოკვეთავდნენ თემიდან მოყმეს!. ... ვარსკვლავებს მოსდით, თურმე, იგივე, მათ ემართებათ, ჩვეულებრივ, მათ აძევებენ ვარსკვლავებომლიდან, მათი სამკვიდრო გალაქტიკის შიდა წყობილებას როცა დაარღვევენ და შეშფოთებას შეიტანენ მის გამოზომილ ცხოვრების რიგში... ამგვარ „უწესო“ მნათობს გალაქტიკის გარეთ აგდებენ და იქ ტოვებენ, მრუმე სივრცეში!. თან კიდევ ერთ ვარსკვლავს აყოლებენ, როგორც წესი, ვარსკვლავური, ბინარული წყვილის მეორე წევრს, რომელსაც თავისი როლი და ადგილი ჰქონდა (სავარაუდოდ) ამ უწესობის ჩადენაში: რეცა „ხევისბერი გოჩას“ ამბავს კითხულობ კოსმიურ ხვიებში...

– მართლაც რა არა ხდება ჩვენს სამყაროში, რას არ შეხვდები მის სამკვიდროში და საუფლოში, რას არ გადააწყდები.. თან ეს ყველაფერი სადმე სხვაგან კი არ ინახება, სხვაგან კი არ არის გადანახული, თვალს მიფარებული, აქვეა თავმოყრილი, ჩვენს ვარსკვლავცაზე, გადაშლილია ყველასწინ, ღიად, მის დასანახად და დასამზრად!. ლათუ წარსულსა ხვდები აქ მხოლოდ, პალიკო, გარდასულ დროებებს, იქ გარდახდომილ ამბებს და მოვლენებს და მათ მონაწილეებს, იმათაც კი, რომლებიც აღარ არიან წუთისოფელში!..

– უცნაურია ეს ყველაფერი, ეს ფენომენი, თვალშისაცემი, პალიკო, ამგვარი გამორჩევა წარსულის და მისი ამბების, ესეთი ფოკუსირება მათზე და მათ გზა-კვალზე!. აწმყოს კი აქ არა ისმის: არა გამოხდება, არა იმზირება წუთისოფლის დღევანდელი გუნება-განწყობის და მიმართების, დღეს გაშვებული თუ აღსრულებული მოვლენების და ხდომილებების, მიუხედავად იმისა, რომ სამყაროში სულ რაღაც ხდება, დრო მუდამ იღწვის, მაგრამ ვარსკვლავცა ნიშანს არ გვაძლევს აწმყოს თარგებზე, მის ქმედებებზე და მისით მოტანილი მომავლის ხაზებზე, მხოლოდ უამის შემდეგ, დრო რომ გაივლის, გამოაჩენს ყველაფერ ამას, მის ამხდარ სახეს და მიმართებას... .

– ძნელად გასაგები და აღსაქმელი აღმოჩენაა, პალიკო, რომ ჩვენ არც კი ვი-ცით თუ როგორ გამოიყურება ვარსკვლავცა დღეს, უშუალოდ, როგორც ასეთი, პირდაპირ, ამნამ, როცა ვუყურებთ ზე-ცას, რადგან უბრალოდ ვერ ვხედავთ მას და რასაც ვხედავთ, რასაც ჩვენ ვუმზერთ, სინამდვილეში ეს მისი წარსული სახეა ოდენ, ყველაზე ახლო მონეული დღევანდელ დღესთან!. ... ისიც კი შეიძლება გაიფიქრო, პალიკო, წარმოისახო, რომ რაღაც დროის შემდეგ რაიმე მანქანებით ციური სხულები რომ დაილიონ და გაქრენ სამყაროდან, მზის სისტემის ამარა რომ დატოვონ ადამიანი, ვერც კი შევიტყობთ ამ გარდახდომას, რამოდენიმე წელი მაინც, ვერც კი შევნიშნავთ, და მხოლოდ მერე დაინყებენ ვარსკვლავები, სხვა კოსმიური სხეულები გაქრობას კაბადონიდან, თანდათანობით (მათი სიახლოვე-სიშორის მიხედვით) და მიდევნებით, მაშინ როდესაც უკვე წლები იქნება დაცარიელებული იყოს წუთისფელი, მთელი კოსმოსი, ჩვენ კი ვერც ვიგზნობთ ამ გარდახდომას, უულად დაშთენას ბინდონულ სოფელში, რამეთუ ისევ ისევე გაბდლვიალებული იქნება ვარსკვლავცა ზემოთ, ცის კაბადონზე, ჩვენი თვალის-თვის!.....

– უცნაური თანაფარდობა იქნება, პალიკო, უცნაური მიმართება ჩვენს დროსა და სამყაროს დროს შორის, ჩვენს აწმყოსა და კოსმიურ აწმყოს შორის.. გამოდის, რომ როცა კოსმოსში ახალი (შემდეგი) აწმყო შემოდის, როცა ის დგება, ჩვენ მისი წინა უამის შემყურე ვრჩებით, და როცა სამყაროს ეს „ახალი“ აწმყო მოაღწევს დედამიწამდე, რომელიღაც შემდეგ მერმისში, ჩვენ საკუთარი „ახალი“ აწმყოს ქმნადობით ვიქნებით დაკავებული!..

– ანუ, ჩვენ არ ვიცით, პალიკო, არც არასოდეს ვიცოდით თუ რა ხდება წუთისოფელში ეხლა, ამჟამად, როცა მას ვუმზერთ და რას გვიქადის მისი დამდგარი, ამხდარი აწმყო! სინამდვილეში წინა დროებების მოვლენებს ვუმზერთ და მათ

ვპასუხობთ ყოველთვის, მათ ვეთვისებით და უცნობლობაში ვრჩებით სამყაროს აწმყო წყობილების, მისი დღევანდელი ამბების და მოვლენების, რომლებთანაც მხოლოდ მომავალში მოგვინევს შეხვედრა და შეჯერება!!.. ალბათ ამით განისაზღვრება ესადენი მნიშვნელობა წუთისოფლის წარსულის, მასში გარდახდომილი ამბების და მოვლენების, ხდომილებების და პროცესების, მექანიზმების და საშუალებების, მონაწილეების, ალბათ ამიტომაც აღინერება ესე რუდუნებით და დაწვრილებით ყველა ეს ამბავი კოსმიურ მატიანები, სრულად განვენილი ჩვენს ვარსკვლავცაზე!.. – რამეთუ სწორედ სამყაროს წარსულთან შეხვედრით და შეჯერებით ყალიბდება ჩვენი ყოველი აწმყო, დღევანდელი დღე, ერთურთის შემცვლელი, რამეთუ ესე იღებს საკუთარ ფორმას ადამიანეთის ცხოვრების გზები და მისწრაფებები....

– ესე გამოდის, ჩვენ ყოველთვის მის უკან ვრჩებით, პალიკო, სამყაროს ცხოვრების: როცა წუთისოფელში რაიმე ხდება, ჩვენ მის წინარე უამს ვეფიცხებით და ამ ამბავს და ახალ დროებას კი მყობადში ვხვდებით მხოლოდ, ჩვენი საკუთარი ამბებით და ნაღვანით დახუნდლულები.. ანუ, სწორედ ამ ორი ტალღის, კოსმიურის და ადამიანურის ერთურთთან შეხვედრით და შერწყმა-შეერთებით განისაზღვრება და ყალიბდება ადამიანის მორიგი აწმყო, მისი სამანები და სამკვიდრებელი!. ანუ, არცერთი ძალხაზი, არც კოსმიური (მიუხედავად მისი ძალოვნებისა) და არც ადამიანური (მისი სიმცრობის წილ) არ და ვერა ქმნის ჩვენს მომხდურ აწმყოს, მის სახიერებას და ცხოველ სხეულს – მხოლოდ ერთობლივად, ერთი ძალისხმევით, ერთურთთან შერთვით და შეთვისებით (სხვადასხვა დროის და სხვადასხვა კვალის, სხვადასხვა მხარის და სხვადასხვა კარის) დგება ჩვენი ახალი დღე, ახალი უამი, ახალი აწმყო...

– და ესე ყოველდღე, ყოველ ცისმარეს, სრული დახარჯვით და დაჩიმებით, დაუზოგავად და გაუნელებლად, განუზღვრელობაში რომ არ გადავიხვეწოთ და დავიხაფროთ, სადაც დრო უკვე აღარ იღწვის და არც რა ხდება, მოგებული სივრცის შევსების და გაჯერების გარდა!.. აქ იკვეთება ადამიანის მყობადი და სამყაროს წარსული, პალიკო, აწმყოს წერტილში, აქა ხვდებიან ისინი ერთურთს, სხვა რამისათვის დრო არა რჩება, რამეთუ აქ ორი ბუნება ერთვის ერთმანეთს, ეჭიდება და ეთვისება: ადამიანის და წუთისოფლის... ზუსტად ამ დროს კი კოსმოსში სულ სხვა რამ ხდება, სულ სხვა დრო დგება (კვლავ დაფარული და უცნო ჩვენთვის), რომელსაც უკვე რომელიმე შემდეგ მერმისში შევხვდებით, ერთად რომ შევქმნათ მორიგი აწმყო ადამიანის, ჩვენ და სამყარომ, ჩვენი სოფელი!. და ესე ყოველ ჯერზე, და ესე ყოველ უამ, დღითიდღედ, კვალიკვალ, დღეს და ხვალ, დღეს და ხვალ, როგორც ამას ითხოვს ქრისტეს შეგონება, ესე დაჟინებით: „ნუ ზრუნავთ ხვალისა, რამეთუ ხვალემან იზრუნოს თავისა თვისა“.....

– გამოდის, ჩვენთვის ყოველთვის დაფარულია, პალიკო, რა ხდება სამყაროში უშუალოდ ამჟამ, დღეს, თუ რას უმზადებს წუთისოფელი ადამიანს, რა „ძლვენს“ მოუტანს იგი ქვე-ყანას მერმისში – გარდაუვალად, უცილოდ, დაუკითხავად!

ანუ, დიდი ტყუილი და სიცრუეა, რომ ადამიანს ძალუძს თვითონვე შექმნას და შენივთოს საკუთარი მომავალი, მისი საუფლო და სამკვიდრებელი, რადგან წუთისოფელი თავის „ძღვენს“ დაახვედრებს მას იქ, მომავალში, თავის განგებას (გარდაუვალად), რომელსაც გვერდს ვერ აუვლი, პალიკო, და ვერც შეელევი!!.. ამიტომ არის ასე საჭირო თავიდან ბოლომდე რომ გავიაროთ ყოველი ცისმარე და ჩვენი წილი შევაგებოთ სამყაროს ნაკვესს, ჩვენთვის მოგებულს.. ჩვენს შემზიდეთ კი ისევ და ისევ სინათლე ჩნდება, ყველაზე სწრაფი მსრბოლელი წუთისოფელში, წინამორბედი ყველა მოვლენის და ხდომილების, ჩვენკენ რაც მოდის: ის ადრე გვამცნობს კოსმოსის ამბებს და ხდომილებებს, მათ ჩვენთან მოსვლამდე, და დროს გვიტოვებს კიდევ, ყოველთვის, რაღაც შუალედს, თადარიგის დასაჭერად და მოსამზადებლად – მათთან შესახვედრად!..

– გასაოცარია, პალიკო, სინათლის ესეთი გამორჩეულლობა და მისი ადგილი სამყაროში: ერთის მხრივ, იგი ხილვადს ხდის წუთისოფელს მთელი მისი სიგრძე-სიგანით, მოვლენებით და მათი მდინარებით, ცნობადს; და მეორეს მხრივ (ამასთან ერთად), იგი წინასწარ გვამცნობს და გვატყობინებს ყველა ამ ამბავზე და მათ განვითარებაზე კოსმიურ სივრცეში, მათ რაობაზე, ბევრად უფრო ადრე, ვიდრე მათი გავლენა და მოქმედება ჩვენამდე მოაღწევს, შეგვეხება უშუალოდ – რეცა დროს გვიტოვებს მათ შესაგებად და გასალევად...

– არც თუ დიდი ხნის წინ, პალიკო, ვარსკვლავცის ქცევაზე დამკვირვებლებმა ზეახალის აფეთქება აღნუსხეს ჩვენგან ათასი სინათლისწლით დამორებულ კოსმიურ არეში, რომელმაც გამძვინვარებული და უზომო სიჩქარით მოძრავი დარტყმითი ტალღა გამოუშვა ჩვენს მხარეს, ჩვენი მიმართულებით... ზეახალის აფეთქება საკმაოდ შორს მოხდა დედამიწიდან და სავარაუდოდ (შესაბამისი გათვლების დასტურით) ყველაფრის აღმზვენი და წამლეკავი, ჩვენკენ წამოსული ტალღა გზაში დაილევა ჩვენთან მონევამდე, დაკარგავს თავის დამანგრეველ ძალას და ენერგიას, მძინვარებას და სიშმაგეს და არას ავნებს, და ვერას ავნებს ჩვენს მზის სისტემას, ჩვენს დედამიწას ამ კვალობაზე.. სხვა პირობებში (უფრო დიდი ზეახალის აფეთქება და უფრო მძლავრი დარტყმითი ტალღის გამოშვება) ვითარება ესე უწყინარი არ იქნებოდა, გარნა ჩვენ მაინც გვექნებოდა კიდევ დრო, პალიკო, ორი ათასი წელი დარტყმითი ტალღის მოსვლამდე, მის შესახვედრად და გასანელებლად, რადგან ამ ტალღის სიჩქარე სამჯერ ნაკლებია სინათლის სიჩქარეზე და მას ორი ათასი წელი დაჭირდებოდა კიდევ ჩვენთან მოღწევამდე!.

– სწორედ ეს დრო გვექნებოდა, პალიკო, ეს შუალედი წუთისოფელთან მორიგ შეხვედრამდე: საკუთარი თავის და ცხოვრების შესაცვლელად თუ გარდა-საქმნელად და საჭირო საშუალებების და მექანიზმების შესაქმნელად და ასამოქმედებლად... ანუ, მდგომარეობა არ არის ისე უიმედო და სასონარმკვეთი, როგორაც თავიდან ჩანს ხოლმე, რადგან სამყარო იმგვარად არის მოწყობილი, ისეა გამართული, რომ ყოველთვის გვიტოვებს გარკვეულ დროს მომხდური დროების მისაღებად და გარდასავლელად, შემდეგ მომავალში გადასასვლელად: თუ მართად ვიცხოვრეთ და არ დავიღალეთ, მღვიძარი დავრჩით; თუ არ მოგვტეზრდა გზის გაკვალვა სოფლის ღვლარჭნილებში; თუ არ გადავედით წარმოსახვით

ცხოვრებაში და მის სამყაროში, მის წარმოსახვით წუთისოფელში, ანუ – უბრალოდ არსებობაში.....

ჩვეულებრივი იყო ვარსკვლავებით გადაჭედილი ცა თბილისისთვისაც, ღამის ებგურივით თავსნამომდგარი, მაგრამ რაღაც შეიცვალა აქ ერთი ხანია, რამოდენიმე წელი იქნება, ესე: თითქოს ყველაფერი ისევ იქ არის (ასე თუ ისე), თავის ადგილზე, გარნა ვეღარ კიაფობს ზეცა ისე გამეტებით და გახელებით, როგორაც უნინ, საშუალებას რომ იძლეოდა, სულ უფრო შიგნით ჩაგეხედა მის ლურჯ სილრმეში და წიაღებში და ისევ ცოთომილების გუნდები გეპოვა იქაც, სულ უფრო მეტი და მეტი, რაც უფრო შიგნის ჩაიხედებოდი და ჩაყვებოდი კვალს, ალტაცების ურუანტელი რომ დაგივლიდა ხოლმე ტანში და სხეულში ამ გადავსებულ უსაზღვრობაში ჩაძირვის განცდით და მასთან სიახლოვით, მასთან ახლობლობით, ყოველი კუთხიდან სინათლის სხივები რომ მოჰქონდა შენთან გამალებით და უთვალავ ამბავს გიყვებოდა იქიდან მოტანილს, დაუღალავად და გაბმულად!.. ეხლა კი თითქოს თხელი აპკი მიეფარაო თბილისზე ვარსკვლავცას, უფერო ნისლის, რომლის იქიდან მქრქალადღა ბჟუტავენ ცოთომილები, მეტად დაცილებულები რეცა ერთმანეთს, დაშორიშორებულები და მის შიგნითაც, კოსმიურ სილრმეში ძნელადღა არჩევ მნათობთა გუნდებს და მათ სიმრავლეს ნებად მობნეულს მის ყველა მხარეს.. ან თვალს დააკლდა ასაკთან ერთად, გულს მონდომება, ან ვარსკვლავები შორდებიან ერთმანეთს მეტი აჩქარებით და ცარიელ ღუებს ტოვებენ გაჩენილ შორისებში, ან რაღაც შეიცვალა თვითონ ქალაქში, მის ნათურებში, ლამპიონებში, მის ჩირალდნებში, რამაც გაამკრთალა ქალაქის თავანი და მას შემოწყობილი ვარსკვლავები, თანდათანობით...

ტაძრების და ძეგლების განათება-გაშუქებით დაიწყო რეცა ყველაფერი, მათი წარმოჩენით და გასაჩინოებით, ესე რომ მოუხდა ქალაქს და გარემოს თავიდან.. მეტადრე სამების ეკლესის გამოკვეთა, თითქმის ყველა მხარიდან რომ გამოჩნდა თბილისის (თვალის და გულის საამებლად და გასახარად), და ნარიყალას და მეტების გაშუქება, ესეთი სირბილე და სიმყუდროვე რომ შესძინა ძველ ქალაქს და მის სანახებს და ჯადოსავით მიიზიდა მისკენ სულყველა, მკვიდრი თუ უცხო, ჩვენთან მოსული!.. ამას „ლირსშესანიშნავი“ შენობების გაჩირალდნება მოყვა კვალად, თანდათან მზარდი, მათი წარმოჩენა და გასაჩინოება, სადაც კი შეიძლებოდა, სადაც მიწვდებოდი, გარნა ესეც არ არღვედა ქალაქის გარემოს მთლიანობას შესამჩნევად, მისი ქვე- და ზე-ყანის ერთიანობას და თანახმობას და ვარსკვლავებით მოჭედილი ღამის თავანიც ინარჩუნებდა კიდევ თავის ციაგობას და ხმიანობას თბილისის თავზე, ღათუ სულ თხელი ლიბრი უკვე ჩნდებოდა ვარსკვლავცის ქვემთ, სივრცის გამყოფი... მერე ყველაფრის განათება-გაჩირალდნების ჯერიც მოვიდა: შენობების, სარეკლამო ფარების, მაღაზიების ვიტრინების, სხვადასხვაგვარი ჯიხურების, სალალობო ადგილების, დიდი თუ პატარა სასტუმროების და ასე შემდეგ, და ამდაგვარად, და აღაუღაუდა და აღაპლაპდა მთელი ქალაქი, მისი მოედნები და გამზირები, და კიდევ რაღაც შუქურები და ეს ფერად-ფერადოვნად აუღრიალებული სატელევიზიო ანძა – საჩინო ადგილი არ დარჩენილა ამ ხმიანის გარეთ!.. თითო-ოროლად თუ დარჩა კიდევ ბნელი ქუჩები, ვიწრო შუკები, გაუნა-

თებელი ადგილები და მთელი ეს შუქი ერთურთს ერეოდა, ერთურთს ერთვოდა და ემატებოდა და განიბნეოდა მთებით მოფარგლული ქალაქის ქვაბულში, მის ყველა მხარეს, ერთგვარ სინათლის ბუღად გროვდებოდა და ეკიდებოდა თბილისის თავზე, სინათლის ნისლად, რომელიც ძნელს ხდიდა ლამის ცის დანახვას, მის შიგნით ჩახედვას – ვარსკვლავცის ზმობის გარჩევას მასზე...

ყველაზე მეტად მაინც ძველი ქალაქი გაჩირალდნდა, ძველი აბანოები და მისი მიგარდმო არე, გაშვებული მტკვრის ორივე მხარეს.. აქეთ გაბდლვიალებული მეტე-ხის ტაძარი და მისი გარემო, ვახტანგ გორგასლის ძეგლით კალთაზე, დაშვებული მდინარის პირამდე და არკელილი მტკვრის მდინარე წყლებში; იქით გაჩახჩახებული ნარიყალა, მისი ძირიდან ლამის ხიდის წინარე პატარა მოედნამდე ჩამოყოლებული ნათურა-სახლებით, უმეტესი სასტუმროებად რომ გადაქცეულა და სალალობოებად (კაფე-ბარებად, რესტორნებად, ხელდახელ გამოფენებად, ...) ამასობაში; მეორე მხარეს კი მთის ფერდზე ამოსული სასტუმროები თუ რესტრონებია, თავისი ნათებით და კაშკაშით დარეჯანის სასახლეს რომ აჭარბებენ, და ავლა-ბარში ამავალი ორი ჩახჩახა ქუჩა, მარცხნივ და მარჯვნივ, გაშუქებული ლამპიონების ბრიალით და სინათლის ჭავლებით მიმნიშნებული ავლა-ბარისკენ თუ მეტეხის მოედნისკენ მიმართული სამოძრაო გეზის!. მტკვრის მხრიდან კიდევ (როგორც ის მოდის) ფე-რადი ნათურებით და ტალღოვანი შემინული ქოლგა-სახურავით გაბრჭყვიალებული საფეხმავლო ხიდი იყვეთება, თავს რომ დაჰყურებს თავის ანარეკლ ქვემოთ, მდინარეში, სიონის ტაძართან, რომელიც შედარებით ნაკლებად არის გაჩირალ-დნებული და გაშუქებული მთელ ამ არეში და არ გამოირჩევა განსაკუთრებული სხივოსნობით, არ ეჯიბრება ხიდის კვესებას და სანაპიროს ლამპიონების ხმამაღალ კასკასს შუა ლამეში.. იქითა მხარეს ორთაჭალიდან მომავალი მანქანები ამოდიან გაჩახჩახებული სანაპიროდან, მეტეხის ხიდთან, ერთიმეორის მიყოლებით, ნათურების გაბმული ბრჭყვიალით და ჭყვიტინით, შეუსვენებლივ; და უფრო იქით, მარჯვენა მხარეს (მდინარის გასწვრივ), ნარიყალას გაგრძელებაზე, მისგან ხელმარცხნივ, დაბინდული მთის თავზე შორი ლამპიონივით გადმოიყიდულა ოქროსფერი სინათლით გაბუჟებული პატარა ეკლესია, როგორდაც თავისითვის, გვერდზე გამდგარი, ცალკე, ლამის ქალაქის ცხოვრების ჩუმი შემყურე და უტყვი მონწმე!.. მტკვარზე ბრტყელიძირიანი სასეირნო კატარლები დასრიალობენ, აქეთ და იქით, განათებულები სხვადასხვაგვარად, გარნა მშვიდად და მოგუდულად, თითქმის უჩქამოდ; მათ ზემოთ კიდევ, ნარიყალას საბაგიროზე (სხვადასხვა ხაზით) არბი-ჩამორბიან მოჩვენებებივით უხმო საბაგირო ეტლები, ხატულებივით შემკვრივებულები შებიძლეულ სივრცეში, ძირს, კიდეებზე დაყოლებული მოლურჯ-ცისფერო ნათურებით რომ ციაგიაობენ ცთომილებივით.. და ლამპიონები, ლამპიონები აკვესებული სულყველა მხარეს: მარჯვნივ თუ მარცხნივ, გასწვრივ თუ კვეთით, მიგარდმო, ირგვლივ, ქვემოთ და ზევით; სავსე მთვარეც რომ ლამპიონად ამონეულა ამ ჩირალდნებში, ასხივებული ვერცხლის ფერებით!

ესე ჩახჩახებს ძველი ქალაქი, მთელი ეს არე, ერთი დიდი ლამპიონიაო თით-ქოს ანთებული ზედ მიწის პირზე, მის აღმართ-დაღმართს და ხევულებს აყოლილი

და მიდევნებული, ხელით ნაკეთი ნათურებით და ჩირალდნებით გასხვოსნებული.. ზევით ლამეა, ბნელი თავანი, შელურჯებული ოდნავ, ქვემოთ კი ბდლვიალებს ირგვლივ ყველაფერი, დაუკებლად, „მზიანი ლამე“ დადგაო რეცა ამ მხარეში, ისე ბრჭყვიალებს მთელი გარემო, მეტადრე ზემოდან რომ გადმოხედავ (სხვა ადგილიდან) ან კიდევ შორიდან უმზერ ამ ოქროსფრად აბრიალებულ არეს!.. ოღონდ „მზე“ არ ჩანს არსად ახლომახლო: არსად არ ამოდის, არ გადადის ცის კაბადონზე და არსად არ ჩადის.. ვინძლო იქვეა, სადმე, გაბუდებული და გაყუჩებული ან მთელი არეა ესერიგად აკვესებული!. მაგრამ მერთალდება ეს აღტყინება თანდათანობით, ნელდება ძველი თბილისის ლამე, კარგავს მოსილებას მისი ელვარება და შუქფერობა: დილის რიურაუზე, ცა აღმოსავლეთით რომ შეიფაქლება და აისიც მასთან ერთად რომ ახმიანდება...


ბევრი ხალხი ირევა „მზიან ლამეში“.. სხვადასხვა ჯურის, სხვადსხვა მოდგმის, სხვადასხვა გზნობის, სხვადასხვა წყობის, საიდან არ მოსული და სად არ ნამყოფი, ადგილობრივებიც, გარნა საერთო აქვთ რაღაც მათ ყველას, ერთნაირი: ძნელად თუ შეხვდები მათში უბრალოდ ხალისობას, გულის სიმსუბუქეს და ნებიერობას, როგორლაც სერიოზულად არიან უფრო განწყობილი, მუშაობენსავით რაღაცას თავისას, საქმეზე არიან თითქოს მოსული... კარგად იციან: სად იმყოფებიან, რისთვის მოვიდნენ და სად ნავიდნენ; სად ისეირნონ, სად გაჩერდნენ, სად დაისვენონ; ვის შეხვდნენ, ვინ მოინახულონ, რაზე ისაუბრონ; ანდა რა ნახონ, რა დაათვალიერონ, რა შეიძიონ; რა გადაიღონ, რა ჩაინერონ, რა ჩაინიშნონ; სად დაიყუჟონ და ვით გაერთონ!. მეტად ემსგავსებიან ესე ერთმანეთს, ძალიან სხვადასხვანი თითქოსდა სხვა მხრივ...

ამ დროს ძველი ქალაქის თავზე ვარსკვლავიც არ ჩანს, კანტი-კუნტად თუ შემოგხვდება ცაზე მნათობი, სავსე მთვარე ანათებს მხოლოდ თეთრი ლამპიონივით და ცისკრის ვარსკვლავი ჩნდება შორიახლოს, ყველაზე ადრე რომ ამოდის (დაისზე) და ყველაზე გვიან ჩადის (ალიონზე), ღათუ ისიც პლანეტა ვენერაა ოდენ და ვერ ციმციმებს ცითომილებივით.. კიდევ იუპიტერი შეიძლება გამოჩნდეს კაბადონზე (დიდი მეხამრიდი ჩვენი დედამიწის) და ამით იფარგლება მთელი ცის თაღი ძველი თბილისის, უბრად გადმომყურე ქვევით განფენილ „მზიან ლამეს“... მის თავზე ვარსკვლავცა მდუმარე ხდება, ხმას აღარ იღებს: აღარას ყვება სამყაროს ამბების და გარდახდომების, აღარ გვაფრთხილებს ხიფათებზე, მათ თან რომ მოაქვთ და ჩვენამდეც რომ მოაწევენ მომავალ მყობადში!. წუთისოფელი კი ერთთავად ქმნაშია, მასში მუდამ რაღაც ხდება და მიმდინარეობს (დღესაც, ამ წუთში), მაგრამ ამაზეც ვერ შევიტყობთ წინასწარ ვერაფერს (თადარიგი რომ დავიჭიროთ მის შესახვრდრად), თუ არ გაიფანტა ქალაქის თავზე უფერო ნისლი და არ გვაუწყა ჩვეულად ვარსკვლავცამ ამბები მისი!..



სინათლის კონუსი, სამყაროს წყობის ერთგვარი გათვალსაჩინოება თითქოს, არა უმეტეს, მაგრამ რამდენ საკითხს აცოცხლებს იგი, რამდენს ეხება სულ სხვა მხარიდან, კრეტსაბმელს უხსნის თავისი ქარაგმებით და უახლოებს კაცის საფიქრალს.. აქ ორი კონუსი ხვდება უბრალოდ ერთმანეთს, სხვა არაფერი თითქოს, წვეროებით ეხება ერთურთს და შეხების წერტილში მთლიანდება ერთიან სხეულად: წარსულის კონუსი და მომავლის კონუსი, ერთმანეთს შერთული ანმყოს წრეხაზში!.. დროის ვექტორიც ამავე ხაზს მიყვება თავის აღმასვლაში და მას ამკვიდრებს წუთისოფელში, ამ მიზეზ-შედეგობრიც კავშირს და მიმართებას მოვლენებს შორის: წარსულიდან მომავლისაკენ, ანმყოს გავლით, ანუ – მიზეზებიდან შედეგებამდე, ნამყოდან მყობადში, მიმდინარე ხდომილებებით შეხების წერტილებში....

ანმყოს კონკრეტულ ხდომილებას აქ პირდაპირ ებმება, უშუალოდ უკავშირდება ყველა იმ მოვლენა-ხდომილების სიმრავლე, რომლებმაც ესა თუ ის ზე-მოქმედება მოახდინეს ამბავზე (წარსულის სინათლის კონუსი) და ყველა იმ მოვლენა-ხდომილების კრებული, რომლებზეც შეიძლება (პოტენციალურად) გავლენა მოახდინოს მოცემულმა ხდომილებამ მერმისში, მყობადში (მომავლის სინათლის კონუსი). ესეთი სინათლის კონუსი ანმყოს ყოველ ხდომილებას (მოვლენას, ამბავს) თავისი აქვს, საკუთარი, განსხვავებული და განყოფილი ერთმანეთისგან, იმათაც კი, რომლებიც ერთდროულად ხდება წუთისოფელში, დროის ერთი და იგივე მომენტში, ერთსა და იმავე ანმყოში!. აქ სინათლე ფიზიკური ზღუდეა თითქოს, კონუსის ზედაპირის შემნივთებელი და მოცემულ ხდომილებას-თან მიზეზ-შედეგობრიც კავშირში მყოფი ყველა მოვლენა, ხდომილება მის შიგნით ხვდება სწორედ და მის ფარგლებში თავსდება, ვერ გადაცდება ამ ზღვარს ვერა გზით: რადგან სინათლეს (ფოტონს, მის ნაწილაკს) მაქსიმალური სიჩქარე აქვს წუთისოფელში, რომელთანაც მიახლოება შეიძლება ოდენ, რაგინდა ახლო, მაგრამ არა მიწვდენა (გადაცდენა, მითუმეტეს)!.. და ვერც გარედან ექნება რამეს გავლენა მოცემულ ხდომილებაზე – იგივე მიზეზით.. ეს ყველას ეხება, ყველაფერს არსებულს: ადამიანის ცხოვრებას, ხდომილებებით სავსეს; კაცობრიობას, მისი დროისმიერი სვლა-გარდასვლებით; ციურ სხეულებს, მათი ამბებით და გარდახდომებით; და მთელ წუთისოფელს, კოსმიური ცხოველმყოფელობით....



სურათის წყარო: Light Cone. Wikipedia, the free encyclopedia.

https://en.wikipedia.org/wiki/Light_cone

– გესმის, პალიკო, ყოველ ჩვენგანს საკუთარი სინათლის კონუსი უჩნდება, თურმე, ცხოვრების კვალში, თავისმომყრელი და შემკრები ყველა მოვლენის, რა-მაც დღემდე მოგვიყვანა და ყველა ხდომილების, რასაც დღევანდელი დღე გაყ-ვება მერმისში!.. ის ბევრად შორს ჩადის წარსულის ხვიებში, ჩვენი გაჩენის იქით და მნიშვნელოვნად გაცდება (სავარაუდოდ) ჩვენი სოფლიდან გასვლის ჟამსაც მომავლის ქარგაში.. რეცა ინდივიდუალური კვალი აქვსო ყოველ ადამიანს დრო-ჟამის სვლაში, გამორჩეული და გამოკვეთილი სინათლის კონუსით, მფარველი ანგელოზივით რომ დაყვება კაცს მისი ცხოვრების წვნაში: ყოველს თავისი, საკუ-თარი, დაბადებიდან, დღეც და ლამეც...

– ესევე ასაჩინოებს სინათლის კონუსი სამყაროს წყობას, მის ერთიანობას და გარდამავლობას, მიწყივ გადასვლას ნამყოფან მყობადში: უამრავი მოვლენა-ხდო-მილების მიზეზ-შედეგობრივ გადაბმას ერთმანეთთან ჟამთასვლის წრეებში და დროთა ტრიალში!. მაგრამ ერთი მთლიანი კონუსია ეს უკვე, პალიკო, ყველაფრის დამტევი, წუთისოფლის მომცველი და მომკავებელი სრულად: მისი ამბებით და გარდახდომებით, მოვლენებით და ხდომილებებით, მისი ბინადრებით, მოფარგ-ლული სინათლის კონუსის მრუდე ზედაპირით, რომელსაც ვერ გადაცდები ვერა მხრით და ვერა ძალით..

– გამოდის, სწორედ სინათლე საზღვრავს სამყაროს, პალიკო, ერთ მთლიან სხეულოვნებად კრიბავს მის ცხოველყოფას, აძლევს საშუალებას და შესაძლებ-ლობას ჰქონდეს საკუთარი წესწყობილება და მდინარება სინათლით დასაზღვ-რულ და გამოკვეთილ ფარგლებში!!.. მასთან, ეს არ არის სივრცული მოსაზღვრა წუთისოფლის, შეზღუდვა მისი გაშლა-განფენის (კოსმოსი დღესაც ფართოვდება და თან გამალებით!), ის მხოლოდ საერთო ჩარჩოს ადებს კოსმიურ ცხოვრებას, მისი ცხოველყოფის ფარგლებს მოხაზავს ოდენ, როცა განსაზღვრავს: რომ სამ-ყაროში არ შეიძლება რაიმე მოძრაობდეს სინათლის სიჩქარეზე მეტი სიჩქარით; რომ მხოლოდ მასზე დაბალი (თუნდაც სულ მცირედით) სიჩქარეებია დაშვებული ამ სამკვიდროში; რომ უმაღლესი სიჩქარით ნულოვანი მასის მქონე ნაწილაკებმა შეიძლება იმოძრაონ ოდენ.. თან აქ მთავარი ის კი არ არის, პალიკო, რომ კოს-მოსში მოძრაობის უმაღლესი სიჩქარე 300,000 კილომეტრია ნამში (ან თუნდაც 700,000 კილომეტრი იყოს წამში, ან კიდევ სხვა), არამედ ის, რომ არსებობს ეს „უმაღლესი“, ზღვრული სიჩქარე, როგორც ასეთი, რომელსაც ვერ გადახვალ, ვერ გადაცდები ვერანაირი მანქანებით!..

– ამ ზღვრული სიჩქარით კი სწორედ სინათლე მოძრაობს, პალიკო, ფოტონი.. ის თავის ჩარჩოში ათავსებს კოსმოსს, მთელ წუთისოფელს, საზღვრებს უმაგრებს მას: რომ არ გაიფლაშის და წაიშალოს ხილვადი სამყარო და არ გავიდეს ცხოვრე-ბის ველიდან!. მუდამ მღვიძარი გუშაგივით დარაჯობს სოფელს და დაუღალავად იცავს მის ზმობას – წუთისოფლის სვლას მომავლისაკენ...

– საოცარია თვითონ სინათლის ბუნებითობა, პალიკო.. ფოტონი, მისი ნაწი-ლაკი, ერთი მხრივ, ტალღაა, ელექტრომაგნიტური, და ამავედროს მას ნაწილაკის სხეულოვნება აქვს, მოუხედავად იმისა, რომ მასა არ გააჩნია, ანუ უნივერსა – არ არის ხორციელი!!.. ისე გამოდის, რომ სწორედ ამის გამო შეუძლია მას იმოძრაოს ზღვრული სიჩქარით და ზღუდე-კედლად შემოევლოს მთელ წუთისოფელს: მისი სიწმინდის და მიუწვდომლობის გამო და წილად!.. თვითონ კი დაუბრკოლებლად ჩადის წარსულის შრეებში, სულ ძირისძირამდე და ესევე იოლად გადადის მყობა-დის მხარეში, მომავლის ხაზებს მიყვება კვალდაკვალ და თან წამითაც არ ტოვებს აწმყოს, მიწყივ ცვალებადს და გარდამავალს! – ზღუდე არ ხვდება მას სამყარო-ში, მის დრო-სივრცეში გზების გაკვალვას...

– ერთი უცნაურობა ახასიათებს კიდევ სინათლის ნაწილაკს, მის ქცევას, პა-ლიკო: ცალკეულ შემთხვევებში (განსაზღვრულ პირობებში) ის სინათლის კონუ-

სიდან გადის როგორლაც, ქრება უეცრად, იქ აღარ არის, ანუ სამყაროდან გადის და მის მიღმა ხვდება ამ დროს.. ... გარეგნულად ეს ისე იმზირება, რომ რაღაც წამში ფოტონი იკარგება თვალთახედვის არიდან, მეყვსეულად და გარკვეული დროის შემდეგ იქვე ჩნდება, იმავ ადგილას, სადაც მანამდე იყო.. ეს უცნაურია, დამაბნეველიც, რამეთუ სინათლის ნაწილაკს არ შეუძლია უბრალოდ გაქრობა: ამ დროს ელექტრონი და პოზიტრონი ჩნდება მის ადგილზე ყოველთვის, ანტინაწილაკები ერთმანეთის, რომელთა შერწყმითაც (ანიგილაციით) ისევ სინათლის ნაწილაკი იბადება და თუ ის „უბრალოდ“ გაქრა სოფლიდან, მაშინ სამყაროს გარეთ გასულა უკვე ფოტონი!!.. ეს არ არის პირდაპირი დაკვირვებების შედეგები, მონაცემები, უფრო გვერდითი ეფექტებია (როგორც წესი) რაღაც ექსპერიმენტების ან სხვა სახის გამოკვლევების, ადამიანი რომ ეშურება და ეჭიდება, მაგრამ შენიშნულია და აღნუსხულია ამ დროს...

- გამოდის, რაღაც კიდევ არსებობს, პალიკო, სამყაროს იქითა მხარეს, სინათლის კონუსის გარეთ, სხვა ბუნებითობის ("ზე-ყანა", როგორც ქართულად ამბობენ ან კიდევ სხვა რამ), რომელშიც გადასვლა მხოლოდ სინათლეს ძალუძს და ხელენიფება და ნება აქვს დართული მისი რაობის და ბუნების გამო – გუშაგად რომ ადგას წუთისოფელს, ჩვენს სამყაროს და მკაცრად განაყოფს მას მიღმა სოფლიდან!!.. და მხოლოდ თვითონ, ისევ სინათლეს შეუძლია ამ ზღუდის გადასვლა, გადალახვა იქით და აქეთ....

აქ უნდა იყოს, ვინძლო, ქრისტე, სინათლის ხვიებში, ებგურად და გუშაგად წუთისოფლის, მისი ცხოველყოფის და მდინარების, სინათლის კარიბჭის განმჩინებლად და განმგებელად (სააქაოსა და საიქიოს საზღვარზე, შორის), დასაბამიდან და ვიდრე აღსრულებამდე სოფლის... და ბუნებრივად ჩანს ამ განგებაში, რომ სწორედ ექ თვისი უნდა მოევლინა შემოქმედს თავისი ნაღვანის მეთვალყურედ და გზის გამკვლევად წუთისოფელში: მის მიერ ქმნილი სამყაროს მოსაფარგლად და დასაფარად, მისი სიმყარის უზრუნველსაყოფად და დასაცავად!. ანუ იესო მუდამ აქ იყო, პალიკო, დასაბამიდან (ნათელი როს ენია სოფელს) და აქავ იქნება, ადამიანებთან, ბოლო ჟამამდე, გვერდით, ღათუ ერთხელ მოევლინა კაცობრიობას დე-ხორციელად მხოლოდ.

ამის გამოხატულებაა ზღვრული სიჩქარის დადგინებაც სამყაროსთვის და მისი მიგება სინათლისათვის!.. მას „c“ ასოთი აღნიშნავენ პირობითად და „სინათლის სიჩქარეს“ უწოდებენ: სინათლის, რომელიც ამოსავალია წუთისოფლის, ხილვადს და ცნობადს ხდის სამყაროს (ჩვენს დიდ საცხოვრისს), დამზერადს და გარჩევადს დროუშის სვლაში და მდინარებაში, მიწყივ!

ც სინათლის სიჩქარეა ვაკუუმში, ანუ სიცარიელეში და მას ერთიდაიგივე სიდიდე აქვს დრო-სივრცის მთელ სამკვიდროში: არ არის დამოკიდებული ადგილ-მდებარეობაზე და არ იცვლება ჟამთა ცვლასთან ერთად, დამოუკიდებელია სინათლის წყაროს მოძრაობის სახეობისა და ხასიათისგანაც... ის ფუნდამენტური, უნივერსალური ფიზიკური მუდმივაა: არ დაიყვანება სხვა სიდიდეებზე და არ გამოიყვანება მათგან, საყოველთაო არის თავისი ბუნებით და არ იცვლება დროში!

არსებითად, ის ერთმანეთთან აკავშირებს სივრცეს და დროს, მათი ერთმანეთთან გადაბმულობის პირდაპირი გამოხატულება...

გარნა სინათლის სიჩქარე ერთადერთი უნივერსალური, ფუნდამენტური ფიზიკური მუდმივა არ არის წუთისოფელში, აქ რამდენიმე სხვა ფიზიკური მუდმივა გამოირჩევა კიდევ, სამყაროს მთლიანობის და სიმყარის უზრუნველყოფას რომ ემსახურება დღენიადაგ, დაუღალავად!. გრავიტაციული მუდმივა „G“ უნდა გამოიყოს მათ შორის ამ მიმართებით, რამდენადაც იგი გრავიტაციული ეფექტების განსაზღვრასთან და მათ სათანადო ყალიბში მოქცევასთან და სივრცე-დროის გაშლასთან და გამართვასთან არის დაკავშირებული.. თავისი არსით G გრავიტაციული ძალის ურთიერთქმედების მუდმივაა, მასის (ხორციელობის) მქონე ნაწილაკების, ბუნებაში არსებული სხეულების ერთურთან კავშირის განმცხადებელი მუდმივა: მათ ურთიერთქმედებას, ურთიერთმიზიდულობას ახასიათებს ის. რიცხობრივად G ტოლია გრავიტაციული ძალის, რომლითაც ერთეულოვანი მასის წერტილოვან სხეულზე მოქმედებს მეორე ერთეულოვანი მასის მქონე წერტილოვანი სხეული ერთეულოვანი მანძილით დაშორებული მისგან. ეს მეტად მცირე სიდიდეა, ძნელად გასაზომი ზუსტად, რამდენადაც თვითონ გრავიტაციული ძალა და მისი ზემოქმედება არის უკიდურესად სუსტი სხვა ფუნდამენტურ (ფუძე) ძალებთან შედარებით. თავისი რაობით, გრავიტაციული მუდმივა უნივერსალური, ანუ საყოველთაო ფიზიკური მუდმივაა: მისი სიდიდე არ იცვლება დროში, ერთი-დაიგივეა ჩვენი მზის სისტემაში, გალაქტიკაში და საზოგადოდ კოსმოსში – გრავიტაციულ მუდმივას ერთიდაიგივე მნიშვნელობა აქვს სამყაროს ყველა სხეულის-თვის მიუხედავად მათი ზომა-წონისა. სინათლის სიჩქარის მსგავსად, ჩ მუდმივაც ერთგვარ შეზღუდვას ადებს წუთისოფელს, მის ცხოველყოფას: მისი სიდიდე არ შეიძლება განსხვავდებოდეს იმ მნიშვნელობისგან (მეტი ან ნაკლები იყოს მასზე), რომელიც მან მიიღო დასაბამიდან და მოაქვს დღემდე.. სხვა მნიშვნელობა რომ ჰქონოდა ჩ-ს, სხვაგვარი სამყარო გვექნებოდა ცარგვალზე!.. (იგივე G-ს მნიშვნელობა 100-ჯერ მეტი რომ ყოფილიყო დღეს მოცემულზე, ვარსკვლავების სიცოცხლის სანგრძლივობა, მათ შორის ჩვენი მზისაც, მკვეთრად შემცირდებოდა და ცნობიერი სიცოცხლის წარმოქმნაც ვეღარ მოესწრებოდა დედამიწაზე თუ სადმე სხვაგან, კიდევ, კოსმოსში.....)

ასევე ძირითად ფუნდამენტურ ფიზიკურ მუდმივებს განეკუთვნება ეგრეთწოდებული პლანკის მუდმივა h: ელექტრომაგნიტური ქმედების კვანტი, რომელიც სინათლის ნაწილაკის, ფოტონის ენერგიას მის სიხშირესთან აკავშირებს. უფრო ზოგადად: პლანკის მუდმივა ნებისმიერი რხევადი ფიზიკური სისტემის ენერგიის კვანტის სიდიდეს მისი რხევის სიხშირესთან აკავშირებს. h უმცირესი ფიზიკური ქმედებაა ბუნებაში და როგორც ასეთი, როგორც ფიზიკური ფაქტი, ის სამყაროში უმცირესი (მაგრამ სასრული) სიდიდის ფიზიკური ქმედების არსებობას ნიმნავს და აცხადებს. ამასთან, პლანკის მუდმივა ელემენტარული, პირველადი ქმედების კვანტია და ყველა ქმედება წუთისოფელში სწორედ ამ კვანტებისგან შედგება და იკრიბება!.. h ზედმიწვნით მცირე სიდიდეა თავისთავად; ის სინათლის და საზოგადოდ მატერიის დაკვანტვასთანაა დაკავშირებული, სუბ-ატომური ფენომენია

ბუნებითად და მიკროსამყაროს რეალობებს ასახავს და ახასიათებს – მიკრო და მაკრო სამყაროების წყალგამყოფად წარმოდგება, როგორც ასეთი, თავისი რაობით და სახეობით. პლანკის მუდმივაც უნივერსალური (საყოველთაო), ფუნდამენტური ფიზიკური მუდმივაა: ის ერთიდაგივე სიდიდისაა კოსმოსის ნებისმიერ წერტილში და არ ექვემდებარება დროის სვლასა და ჟამთა სრბოლას წუთისოფელში... ამდენად, სინათლის სიჩქარის და გრავიტაციული მუდმივის მსგავსად, პლანკის მუდმივაც თავის შეზღუდვას ადებს ჩვენს სამყაროს და მის ცხოველყოფას, ნათელს ხდის რა, რომ: ბუნებაში არსებობს ზღვრული სიდიდის ქმედება, რომლის ქვემოთაც ვერა ქმედება ვერ განხორციელდება; ეს „ზღვრული ქმედება“ ჰ-ის ტოლია სიდიდით და ერთიდაგივეა ყველგან და ყოველთვის – არ შეიძლება არც მეტი იყოს და არც ნაკლები მასზე; ჩ პირველადი ქმედების კვანტია, რომლითაც იკრიბება ყველა ქმედება კოსმიურ სივრცეში...

ფუნდამენტური ფიზიკური მუდმივაა აგრეთვე ელექტრული მუდმივა ϵ_0 , რომელსაც დიელექტრიკულ მუდმივას, ვაკუუმის შეღწევადობას, დიელექტრიკულ შეღწევადობას თუ თავისუფალი სივრცის (სიცარიელის) შეღწევადობასაც უწოდებენ ხოლმე. ϵ_0 საბაზისო ფიზიკური მუდმივაა, ფუნდამენტური, რომელიც თავისუფალი სივრცის დიელექტრიკული შეღწევადობის სიდიდეს წარმოადგენს და წარმოაჩენს ვაკუუმის უნარს (შესაძლებლობას) გაატაროს ელექტრული ველის ძალ-ხაზები სიცარიელეში. ყველა ნივთიერება, მასალა განსხვავდება ერთმანეთისგან ამ თვისებით, იმით, თუ როგორ ვრცელდება მასში ელექტრული ველი. ამ მიმართებით, თავისუფალი (ცარიელი) სივრცე ყველაზე ცუდი გარემოა ელექტრული ველის გასავრცელებლად, ელექტრული ნაკადების გასატარებლად და როგორც ფიზიკური სიდიდე, ϵ_0 სწორედ ვაკუუმის ამ თვისებას, მისი დიელექტრიკული შეღწევადობის ზომას წარმოადგენს – უმცირეს დიელექტრიკულ შეღწევადობას ბუნებაში. ყველა სხვა ნივთიერებას, მასალას (მეტადრე ოქროს და სპილენძს) მნიშვნელოვნად უფრო მაღალი დიელექტრიკული შეღწევადობა გააჩნია და ელექტრული ველიც ბევრად უკეთ ვრცელდება მათში. ისევე როგორც სინათლის სიჩქარე, გრავიტაციული მუდმივა და პლანკის მუდმივა, ელექტრული მუდმივაც უნივერსალური, საყოველთაო ფუნდამენტური ფიზიკური მუდმივაა: მისი სიდიდე უცვლელია, ერთიდადიგივეა სამყაროს ყველა არეში და არც დროის მდინარებაზე არ არის დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, ც, გ და ჩ მუდმივების მსგავსად, ϵ_0 -საც თავისი შეზღუდვა შემოაქვს წუთისოფელში. საკუთრივ, ის მკაფიოს ხდის, რომ: სამყაროში არსებობს ზღვრული სიდიდის დიელექტრიკული შეღწევადობა, ϵ_0 -ის ტოლი, და მასზე ნაკლები სიდიდის ის ვერსად და ვერასოდეს ვერ იქნება, ვერანაირ გარემოში.

კიდევ ერთი ფუნდამენტური ფიზიკური მუდმივაა ელემენტარული მუხტი e (მას ხანდახან q_0 -თაც აღნიშნავენ): ელექტრული მუხტი, რომელიც ერთ პროტონს გადააქვს; ან რაც იგივეა, იმავე სიდიდის ელექტრული მუხტი (მხოლოდ უარყოფითი), რომელიც ერთ ელექტრონს გადააქვს. მათ გასარჩევად, e -ს ელემენტარულ დადებით მუხტსაც უწოდებენ. ეს უმცირესი, პირველადი ელექტრული მუხტია, რომლის ჯერადი მუხტი აქვს ყველა განცალკევებად, სტაბილურ ელემენტარულ ნაწილაკს. ამ მიმართებით, ე სწორედ ელექტრული მუხტის კვანტია, რომლითაც

იკრიბება ყველა სტაბილური ელექტრული ნაწილაკის ელექტრული მუხტი და საზოგადოდ, ნებისმიერი სიდიდის ელექტრული მუხტი ბუნებაში. გამონაკლისს აქ ეგრეთნოდებული კვარკები და კვაზინანილაკები ნარმოადგენენ. კვარკების ელექტრული მუხტის სიდიდე ე-ს მესამედის ტოლია (1/3 e), ღათუ კვარკები არა გვხვდებიან თავისუფალი, იზოლირებული ნაწილაკების სახით და მხოლოდ ჯგუფებში იკრიბებიან ბუნებაში (მაგალითად, იგივე პროტონი სამი კვარკისგან შედგება, რაც ჯამში იგივე ე მუხტს გვაძლევს შედეგად). რაც შეეხება კვაზინანილაკებს, ისინი ნაწილაკები არც არიან (როგორც ასეთი) საზოგადოდ და კომლექსურ მატერიალურ სისტემებში თუ ნარმოიქმნებიან და ჩნდებიან ხოლმე. ამდენად, ელექტრული მუხტის კვანტიად შეიძლება მიღებულ იქნას ე ან 1/3 e, საჭიროების-და მიხედვით. თუმცა კი ამას არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს, რადგან ორივე შემთხვევაში, ისევე, როგორც სხვა ფუნდამენტური ფიზიკური მუდმივები, ელემენტარული მუხტის მუდმივაც თავის შეზღუდვას ადებს წუთისოფელს, ნათელყოფს რა რომ: ბუნებაში არსებობს ზღვრული, უმცირესი სიდიდის ელექტრული მუხტი ე (ან კიდევ, 1/3 e), რომელზე მცირეც ვერა მუხტი ვერ იქნება სამყაროში; და სწორედ ე (თუ 1/3 e) არის ელექტრული მუხტის კვანტი, რომლის სიმრავლითაც იკრიბება ნებისმიერი სიდიდის ელექტრულ მუხტი კოსმოსში. ამდენად, სხვა ფუნდამენტური ფიზიკური მუდმივების მსგავსად, ელემენტარული მუხტის მუდმივა ე-ც უნივერსალური, საყოველთაო ფიზიკური მუდმივაა, რამეთუ მისი სიდიდე არ იცვლება, ერთიდადიგივეა სამყაროს ყველა წერტილში და არც დროის სვლაზე არ არის ის დამოკიდებული.

– მართლაც ესე ებგურებივით და გუშაგებივით დარაჯობენ, პალიკო, ეს უნივერსალური, ფუნდამენტური ფიზიკური მუდმივები სამყაროს, მის მთლიანობას და ცხოველყოფას, რეცა წესების ჩარჩოს კრავენო მის ირგვლივ, შემონყობილები სხვადასხვა მხრიდან: რომ არ დაირღვეს წუთისოფლის არსობა და ერთიანობა ცხოვრების ხლართებში და მოგებულ გარდახდომებში, საწუთოოს სწრაფობა მომავლისაკენ.. რაც შეეხება უშუალოდ ფუნდამენტურ ფიზიკურ მუდმივას და მის რაობას, როგორც ასეთს, საზოგადოდ, მიჩნეულია, რომ ის უნივერსალურია ბუნებითად და აქვს მუდმივი მნიშვნელობა ყველგან და ყოველთვის. თვითონ ტერმინი „ფუნდამენტური ფიზიკური მუდმივაც“ შემოტანილია ისეთი ფიზიკური სიდიდეების გამოსარჩევად და გამოსაკვეთად, რომლებიც უცვლელია და არ გამოიყვანება უფრო ფუნდამენტური პრიციპებიდან, ანუ: ისინი უშუალოდ სამყაროს ფუძე-თვისებებს წარმოადგენენ, პალიკო! და სინათლის სიჩქარე C-C, გრავიტაციული მუდმივა G-ც, პლანკის მუდმივა h-იც, ელექტრული მუდმივა ε₀-იც და ელემენტარული მუხტი ე-ც სწორედ ამგვარი მუდმივების ნაკრებს შეადგენენ!..

– სხვა ფუნდამენტური ფიზიკური მუდმივებიც არის გამოვლენილი და დადგენილი მკვლევარების მიერ, პალიკო: ცხრამეტი, ერთად, დღეის მდგომარეობით... სამყაროს სხვადასხვა ნიშანსვეტს გამოკვეთენ ისინი, სხვადასხვა თავისებურებას კოსმოსისა და მისი ყოფის.. მოცემული ხუთი ფუნდამენტური ფიზიკური მუდმივა (c, G, h, ε₀ და e) გამორჩეულია მათ შორის: ისინი აღიარებულია უნივერსალურ, ანუ საყოველთაო ფიზიკურ მუდმივებად, რომლებიც წუთისოფლის ამო-

სავალ მახასიათებლებს ავლენენ და აცხადებენ და კრებენ ერთად... ისიც გარკვეული და გაცხადებულია უკვე, რომ მეტად განსხვავებული იქნებოდა სამყარო, პალიკო, ფუნდამენტური ფიზიკური მუდმივების სიდიდეებს სხვა მნიშვნელობები რომ ჰქონდეს!. კომპიუტერული სიმულაციაც განხორციელდა ფუნდამენტური ფიზიკური მუდმივების მრავალგვარი ვარიანტის გათამაშებით და შესატყვისი „კოსმოსების“ გამოვლენით და შეჯერებით, რომელმაც ნათელყო, რომ მხოლოდ ჩვენს სამყაროში, აქ მოცემული ფუნდამენტური ფიზიკური მუდმივების ფარგლებში შეიძლებოდა ცნობიერი კოპლექსური სიცოცხლის წარმოშობა და მისი თანმიმდევრული განვითარება!. ალბათ ამიტომაც არის, ესე გამეტებით რომ დაეძებენ და აღნუსხავენ ეგზო-პლანეტებს მკალევარები, დედამიწისებრ პლანეტებს რომ ნიშნავენ მთელ კოსმიურ სივრცეში სულ თითო-თითოდ: მათზე სიცოცხლის ნიშნების მისაგნებად და მისაკვლევად და უცხოპლანეტელების არსებობის დასადგენად – თუ არის კიდევ ვინმე სულიერი...

– არაჩვეულებრივია ის ფუძე-მახასიათებლები, კვანძები, ფუნდამენტური მუდმივები რომ ავლენენ ჩვენს სამყაროში, საერთო კონსტრუქცია და ფარგლები, რომლითაც იკრიბება და მოიკავება წუთისოფელი, პალიკო.. ის წვრილი ნიშან-თვი-სებები, მახასიათებლები, მეორადი მუდმივები რომ აგნებენ და წვდებიან მის წიაღში და გამოაქვთ დღის სინათლეზე!.. იგივე „პლანკის ერთეულების“ (მათ ბუნებრივ ერთეულებსაც უწოდებენ, სხვანაირად) დამოწმება შეიძლება აქ თვალსაჩინოების-თვის და რჩმუნებებისთვის, სიდიდეების, რომლებიც მხოლოდ ამ ხუთი გამორჩეული უნივერსალური ფიზიკური მუდმივის მეშვეობით განისაზღვრება და წარმოდგება, ნივთდება, საბოლოო ჯამში. ამოსავალი, ამ შემთხვევაში, ჩვენი სამყაროს კვანტური ბუნებაა თვითონ, მისი რაობა და ცხოველყოფა – ის დგება საყრდენად...

– „პლანკის სიგრძე“, ხ. ერთი ამგვარი „ბუნებრივი“ ერთეულია, პალიკო. ეს არის ერთეულოვანი სიგრძე, მანძილი, რომელსაც სინათლე ერთეულოვან „პლანკის დროში“ გადის. ხ. გრავიტაციული მუდმივის, ვაკუუმში სინათლის სიჩქარის და პლანკის მუდმივის კონკრეტული (უნიკალური) კომბინაციით, ფორმულით განისაზღვრება და გამოითვლება – არ საჭიროებს რაიმე სხვა საშუალებას მის დასადგენად. თავისი შინაარსით, პლანკის სიგრძე უმცირესი შესაძლებელი მანძილია ორ წერტილს, ნაწილაკს შორის, მისი კვანტია, რომლითაც იკრიბება ყველა სიგრძე და მანძილი ჩვენს სამყაროში.

– მეორე ამგვარი ერთეული „პლანკის დროა“, პალიკო, ხ. ეს არის დრო, რომელიც სინათლეს ჭირდება ერთი პლანკის სიგრძის გასავლელად და გასა-ლევად. ისიც ც, გ, ჩ მუდმივების კონკრეტული (ხ. -თვის მოცემული, უნიკალური) კომბინაციით, ფორმულით განისაზღვრება და გამოითვლება. თავისი შინაარსით, პლანკის დრო უმცირესი შესაძლებელი დროის ინტერვალია, რომელიც შეიძლება გაიზომოს წუთისოფელში. პლანკის სიგრძესთან ერთად, პლანკის დრო განსაზღვრავს იმ მასშტაბს, რომლის იქითაც დღევანდელი ფიზიკური თეორიები ვეღარ მუშაობენ, ვერას ამბობენ მის ბუნებაზე, რომელზეც ირღვევა თვითონ დრო-სივრცის ქარგა, პალიკო, სამყაროს შემთხველი!. ამ რეალობიდან გამომდინარე, კოსმოსის ადრეული ევოლუციის დღევანდელი აღწერა, წარმოდგენები მხოლოდ „ბინგ ბენგის“ (დიდი აფეთქების) შემდეგ ტკ დროიდან იწყება!..

— კიდევ ერთი ზედმინტენით საგულისხმო პლანის ერთეული „პლანის მასა“ m_p -ა, პალიკო. ის საკმაოდ დიდი (დაახლოებით 0.02 მილიგრამის) მასის ტოლია სიდიდით. ამ მიმართებით (t_p და t_p პლანის ერთეულებისგან განსხვავებით), პლანის მასა უკვე არ არის ფუნდამენტური უმცირესი ან უდიდესი საზღვარი შესაძლო მასების, მიუხედავად იმისა, რომ m_p -ც (პლანის სიგრძის და პლანკის დროის მსგავსად) სინათლის სიჩქარე C -ის, გრავიტაციული მუდმივა G -ის და პლანის მუდმივა h -ის კონკრეტული, უნიკალური კომბინაციით, ფორმულით განისაზღვრება და გამოითვლება.. რაც შეეხება თვითონ პლანის მასას, უშუალოდ, m_p -ის, მისი ესოდენ მაღალი სიდიდე ძირითადად ჩვენს სამყაროში გრავიტაციული ძალის განსაკუთრებული სისუსტით არის განპირობებული და გამოწვეული. პლანის მასის ამ თავისებურებას მეტად საგულისხმო შინაარსი აქვს, პალიკო: ერთის მხრივ, ივარაუდება, რომ m_p ელემენტარული ნაწილაკების მასების ზედა ზღვარს განსაზღვრავს; და მეორეს მხრივ, პლანის მასა შავი ხვრელების მასების ქვედა საზღვარს წარმოადგენს – ანუ, მიკრო შავ ხვრელებზე გადის, რომლებითაც მოპენტილია მთელი კოსმიური სივრცე!..

— ესეთი არაჩეულებრივი წესწყობილებისა აღმოჩნდა, პალიკო, ჩვენი სამყარო, წუთისოფელი, შემოკავებული ამ უცნაური „ფუნდამენტური მუდმივებით“ და მოქცეული მათი წესების ჩარჩოში, რომლებიც ზუსტად (და ხისტად) საზღვრავენ მისი ცხოველყოფის ამოსავალ ფორმებს და ფარგლებს, მაგრამ ამავდროს უზრუნველყოფენ კოსმიური ცხოვრების უნივერტ მსვლელობას დასაბამიდან ვიდრე დღესამომდე და შესაძლებელს ხდიან მის გაშლა-განფენას დროში და სივრცეში, მის გამრავალფეროვნებას და გამრავალნაირებას მოკავებული წუთისოფლის უხილავ საზღვრებში – ყველანი თავის წილ და თავის ჯერად!.. აქ სინათლე ესალტება სამყაროს, პალიკო, ყოველი მხრიდან, შეუსვენებლად, შეუნელებლად, მეყვანად და მყისად, დღენიადაგ, რომ არა გაიკარგოს მისი სამკვიდროდან და არამ დაარღვიოს კოსმოსის ერთიანობა და მთლიანობა, მისი ცხოველყოფა და ხმიანობა, რამეთუ ყველაზე სწრაფი მსრბოლელი კოსმიურ სივრცეში, სინათლის სხივი, დაუღალავი და დაუშრეტელი, შეუჩერებელი, გარს რომ ევლება სამყაროს მიწყივ, არარას უშებს შეუმონმებელს და შეუწონავს, შეუჯერებელს სინათლის მრუდე კედლების იქით, მიღმა სოფელში, მის სანახებში, ან კიდევ პირიქით, უკან, მიღმა სოფლიდან, წუთისოფელში.. აქავე ჩნდება გრავიტაცია, განმსაზღვრელ ძალად და წარმართველად სოფლის ტრიალის, ყველა ზომაწონის ციურ სხეულებს (ელემენტარული ნაწილაკებით დაწყებული) რომ აახლოებს და აკავშირებს ერთიმეორეს, პალიკო, აერთიანებს და ათვისებს ერთურთს, სადაც ფორმებს და მოყვანილობას რომ აძლევს დრო-სივრცის ბადეს, საჭირო მოქნილობას და მოჭიმულობას და თან აჩქარებს სამყაროს განვრცობას და გაღვივებას საწყისი ფარგალების და განფენის იქით, ზუსტად მოზომილ თარგებში და ყალიბებში რომ აქცევს კოსმიურ ცხოვრებას და მკვიდრად ნაგებ კალაპოტებში მიმართავს მის ცხოველ დინებას და დროის სწრაფობას მომავლისაკენ: გრავიტაციული მუდმივის განაწესის წილად და თვისად, წესად და რიგად, მასზე დაყრდნობით და მასზე დანდობით – გრავიტაციული მუდმივის, რომლის მცირედ ცვლილებასაც შეუძლია ერთიან

შეცვალოს წუთისოფლის სახე და ნირი და მისი ქცევა!. იქვე, იმავ უამს, ახლოს, პლანკის მუდმივა შემოდის ველზე, მიკროსამყაროს ზნე-ჩვევის მქმნელი და განმ-გებელი, რომელსაც ქმედების უმცირესი ზომა შემოაქვს ბუნებაში და მის კვანტს ამკვიდრებს საწუთოში, როგორც ამოსავალ წერტილს, პალიკო, როგორც სა-თავეს, რომლითაც იწყება და სხეულდება ყველა ქმედება ჩვენს სამყაროში, მის საუფლოში და სამანებში და ნათელი ხდება, გაცხადებული, რომ ყველა მოვლენა და ხდომილება, ყველა ამბავი და გარდახდომა კოსმიურ მღვმელში (რაგინდრა დიდიც) ამ ციცქანა კვანტებით შეიკრიბება და იჯამება, რომ ყველა ღვაწლი წუ-თისოფელში ამ თითო კვანტით, თითო ნაკმევით, თითო ნაკვესით ნივთდება და ისხამს ფერ-ხორცს, რომ ბუნებაში ერთბაშად, უცებ არარა ხდება, არარა ჩნდება, არ აღმოცენდება, მხოლოდ ნამცეც-ნამცეც, მხოლოდ მტკაველ-მტკაველ, თითო ძალისხმევით, თითო აღტყინებით, ერთურთზე მიბმით და მიერთებით განსხეულ-დება და განხორციელდება ყველა განზრახვა (და ყველა აღთქმა) წუთისოფელ-ში, რომ ესე გადადის მიკროსამყარო მაკრო სივრცეში, სულ მცირე ხმევა დიდ ქმილებაში, მის ხორციელობაში და ცხოველყოფაში, და ამ გადასვლაში, ამ გარ-დაქმნაში გადამყვან ხიდად და შუამავლად იგივე პლანკის მუდმივა წარმოდგება, მცირეს და დიდს შორის შუად დამდგარი, მტკაცე და მკვიდრი და შეუვალი, მათი გამყოფი და მათივ შემკრები, მათი განმასხვავებელი და გამაერთიანებელი ყო-ველუამ, ერთად.. აქ ელექტრული მუდმივაც უერთდება სხვა მუდმივების შეწყო-ბილ ხმობას, იწყებს საგრობას, ფუნდამენტური ფიზიკური მუდმივა, რომელიც თავისუფალი სივრცის, ვაკუუმის დიელექტრიკული შელწევადობის სიდიდეს წარ-მოადგენს და მის ზომა-წონას განსაზღვრავს, ადგენს, უმცირესს ყველა ნივთიერ გარემოსთან, ყველანაირ მასალასთან შედარებით, რის შედეგადაც შეგვიძლია უხილაოთ დავდგეთ მაღალი ძაბვის ელექტროსადენების ქვეშ (ან კიდევ სხვა-გან), არ გვეშინოდეს მივიღოთ მათში გამავალი დენის დამანგრეველი დარყმა და ნებიერად გავაგრძელოთ ჩვენი ყოფნა და ცხოვრება საწუთოში, რადგან ჰაერის დიელექტრიკული შელწევადობაც მეტად მცირეა, სულ ოდნავ მეტი (ერთი ბე-ნოთი) ვაკუუმის დიელექტრიკული შელწევადობის სიდიდეზე და მასშიც ძნელად ვრცელდება ელექტრული ველი, ისიც ძელად ატარებს ელექტრულ ნაკადებს – რამეთუ გათვალისწინებული ყოფილა ეს გარემოება (მრავალ სხვას შორის) და-საბამითვე, სამყაროს შექმნის და მისი წესწყობილების ჩამოყალიბების უამს.. და იქვე შემოდის ელემენტარული მუხტი, პალიკო, ფუნდამენტური ფიზიკური მუდ-მივა, უმცირესი ელექტრული მუხტი რომ შემოაქვს სამყაროში, ელექტრული მუხ-ტის კვანტი, რომლითაც იკრიბება ყველა ზომანონის მუხტი ბუნებაში (მცირეც და დიდიც) და რომელსაც თავისი წილი შეზღუდვა შემოაქვს კოსმიურ წყობაში: ზღვრული ელექტრული მუხტი, რომელზე მცირეც ვერანაირი მუხტი ვერ იქნება საწუთოში, ზღუდე, რომელსაც ვერა გადადის და ვერ გადავა წუთისოფელში – ელემენტარული მუხტი, დღენიადაგ რომ იღწვის გაუნელებლად კოსმიური ცხოვ-რების ერთიანობის და მთლიანობის შესანარჩუნებლად, მისი მდგრადობის და სა-ხეობის უზრუნველსაყოფად (სხვა მუდმივებთან ერთად), ფუნდამენტური მუდმი-ვა, რომლის ოდნავი ცვლილებაც, მცირე წანაცვლება მთელი სამყაროს იერსახის შეცვლას გამოიწვევს, მის გაუცხოვებას და გარდასახვას...

– პო, პალიკო, ესე უწყვეტად, შეუსვენებლად და შეუჩერებლად დარაჯობენ და გუშაგობენ წუთისოფელს ფუნდამენტური მუდმივები, მოგებულები სხვა-დასხვა მხრიდან და მონეულები დასაბამიდან: დასაზღვრულ ფარგლებს რომ არ გადასცდეს კოსმიური ცხოვრება, დადგენილი საზღრები არ დაარღვიოს ქაოსის ვნებამ და ესე რუდუნებით ამოყვანილი ზღუდეები არ მოშალოს და არ წაშალოს სიხარბის გზნებამ!. რომ არ მოაკლდეს სამყაროს მისი სიმყარე და ბუნებითი მდგრადობა, რომ არ დაიშრინგოს მისი გულოვნება და ცხოველი ნიჭი, რომ არ შთავარდეს სოფელი სიცარიელის უძირო სკნელში და არ დაიკარგოს მისი წკა-რამების უკვალო ბინდში.. ყოველ მყის, ყოველნამ, დაუნანებლად, დაუზარელად, გაუთავებლად თავისი მხრებით და ქედით მიაქვთ მუდმივებს საწუთო მერმი-სისაკენ, მყობადისაკენ, სადაც გაიხსნება წუთისოფლის ყოველი ნასკვი, ყოველი კვანძი და გამოჩნდება უსასრულობის სახიერება, მისი სიმაღლე და სხივოსნობა, უსაზღვრო ძალი...

– და წარმოიდგინ, პალიკო, რა ძალისხმევა არის საჭირო ამ განაწესის შესას-რულებლად, მის გასაწევად და გასატანად, მის გასაძლებად, როცა ერთი წაფორ-ხილება, ფეხის დაცდენა და თავზე დაგემხობა მთელი სოფელი, ერთი მოდრეკა, დამუხსლება და ვეღარ გაიმართები საერთოდ წელში, სულ ახლო ჩამოვა ვარსკ-ვლავცა შენთან, თითქმის თხემამდე, თავს დაგადგება სულთამზუთავივით!.. და ესე ყოველწუთს, ყოველნამ, ყოველუამ, გაუთავებლად, დაუმთავრელად, დაუ-სახველად, შენი მხრებით გიჭირავს, პალიკო, სამყაროს ჩარჩო, მისი წყობილება, წუთისოფელს რომ უნარჩუნებს მის ცხოველყოფას და მდინარებას: ვერ შეისვე-ნებ, ვერ შეყოვნდები, ვერ დაიმუხსლებ და ვერ გაიმართები, ვერ მიბრუნდები და მობრუნდები, ვერ გასწორდები, სულ ერთ მდგომარეობაში უნდა იყო, გახევებუ-ლი, ერთი ქვის ფორმიდან ამოკვეთილივით, ერთთავ დაჭიმული და დაძაბული, ქედით რომ გიჭირავს უზომო ტვირთი, ზურგზე და მხრებზე ჩამოდებული და მაინც უძლებ, მაინც იგან მის ამ სიმძიმეს, მაინც ეთვისები ამ მდგომარეობას, გაუსაძლისობას, მაინც იქ რჩები, შენსავ ადგილზე, არ ეურჩები ამ განწესებას! – რამეთუ ესეა განგებული და დადგენილი ფუნდამენტური მუდმივების ადგილი და დანიშნულება კოსმიურ წყობილებაში...

– უნებურად გახსენდება, პალიკო, თავისთავად, რომ მრავალ ხალხსა აქვს ცის დაჭერის, მისი ცხოველყოფის შენარჩუნების თემა მითოლოგიაში, სხვადას-ხვაგვარად გამოვლენილი და მოცემული: აქ „ციური სვეტი“, მითოლოგიური მთა თუ უზარმაზარი ხე ასრულებს ამ ფუნქციას მკვიდრად და თვისად (ჩინეთი); იქ ოთხ ძმა-ლმერთს უჭირავს ზეალმართული ხელებით მრავალშრიანი და მრა-ვალდონიანი ზეცა ქვეყნის ოთხივე მხრიდან, ყოველი ძმის ერთნლიანი თაურო-ბით, მონაცვლეობით, საერთო ოთხნლიან ციკლში (მაიას ხალხი); სხვაგან „დიადი ლმერთი“ წარმართავს და აწესრიგებს ციურ ცხოვრებას თავისი ნებით (ფილიპი-ნები); იქით „ასაკოვანი კაცია“ ვარსკვლავცის ლმერთი და განმგებელი (ფინეთი)... ცალკე იკვეთება მათ შორის ორი ძმა-ლმერთის მითი, რომლის თანახმადაც „ცის დამჭერი“ ლმერთი ქმნის და აწესრიგებს სამყაროს ყოფას და აადვილებს მასში

ცხოვრებას, ხოლო მისი ტყუპის ცალი ძმა დღენიადაგ იმის ცდაშია, რომ ყველა-ფერი შეაბრუნოს, ყველა დაარღვიოს, რაც „ცის დამჭერის“ მიერ შეიქმნა და გა-იმართა, რის პასუხადაც „ცის დამჭერი“ პირიქით ცდილობს ალადგინოს ქმნილი წესრიგი, ცხოვრების ნირი (იროკეზი, წყნარი ოკეანის ჩრდილოამერიკელი ინდიე-ლები) – თითქმის ისევე, როგორც ამას აკეთებენ უნივერსალური ფუნდამენტური მუდმივები წუთისოფელში...

– ეს გამოვლინებები განსხვავდებიან ერთმანეთისგან მოქმედი პირებით, სუბი-ექტებით, გამოყენებული საშუალებებით და განვითარებული მოვლენებით, მაგრამ კველას მათ აქვს საერთო ღრეული, პალიკო, რომელზეც იგება მთელი მოქმედება და იშლება მითიური ამბავი, ერთი ამოცანა გადასაწყვეტი: დაიცვან და შეინარჩუნონ ციური წყობა და მისი წესრიგი, ანუ – „დაიჭირონ ცა“, შეინარჩუნონ მისი მდგრადობა და მთლიანობა, მისი ერთიანობა ყველა გზით და ხელოვნებით, კველა ხერხით და საშუალებით!.. და საოცარია, პალიკო, საიდან გაუჩნდა ამ ხალხს ესე ერთნაირი განწყობა და მიზანმიმართება, ესოდენ განსხვავებულებს თავისი კულტურით და ცხოვრების წესით, ბუნებრივი გარემოთი და ყოფის ფორმებით, წარმომავლიბით და სოფლებდევებით, გეოგრაფიით და კლიმატური პირობებით, განსხვავებული დროის ქარგებით, კონტინენტურით!. საიდან გაუჩნდათ მათ ეს მიმართება, დაეჭირათ ცარგვალი ზევით და არ დაეშვათ მისი ჩამოშლა და ჩამოქცევა, როდესაც ვარსკვლავცა ისედაც იქ იყო რეცა ყოველთვის, თავს წამომდგარი, სავსე ცოთმილებით.. მეტადრე, რომ ციური სხეულის, „ვარსკვლავის ჩამოვარდნა“ კარგ ნიშნად ითვლებოდა ჩვეულერივ და თუ სურვილის ჩათქმასაც მოასწრებდი მისი შეგძლივება, შენი ოცნების მინდობას მისთვის, იმედიანად იყავი უკვე, დაჯერებული, რომ ის სურვილი ასრულდებოდა კიდეც მომავალში... რამ გააჩინა მაშინ ეს შიში, პალიკო, ზეცის დაქცევის, განცდა და გრძება ამგვარი ხიფათის და მისი აცილების აუცილებლობის – ესეთს რას შეესწრნენ, რა დაინახეს, რა მოეჩვენათ!?. საიდან მოვიდა ეს ერთიანობა, ესეთი თანხმობა ამ თემის ირგვლივ: სხვადასხვა ტომში და სხვადასხვა ხალხში, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა გზაზე და გასაყარზე.. რას ეყრდნობოდნენ ისინი, როდესაც ქმნიდნენ ამგვარ თქმულებებს: რა დაკვირვებებს, რა წარმოდგენებს, რა ცოდნას ან რა მიგნებებს; რა გადმოცემებს, მოარულ ამბებს; საიდან მოსულ შეტყობინებებს, ნიშნებს თუ ხაზებს; წარმოსახვებს თუ გაცხადებებს!?. ან თუ თხზავდნენ კიდეც: ვინ თხზავდა, რის-თვის? რის საფუძველზე? რატომ ან ვისთვის?.. ესე ერთნაირად, ერთსა და იგივეს, ერთიდაიგივე კოსმიურ ამბავს, თავგადასავალს, ღამის სხვადასხვა თარგზე მოჭრილს და მოთხოვილს, გადმოკერძოულს და მოწოდებულს – ჩვენამდე მოსულს...

– ამ თვალთახედვით, ამ მიმართებით, ყველაზე ახლოს დღევანდელ ცოდნა-ნარმოდგენებთან ფუნდამენტური ფიზიკური მუდმივების დანიშნულებაზე, მათ როლზე და ადგილზე სამყაროს წყობაში, მაინც პერძნული მითოლოგია მივიდა, პალიკო, მისი მითოლოგიური სოფლგანცდით და წარმოსახვებით, მისი რეალობა-ში გარკვევის წყურვილით, მეტადრე მისი „ატლასის“ მითით... ის ატლასს ეხება, დასჯილ ტიტანს, რომელსაც განეჩინა სამარადისოდ თავისი მხრებით და ქედით ეზიდა (ცის კაბადონი, უზომო ტვირთი: მთელი კოსმოსი, მისი სხეული, მარტოკად მდგომს დედამიწის კიდეში..

— აქ სრული ფარდობაა ფუნდამენტურ მუდმივებსა და მითიურ გმირს შორის, პალიკო, რამეთუ ორივეს მძიმე ხვედრი ერგო, მძიმე სამუშაო, განუწყვეტელი და დაუმთავრებელი: სამყაროს დაჭრა და შენარჩუნება დროულად ცვლაში, მისი მოქცევა და დადგინება წესების ჩარჩოში!. აქ ყველაფერი თანხმობაშია და გარჩევადი, გასარკვევია მხოლოდ, დასაზუსტებელი, თუ რატომ განსაზღვრეს ეს განჩინება როგორც სასჯელი, პალიკო, რა ნიშან-თვისებით და გამოვლინებებით.. ვინძლო სამოქმედო არის უკიდურესი მოფარგვლა თუ იგულისხმებოდა ამაში, იძულებამდე მისული შეზღუდვა სასიცოცხლო სივრცის: ფეხს რომ ვერ მოიცვლი, ვერ გაინძრევი, ვერ მოიხრები, ვერ გასწორდები, სულ ერთიბენო ცვლილება ფუნდამენტური მუდმივების სიდიდეების, ოდნავი აცდენა მათვის დადგენილი ზომა-ნონების და თავს დაგემხობა მთელი სამყარო, ჩამოიშლება ხუსულასავით და ქვეშ მოიქცევს ყველას და ყველაფერს, ერთმანეთში აღრეულს და გაბნეულს ქაოსის მტვერში, სადაც ალარაფერს არა აქვს საკუთარი სახელი და არსადა ჩანს ძე-ხორციელი!!.. ამ რეალობაში მათი მსგავსება მეტად დიდია, პალიკო, ატლასის ყოფნის და მუდმივების მდგომარეობის, მითიური გმირის და ფუნდამენტური ფიზიკური მუდმივების ყოფა-ცხოვრების, რადგან ორივგან ერთი ამბავია, ერთი ისტორია, თავგადასავალი, გარნა სხვადასხვა ენაზე თხრობილი...

— კიდევ ერთი მხარე ამ ისტორიის, ერთი წახნაგი თავგადასავლის, არა-ნაკლებად ნიშანდობლივი და გამოკვეთილი... როგორც მითის ერთერთი ვერსია გვამცნობს, პალიკო, როგორც ის გვიამბობს: ატლასი განსწავლული კოსმიური პირი ყოფილა, კოსმიური სუბიექტი, განაფული ფილოსოფიაში, მათემათიკაში, ასტრონომიაში, რომელსაც არა მხოლოდ (და არა უბრალოდ) მრგვლოვანი ცარგვალი ეჭირა მხრებით, ზე აწეული, არამედ ღვთიური სიბრძნეც მას მოყოლილი და მოგებული – სამყაროს შიგთავსი და შინაარსი, ვინძლო უფრო მძიმე ტვირთი, ძნელად საზიდი, ვიდრე მისი ფიზიკური სხეული!!.. ანუ: ატლასი ცოდნის მატარებელი ყოფილა, პალიკო, რომელიც უნილადა კიდეც მასთან მისულ დიდ გმირ ჰერაკლეს, როდესაც კოსმიური სფერო გადასცა მცირე ხნით საზიდად და დასაჭრებად, თვითონ კი რამოდენიმე ოქროს ვაშლი მოიტანა ჰერას ბალიდან (ამ ცოდნის წილი) და მისცა ჰერაკლეს: ხალხში მისატანად და გადასაცემად.....

— გასაოცარია, მაინც, პალიკო, ესოდენი მსგავსება და სიახლოვე მითოლოგიური გმირის და უნივერსალური, ფუნდამენტური ფიზიკური მუდმივების, რომლებიც თავის მხრივ სამყაროს ფუძე-თვისებებსა და მახასიათებლებს წარმოადგენენ, აცხადებენ და ნათელყოფენ წუთისოფელში!. ანუ, ისევ რაღაც ცოდნას საწუთოს შესახებ, ნათელს რომა ჰერას მისი ცხოველყოფის და მდინარების საცნო ნაკვეთებს.. და ესე ყოველთვის, ყველა დროს და უამს რაღაც გზავნილები და შეტყობინებები სულ მოდიოდა დედამინაზე: ხან რა კუთხიდან, ხან რა მხარიდან, ხან რა წყაროდან, რა მთხოობელიდან... სხვაობა მხოლოდ იმაში იყო, ვინ როგორ მოთარგმნიდა მიღებულ ნაკვესებს, დაკვირვების თუ კვლევის შედეგებს, როგორ გადააწყობდა მოგებულ ცნობებს თავის ფორმებში და ყალიბებში, როგორ გაშლიდა მათში ჩაშლილი ნიშნების ბადეს თავის ბუდეებში და მატრიცებში!. ღათუ შინა-არსი მით არ იცვლებოდა და ცოდნაც, მათში ჩადებული, იგივე რჩებოდა...

– უნებურად ფიქრდები, პალიკო, ამ თანაწყობაზე სხვადასხვა ხაზით და სხვა-დასხვა კვალით მოტანილი ცნობების, მათ ერთმანეთთან შეხვედრაზე და გადაკ-ვეთაზე!. ყველა ამ ამბავზე და თავგადასავალზე, ხდომილებაზე და მოვლენაზე, ყველა თქმულებაზე და გადმოცემაზე, კვლევის ანგარიშზე და ჩანაწერებზე – ესე სხვადასხვაგვარი ნიშნების გვერდი-გვერდ დგომაზე.. ერთიდაიგივე საგანს რომ ეხებიან და ეშურებიან, მაგრამ სხვადასხვა ენაზე ყვებიან: მეცნიერების, კულტუ-რის, რელიგიის, ლიტერატურის, ფილოსოფიის, ხელოვნების, მუსიკის, არქიტექ-ტურის, მათემატიკის, სისტემების, ტექნოლოგიების, მითოსის, თქმულებების თუ გადმოცემების, ფოლკლორის, სიმღერის, იგავ-არაკების, ზღაპრების და ლეგენდე-ბის, ცხოვრების წესის, ტრადიციების და კიდევ ვინ უწყის რა და რა ქმედებების!..

ბოლო ხანია, დიდი მოცულობის ინფორმაციის მოკრების, დამუშავების და ანალიზის მეთოდების და საშუალებების განვითარებასთან ერთად, შესაძლებელი გახდა სათანადო კვლევის საგანზე თუ ობიექტზე უზარმაზარი რაოდენობის სხვა-დასხვაგვარი მონაცემების მოკრების, დამუშავების და ანალიზის განხორციელება რეალურ დროში, რის შედეგადაც ბევრად უფრო სარწმუნო, ზუსტ და კონკრეტულ ცოდნას ღებულობ მოცემულ საგანზე და ობიექტზე, მის ბუნებითობაზე და მას-თან სწორედ მაშინ, როცა ეს ცოდნა აქტუალურია და მოთხოვნილი.... ერთი ამგვა-რი მოვლენათაგანი იყო ჩვენი გალაქტიკის, „ირმის ნახტომის“ სამგანზომილებიანი რუკის შექმნა, რომელიც მიღიარდნახევარზე მეტი ვარსკვლავის სხვადასხვაგვარი მონაცემების მოკრების და დამუშავების შედეგს წარმოადგენდა და მეტად სრულ და დაწვრილებით სურათს იძლეოდა ჩვენი გალაქტიკის სტრუქტურის და სახეობის შესახებ, თანავ, მის წარმოდგენას ბუნებრივ, სამგანზომილებიან წარმოსახვაში!. ეს არაჩვეულებრივი ამბავი იყო თავისთავად, ამგვარი რუკის შექმნა, მთელ გალაქ-ტიკას რომ მოიცავდა და გარჩევადს ხდიდა წვრილ დეტალებში, რომელიც კარგად გიცხადებდა და გაგებინებდა, თუ რა დროში ვცხოვრობთ უკვე, სადამდე მოვედით და საით მივიწევთ კიდევ.. მაგრამ არანაკლებად საგულისხმო და მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, იმის აღმოჩენა, რომ „ირმის ნახტომი“, ჩვენი გალაქტიკა მთლიანო-ბაში, ელიფსოიდური, კვერცხისმაგვარი ფორმის სხეული ყოფილა თურმე!! ...

ეს ერთი ხაზია, ერთი მიმართულება ამგვარი კვლევების, რომლებიც უფრო ფართე ხასიათს ატარებს და მთელი კოსმოსის დამზერამდეც მიდის დღეს, უბრა-ლოდ ამ კვლევების უბირველესი ობიექტი, მათი პირველადი ფოკუსი (ბუნებრი-ვად) სწორედ „ირმის ნახტომი“ იყო, მისი სახეობა და აღნაგობა, შედგენილობა, რამაც თავისი ნაყოფი გამოილო და შედეგიც მოიწია.. თვითონ ეს კვლევა-დაკ-ვირვებები კი გრძელდება და იშლება კვალად, სულ უფრო ფართო ხასიათს იღებს და კონკრეტულ შედეგებამდეც მიდის თანდათან!.. ერთი სანიშნო გამოსავალი, ერთი ნაყოფი ამ ძალისხმევის მთელი ვარსკვლავცის სამგანზომილებიანი რუკის შექმნის პირველი ცდა იყო.. ის ერთი-ორი სახის მონაცემებზე დაყრდნობით გა-კეთდა მხოლოდ და ამდენად, რამდენადმე სრული რუკის შექმნამდე ვერ მივიდო-და და არც მისულა ჯერ, გარნა ერთი ზედმიწევნით მნიშვნელოვანი შედეგი მაინც მოიტანა თან: მის მიერ მოცემული წარმოსახვა მთელი ცარგვალის, კოსმიური სხეულის ისევ ელიფსოიდური, კვერცხისმაგვარი ფორმისა აღმოჩნდა!!.. კვლე-

ვის შეზღუდული ხასიათის გამო, მიღებული შედეგი სრულიად სარწმუნოდ არ შეიძლება ჩაითვალოს და შემდგომ დაზუსტებას თხოულობს კიდევ, მაგრამ დიდი ალბათობით (მკვლევარების მტკიცებით) საბოლოო სურათიც იგივე წარმოსახვას მოგვცემს (ცის კაბადონის, მომავალში!). ანუ, გამოდის მთელ სამყაროსაც (ჩვენი გალაქტიკის მსგავსად) კვერცხისმაგვარი ფორმა ჰქონია.....

და ისევ თავისთავად გახსენდება, უნებურად, რომ მრავალი ხალხის და კულტურის შესაქმის მითოლოგიაში „კოსმიური კვერცხი“ ერთერთი ყველაზე გამოკვეთილი სიმბოლო და ხატებაა, ყველაზე გავრცელებული მითოლოგება შესაქმის ისტორიებში... ის ერთგვარი წარმოდგენაა სამყაროს პირველადი მდგომარეობის: ქაოსის პირველყოფილი ზღვის სიბრძლიდან ამოზიდული და მის წყლებზე მოცურავე-მოქნავე მსოფლიო კვერცხი, რომლის შიგნითაც სამყაროს ჩანასახი, მისი ემბრიონი ღვივდება და ყალიბდება, კოსმოსად გადაქცევას რომ ელის! კოსმოსის გაჩენაც, მისი დაბადება სწორედ ამ „კვერცხიდან გამოჩეკვით“ ხორციელდება, მისი გატეხვით ხდება, რომლის შემდეგაც მას შემოქმედი მოსავს მატერიალური სხეულოვნებით და ხორციელობით, ქაოსის მასალების თუ გატეხილი კვერცხის ნაჭრჭების გამოყენებით...

რამდენიმე კვანძი გამოირჩევა ამ მითოლოგიურ ქარგაში, ქაუთხედები, რომელთა ირგვლივაც იკრიბება და იშლება შესაქმის მითოსი, სხვადასხვაგვარად შეწყობილი და შეთანხმებული ერთმანეთს, სხვადასხვაგვარად გახსნილი და მოთხრობილი სხვადასხვა კულტურაში: არაფერი, ქაოსის წყლები; სამყაროს ჩანასახი, ემბრიონი მსოფლიო კვერცხში; კოსმოსად გადაქცევის მოლოდინი, პოტენციალური შესაძლებლობა; კვერცხის გატეხვა, და გამოჩეკვა; გამოჩეკილი სამყაროს სხეულოვნება და მატერიით შემოსვა; უზენაესი არსება, შემოქმედი... აქ „კოსმიური კვერცხი“ ქაოსიდან გამოცალკვების, მისგან განცოფის საშუალებაა, რომლის გარსიც, კვერცხის ნაჭრჭი იცავს მის შიდა არეს, შიგთავსს ქაოსის წყლების შელნევისაგან, ხოლო მისი ელეფსოიდური ფორმა ჩანს ოპტიმალურია ქაოსის ტალღების ასაქცევად და მათი დარტყმების გასაანელებლად.. „კვერცხის“ შიდა არე, დაცული ქაოსის უფორმო მასის მიმოქცევისგან, ის ალაგია სადაც ისახება და ღვივდება სამყაროს ემბრიონი, სადაც ის რჩება, ვიდრე არ მიაღწევს ნაყოფის სისრულეს და არ მიიღებს საკუთარ სახეს, ვიდრე არ შეიძენს კუთვნილ რაობას!. ამისთვის კი: კოსმიურ კვერცხში სამყაროს მასალა იყო და სტრუქტურა მოცემული (აფრიკა, დაგონის მითი); „კვერცხშივე“ მიიღო სამყარომ თავისი ფორმა, სადაცი სტრუქტურა და სათანადო ელემენტები (ზოროსატრიზმი); იქვე ჩამოყალიბდა კოსმოსის ფორმა და მისი წეს-რიგიც (იაოპონია)... გამოჩეკილ სამყაროს „შემოქმედი“ აძლევს ფიზიკურ სხეულოვნებას და მოსავს მატერიით (ხორციელსა ხდის), რომლის შემდეგაც იწყება მისი გაშლა და განფენა დროში და სივრცეში, კოსმოსად ქცევა, მასში ჩადებული ფორმის და სტრუქტურის, წეს-რიგის მიხედვით: კოსმიურ კვერცხში შექმნილი და შენივთებული მოდელის გაშვებით და ამოქმედებით!.. და ის, სამყარო (გზნება მოგებული), გამოცალკვებული რჩება ქაოსის წყლებისგან ამის შემდეგაც (როგორაც უნინ!), მათგან დაცული და დაფარული რაღაც მანქანებით, ისევ იგივე კვერცხისმაგვარი სხეულოვნებით მოფარგლული და მოკავებული (დღევანდელი კვლევა-დაკვირვებების მონაცემებით), ქაოსის ქშენისგან განყოფილი და განდეგილი, „არაფრის“ ხვნეშისგან გან-

კვეთილი, რომელიც არსად წასულა და არ გამქრალა ამ ხნის მანძილზე, მაგრამ ვერ არღვევს კოსმიურ წყობას და ცხოველყოფას, უდროობაში ჩახვენილი...

გასაოცარია ეს თანაწყობა, გვერდიგვერდ დგომა კოსმოსის სხეულოვნებაზე დღევანდელი მიგნება-ალმოჩენების და სამყაროს შესაქმეზე მითოსური წარმოდგენების.. ისინი თითქოს ავსებენ ერთმანეთს, აგრძელებენ.. ერთ საგანზე გიყვებიან, ერთ ობიექტზე, გარნა მის სხვადასხვა მდგომარეობაზე, სხვადასხვა ფაზაში ყოფნაზე: ერთის მხრივ, კოსმიური სხეულის აწმყო ფორმა და სახეობაა მოცემული; და მეორეს მხრივ, ამ სამყაროს ჩასახვა-ჩამოყალიბების თავგადასავალი!.. ორივეგან კვერცხისმაგვარი სხეული ჩნდება კვანძად, მხოლოდ მითოსში მას გარედან უმზირ, გარედან აკვირდები, დღევანდელ კვლევებს კი კოსმოსის შიგნით აწარმოებ და მის აღნაგობას შიგნიდან უკვირდები.. მითიურ ისტორიებში კოსმიური კვერცხი ქაოსთანაა მიბმული ყოველთვის, მისგან იფარავს შიდა არეს, დღეს კი მის შიგნით ხარ თითქოს მოქცეული, მსოფლიო კვერცხის შინა მხარეში და გარე ამბები ნაკლებ განაღვლებს, რამეთუ განყოფილი ხარ ქაოსის წყლებისგან და მათი განუჭრეტელი სიბნელისგან, საგულდაგულოდ და საიმედოდ!

ესე გამოდის, ესე უცნაურად, რომ პირველყოფილი მსოფლიო კვერცხი სულ არ გამქრალა და არ დაკარგულა უკვალოდ, უბრალოდ სახე იცვალა თითქოს და კოსმიური სხეულის გაშლა-განფენასთან ერთად ისიც განივრცო, გაიშალა და დღესაც ევლება ირგვლივ სამყაროს, შეუვალ გარსად: მკვიდრად რომ იყოს განყოფილი ბნელი და ნათელი, კოსმოსი და ქაოსი, ყველაფერი და არაფერი; არამ შეუშალოს ხელი წუთისოფლის ცხოველყოფას დროში და სივრცეში; და არ შენელდეს მისი მიმართება მყობადისაკენ!.. გამაერთიანებელი კი ამ ორი მდგომარეობის, ამ ორი ფაზის – ემბრიონულის და კოსმიური ცხოველყოფის – პირველყოფილი კვერცხის გატეხვაა (დიდი აფეთქება, „ბიგ ბენგი“, დღევანდელ ენაზე...) და სამყაროს გამოჩეკვა, ანუ, პირველი იონიზებული ღრუბლის ამოხეთქვა შობის წერტილიდან, დიდ აფეთქებას მოყოლებული!!... .

ესე ერთიანდება ერთიან ხმევად: პირველყოფილი არსობა; სამყაროს ემბრიონი; და ჩვენი კოსმოსი, წუთისოფელი, ახდენილი! – ძველი მითოსი და დღევანდელი კვლევა-ძიება ერთმანეთს შეთვისებული... თვითონ კოსმიური კვერცხი კი სხვადასხვაგვარად წარმოდგება სხვადასხვა ხალხის მითოლოგიურ წარმოდგენებში: ერთნი ამბობენ, რომ ყველაფერი ქაოსით დაიწყო, მისი უფორმო მასით, რომლის ძრაობიდან მიღებული ნანილაკებითაც შეიკრიბა და შეიქმნა მსოფლიო კვერცხი (იაპონია); მეორენი ამბობენ, რომ თვითონ სამყარო დაიწყო როგორც დიდი კვერცხი (ჩინეთი); მესამეთა წარმოდგენით, უზენაესი არსება, ღვთაება ქმნის მსოფლიო კვერცხს და უშვებს (დებს) მას ქაოსის წყლებზე (სხვადასხვა ხალხის მითოლოგია); სხვების აზრით, თავიდან იყო მდგომარება ღმერთების შექმნამდე და მისი ერთერთი გამოვლინება, სახეობა იყო კოსმიური კვერცხი (ძველი ეგვიპტე); ზოგი იმასაც უშვებს, რომ თავიდან იყო კოსმიური კვერცხი, დროის მიერ შექმნილი და დაკვალიანებული (ორფეოსის კულტი)... გარნა ეს უკვე სხვა საკითხია, სხვა კვლევის საგანი, თუ როგორ მოვიდა კოსმიური კვერცხი არაფრის სამყოფელში, ანუ, საიდან მოვიდა, რამ მოიტანა დიდი აფეთქება, „ბინგ ბენგი“, კოსმოსის გაჩენა, წუთისოფელი; რა ნიადაგმა შეამზადა ეს ამოხეთქვა, რამ და-

არღვია წონასწორული თანაფარდობა მატერიის და ანტიმატერიის.. – ეს ცალკე საკითხია, სხვა კვლევა-ძიების საგანი, სხვა გამოცანა ამოსაცნობი, რასაც ესე თავგამოდებით ცდილობს დღეს ადამიანი...

...და ისევ თავისთავად გეფიქრება, დადუმებულს: მაინც რა ცოდნა-გამოცდი-ლებას ეფუძნებოდნენ კოსმიური კვერცხის მითების შემქმნელები?. რა ცნობებს და მონაცემებს თუ ნაკარნახევს – საიდან მოიტანეს ეს ყველაფერი!? ?. ?..

3

თანამდეროვე ბალეტი.. არა ბალეტი, ან საერთოდ ცეკვა, უფრო როკვა ადა-
მიანის, ადამიანის ცხოვრების როკვა: სხეულთ ძრაობა და განელება, მთელად
შეკუმშვა, ხან ცამდე ხლომა, სიმის წკიპამდე გაჭიმულობა და დაჩვარულად
მიწაზე ფორთხვა, ერთურთს კვეთება თუ შეგებება, ცალცალკე ხმობა და ერთად
სრბოლა, ხან აკვესება, ხან გაშეშება, ხან მეყვსეულად ყალყზე შედგომა!. აქ თით-
ქოს ცხოვრება თავისთავს ავლენს, თავის ბუნებას, უშუალოდ, შეუკაზმავს და შე-
უფუთავს, თავისთავს ეძებს თითქოს და პოულობს დროდადრო, აქა-იქ, თან სოფ-
ლის ამბებს გიყვება გზადაგზა: მისი ნაწყვეტების და ნაკვესების გამორჩევით და
მათი როკვის ენაზე გადაწყობით და ნარმოდგენით!.. ეს შეუზღუდავ მოქნილო-
ბას თხოულობს შემსრულებლებისგან, საკუთარი სხეულის სრულ მფლობელობას:
თითო ნაკვეთით დაწყებული და მათი შერწყმა-შეერთებით გაგრძელებული; ერთ
მთლიანობად შეკრული და ცალკე ნაკვეთებად დანაწევრებული; ხან მომართული
და ასწრაფული და ხანაც ნებას მიცემული და გაბნეული, რეცა გაპნეული უნეს-
რიგოდ.. თან მუდამ უნდა გზნობდე გვერდზე მყოფების ძრაობას, როკვას და
თან დაჟინებით მიყვებოდე საკუთარ ხაზს, საკუთარ კვალს... და ეს ყველაფერი
როგორლაც თავისთავად უნდა ხდებოდეს, მიდიოდეს, იხსნებოდეს, სპეციალური
ალნიშვნებისა და გამორჩევების გარეშე, რეცა ცხოვრების სურათების თავისთა-
ვადი მდინარება გხვდებაო წინ, უსიუჟეტო, უმისამართო, მკაფიო საზღვრების
მოხაზვის გარეშე, როცა არც თავი მოჩანს სახების მკაფიოდ და არც მისი ბოლო,
არც დრო-სივრცის სამანებია გარჩევადი წვრილად და არც რაიმე ფარგლებია მო-
ცემული მქისედ, თითქოს ეს ყველაფერი სადღაცა ხდება, რომელიდაც დროს, მის
მიერ მოგეპულ არეში და გარემოში: ჩინური გრაფიკული ნახატებივით (“გოხუ-
ას” ყაიდის), საიდანლაც რომ მოდიან და სადღაც მიდიან ცხოვრების სურათები,
კოსმიური ყოფის სხვადასხვა ადგილებიდან და ხვეულებიდან ამოკვეთილები და
ამოკრეფილები და სახილველად მოვლენილები!. აქ სრული თავისუფლება იშ-
ლება შესაძლებლობების, მათი მიგების და განსხეულების, მათი ცხოველყოფის,
რადგან წუთისოფელში ყველაფერი ხდება და სამყაროში ყველაფერს შეხვდები...

ეს თანამედროვე ცეკვაა, უთუოდ, ეს „ბალეტი“, ამ დროების პირმშო, რო-
მელშიც მიიღო მან ჩამოყალიბებული სახე და ფორმა, რაობა და საგნობრიობა,

იმ დროებაში, რომელშიც განუზღვრელად იზრდება და იშლება ცოდნის მასივი და ვითარდება მას მიდევნებული ტექნოლოგიური საშუალებები, შესაძლებელს რომ ხდის ერთმანეთს შეუწყო და შეუერთო სულ განსხვავებული ფენომენები, ისეთებიც, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო, შემაკავშირებელი, შეუთავსებლებიც არიან ხშირად, მაგრამ მაინც ხერხდება მათი ერთმანეთთან შერთვა და შეთავსება, ერთიან სხეულად ქცევა (სპეციალური შუალედური ხიდების და კონსტრუქტების გამოყენებით), რასაც ახალი ქმნილებების შემოსვლა მოყვება წუთისოფელში, ჯერ რომ არ არსებულა ბუნებაში!. და ეს ერთნაირად ეხება ცოცხალ სამყაროს, საგნობრივ სივრცეს თუ ხელოვნურ ნარმონაქმნებს, მეტადრე ბიო-ინჟინერიის საუფლოში, რომელმაც შეიძლება გააჩინოს სრულიად ახალი, უცნაური არსებები, ახალი „მონსტრები“ (როგორც მათ უწოდებენ ხოლმე), რომელთა ქცევის ბადე-მატრიცები და მოქმედების ფარგლები ძნელად თუ განჭვრეტადია.. და ამ დროებაში და პირობებში „თანამედროვე ბალეტი“ ის იშვიათი ფენომენია, გამონაკლისი, გარკვეულწილად, რომლის მდგენელი ელემენტები ისე თავისთავადაა შერწყმულ-შერთული ერთმანეთს, შეხამებული, რომ ის ბუნებრივ ქმნილებად წარმოდგება, თვისად, რომელიც არ ჩანდა უბრალოდ მკაფიოდ აქამდე.. აქ ადამიანის ცეკვა (ცხოვრება), მისი გარემოს სახიერება და სხეულოვნება და დროის მდინარების ხმოვანობა და უღერადობა ერთიმეორეს ედება და ეთანადება, ერთიდაიგივეს ეხება და ეფარდება, არ ეცილება ერთმანეთს, გარნა ემატება და მთლიანობად ივსება, შედგება...

აქ თითქმის არ იყენებენ დეკორაციებს, არა ცდილობენ ხელოვნური, ვირტუალური გარემოს შექმნას, რომელშიც კლასიკური ბალეტის სიუჟეტი იშლება ჩვეულებრივ; „ცხოვრების როგორაში“ სცენა არ არის გადატვირთული და მხოლოდ იმ ელემენტებით იფარგლება, რომლებიც სამოქმედო არეს გამოკვეთენ უპირველესად, საზღვრავენ ერთგვარად და პირობით სტრუქტურას აძლევენ მას; მაცხილი უფრო სივრცულობის განცდის შექმნაზე და წარმოსახვაზე კეთდება, რომლის ნაკვეთურებშიც უამრავი რამ ხდება თუ მოხდა და კიდევ მოხდება.. თავიდან უბრალოდ სივრცეა ხოლმე მოცემული, თხელი ბინდივით, სიბნელეში რომ გადადის, საიდანაც გამოდიან თუ ამოდიან და სცენაზე ჩნდებიან: მოცეკვავეები (თანდათან, ცალცალკე, წყვილებად, ჯგუფ-ჯგუფად, გუნდურად...); საგნები, ნივთები თუ მათი მოხაზულობები (გეომეტრიული ფიგურებივით: ხან კუთხივანი, ხან გლუვი, ხანაც მრგვლოვანი...); სარკე-კედლები, რომლებშიც მოცეკვავეთა სხეულები ირეკლება, ან გამჭვირვალე კედლები, სადაც მოძრავი ლანდები გამოკრთებიან ხოლმე, დროდადრო, აქა-იქ, მყისად; ერთგან მაღალი ჩარჩო-ფანჯრებით მოკავებული არეა გამოკვეთილი, რომლებშიც ეზო-კარის თუ ბუნების წარმოები იყურებიან, გარედან შიგნით, სხვაგნით მართულთხა წახნაგებით გამოხაზული უკანა კედელი მოჩანს, სცენის ბოლოში, ფილებივით შეწყობილი მთელ სიმაღლეზე; იქით კედელზე დაშვებული ზოლ-ხაზებია, ჭერიდან ძირამდე, პირდაპირ, აქეთ კვადრატულად გამოჭრილი იატაკი ჩანს, საცეკვაოდ გამზადებული, ძალიან თეთრი; მაღალი წახნაგოვანი სვეტები, გარდამავალი ჩრდილებით ტანზე, ანდა სცენაზე ზედდებული და დამატებული მეორე, უფრო მომცრო სცენა, ამაღ-

ლებული მასზე; ჭერიდან ჩამოშვებული გრეხილი თოკები, მომუქო ფერის, სცენის სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა მხარეს (ხელის მოსაჭიდად თუ შეყოვნებად..), არამკაფიო ფორმები და ფიგურები, სცენის კიდეებში გაელვებული, მათი გამოკრთომა, გაქრობა, ხლომა (აქა-იქ ჩენა), შესახსენებლად, ვინძლო, რომ ცხოვრებაში ამ დროს სხვა რამებიც ხდება... და ეს ყველაფერი დინამიკაში, გარემოს ცვლაში და გარდასვლებში, როკვის ნილფარდად და შესატყვისად, გზად: რაღაც აკლდება, რაღაც ემატება, თავიდან ოდნავ ჩანს, მერე იმართება, თანდათან ივ-სება, მერე გარდახდება, სხვა გამოხდება და როკვას გაყვება!.. მოცეკვავეების სამოსიც (მეტადრე ქალების) თავისუფალია, ჩვეულებრივ, შედარებით უბრალო, მარტივი, არას აღმნიშვნელი, განსაკუთრებულობას და გამორჩეულობას გარიდებული... მთავარი საშუალება და მექანიზმი აქ სინათლეა, მისი შუქფენა: ხვადასხვა სიმკვრივის და ინტენსივობის, სხვადასხვა ფორმის და შეფერილობის, ხან აბდლვიალებული, ხან განელებული, ხან დაბინდული, ხან ასხეპილი, ხან გაბნეული, ხან აკრეფილი, ხანაც შუქ-ჩრდილის ბადედ დაფენილი!.. მისი სამიზნე მოცეკვავეებია, მათი ძრაობა და მათი როკვა, სინათლის ძალით გამოვლენილი, გამორჩეული და გასაჩინოებული – სინათლე მათ მიყვება და მათ გამოკვეთს, ირგვლივ ევლება და არემარეს აჩენს...

კიდევ უფრო საჩინოა როკვის და მუსიკის თანაწყობა და ურთიერთმიმართება „თანამედროვე ბალეტში“.. აქ ისინი თითქოს ერთიდაიგივე მოვლენის სხვადასხვა მხარეს წარმოადგენენ, პარალელურად, თავთავის ენაზე: ცხოვრების ნაკვეთის მდინარებას და მის ხმოვანობას, ანუ – ცხოვრებას, როგორც ის მიდის (როკვა) და როგორც ის ისმის (მუსიკა): როგორც ის ხდება... მომლერლები შავებში რიტმულ სიმღერას მღერიან (რიტმის ხაზგასმით), მოცეკვავეები მას მიყვებიან; მერე მხოლოდ მოცეკვავეები ჩანან, რიტმული სიარულ-ქანაობით აგრძელებენ სიმღერის ნაკვეთს, მის დაფდაფურ წყობას, სიმღერა აღარ ისმის ამ დროს, სიჩუმეა: აქ წამყვანი ხან სიმღერაა, ხან ცეკვა, ანუ არცერთი – ორნივ ერთიდაიგივე ამბავს ყვებიან, თავთავის კვალზე... ელექტრონული მუსიკის მაგვარი ხმაური შემოდის: დაულაგებელი, სხვადასხვა სახის ხმობა, ლათუ მაინც რაღაც საერთო რიტმის მინდობილი; იგივნაირად მროკავი ვაჟები, მათი პატარა გუნდი; აბნეული ხმები სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტების, სხვადასხვა მხრიდან, ადგილიდან, წყაროდან, ლოკაციიდან; მოცეკვავეები და მუსიკალური ინსტრუმენტები რაღაცას როკავენ თუ ლაპარაკობენ, თავისას, ხანდახან ერთდროულად, დროდადრო ერთნაირად; სადღაცა ხდება ეს მოქმედება (ეს ყველაფერი), სივრცულობაში და მის განზომილებებში, სადაც მნიშვნელობას კარგავს „ჩვეულებრივი“ რიტმულობა და მოძრაობების (მასთან) თანაწყობილობა; ინსტრუმენტული მუსიკის ხმობა როკვის მაგვარი ხდება: ცალცალკე ისმის ყოველი ინსტრუმენტის ხმა, აქედან, იქიდან, სხვადასხვა მხრიდან, სხვადასხვა კვალიდან, ერთად მოწეული, ერთიმეორეს მინეული, როგორც ბგერების შემთხვევითი მნერივები, ერთმანეთს შემთხვევით მიყოლილები და მაინც ურთიერთს შეწყობილები; მსგავსივე როკვაა მოცეკვავეების: აბნეულ-დაბნეული და სცენაზე გაბნეული – თოკებს მოჭიდება, რომ არ გაიფანტონ... კამერული მუსიკა, წყნარი, მოცეკვავეები (ქალები, ვაჟები) მიღიმოდიან სცენაზე; მერე მსუბუქი აჩერება, მიმოხრა იქით-აქეთ, მუსიკასთან

ერთად და თანად; სეირნობენსავით, მოცეკვავები, რიტმებში მიყვებიან მუსიკას, სასულე ინსტრუმენტების შეძახილებივით; მთელი ორკესტრი ახმიანდება თანდა-თან, ხალხიც (გაბევრებული) მიმოდისავით, სცენაზე დადის (თუ სხვაგან..), ყავისფერი წახნაგოვანი კედლები გვერდებზე: აქ არც ერთი არ არის წამყვანი, არც მეორე – ორივე თავთავის ხაზს მისდევს და მიყვება... ელიფსურად დაფენილი განათებით გამოკვეთილი ფორტეპიანო და პიანისტი სცენის ერთ მხარეს, ფოკუსურად გაშუქებული მოცეკვავე ქალ-ვაჟები მის მეორე მხარეს, ბინდის ხვიებში გაბუდებული გარემო ირგვლივ; აქეთ პიანინოს ბერები ისმის, იქ მოცეკვავების როკვა იხსნება: იგივ რიტმები, მიმოქცევა, გადახრა-გადმოხრა, ტალღების რბოლა; ფორტეპიანო ხმიანდება, ბერები იწყებენ ამოსვლას მისი სხეულიდან: თი-თო-თითობად, წყვილობით, მიჯრით, ხან აშლილები, გახელებულები, ხან მცვრივ ტალღებად გაბნეულები, ხან გრძელ თემებად განელილები, ხან მსუბუქ ფთილებად განფენილები; გვერდით კი მოცეკვავების სხეულები იყვანნებიან, ქანაობენ აქეთ და იქით: ირხევიან, იგრიხებიან, იკლაკნებიან, რეცა ფორტეპიანოს ბერების მოხაზულობას შემოწერენო, მათებრ მიხვრა-მოხვრას ცდილობენო, ერთურთში ჩაწვნას ეშურებიანო და ისეთ წარმოუდგენელ, უცნაურ ფორმებს იღებენ ამ დროს, ისეთ ფიგურებს ძერნავენ ერთურთს გადაწყვლი სხეულებით, ქვეწარმავლებსაც რომ შეშურდებათ – თითქოს ხერხემალი არ გააჩნიათ სულაც, მეტადრე როცა ერთმანეთს ერთვიან და ერწყმიან, ევლებიან ირგვლივ; რეცა მუსიკალური ნოტები სხეულდებიანო როკვის რიტმებში, ფორტეპიანოს ბერების ტოლად და ფარდად და მათი კვესების კვალად, სადაც ველარ არჩევ თავს და ბოლოს ამ რეალობის: მუსიკალური ნოტების ულერა მოისმის ბერების სვლაში თუ ამ ბერების ნოტური ჩაწერა ხდება მოცეკვავების როკვის ფორმებში! ...

– გესმის, პალიკო, ეს იშვიათი ფენომენია, მართლა, „თანამედროვე ბალეტი“, თანამედროვე ცეკვა, გამორჩეული, რომელშიც ესე ბუნებრივად ეწყობა და ეთვისება ერთმანეთს, თავისთავად, ცხოვრების ასახვის სამი განსხვავებული ენა და ხატება (თავადაც რომ სრულად განვითარებული საშუალებები აქვთ მეტყველების), ფენომენი: როკვა, ანუ ცხოვრების ამბის გახსნა-წარმოდგენა, თავის შინაარსში და მდინარებაში; წარმოსახვის საშუალებები, მისი გარემოს, კონტექსტის მოფარგვლისთვის და მოხაზვისათვის; და მუსიკა, სიმღერა, ცხოვრების ტალღების (და დროის განწყობის) გახმიანებისთვის და გაფრძელებისთვის... გესმის, პალიკო, აქ არცერთი მათგანი არ არის წამყვანი, სოლო პარტია, პირველი ვიოლინო, რომელსაც ფონს უქმნის თუ აძლიერებს, აკომპანიმენტად მიყვება ორი დანარჩენი: აქ ყველას თავისი ადგილი აქვს, თავისი განაწესი (როგორც ცხოვრებაში) და თავის კვალს მისდევს, თავის ბუნებითობას ამ ქმედებაში, შესატყვისი ხერხების და საშუალებების გამოყენებით.. უბრალოდ როგორლაც ემატებიან ისინი ერთმანეთს, იკრიბებიან ერთდღოულობაში და არაჩვეულებრივ ერთიან ეფექტს ქმნიან ამ სინერგიაში, ცხოვრების გზნების გამთლიანებაში!..

– უცნაურობამდე მისული თავისთავადობაა, პალიკო, მომწუსხველი, ამგვარ ცეკვაში, ყოველ ჯერზე რომ გაჩერებს და ფიქრებს გიშლის დაუკითხავად... ...

მოცეკვავეები შავ სპორტულისმაგვარ სამოსებში, მოვარდისფრო ეკრანის ფონზე, ყავისფერ კედელზე რომ არის გამოქრილი სცენის ბოლოში – ჩვეულებრივ სარეპეტიციო-სავარჯიშო დარბაზს მიაგავს იქაურობა.. სცენის წინ, ქვემოთ, უბესავით მოკავებულ არქში ორკესტრი არის განლაგებული, რომელშიც ყველა მუსიკოსს თავისით ადგილი აქვს განსაზღვრული და მიგებული.. მოცეკვავეები კლასიკური მუსიკის ფრაგმენტს მიყვებიან თითქოს, მისი ორკესტრის მიერ დაკვრის კვალად – ყველანი თავისით და თავისნაირად... მეტად განათებულია ეკრანი ზოლებიან, წახნაგოვან კედელზე.. მოცეკვავეები არა ცეკვავენ, უბრალოდ დარბიან, დატიან, ირხევიან, იგრიხებიან, ინელებიან, შეშდებიან მეყვსად, ხანდახან დადიან აქეთ და იქით, ჩერდებიან, უკან ბრუნდებიან – თავის მიმდინარე საქმეს აკეთებენ, ნებად, მას მიყვებიან... ეს არ არის მუსიკალური თემების აყოლა ან მათი გამოხატვა სხეულთა ძრაობით, როკვით, მიმოქცევით, ზოგი რამ აქ მოთელვასა ჰგავს უფრო, ხან რომ ჩერდება, ხან განელდება, ხანაც თავისი რიგით მიდის... ზოგი მოცეკვავე (ორ-სამ კაციანი ჯგუფი, პატარა) ზუსტად მიყვება მუსიკალურ ფრაგმენტს, თუ პიესას, ძრაობით წარმოსახავს მის მდინარებას; სხვები უბრალოდ უყურებენ, თვალს ადევნებენ მათ ვარჯიშობას, მეცადინეობას, აკვირდებიანსავით, მიდი-მოდიან იქითენ, აქეთ, წინ, უკან, მერე თავისას მიაყოლებენ რამე მოძრაობას, ისე, ცდასავით, ლათუ ესეც ეთანხმება როგორდაც მუსიკის რიტმიკას.. ის პატარა ჯგუფი კი აგრძელებს თავისას, სხვადასხვა ფიგურის მოხაზვას, მოკვეცას, გაშლას... ახალ მუსიკალურ თემაზე, პიესაზე გადასვლისას შესვენებასავით შუალედია, შორისი, უხმო, მოსინჯავენსავით როკვის სხვადასხვა ფორმას ამ დროს, სხვებიც უერთდებიან თანად, მათთან ერთად სინჯავენ სხვადასხვა ფორმას, ფიგურას, ილეტებს ცეკვის – ემზადებიან, რეცა, შემდგომისათვის, წარმოდგენისთვის თუ ცხორებისთვის... დროდადრო ყველა თავისას ეწევა, თავისას ქარგავს, თავისას კერავს, თავისას ძერნავს – თავისთვის, ცალცალკე, თითობით, ხანდახან ერთად: იქით და აქეთ, წრეზე, ირიბად, გვერდულად, წინსვლით, უკუსვლით, ხტუნვით, ხელების ქნევით, ტრიალით, ხან ქანაობით, ყირაზე დადგომით, ყირამალებით... მერე ისევ შუალედი დგება, უმუსიკო, სიჩუმე, ერთი-ორი მოცეკვავე აგრძელებს თავისთვის რაღაცას, რაღაც მოძრაობებს და ილეტებს იმეორებს, იგონებს ვინძლო ან სინჯავს ახალს.. სინათლეც მინავლულია ამ მონაკვეთში, არა ხმიანებს, არ ითხოვს მზერას.. მერე ნათდება მთლიანად სცენა, შემდეგი მუსიკალური თემა იწყება, შემოდის დარბაზში და რამოდენიმე მოცეკვავე უკვე მის რიტმებს ენყობა, მას უსადაგებს თავის მეცადინეობას, როკვას, დროდადრო ჩერდება, სხვა წილ ვარჯიშებზე გადადის, მერე წინა ილეტებს უბრუნდება და მათ იმეორებს ისევ... და ესე მისდევენ ერთმანეთს მუსიკალური პიესები (თემები, ფრაგმენტები), ცვლიან ერთმანეთს რიგრიგად, ჯერად – ერთი, მეორე, ..., მეხუთე, ..., მეშვიდე – და ესევე მიყვება მათ, იმავე თანმიმდევრობით, მოცეკვავეების როკვა-ვარჯიში, პარალელურად, თავის წილ ხმევად!. ანუ, გამოდის, მუსიკოსებსაც რეპეტიცია ჰქონიათ ამ დროს, პალიკო, ისინიც თავის წილ მეცადინეობენ თურმე, მუსიკალურ თემებს ამუშავებენ და მათ ნაკვესებს ათანხმებენ ერთმანეთთან, ერთურთს უნყობენ მათი საკრავების ხმობას და ხმიანობას!. ისევე, როგორც მოცეკვავეები, მუსიკოსებიც თავის საქმეს აკეთებენ,

მას მიყვებიან კვალად, მოცეკვავეების პარალელურად, თავის წილად და ჯერად, უბრალოდ „თანამედროვე ბალეტის“ ამ წარმოდგენამ ერთად შეკრიბა ისინი, ერთმანეთს შეახვედრა და შეაჯერა და ერთურთს შეაერთა: სარეპეტიციო დარბაზი, მოცეკვავეების გუნდი, და მუსიკოსების ორკესტრი – ძალიან ნამდვილია, პალიკო, ეს ყველაფერი! ...

– მართლაც ზღვარგადასულ მოქნილობას და სხეულის ფლობას თხოულობს ეს როკვა, პალიკო, განსხვავებულს ყველა სხვა ცეკვისგან თუ ბალეტისგან, რადგან „თანამედროვე ბალეტი“ სამეტყველო ენაა, რომელიც ცხოვრებას ეხება უშუალოდ, მის ნაკვესებს ასახავს და წარმოადგენს მთელ მათ სიგრძე-სიგანეში, მდინარებაში და განვითარებაში, ცხოვრება კი ათასგვარ რეალობას შემოგახვედრებს და არად დაგიდევს, მზად ხარ თუ არა მათ მისაღებად და გასაღევად: ეს შენი თავსატეხია და შენი მისახედი! ანუ, გამოდის, აღჭურვილი უნდა იყო თავიდანავე ყველა შესაძლო (და შეუძლებელი) საშუალებით, თავი რომ გაართვა მოგებულ რეალობას და გაითავისო მისი სამანები.. ამიტომაც არის, რომ „თანამედროვე ბალეტში“ ძნელად თუ შეხვდები ცალკე გამოკვეთილ, სპეციალურად მომზადებულ საცეკვაო ნომრებს, რომელთა შესრულებისთვის ტაშს უკრავენ მოცეკვავეებს – სანახაობისთვის და ოსტატობისთვის!. ცხოვრების ნაკვესი სხვა მატერიაა, ნივთიერება, მთლიანი სხეულით და მონახაზით, რომელსაც თავისი ქარგა აქვს და წყობილება და ესე უბრალოდ ვერად გაჭრი და ვერ გამოჭრი.. მას უნდა შეუწყო შენი ცეკვა და შენი ძრაობა, როკვაში რომ გადაიტანო ცხოვრების ამბავი, მისი კვანძი და განვითარება.. აქ მოცეკვავე ყველა ხერხს იყენებს, ყველა ილეთს და საშუალებას, რისი მოაზრებაც კი შეიძლება (თუნდაც ზღვარგადასულ აკრობატიკას!): თავისუფლება რომ შეიძინოს, „თანამედროვე ბალეტის“ განმასხვავებელი განზომილება....

წელზევით შიმველი მოცეკვავე ვაჟების გუნდი დაბინდულ სცენაზე, გაფლაშულ თეთრ შარვლებში თუ ქვედატანებში, ენერგიული მოძრაობებით ძალიან განათებულ თეთრ იატაზე, დოლ-დაფდაფების გაბმული დგაფუნით... ყველა თავისას ძრაობს, თავისას კვეთავს, მძლავრად, ღონივრად, ხაზგასმით: ზოგი ასხლეტით, აქნევით, ზოგი განელვით, ზოგიც როკვის ჩარჩოში მოქცეული აკრობატული ილეთების ერთმანეთზე გადაბმით და მიყოლებით, აღმოსავლური ჰანგების (სტვირი, სიმებიანი საკრავები) თანხლებით... კლასიკური მუსიკა შემოდის თანდათან არეში და უკვე მას მიყვებიან მოცეკვავეები, ჯგუფურად, გუნდურად, ერთიან სხეულად გადაქცეულები, ოდნავ გაფლაშულები და გაბნეულები, მაგრამ მაინც ერთ მონახაზში მოქცეულები: ერთი თავზე დგება და ციბრუტივით ტრიალებს, ფეხებს იქნევს გამეტებით, ბრუნვის მიმართულებით; მეორე დარბის და ხტუნაობს და ყირამალებს აკეთებს ერთმანეთზე მიყოლებით; სხვები იგრიხებიან, იწელებიან და ერთმანეთში ირევიან; ყირაზეც დგებიან, ზოგიერთები, ცალ ხელზეც იშვეტებიან, გარნა ერთ გუნდად ძრაობენ მაინც ყველანი, მაინც ერთ სხეულად იკრიბებიან!. რეცა სამზადისია ბრძოლის დაზების წინ, ბოლო თადარიგი, მომზადება მტერთან შეხვედრისთვის და შერკინებისთვის, ბოლო მოსინჯვაა საშუალებების, საბრძოლო ხერხების და ილეთების, მათი ქმედითობის და ძალოვნების... გასაოცარია ამ ერ-

თიანი ადამიანური სხეულის ეს გაშლა, შეკუმშვა, გაბნევა, შეკრება, ხან თეთრ, ხან მუქ შრიალა-ფრიალა აღმოსავლურ ტანსაცმელში მოსილი მოცეკვავე-მეომრების გაშმაგებული და გაუნელებელი სრბოლით სცენაზე გაცოცხლებული: ისინი ერთად ზრიალებენ, ცალცალკე, წყვილებად, პატარ-პატარა ჯგუფებად გაშვებულები და განყოფილები, მერე ისევ ერთობად შეკრებილები, ერთ მთლიანობად შეწყობილები – უწყვეტ ძრაობაში და მიმოქცევაში განსხვაულებულები!. ... აღმოსავლური ზუ-ზუნა საკრავების განელილი რიტმული ხმობა; მუქი რგოლები და ზოლები ზემო-დან დაშვებული სცენაზე და დაფუნილი თეთრ იატაკზე; ბრჭყვიალა ჩაფხუტიანი, წელ-ზემოთ შიშველი მოცეკვავები ერთად ირხევიან, ირნევიან, ხანჯლებით ხელ-ში, სხვადასხვა მხარეს, ზემოთ და ქვემოთ, აქეთ და იქით... აქ საკრავების ხმები მძაფრდება, მაგრამ მალევე ილევა; როკვაც ნელდება და გუნდი იშლება: განელილი ძრაობა მოცეკვავების, ცალცალკე, თავთავისი, რეცა ბოლო შედგომაა ბრძოლის დაწყების წინ, ბოლო შეყოვნება, საკუთარ თავთან დარჩენა, დამდგარი რეალობის გაცხადება და გათავისება; მუსიკა არ ისმის, დრო თვისად მიდის... მერე დაფდაფე-ბის გამბული ცემა და დოლების გამალებული დაგადუგი, გაუჩერებელი (ჩვენი ხო-რუმივით): ბრძოლის ველია თითქოს გადაშლილი, სადაც მოცეკვავე-მეომრები ყვე-ლაფერს აკეთებენ, რაც ამ დროს მებრძოლებს მოეთხოვებათ: ერთურთს შესკდომა და შეხეთქება, ხანჯლების ქნევა, ორთაბრძოლები, მებრძოლთ ზრიალი, ერთურთ-ზე მისვლა და შეჭიდება, ბრძოლის ყიუინა გაუნელებელი: გადმოცემული როკვის ხერხებით, მისი ენით და მეტყველებით!!.. აქ ყველა ერთმანეთში ირევა, ერთმანეთში ინასკვება, ერთიან მასას ქმნის თანდათანობით, ტალღასავით რომ ირხევა და დაქა-ნაობს, თავისავ თავში იხვევა და თავისავ თავში გადადის!.. სიჩუმე დგება ნელინელ ირგვლივ, მხოლოდ შრიალი, აქეთ და იქით, სადღაც, შორივით... მერე ახლიდან აღიძვრებიან თითქოს მეომრები, ისევ როკვავენ, ისევ ძრაობენ, მაგრამ თითოთი-თოდ, ცალცალკე ყველა, საკუთარ თავებს მინდობილები, ერთიანი სხეულის შიგ-ნით მოქცეულები და განგების ნებას მიყრდნობილები: ერთი ერთს აკეთებს, მეორე მეორეს, ზოგიც ერთად ცდილობს გზა-კვალის გაჭრას, და რაღაც ხმები, ბერები ირგვლივ, აქა-იქიდან, სხვადასხვა ძირის – კვლავ სივრცე ისმის... სასულე ინსტ-რუმენტების ხმები ირჩევა, სხვები ემატება, კლასიკური მუსიკა შემოდის და საერ-თო ფონს ადებს იქაურობას; მიმართულება ჩნდება მოცეკვავების როკვაში, მათ სვლაში და მოძრაობაში.. რაღაც დროს მძაფრდება მუსიკა, როკვაც, მომღერალთა გუნდი შემოდის ძლიერად, რეკვიემივით – სამყარო ისმის მთელად!. მერე სიჩუმე დგება, გზნების დაოკება, ნელი ძრაობა მეომრების, ხანჯლებით ხელში გადაადგი-ლება; ხმა აღარ ისმის.. ... ისევ ერთად ჩნდებიან, ერთ სხეულს ქმნიან, განელილ მუსიკას მიყვებიან ჯოხებით თუ ყავარჯვებით ხელში; მერე თანდათან ჩქარდები-ან, ჯოხებით დარბიან, დახტიან, აქეთ-იქით ედებიან!. რაღაც დროს ყავარჯვებს თავსზემოთ წევენ, ამ ჯოხებით ჯვრებს აკეთებენ და ყველა თავისი ჯვარით მიდის ბრძოლის ველიდან... ... ნელინელ შემოდიან უკან მოცეკვავები, ესევე განვითარე-ბადი მუსიკის ფონზე, მიმოიხრებიან, ერთურთს ექცენტ და ნახულობენ, ერთმანეთს უვლიან თითქოს თითოობით: დაჭრილებს, ცოცხლებს და გარდაცვლილი ბრძოლის შემდეგ: ხარობენ გადარჩენას და ცოცხლად დარჩენას (თავზე დგომით და ტრიალით, ყირა-

მალებით...), სევდიანობენ ასევე ერთად, ერთიანი სხეულის რხევით და ნაღვლიანი სახეებით.. მერე მიდიან ბრძოლის ველიდან, ყველანი, ერთად, გადიან სცენიდან, ნელი ნაბიჯებით: თან მიაქვთ, თითქოს, იქით, თავისი ხვედრი, ცხოვრების ბინდში... დარბაზი ვერა ჩერდება და ვერ ჩუმდება, პალიკო, ემოციებით გადავსებული!..

– „თანამედროვე ბალეტის“ მაყურებელი კიდევ ცალკე ამბავია... ისინი ცხოვ-რების ნაკვესებთან შესახვედრად მიდიან ამ წარმოდგენებზე, პალიკო, მათი ინ-ტრიგის განვითარებას და კვანძების გახსნას ეშურებიან და ამდენად, ცდილობენ არ დაარღვიონ ცეკვის მსვლელობის მთლიანი ქარგა შუალედური ტაშით და შე-ძახილებით: მის დასრულებას ელოდებიან, ბოლომდე რომ მოიოხონ განცდებით სავსე გული!. მეტადრე, გამორჩეული საბალეტო ხელოვნების და მოცეკვავების ვირტუოზული შესრულების სანახავად არ მიდის მაყურებელი „თანამედროვე ბა-ლეტის“ წარმოდგენებზე: უშუალოდ ცხოვრებას ხვდება აუდიტორია აქ, პირის-პირ, მის მაგიას და მატერიას ეთვისება და ეფიცება, ელამუნება, მის ბუნები-თობას უწყობს თავის ფიქრს და გზნებას და გაგებას.. მისტერიალური ხდება მთელი ეს ქმედება, პალიკო, მაყურებლების და ცხოვრების როკვის ერთურთან შეხვედრა და შეთვისება: ის ბუნებრიობას თხოულობს ცეკვის, აუცილებლობით: განუზომელ მოქნილობას (ზე-ოსტატობას) და თავისუფლებას როკვაში!.. აქ ხე-ლოვნებას არ ეძიებენ, პალიკო, თვითონ ცხოვრებას ემკვიდრებიან, გარნა მის ერთ ნაკვესს, მეორეს, შემდეგს (გაუთავებლად): როგორც ეს ხდება მისტერიაში...

სცენის უმეტესი ნაწილი უბრალო ეზოკარის შთაბეჭდილებას ტოვებს, რო-მელშიც ორი მოცეკვავე-ქალბატონი სახლის შინა საქმიანობას ენევა, ფუსფუ-სებს, ფუთფუთებს, ფაციფუცობს, თავთავისას.. სცენის სიღრმისკენ სინათლე ნელდება, ბინდში გადადის, გარნა სულ ბოლოში ცა იმზირება თითქოს, რომელ-ზეც დღის შეფერილობა იცვლება, აირის სიმკვრივე, უხმაუროდ, თითქმის შეუმჩ-ნევლად, დღის გადასვლასთან ერთად.. სცენის სიღრმეში, ეზოკარის ოდნავ იქით, მის პირობით არეს რომ გასცემი, მომძერალია, გიტარით ხელში, სკამზე ზის... ორი ქალბატონი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან, თანავ მეტად ჰგავს ერ-თურთს: თავისი განწყობით, საქმიანობით.. ერთი ქალბატონი უფრო შეკრულია, უფრო წყობილი აღნაგობის, შედარებით მკვრივი, მაგრამ მაინც კოპნია, თავისე-ბურად, მიმოხრით; მეორე ბერად უფრო მაღალია, გამხდარი, ოდნავ ტლანქიც, თითქოს ნანილ-ნანილ აუწყვიათო, ანონილი, მოუხეშავი... მეტად განსხვავებუ-ლია მათი სხეულის ენა, მათი როკვა თუ ცეკვა: მათი საქმიანობის, ერთურთან შეხვედრის, მოკითხვის, საუბრის, ამბების გაცვლა-გამოცვლის, უშუალო ურთი-ერთობის დროს... შედარებით წყობილი და დაბალი მოცეკვავე-ქალბატონი უფ-რო სხარტია, შემხვედრი, ენანწყლიანი (როგორც იმზირება), მთელ სხეულს ატანს თავის ნათქვაშს, თავის მოყოლილს, რეცა რაღაცა იცის ფლამენკოს ცეკვის, მისი ილეთების, მათ იშველიებს ხოლმე, ვითომ უნებურად, თავისით: აქეთ ხელს აიქ-ნევს, დაბზრიალდება, დააბაკუნებს ერთი-ორს რიტმში!. მაღალ მოცეკვავე-ქალ-ბატონს არაფერი აქვს ამის მაგვარი თავის მარაგში, იქვე უნდა მოიგონოს რამე შემხვედრი, შეთხზას ადგილზე, მეყვსად, იჩქითად, მეზობელს რომ არ ჩამორჩეს,

ფარდი რომ იყოს მათი ურთიერთობა, საუბარი, და ამიტომ რაღაც უცნაურ მოძრაობებს აკეთებს გზადაგზა, მთელი სხეულით, ტანით, ხელ-ფეხით, გამეტებით და დაჩემებით!.. და ეს ყველაფერი აქვე ხდება, სცენაზე, თვალწინ: ორი უცნაური ქალბატონი, გასაოცარი წყვილი, არაჩვეულებრივად გამოკვეთილი და გამოჩენილი ეზო-კარის გარემოში, ესე ნამდვილი და მშვენიერი.. სცენის სილრმიდან კი ფლამენკოს სიმღერა ისმის, გიტარაზე გაშვებული და მომღერლის ზღავრს მიბჯენილი ხმით აყვირებული და ახვითქებული, აქა-იქ სიტყვებით და თითქოს გაუთავებელი, გრძელი მიმღერებით, მოცეკვავე-ქალბატონების ყოველ მიმოხრას რომ ეხმიანება და თან ენანება გულში, სილრმეში, ცხოვრება ყოველწამ რომ იხარჯება, დრო ულმობელად მიდის!.. უკან ცა მოჩანს, ფერის შრიალით, დღის სვლას მიყვება და იერს იცვლის...

შინა საქმეების მომთავრების შემდეგ მოცეკვავე-ქალბატონებმა დატოვეს თავისი ეზო-კარები, გავიდნენ გარეთ (ქალაქში, სოფელში, დასახლებაში...), ვინდლო საყიდლებზე თუ ნაცნობ-ახლობლების მოსაკითხად და მოსანახულებლად, სხვა საქმეების თუ საკითხების მისახედად და მოსაგვარებლად... ისინი ცქაფად მიდიოდნენ, ცოცხლად, გახსნილები და ხალისიანები: ერთს თავი დაუკრეს, მიესალმენ, მეორე მოიკითხეს, ნაცნობებთან შეჩერდნენ მცირედ, მოისაუბრეს, უფრო მეტხანს დაყოვნდნენ სხვებთან (არჩევდნენ რამეს თუ ამბავს იგებდნენ).. ერთად მიდიან, გვერდიგვერდ, მიცეკვაობენ, მაგრამ სხვადახვანაირად, სხვადასხვაგვარად: შედარებით დაბალი მოცეკვავე-ქალბატონი უფრო მოკვეცილია, ძვირი თავის ძრაობებში, მოხდენილი მიმოხრით, მოკლე ნაბიჯებით, ფლამენკოს ცეკვის ილეთებს იყენებს, მისი სიმღერის რიტმებს მიყვება, ტაქტს, არ იფანტება შემთხვევით ძრაობებში, ყოველთვის შეკრულია და შემართული; ბევრად უფრო გაბნეულია მაღალი მოცეკვავე-ქალბატონის როკვა, იგივე ფლამენკოს სიმღერის რიტმებში რომ არის მოქცეული და მის ტაქტებში ცდილობს ჩაატიოს თავისი ცეკვა, რომ არ ამოვარდეს ფლამენკოს ჩარჩიდან და არ ნაილის მისი სხეული შემთხვევითი იმპულსების გზაბნეულმა ხმობამ!. ... რაღაც ნაკვეთზე ისინი ერთმანეთს ცილდებიან, მოცეკვავე-ქალბატონები, სხვადასხვა მხარეს მიდიან, მიიჩქარიან: ერთი უფრო ზუსტად მონიშნულ ადგილებს მიეურება, მკაფიოდ განსაზღვრული გზებით და მომჭირნედ დახარჯული მოძრაობებით, ფლამენკოს ცეკვის ილეთების აქა-იქ შერთვით და შერევით; მეორე ნაკლებ გამართულ გზამკვლეებს მიყვება, უფრო აბნეულად დადის, მოუზომელ მოძრაობებს აკეთებს ხშირად და ბევრად მეტ ენერგიას ხარჯავს ამით.. ისინი დროდადრო იკვეთებიან (გზები როცა ხვდება ერთურთს), მერე მალევე გაიყრებიან და გაუყვებიან სხვადასხვა მხარეს, ბოლოს დათქმულ ადგილზე იკრიბებიან და უკან ბრუნდებიან ისევე ერთად: უწყვეტი გადალაპარაკებებით (ხშირად ერთდროულად, გზებით), გაგებული ამბების და ცნობების გაცვლით და გამოცვლით, მათი ცხელ-ცხელად მოყოლით, პატარ-პატარა შეხვედრების და შემთხვევების ხატოვნად აღწერით და ქალბატონების იქ მოხვედრის თუ ყოფნის სულ წვრილად გადმოცემით: უფრო შეკრული ქალბატონი ცქაფობს და კეკლუცად როკავს, თავის ამბებს შეუსვენებლად და სულმოუთქმელად ყვება; მოუხეშავი ქალბატონი მას მისდევს გამეტებით, დატეხილი მოძრაობებით და ლამის სხეულს გადაცდენილი მი-მოხრით, როკვით!.

ყველა თავდება ეზო-კარებში დაბრუნებით და გამომშვიდობებით, შინ დაყუუჯებით და დავანებით...

საღამო ხანია (იმავე დღის თუ რომელიღაც მომდევნო ჟამის), მოცეკვავე-ქალბატონები გართობა-თავშეყრის ადგილზე (დისკოტეკა თუ მისგვარი რამ) წასასვლელად ემზადებიან: თავის გამოსაჩენად და წარმოსაჩენად, ხალხის სანახა-ვად და გასალალებლად... უფრო მოხდენილი ქალბატონი შედარებით წყნარად და წყობილად მოქმედებს, როკავს, როგორც ყოველთვის, რეცა უკეთ იცის როგორ გაკონტავდეს და მოიყვანოს თავი წესრიგში, როგორ შეიძინოს სანდომიანი იერი; მაღალი ქალბატონი ფაციუფულობს, ხან აქეთ ედება, ხან იქით, ხან ამას ეცემა, ხან იმას, თავზე რომ მოირგოს და მკვიდრი სახე მიიღოს, წყობილობა შეიძინოს საკუთარი, თავისი ნირი!. მზადებას ამთავრებენ და ერთურთს ხვდებაიან, ერთად მიდიან თავშეყრის ადგილზე, აცქაფებულები, აჩქარებულები და შეფაკლულები, ერთი სული აქვთ, მალე ეჩვენონ საზოგადოებას, თავისი ლაზათიანობა და ეშხი-ანობა უჩვენონ ყველას, ვინძლო არაფერი განსაკუთრებული და შესაშური, გარნა მაინც გამოკვეთილი და თავისებური...

შედარებით დაბალი ქალბატონი ფლამენკოს ცეკვას აბზრიალებს: ფეხების გაბმული ბაკუნით და კაბის ფრიალით, ხელების აქნევა-გამოქნევით და სხეულის ბრუნვა-ტრიალით, ზეალმართული მცხუნვარე სახით და გალმა ცქერით, მთელი გატაცებით და აღტაცებით!. მაღალი ქალბატონი არ ფლობს რაიმე ცეკვას თუ როკვის ტექნიკას, მათ ცალკე ილეთებს, მაგრამ არანაკლებ აღტყინებულია და დაუინებული, მონდომებული და გახელებული: გამალებით უვლის მთელ სცენას ირგვლივ, ხელების უმისამართო ქნევით, ზე აღმართებით და დაბლა დაშვებით, ტანის ზღვარგადასული გადახრა-გადმოხრით და მიმოქცევით, ფეხების აქნევა-ჩაქნევით, ბრუნვით და ხლტომით, სხეულის გაუნელებელი ძრაობით და აღერებით და ამ ყველაფრის როგორლაც მაინც ფლამენკოს სიმღერის რიტმებში ჩატევით და მის ჩარჩოებში მოქცევით!!.... ჯერი ჯერს მისდევს და ყოველ ჯერზე შეკრუ-ლი ქალბატონი აცხელებს როკვას, ფლამენკოს ცეკვას, ასწრაფებული ბაკუნით და ბრუნვა-ტრიალით, დროის მცირე მონაკვეთში სულ უფრო მეტი მოძრაობის ჩატევით!. გამხდარი ქალბატონი მას ტოლს არ უდებს, იგივე სიჩქარით ძრაობს და როკვას, გარს უვლის სცენას გახელებული, რაღაც გაუგებარს ცეკვას თითქ-მის ნაკვეთებად დატეხილი სხეულით, ერთმანეთთან პირდაპირ დაუკავშირებული მოძრაობებით და მაინც ერთიანობის შენარჩუნებით!! – ორივე საოცრად მიმზიდველია და ერთიერთმანეთზე (თავთავისებურად) მშვენიერი!. გონისწამლები იყო ეს პაექრობა, დაუოკებელი, გაუნელებელი, მოცეკვავე-ქალბატონების, რომლებიც კი არ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს (მეორის დასაჯაბნად), არამედ საკუთარ თავს წარმოაჩენდნენ მთელი შთაგონებით და აღტყინებით, თავის ღირსეულობას და ხიბლიანობას გამოკვეთდნენ და თავის ნიჭირებას და ეშხიანობას უსვამდნენ ხაზს: ყოველი თავისას და თავის წილ, ერთურთზე დაყრდნობით და დაიმედებით, ერთურთის ნდობით, რომ არ გაწყდებოდა ეს როკვა გზად, მათი მშვენების...

დილით მოცეკვავე-ქალბატონები ისევ ხვდებიან ერთმანეთს, ეზო-კარის შინა საქმეების მისახედად და მოსავლევად გამოსულები; ისევ ფუსფუსებენ, ფუთფუ-თებენ, ფაციფუცობენ, ორივე თავისას, თან წინა საღამოს ამბებს იხსენებენ, მათ

მონაწილეობას იმ ხალისობაში, თავის გამოვლენას და გამოჩენას იმოდენ ხალხში: კმაყოფილებით, სიამოვნებით, ცალკეული ეპიზოდების გათამაშებით და გრძლად მოყოლით, გამეორებით და გამოკვეთით, რაღაც ნაკვეთებზე გახუმრებით, გაკის-კასებით, რაღაცების ჩუმად ყურებში ჩაჩურჩულებით!.. – ისევ მუშაობით, საქ-მიანობით და დღის მსვლელობის კვალზე დადგომით.. იქვე ისმოდა ფლამენკოს სიმღერა, გაულეველი და სევდანარევი და ცაც ფერს იკრეფდა თხელი ბინდივით, ყველაფრის შემსწრე და მიმდევარი...

– არაჩვეულებრივი იყო, პალიკო, ეს როკით და ცეკვით გადმოცემული ცხოვრების აბბავი, ესე უბრალო და ჩვეულებრივი, თავისთავად, და ესე ბუნებრი-ვად და ბუნებითად წარმოდგენილი მის დასამზერად და დასანახად: ადამიანების დღითიდლე ცხოვრება, საქმიანობა, ჩვეული ყოფა; მათი მეზობლობა, გვერდიგ-ვერდ ყოფნა, ურთიერთობები, ურთერთის გზნობა; ერთად ხალისობა და მოქ-მედება და დღეცისმარის მთელად გალევა!.. ძალიან ნამდვილი იყო, პალიკო, ეს ყველაფრი, ესე უნიშნოდ შეწყობილი და შეთვისებული ერთმანეთის: სცენა-გა-რემო, მუსიკა-სიმღერა და ქალბატონების ცხოვრება-როგა – ესე მეტყველი და გასაგები!!.. მორჩილად მიყვები მის მდინარებას და მხოლოდ მეყვსად გახსენდება და გაგაკირვებს ადამიანის სხეულის ეს მოქნილობა და სითამამე...

– მერე შენ აგრძელებ, პალიკო, ამ წარმოდგენას, შენს წარმოსახვაში, შენსა-ვე თავში: ნელინელ ადიხარ ზემოთ, თანდათან, და იქიდან დაჰყურებ უკვე ეზო-კარს, მის გარემოს და არემარეს, რომელიც მცროვდება სიმაღლის მატებასთან ერთად, სულ უფრო ნაკლებ ადგილს იყავებს თითქოს და ძნელად გასარჩევი ხდება ზევიდან, მისგან დაშორებასთან ერთად, ღათუ ამავდროს მის ყველა მხა-რეს სხვა საცხოვრისები ჩნდება, სხვა ეზო-კარები და მათი მიდამო, ზოგი უფრო დიდი, ზოგი პატარა, მისი მსგავსი თუ გასხვავებული, თავისი ფუთფუთით და ფაციფუცით, დიდი თუ პატარა ამბებით და თავგადასავლებით!. მათი რიცხვი კი ერთთავად მატულობს, მრავლდება მეყვსად, რაც უფრო ზევით ადიხარ ცაში და გადმოხედავ ქვემოთ ქვეყანას, სად ყველა კუთხეში ფუსფუსია და ფაციფუცი, ადამიანური ძალისხმევა და საქმეები, სრულად რომ მოიცავს მთელ პლანეტას და ასე თბილსა ხდის დედამიწას – ჩვენს სამკვიდროს და საცხოვრისს, მოგებულს ძლვენად...

მსუბუქად განათებული სცენა, არაფერი არ არის გამოკვეთილი, ულიმდამო ნაცრისფერი კედელი ბოლოში, რომლის ნაწილი, კაცის სიმაღლეზე, ოდნავ წინ არის გამოშვერილი, მთელი კედლის სამ-მეოთხედზე, იგივე ფერის, მაგრამ გა-მოხაზული წახნაგებით, კედლის დარჩენილ მეოთხედ ნაწილში თხელი ბინდია, ცარიელი; მუსიკა არა ჟღერს, სიმღერა არ ისმის... მოცეკვავეთა გუნდი, ყველა ცალცალკე, სცენის სხვადასხვა ადგილს ჩამუხლებული, ხელში თუ ხელებში ჩამ-ხობილი თავებით, რეცა გრძელ ფიქრში, ჭმუნვაში ჩაძირულები, ბოლო რომ არ უჩანს, როდენის „მოაზროვნე ადამიანივით“ (ღათუ სრული სხეულებით); განელი-ლი როკვა, გრძელი მიმოხრა, ოდნავ წინ წამოწევა, ფეხზე წამოდგომასავით, მაგ-

რამ იქავე ძირს დაშვება და საკუთარ თავში ჩათხობა-ჩამხობა!. ერთურთს ვერ ამჩნევენ და არც ეძებენ, თავისას ძიობს, თავისას ი(ღ)წვის ყველა, ყოველი, სა-ერთო მათში მხოლოდ ეს ჭმუნვაა, გაუთავებელი ფიქრი, გაუნელებელი, დღევან-დელი გათითოკაცებული და თავსმინებებული ადამიანეთივით, გზის გაკვლევას დაშურებული.. მხოლოდ ერთი (მოცეკვავე) ვაჟი იქცევა რეცა სხვანაირად: ფეხზე წამოდგება, მიმოიხედავს, ერთ-ორ ნაბიჯს გადადგამს თითქოს და მალევ უკან ბრუნდება, თავის ჭმუნვაში, საკუთარ თავში... მერე ისინი სცენიდან გადიან, მისი მარცხენა მხრიდან, თითოდ, მცირეოდ შუალედებით, მაგრამ არა მიყოლებით და რაღაც დროის შემდეგ ისევ უკან ბრუნდებიან, ლათუ მარჯვენა მხრიდან, ერთად, ხელების მოლერებით და ბრაზიანი შეძახილებით (როგორც იკითხება მათ სახეებ-ზე), რაღაც ჯანყივითაა თუ რევოლუცია, გარნა ერთმანეთს ისევ ვერა ხედავენ, ვერ აღიქვამენ, თუმც ერთად არიან, ერთად მიდიან, ერთიდაიგივეს როკავენ, აკეთებენ, ერთნაირად მომართულები!.. სცენის ნახევრადბნელ მეოთხედ შორისში მომღერლების პატარა ჯგუფი ჩნდება (ხუთიოდ ქალვაჟი), ძალიან ხმამაღლა მღე-რიან, გახევებული სახეებით, რაღაც ძველ სიმღერას, ამ ძალისხმევის უშედეგო-ბა ვინძლო რომ იცის!. მოცეკვავეები ერთად მიდიან, როკავენ, მოლერებულები, მათ თითო მონაწილე აკლდებათ ყოველი წრის შემდეგ, მარცხენა მხარეს გადის (სცენის) ველიდან, სოფელს ტოვებს თუ სადღაც სხვაგან მიდის, მხოლოდ ერ-თხელ მოიხედავს უკან, რაღაცნაირად, გასვლის წინ, სხვები აგრძელებენ სვლას.. ბოლოს ერთი რჩება, ის, განსხვავებული, არსად არ მიდის, უკან ბრუნდება, სა-კუთარ თავში, გრძელი ფიქრის ჭმუნვაში, გზას რომ ვერ აკვლევს, ანუ – რაღაც კიდევ უნდა მოხდეს, სხვა...